საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გ. აკოფაშვილი

# სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში

## (აზნაურთა ფენა)

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი 1965

წინამდებარე ნაშრომი ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის პრობლემებისადმია მიძღვნილი. შესწავლილია აზნაურთა ფენა XV—XVIII სს. ქართლში, განხილულია ამ ფენის თავისებური მდგომარეობა აღნიშნულ ხანაში. ის გარემოება, რომ მისი დიდი ნაწილი მსხვილ ფეოდალთა მფლობელობაშია მოქცეული, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანია. ნაშრომი განიხილავს ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლას აზნაურთა ფენის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, აზნაურთა პოლიტიკურ მისწრაფებებს, მათ სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას და რიცხობრივ შემადგენლობას.

# შესავალი

XV — XVIII სს. საქართველოს სოციალური წყობილების ძირითად თავისებურებას სათავადოთა სისტემის არსებობა წარმოადგენს. სათავადოები ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებია, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო ამ ერთეულების კრებულს წარმოადგენს. სათავადოთა ჩამოყალიბება ხანგრძლივი, მრავალი საშინაო და საგარეო ხასიათის ფაქტორით გაპირობებული პროცესია, რომელიც ძირითადად XV საუკუნისათვის სრულდება. სათავადოების ჩამოყალიბება საქართველოში პოლიტიკური დაქუცმაცებულობის შენარჩუნებას და შემდგომ გაღრმავებას უდრიდა. ამიერიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა სუსტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობით დაინტერესებული რეაქციული თავადობა. რეაქციულია თავადობის როლი ქვეყნის ეკონომიკის დარგშიც. სათავადოს ეკონომიკა. სახლის კოლექტიურ საკუთრებაზე დამყარებული. ნაკლებ პერსპექტიული იყო და ზღუდავდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას.

თავადების პოლიტიკური ძლიერების შენარჩუნების ერთ-ერთ საყრდენად XV — XVIII სს. საქართველოში აზნაურთა ფენა იქცა. რაც ამ ეპოქის ქართული ფეოდალური ურთიერთობის მნიშვნელოვან თავისებურებას შეადგენს. ჩვეულებრივ. ფეოდალურ სახელმწიფოში ფეოდალთა კლასის ფართე ფენები — წვრილი და საშუალო აზნაურობა. ის ძალაა. რომელსაც სამეფო ხელისუფლება ეყრდნობა თავის ბრძოლაში პოლიტიკური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციისათვის. XV — XVIII სს. საქართველოში კი, ისტორიული ბედუკუღმართობის წყალობით, აზნაურთა ფენის დიდი ნაწილი თავადების ძალაუფლების ქვეშ ექცევა. სამეფო ხელისუფლება კარგავს თავისი საყრდენი ძალის მნიშვნელოვან ნაწილს. ამიერიდან აზნაურობა (უკეთ

ამ ფენის საგრძნობი ნაწილი) ამტკიცებს და ზურგს უმაგრებს სათავადოთა სოციალურ-პოლიტიკურ ძლიერებას, ხელს უწყობს ქვეყანაში პოლიტიკური დაშლილობის შენარჩუნებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებული მდგომარეობა ქვეყნის ცენტრალიზაციით დაინტერესებულ ძალებს არ მიაჩნიათ დაკანონებულად და გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებენ აზნაურთა ფენის დასარაზმავად ცენტრალური ხელისუფლების გარშემო. ბრძოლა იოლი არ არის, თავადების წინააღმდეგობა მტკიცეა და მრავალ საშინაო და საგარეო ხასიათის ფაქტორთან არის დაკავშირებული. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით წარმოებს საუკუნეთა მანძილზე და საქართველოს სამეფოს არსებობის პირობებში გადაუწყვეტელი რჩება.

წინამდებარე ნაშრომი ქართული სოციალური ურთიერთობის ამ რთული და მისი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმია მიძღვნილი. ნაშრომის კვლევის საგანია აზნაურთა ფენის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა. უმთავრეს მიზნად დავისახეთ იმ პირობებისა და მიზეზების განხილვა, რომელთა ზეგავლენით ხდება ეკონომიურად და სოციალურად დამორჩილებულ ყმა-აზნაურთა ფენის გაჩენა საქართველოში; ამ მოვლენის რაობისა და მნიშვნელობის გარკვევა. ნაშრომში განხილულია, ერთის მხრივ, აზნაურის, როგორც ყმის (ვასალის) და, მეორეს მხრივ, აზნაურ-მებატონის (მემამულისა და ყმათამფლობელის) დამახასიათებელი ნიშნები. ვეხებით აგრეთვე ურთიერთდამოკიდებულებას აზნაურთა ფენასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

XIII — XVIII სს. ქართული სოციალური ურთიერთობის შესწავლა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელთან, რომელმაც, მარქსისტული მეთოდით შეიარაღებულმა, ამ საკითხების კვლევა მაღალ დონეზე აიყვანა. აღნიშნული ეპოქის სოციალური ურთიერთობის საკითხებისადმია მიძღვნილი მისი ნაშრომები: «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв.» (1938 წ.), „საქართველოს ისტორია. XIII — XIV საუკუნეები“ (1937 წ.), „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში“ (1937 წ.), სათანადო თავები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში და სხვ. ნ. ბერძენიშვილის მიერ გაკვლეულ გზას მიჰყვა ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა შემდეგი თაობა და ფასეული მონოგრაფიებით გამდიდრა აღნიშნული ეპოქის სოციალური ურთიერთობის შესწავლა.

აზნაურთა ფენა XV—XVIII სს. საქართველოში სპეციალური განხილვის საგანი დღემდე არ ყოფილა. მაგრამ გარკვეული საფუძველი ამ საკითხის შესწავლას კარგა ხნის წინათ ჩაეყარა. ზოგადი დებულებები მოცემულია როგორც საბჭოურ, ისე რევოლუციამდელ საისტორიო ლიტერატურაში. ს. ავალიანის ნაშრომში «Крестьянский вопрос в Закавказье» სპეციალური პარაგრაფია სათაურით: «Категории владельцев крестьян»[1], სადაც ყმათამფლობელებში, თავადებს გარდა, განხილულია და მოკლედ დახასიათებული აზნაურთა ფენა საქართველოში. აღნიშნულია, რომ აზნაურთა მრავალრიცხოვანი ფენა შედგებოდა სამეფო, საეკლესიო და მემამულე აზნაურთაგან. ამათგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სამეფო აზნაურები. აზნაურებს სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობანი ეპყრათ. მეფეები წყალობის სახით გასცემდნენ თავადებზე აზნაურებს მათ ყმა-მამულთან ერთად, რომელსაც თავადები თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ. ასე რომ აზნაურებს თავიანთი ყმა-მამულის დამოუკიდებელი განკარგულების უფლება არ ჰქონდათ.

აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომში «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв.», სადაც მოკლედ არის მოცემული ქართული სოციალური ურთიერთობის განვითარების ძირითადი თავისებურებები XIII საუკუნიდან ვიდრე XVII საუკუნემდე, აზნაურობას, როგორც სოციალურ ფენას, გარკვეული ადგილი ეთმობა. ნათქვამია, რომ XV საუკუნისათვის საქართველოში დამოუკიდებელი, თავის სამკვიდრო მამულებზე მსხდომი აზნაურები დიდი ხანია, რაც აღარ არსებობენ. აზნაურები არიან მეფის, ეკლესიის ანდა სათავადო. აზნაურთა უმრავლესობა წვრილი მემამულეა. მათ ქონებას შეადგენს პატრონის მიერ ნაწყალობევი ყმა-მამული. ზოგიერთ ძირძველ აზნაურს საკუთარი სამკვიდრო ქონებაც გააჩნია. გარდა ამისა, აზნაურს, ჩვეულებრივ, აქვს ხოლმე ნასყიდი, ნამზითვი და სხვა მისთანა საკუთრებაც. პატრონის გამოცვლა აზნაურს შეუძლია მხოლოდ თავისი სამკვიდრო ყმა-მამულზე უარის თქმის გზით, მაგრამ ამის შემდეგაც აზნაურის წასვლა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აზნაურის მთელ უძრავ ქონებას პატრონი თავისი სახლის საკუთრებად განიხილავს და აზნაურის წასვლის შემთხვევაში ამ ქონებასაც არ ანებებს, წინააღმდეგობას უწევს ვასალის წასვლას. აზნაურის სამსახუ-

---

[1] დასახ. ნაშრ., გვ. 54—59.

რი მრავალფეროვანია: ქმნიან პატრონის ამალას მშვიდობიან დროს, აკისრიათ საპატიო მოვალეობანი პატრონის კარზე. საერთო ეკონომიური დაქვეითებისა და თავადების შეუზღუდველი ბატონობის პირობებში აზნაურთა უმრავლესობა მძიმე მდგომარეობაშია. ისინი ღარიბები არიან. ყმები გაურბიან. მეფის აზნაურები, ბუნებრივია, შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან, ვინემ მათი სოციალური თანამოძმეები. სამეფო აზნაურს ეკონომიური დაწინაურებისა და სოციალური აღზევების შესაძლებლობა აქვს. ასეთ პირობებში ფეოდალთა აზნაურები მიისწრაფვიან გახდნენ სამეფონი. მაგრამ მეფისათვის მათი სურვილების დაკმაყოფილება ადვილი არ არის. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბედავს სამეფო ხელისუფლება ჩამოართვას ფეოდალებს აზნაურები. სამეფო აზნაურების რიცხვობრივი ზრდა ხდება დაბალი სოციალური ფენების დაწინაურების საშუალებით.

ის ისტორიკოსები, რომელთა ნაშრომები ფეოდალურ საქართველოს სოციალური ურთიერთობის შესწავლისადმია მიძღვნილი, აზნაურთა ფენის დახასიათებისას ამ ზოგად დებულებებს ემყარებიან. ამასთანავე საინტერესო დეტალებით და საყურადღებო ფაქტობრივი მასალებით ავსებენ და აღრმავებენ მათ. ასეთებია — პროფ. დ. გვრიტიშვილის ნაშრომი „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან". გ. ჯამბურიას „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან", მ. ქიქოძის წერილი „ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV — XVIII სს. (საამილახორო)"[2], პროფ. ვ. გაბაშვილის წერილი „ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასთა ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში",[3] პროფ. მ. დუმბაძის „გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX ს. პირველ მესამედში".[4] პროფ. ს. კაკაბაძის „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის".[5] და სხვ.

დ. გვრიტიშვილი დასახელებული ნაშრომის ცალკე პარაგრაფში განიხილავს „დამოკიდებულებას თავადებსა და აზნაურებს შორის". ავტორი იძლევა ქართლის მსხვილ სათავადოებში (ქსნის საერისთაო, არაგვის საერისთაო, სამუხრანბატონო, საამილახორო, საბარათიანო) შემავალი აზნაურების სიებს, თავადისა და აზნაურის

---

[2] მას. საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 35. 1963. გვ. 97—113.

[3] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. გვ. 379—389.

[4] მას. საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 30. 1954. გვ. 5—55

[5] საისტორიო კრებული. 1928. წ. I. გვ. 1—93; წ. III, გვ. 10—75.

ურთიერთობის ზოგად მიმოხილვას. საგანგებოდ ჩერდება თავადებსა და მათ აზნაურთა შორის მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლის ფაქტებზე.

თავადებსა და აზნაურებს შორის XIX ს. პირველ ნახევარში წარმოებული შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხისადმია სპეციალურად მიძღვნილი შ. ხანთაძის წერილი „სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში".[6] ამ ნაშრომში ავტორს შესწავლილი აქვს აზნაურ ფიცხელაურის ბრძოლა ქსნის ერისთავთაგან განთავისუფლებისათვის. ფიცხელაურთა მაგალითზე ავტორი მოკლედ მიმოიხილავს სათავადო აზნაურის საერთო მდგომარეობას, მისი სამამულო უფლებების ხასიათს. თავადებისა და აზნაურების შინაკლასობრივი ბრძოლა ავტორს სამართლიანად აქვს დაკავშირებული საერთო ბრძოლასთან სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ, აღნიშნული აქვს, რომ ეს ბრძოლა ობიექტურად სათავადოთა სისტემის შერყევას ემსახურებოდა და ამისდამიხედვით სხვადასხვა დროს სხვადასხვა ძალისა იყო და რომ განსაკუთრებით თვალსაჩინო იგი XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველ ნახევარში ხდება.

ნაშრომებში. რომლებიც შეიცავენ XIX ს. საქართველოს ზოგად მიმოხილვას, საყურადღებო შენიშვნებია მოცემული აზნაურთა დამოკიდებული ფენის ყმობიდან განთავისუფლების საკითხზე XIX ს. საქართველოში: საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, გ. ხაჭაპურიძის «К истории Грузии первой половины XIX века», ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე" და სხვ.

•

XV საუკუნისათვის საქართველოში ფეოდალთა კლასის შიგნით ყალიბდება დამოკიდებულების ისეთი ფორმა, რომელიც განსხვავებულია როგორც წინარე ხანის ქართული ფეოდალური ურთიერთობისაგან, ისე სხვა ფეოდალურ ქვეყნებში ცნობილ საზოგადოებრივი დამოკიდებულების ფორმათაგან. დამოკიდებულების ამ ფორმის გამოხატულებაა აზნაურთა სოციალური ფენა. წარმოშობილი საქართველოში ფეოდალთა კლასის შიგნით. ესაა XV—XVIII სს. ქართული ფეოდალური წყობილების ერთი, თავის შედეგებით მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება.

---

6 აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XX—B. 1959. გვ. 139—169.

გარკვეული დამოკიდებულება ფეოდალთა კლასის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის ადრეც არის ცნობილი საქართველოში და დამახასიათებელია საერთოდ ფეოდალური ურთიერთობისათვის მისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. ასე, მაგალითად, საქართველოში გარკვეული სოციალურ-ეკონომიური მოვლენების შედეგად ფეოდალთა კლასის შიგნით იქმნება ე. წ. პატრონყმური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც IX საუკუნისათვის საქართველოში, აკად. ს. ჯანაშიას სიტყვით, „ფეოდალთა კლასის შინაგანი ორგანიზაციის ყოვლისმომცველ და გაბატონებულ ფორმად იქცევა"[7]. იგი ძირითადად არაფრით განსხვავდება იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც ვასალიტეტის სახელწოდებით არის ცნობილი დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ანდა რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის მაგალითზე. ეს იყო ურთიერთობა, დამყარებული საადგილმამულო დამოკიდებულებაზე სამხედრო სამსახურის პირობით. წვრილი ფეოდალი, რომელიც უფრო მსხვილი და ძლიერი ფეოდალის მფარველობაში შედიოდა, ჩვეულებრივ, მისგან ღებულობდა მიწის ნაკვეთს ბენეფიციუმის სახით, რისთვისაც თავისი მფარველის, სენიორის ერთგულ სამსახურს კისრულობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ის თავის ყმებთან ერთად სენიორის სამხედრო რაზმში შევიდოდა, მის სამხედრო ძალას შექმნიდა ლაშქრობისა თუ სხვა საჭიროების დროს. სენიორი კი ჰპირდებოდა, რომ დაიცავდა მას ყოველგვარი ძალმომრეობისაგან. რაც აგრე ხშირი იყო ფეოდალურ სამყაროში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ამგვარ ურთიერთობაში შესულ ვასალს, უფლება ჰქონდა, თუ კი ეს საჭირო გახდებოდა, გადასულიყო სხვა სენიორის სამსახურში და თან წაეღო თავისი სამკვიდრო ყმა-მამული. ძველ სენიორს უტოვებდა მხოლოდ უშუალოდ მისგან ნაწყალობევ ქონებას.

აღსანიშნავია და ხაზგასასმელი, რომ დამოკიდებულების ამგვარი ფორმა ფეოდალთა კლასის შიგნით ისახება მსხვილი მიწათმფლობელისათვის ბრძოლის პირობებში და ფართე გავრცელებას პოულობს. დამახასიათებელ თავისებურებად იქცევა ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროის სახელმწიფოში.

---

7 პატრონყმობის, როგორც ფეოდალთა კლასის შინაგანი ორგანიზაციის ფორმის განსაზღვრისას ვემყარებით ს. ჯანაშიას ნაშრომს, გამოქვეყნებულს თეზისების სახით—„ქართული პატრონყმობის ბუნების და წარმოშობის საკითხისათვის". ს. ჯანაშია. შრომები. ტ. II, გვ. 434—437.

ასეთივე ხასიათის მოვლენას წარმოადგენს საქართველოში **პატრონყმობა**[8]. **ის იქმნება მიწების გამსხვილებისათვის ბრძოლის ხანაში და ფართოდ მკვიდრდება ცხოვრებაში სწორედ ფეოდალუ**რი დაქუცმაცებულობის ეპოქაში.

ვასალიტეტი ყველგან ფეოდალურ ქვეყანაში წარმოადგენდა ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური წყობილების საფუძველს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში. ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებასა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად იგი თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას ფეოდალურ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამეფო ხელისუფლების ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ვითარდება თავისებური მოვლენა ცნობილი იმედიატიზაციის სახელწოდებით. რაც იმას ნიშნავს. რომ მყარდება უშუალო ვასალური ურთიერთობა მეფის ვასალის ვასალებსა და თვით მეფეს შორის. ეს აღნიშნავდა იმ ძველი წესის რღვევას. რომელიც ადრე. ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში ბატონობდა. რომ „ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი"-ო. მეფის გავლენის **ზრდასთან ერთად ფეოდალები, იქნება ეს წვრილი მიწის**მფლობელები თუ მსხვილი მაგნატები. მეფის ხელისუფლების გარშემო იკრიბებიან. ე. ი. იმ ხელისუფლების გარშემო. რომელსაც „წესრიგი შემოაქვს ფეოდალურ სახელმწიფოში" და რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია ცალკეულ ფეოდალებსა თუ ფეოდალთა დაჯგუფებასთან შედარებით. ამგვარი შემოკრება ცენტრალური ხელისუფლების ირგვლივ. ე. ი. კერძო ფეოდალის მფარველობაზე უარის თქმა და სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი მეუფის ირგვლივ დაჯგუფება არსებულ ვითარებაში წვრილი. დამოუკიდებელი ფეოდალისათვის სიძნელეს არ შეადგენს — მას გადასვლის თავისუფლება შერჩენილი აქვს. ცენტრალური ხელისუფლება, როდესაც ის ამისათვის საკმაოდ ძლიერია. აშკარა ბრძოლასაც კი უცხადებს კერძო ვასალურ დამოკიდებულებას. ამიერიდან სამეფო ვასალებს კერძო ფეოდალებთან ურთიერთობაში შესვლა ეკრძალებათ. ასე იყო ეს. მაგალითად. XVI ს. მოსკოვის სახელმწიფოში. ფეოდალურ საფრანგეთში ამგვარი სახელმწიფო აქტები. ჩანს, არც კი იყო საჭირო. რადგანაც იქ სამეფო ხელისუფლება უკვე იმდენად ძლიერი იყო. რომ ვასალების დაკარგვის საშიშროება აღარც არსე-

---

[8] ივ. ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიაში" აღნიშნული აქვს. რომ ქართული პატრონყმობა მრავალ ანალოგიას პოვებს სხვა ფეოდალურ ქვეყნებში.

ბოპდა. ეს არის ცენტრალური ხელისუფლების, ქვეყნის ცენტრალიზაციის დიდი გამარჯვება კერძო უფლებრივობაზე.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართულებით გაერთიანებულ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში იმ დროს, როდესაც საგრძნობლად ძლიერდება სამეფო ხელისუფლება (XI — XII სს.). როგორც ცნობილია, ჯერ ბაგრატ III, განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებელმა, არაერთი ღონისძიება ჩაატარეს სამეფო ხელისუფლების ძლიერების უზრუნველსაყოფად და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს ამ მხრივ. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის დავით აღმაშენებლის ცდები, მეფის მსახურეულ აზნაურთა მომრავლებას რომ ისახავდა მიზნად. მაგრამ. როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაში, დავით აღმაშენებელმა ძლიერად შეუტია რა დიდ აზნაურთა პოლიტიკურ მიდრეკილებებს. ხელუხლებლად დასტოვა მათი ძლიერების სოციალ-ეკონომიური საფუძვლები. დიდაზნაურთა ძლიერ სახლებს შერჩნენ და შეემატნენ წვრილაზნაურული ყმები. დავით მეფის შემდგომ ხანაში დიდი აზნაურები კიდევ უფრო ძლიერდებიან და მეტ წარმატებებს აღწევენ სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. XI — XII საუკუნეებში, ნათქვამია იქვე. „დიდაზნაურთა ხელში ცვიოდნენ არა მარტო გლეხად ქცეული მდაბიორ მოლაშქრენი. არამედ წვრილ აზნაურთა ფართო ფენებიც“.[9]

ამრიგად საქართველოს გაერთიანებულ ფეოდალურ სახელმწიფოში სრულიად თავისებური ვითარება გვექმნება. ქვეყნის ფეოდალური გაერთიანების ხანაშიც ცენტრალური ხელისუფლება ჯერ კიდევ ვერ ავიდა იმ სიმაღლეზე, რომ აქტიურად გამოსულიყო კერძო პატრონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. დაერაზმა თავისი ხელისუფლების გარშემო წვრილი ფეოდალების ფართო ფენები. პირიქით, მთელი ამ ეპოქის მანძილზე. XI — XII სს. საქართველოში შენარჩუნებულია კერძო ფეოდალისა და მისი ყმა-აზნაურის დამოკიდებულების არსებული ფორმები. შემდგომ ხანაში, XIII — XIV საუკუნეებში, უკვე ისეთი ხასიათის მოვლენები ვითარდება საქართველოში. რომელიც არა მარტო ხელს უწყობს ამგვარი დამოკიდებულების შენარჩუნებას, არამედ უფრო მეტიც, ქმნის ისეთ პირობებს. როდესაც ფართო გასაქანი ეძლევა კერძო უფლებრივობის სრულ გამარჯვებას. რის საფუძველზეც ფეოდალთა კლასის შიგნით არსებული დამოკიდებულება ახალი, საფუძვლიანად განსხვავებული. უფრო ღრმა და მძიმე ფორმით იცვლება.

---

9 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 186.

თავი პირველი

# ყმა-აზნაურთა ფენის ჩამოყალიბება

XIII — XIV საუკუნეები გარდატეხის მნიშვნელობის ხანაა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში. XII საუკუნე გარდამავალ ხანას წარმოადგენდა. როდესაც ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო, თუ რა გზით წავიდოდა ქვეყანა: გაიმარჯვებდნენ დიდი აზნაურები და მათი კერძო უფლებრივობა ქვეყნის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ გაიმარჯვებდა ცენტრალური ხელისუფლება თავისი სოციალური დასაყრდენით და ქვეყანაც განვითარების ნორმალურ გზას დაადგებოდა. ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტას მოითხოვდა. თუმცა უპირატესობა ამ საუკუნის დამლევისათვის დიდ აზნაურთა მხარეზე იყო. მომდევნო XIII — XIV საუკუნეებში მომხდარმა საგარეო პოლიტიკურმა ამბებმა, ძლიერი გავლენა მოახდინეს ქვეყნის ეკონომიკაზე და საბოლოოდ გადაწყვიტეს იმ ძალთა გამარჯვება, რომელთა მოღვაწეობის შედეგი ქვეყნის პოლიტიკური დაშლა. კერძო უფლების განმტკიცება იყო.

XIII საუკუნისათვის ფეოდალიზმის აღმავალი განვითარება საქართველოში დასრულებულია. ამიერიდან ქვეყანა განვითარების ახალ გზას უნდა დასდგომოდა. „...შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური—გ. ა. ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ".[1]

მაგრამ, ნაცვლად ამისა, უაღრესად არახელსაყრელი საგარეო ვითარების შედეგად მიღებული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენები ნორმალური განვითარების გზას აცილებს საქართველოს და დიდი ხნით აბრკოლებს მის საზოგადოებრივ წინსვლას. XIII — XIV საუკუნეთა საქართველოში გასაქანს პოუ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, წერილი პირველი, მნათობი, 1954, № 6, გვ. 125.

ლობენ და მკვიდრად იკიდებენ ფეხს არაპროგრესული ხასიათის სოციალურ-ეკონომიური მოვლენები.

ასეთი რიგის მოვლენას წარმოადგენს სათავადოთა სისტემის წარმოშობა საქართველოში. რაც აღნიშნულ საუკუნეთა მანძილზე წარმოებს და XV საუკუნისათვის სრულ ჩამოყალიბებას, საბოლოო გაფორმებას აღწევს.

დიდებული აზნაურები ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბდნენ. არსებითი ცვლილებები ხდება აზნაურთა დანარჩენი მასის სოციალურ მდგომარეობაშიც. გარდატეხას აქვს ამ დროს ადგილი ფეოდალთა შინაკლასობრივი დამოკიდებულების მხრივაც. რამაც არამცირედი გავლენა იქონია საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მთელ შემდგომ მსვლელობაზე. კერძოდ, ის დამოკიდებულება, რომელიც ყმა-აზნაურსა და მის პატრონს შორის მანამდე არსებობდა. არსებით ცვლილებებს განიცდის. საშუალო და წვრილ აზნაურთა ფენა მძიმე ეკონომიურ და სოციალურ დამოკიდებულებაში ექცევა მსხვილი ფეოდალების — თავადების მიმართ. ცვლილებები აზნაურთა ფართე ფენების სოციალურ მდგომარეობაში გამოწვეულია იმ საერთო ვითარებით. რომელიც XIII — XIV საუკუნეთა საქართველოში იქმნება. აღნიშნული ცვლილებები არის სათავადოთა წარმოქმნა-ჩამოყალიბების თანმხლები პროცესი. სათავადოთა ჩამოყალიბების ერთ-ერთი მომენტი, გამოწვეული იმავე მიზეზებით. რამაც წარმოშვა სათავადოები.

XIII — XIV სს. საქართველო. როგორც ცნობილია. საერთო ეკონომიური დაცემულობით ხასიათდება. ის მძიმე კვალი, რომელიც უცხოელ დამპყრობელთა (მონღოლების) ბატონობამ დაამჩნია საქართველოს. მძიმე აოხრება, რაც ამ ძალამ საქართველოს მიაყენა. ძლიერად იჩენს თავს ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ მოვლენებში.

XIII საუკუნის 40-იან წლებიდან საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ხანა მყარდება. ამ მოვლენას წინ უსწრებდა ხორეზმ-შაჰ ჯალალედინის ხანმოკლე. მაგრამ მეტად მწვავე მფლობელობა საქართველოში, რომელმაც საკმაოდ შეარყია ფეოდალური სახელმწიფოს როგორც ეკონომიური. ისე პოლიტიკური ძლიერება. ცენტრალური ხელისუფლება კიდევ უფრო მეტად დაეცა, რასაც ფეოდალური თვითნებობის გაძლიერება მოჰყვა. „უსამართლობა" და „მიმძლავრება" ყოვლად დაუსჯელად შლიდა ფრთებს და მწარმოებელ კლასებს სასტიკად ავიწროებდა."[2]

---

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს, თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937, გვ. 289.

1236-40 წლებში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. მონღოლთა გამედმებულ ლაშქრობებში მონაწილეობა და შემდეგ მძიმე მონღოლური ხარკი, რასაც თან ერთვის ხარკის ამკრეფ მოხელეთა შეუზღუდველი თვითნებობა, მძიმე, აუტანელ ტვირთად აწვება საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებას და პირველ რიგში მწარმოებელ მოსახლეობას.

„მონღოლთა სახით საქართველოს მწარმოებელ საზოგადოებას ახალი ექსპლოატატორი მოემატა. ამავე დროს ძველი ვალდებულებანი: სამეფო, საქვეყნო, სამოხელეო, საეკლესიო და საბატონო არა თუ დარჩა, არამედ ზოგი მათგანი კიდევ უფრო დამძიმდა"...[3]

მონღოლთა ხარკის მთელი სიმძიმე და მძაფრი უარყოფითი მნიშვნელობა ცხადად არის ნაჩვენები გამოკვლევებში, რომლებიც საქართველოს ისტორიის აღნიშნულ ხანას, XIII — XIV საუკუნეებს ეხება.[4]

„მონღოლთა მოხარკეობის შედეგად, — ნათქვამი აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილს, — ფულით ღარიბი ფეოდალური მეურნეობა ჩქარა დაიცალა: ოქრო გაძვირდა. ეს გარემოება ყველაზე უწინ მწარმოებელ საზოგადოებას ემწვავა. მას სულ უფრო და უფრო უჭირს სახარკო ფულის შოვნა. მევახშეობა საშინელი სახით წარმოდგა — 45%. მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. მეურნეობამ გლეხისათვის აზრი დაჰკარგა: ის გადასახადებს ვერ აუდის... და ყოველმხრივ მიმძლავრებულ-მიხვეწილი გლეხობა ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას მიმართავს: ბოგანოობა-ხიზნობას იწყებს".[5] ამ პერიოდის ქართული დოკუმენტური წყაროები მჭერმეტყველურად მოწმობენ ქვეყნის ეკონომიურ დაცემას, ცხოვრების მძიმე პირობებს: XIII საუკუნის ერთი საბუთი მეტყველებს „დაძვირვებაზე" „ძვირსა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან".[6] ქობერის მონასტრის 1295 წლის წარწერა გვამცნობს, რომ ეს მონასტერი აშენდა „იწროებასა შინა ძვირსა ჟამთასა".[7] საეკლესიო კრება, 1263 წელს შემდგარი, დადგენილებაში თავის ჟამის

---

[3] იქვე, გვ. 291.

[4] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ. წ. III; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს; მისივე, Очерк из истории феодальных отношений в Грузии XIII—XIV вв Тб. 1938.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ისტ. მე-13—14 სს. გვ. 291.

[6] ქრ. II, გვ. 153.

[7] იქვე, გვ. 168

„ძნელბედობაზე“ მიუთითებს: „მრავალნი კადრებენ ჟამისა ძნელბედობასა და საჭიროებას“-ო.[8] ნათქვამია იქ.

XIII ს-ის 60-იან წლებში შედგენილ რკონის სიგელში საგანგებოდაა გათვალისწინებული ეკონომიური ბედუკუღმართობის მოსალოდნელი შედეგი — მიწების გაუკაცრიელების შემთხვევები. იქ ნათქვამია: „თუ მიწაი დაუკაცრდებოდეს, რაისაგანცა ქრთამითა ნუ ვის გარდაერთვის სამსახური და კულუხი ნუ წაჰკდების: სხუაი გლეხი დაისუმოდეს ზედა“.[9]

მონღოლური და ფეოდალური გადასახადების მძიმე ტვირთი მწარმოებელი მოსახლეობის გაჩანაგებას, მეურნეობის დაცემა-დაქვეითებას იწვევს. ეს კი დიდ სიძნელეებს ქმნის ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის და თავის ნაყოფს იძლევა სოციალური და ეკონომიური ხასიათის მოვლენებში. მწარმოებელი მასობრივად სტოვებს თავის მეურნეობას და ფეოდალებს ხელთ გაუკაცრიელებული მიწები რჩებათ. „მწარმოებელთაგან დაცლილი მამული კი ეხლა მფლობელისთვისაც საშინელებაა: მამულზე დადებული მონღოლური ხარკის საბოლოო პასუხისმგებელი ფეოდალია“.[10] მემამულეები ცდილობენ თავიდან მოიშორონ ასეთი მიწები. „ჩალის ფასად ჰყიდიან აზნაურები მათ სოციალურისა და ეკონომიური ძლიერების საყრდენს[11]. რკონის სიგელის ცნობილი გამოთქმა - „მათ ჟამთა დიდ ქვეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქრო ძუირად იყვის და სოფელი იეფად“.[12] უაღრესად დამახასიათებელია თავისი დროისათვის.

აკად. ს. ჯანაშიას გამოთქმით, XIII—XIV საუკუნეები ის ხანაა, როდესაც ხდება „ფეოდალური უფლებების ხელახალი გადანაწილება“. როდესაც „არაერთი უძველესი ფეოდალური სახლი, თავისი ჩამომავლობით და შეძლებით მოქადული, მოიშალა და გადაშენდა“.[13] მძიმე სახელმწიფო გადასახადების გაღების უნარმოკლებული. მწარმოებელი მუშახელისაგან დაცლილი მიწების მფლობელი ფეოდალები მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან და სოციალური დაქვეითების მუქარის წინაშე დგებიან. „მემამულეების ამოძრავებას აზნაურთა სახლების ამოძრავება თან სდევდა: მამულდამცრობილი აზნაური სისხლით დამცრობის საფრთხის წინაშე დგებოდა.“[14]

8 იქვე, გვ. 164.

9 იქვე, გვ. 137.

10 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., გვ. 201.

11 იქვე.

12 ქრ. II, გვ. 135.

13 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 464.

14 იქვე.

ცხადია. ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის სიძნელეები პირველ რიგში იჩენს თავს და დამღუპველად მოქმედებს წვრილ მემამულეებზე, წვრილსა და საშუალო შეძლების აზნაურებზე. ეს ის ფენაა, რომელსაც ყველაზე ინტენსიურად ეცლება ხელიდან მწარმოებელი.[15] წვრილ აზნაურებს არ შესწევთ პოლიტიკური ძალა, რომ თავიანთი ყმები წასვლისაგან შეაკავონ, ანდა წასულნი დაიბრუნონ, ხოლო, როგორც უფრო მცირეყმიანი და დაბალი ეკონომიური შეძლების მებატონენი, უაღრესად გაზრდილი სახელმწიფო გადასახადების პირობებში ყმის ექსპლოატაციასაც უზომოდ ზრდიან, რაც შედეგად იძლევა ყმათა მასობრივ გაბნევას მათი მამულებიდან. ეს მდგომარეობა ასახულია იმ ეპოქის ქართული სამართლის ძეგლში — ბექა და აღბუღას სამართალში. სამართლის წიგნის შედგენის დროს, XIV საუკუნეში, გლეხების მებატონეთაგან გაქცევის საკითხისათვის სათანადო ყურადღება მიუქცევიათ. სამართალი სუსტი მებატონეების უფლების დაცვას ითვალისწინებს. ცდილობს გადაარჩინოს აზნაურები საბოლოო გაჩანაგებას.[16]

გაქცეული ყმის მოძებნის ვადის ხანდაზმულობა ბექა და აღბუღას სამართალში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყნის მომწესრიგებელთა მხრიდან არის ცდა ისეთ მემამულეთა უფლებების დაცვისა, რომელთაგან გარბიან ყმები. მაგრამ ამგვარ ზომებს, ცხადია, არ შეეძლო საგრძნობი შედეგი მოეტანა და შეეჩერებინა ეს მოვლენა, გამოწვეული ქვეყნის ღრმა სოციალურ-ეკონომიური მიზეზებით. ყმების მასობრივი გაბნევა მებატონისაგან, პირველ რიგში წვრილი მებატონისაგან, შეუნელებლივ გრძელდებოდა და ასეთ პირობებში გადასახადების გაღებას უნარმოკლებული წვრილი მემამულეებისათვის მიწების დაკარგვა და მათთან ერთად თავიანთი სოციალური მდგომარეობის ეკონომიური საფუძვლის მოშლა დიდ სიძნელეს აღარ შეადგენდა. ამ მიმართულებით მოქმედებს მონღოლთა ხასინჯუს ინსტიტუტიც. „ხასი ქვეყანა მონღოლთა დივნის მოხელეთა (ხარკის ამკრებთა) თვითნებობისაგან დაცული იყო, ხოლო როგორც ცნობილია, მონღოლთა მფლობელობის უმთავრესი სიმძიმე ხარკის აკრების საქმის ეს მოუწესრიგებლობა იყო".[17] ასე რომ, თუ ერთი მხრით საერთო პირობებში მყოფი მემამულის მეურნეობა გაჩანა-

[15] «Из феодальных классов, естественно, труднее всех приходится мелким азнаурам. От них, главным образом, бегут крепостные». Н. Бердзенишвили. Очерк... გვ. 9

16 იქვე.

17 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამკველო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში. თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, VII, 1938, გვ. 208.

ვების საშიშროების წინაშე დგას. მეორე მხრივ არსებობენ ისეთი ტიპის მსხვილი მემამულეები. რომელთაც სრულიად განსხვავებული მდგომარეობა აქვთ მოპოვებული ხასობის ამ ინსტიტუტის წყალობით თამარიდან. — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი. — მისი (ხა-ნის — გ. ა.) პრივილეგირებული ქვეყანა მიმზიდველი ხდებოდა მეზობელ მფლობელთა ილაჯგაწყვეტილ ყმებისათვის, რომელნიც ბუნებრივია. ეცდებოდნენ ასეთი „პატრონის" ყმობაში გადასვლას. არახასი პატრონი სუსტდებოდა და ძველი ოდენობით გადასახადი და სამსახური მონღოლთა კარზე სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა. და ჰყიდდა შევიწროებული მემამულე მწარმოებელთაგან (ყმათაგან) დაცლილსა და ფასდაკარგულ მამულს. მას ჩალის ფასად იგივე ხასი ყიდულობდა, რომლის ხელში ეს მამული სულ სხვა ეფექტის მომცემი იყო...[18]

ასეთ ვითარებაში წვრილი ფეოდალისათვის თავისი სოციალური მდგომარეობის გადასარჩენად ერთადერთი გამოსავალია ისევ და ისევ ძლიერი მფარველის მოძებნა. მხოლოდ ახლა ასეთ მფარველობას უკვე განსხვავებული, თავისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ახლა მფარველობისათვის აღარაა საკმარისი მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება. მფარველობა უპირველეს ყოვლისა ეკონომიურ სფეროშია საჭირო. მემამულეს. რომელიც ვერ აუდიოდა მიწებზე დაკისრებულ გადასახადს. რადგან მწარმოებელი მუშახელი შემოფანტული ჰყავდა, ან უნდა ჩალის ფასად გაეყიდა მიწები, პასუხი რომ გაეცა დადებულ გადასახადზე და თავიდან მოეშორებინა ზედმეტად ქცეული მძიმე ტვირთი — მიწა (და მაშინ მისი პრივილეგირებული სოციალური მდგომარეობა გაქრობის საშიშროების წინაშე დადგებოდა). ან არა და გაეჩინა ისეთი მფარველი. შეკედლებოდა ისეთ ძლიერ მემამულეს. რომელსაც უნარი შესწევდა პასუხი გაეცა ამ გადასახადებისათვის. ასეთ შემთხვევაში მსხვილი ფეოდალი. რომლის მფარველობაშიც შედის აზნაური. პასუხისმგებელია მის ყმამამულზე დაკისრებულ სახელმწიფო გადასახადების. მფარველი აზნაური. ხელმოკლე აზნაურის ბატონი, ხდება როგორც თავის ყმა გლეხებზე შეწერილი, ისე მისი აზნაურის ყმა გლეხებზე დაკისრებული სახელმწიფო გადასახადების ამკრები და პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე. მფარველობაში შესული აზნაური თავის ბატონს უხდის ამ გადასახადს. როდესაც და როგორც ეს მას შეუძლია. ასეთი მფარველობის სამაგიეროდ. გაღატაკების საშიშ-

[18] იქვე. გვ. 209.

რების წინაშე მდგომი აზნაური მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებაში ექცევა თავის მფარველ-სენიორთან. სენიორის უფლებები მის დამოკიდებულებაში მყოფი აზნაურის მიწა-წყალზე განუზომლად იზრდება ამ საფუძველზე. მანამდე არსებულთან შედარებით, განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულება იქმნება მფარველ-სენიორსა და აზნაურ-ვასალს შორის. ეს დამოკიდებულება, ცხადია, უფრო მჭიდრო და უფრო მძიმე იქნებოდა ვასალისათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, ამით იგი თავისი ძირითადი სოციალური პრივილეგიების შენარჩუნებას შესძლებდა.

სათავადოზე სახელმწიფო გადასახადების შეწერის შესახებ არსებული გვიანდელი ხანის მასალა გადასახადის აკრეფის ამგვარი წესის არსებობას ცხადლივ ადასტურებს: სახელმწიფო გადასახადები სათავადოზე გაუნაწილებლად მოდიოდა და მხოლოდ შემდეგ ნაწილდებოდა მცხოვრებლებზე.[19] სათავადოს მეთაური, თავადი ანაწილებდა სათავადოზე შეწერილ სახელმწიფო გადასახადის საერთო თანხას არა მარტო თავის ყმა-გლეხებზე, არამედ თავის აზნაურებს შორისაც და თვითონ აბარებდა ამ გადასახადს მეფის მოხელეს. ნუსხებში გადასახადი შეწერილია ცალკეულ თავადებზე. გადამხდელთა შორის მოხსენებული არიან სამეფო აზნაურებიც. სათავადო აზნაურები კი ამგვარ ნუსხებში არ შედიან, რადგან მათი წილი თავადებზე შეწერილ გადასახადებში იგულისხმება.[20]

აზნაურთა საგადასახადო ტვირთისა და აზნაურის თავადთან ეკონომიური ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო სურათს იძლევა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ყიზილბაშობის დროს შექმნილი მდგომარეობა. ეკონომიური დაცემულობის ამ საერთო მძიმე პირობებში წვრილი მემამულეები მატერიალურ გაჭირვებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს მწვავედ განიცდიან. მათ უჭირთ ყიზილბაშური გადასახადის, მირის გადახდა და არის ცნობები, რომ ზოგჯერ, ვერ აუდის რა მემამულე ამ გადასახადებს, კარგავს კიდევაც ყმა-მამულს.[21] ასეთ ვითარებაში სათავადო აზნაურები, ბუნებრივია, გამოსავალს თავიანთი სენიორის ეკონომიურ შეწევნაში ეძებდნენ და ზოგჯერ პოულობდნენ კიდეც. ასე მაგალი-

---

19 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 224.

20 სათანადო მაგალითები მოტანილი გვაქვს წერილში „ცვლილებები აზნაურთა ფენის სოციალურ მდგომარეობაში XIII—XIV სს. საქართველოში“. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959, გვ. 68—69.

21 დოკ. I, № 489.

იალ, სათარხნოს აზნაურები ფირან, პაატა, ბეჟან, რამაზ, ხოსია და ბაილას-შვილი დათუა მიმართავენ თავიანთ ბატონს დავით თარხნიშვილს: „მირსა გ/ვ/ თხოვდით და თეთრისა ილაჯი არ /გვ/ ქონდა. კაცზე ხუთი აბაზი აიღით. მოსავალზე ღალა აიღით და ხუთი ჩვენა მოგ/ვ/ცე, მე/ე/ქ/ვ/სე შენა მოგცეთ ღალა და კულუხიც".[22] როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ჩამოთვლილ აზნაურებს მირის გადახდის საშუალება ამჟერად არა აქვთ. „თეთრის ილაჯი" არ შესწევთ. მათ მაგიერ ბატონი გადაიხდის მირს. ხოლო ეს აზნაურები პირობას იძლევიან, რომ თავიანთი მოსავლიდან, ღალასა და კულუხიდან გარკვეულ ნაწილს, ერთ მეექვსედს ბატონს მისცემენ. ასეთივე მდგომარეობას გვისურათებს ამავე ხანის მეორე საბუთიც. მიცემული ციციანთ აზნაურიშვილებისა და გლეხების მიერ თავიანთი ბატონის მერალიბეგ ციციშვილისადმი: „რაც მოსავალი იყოს, ან პური, ან ქერი, ან ფეტვი, ან ტკბილი, ან ნიგოზი, რაც მოსავალი იყოს, სულ იმისი ნახევარი თქვენ მოგცეთ და ხემწიფის სათხოვარი თქვენ უნდა მიცეთ. ჩვენ ყველას ნახევარი თქვენ მოგცემთ დე ხემწიფის სათხოვარი თქვენ უნდა მიცეთ: ჩვენთან ხემწიფის სათხოვარი არა მოგვადგეს-რა წლამდი".[23] მაშასადამე, მთელ თანხას შეწერილს მერალიბეგ ციციშვილის სათავადოზე, გადაიხდის ციციშვილი, ხოლო სამაგიეროდ მისი აზნაურები ამ გადასახადის ანგარიშში თავიანთი მოსავლის ნახევარს გაუზიარებენ.

ზემოთ ციტირებულ საბუთებში ასახულია შემთხვევები, როდესაც თავადი ქვეყნის საერთო ეკონომიური გაჭირვების პირობებში ხელს უმართავს თავის აზნაურს, რამდენადაც ამის ძალა და სურვილი შესწევს.

მოგვეპოვება ისეთი ფაქტებიც, როდესაც საქმე რამდენადმე სხვაგვარ ხასიათსაც კი ღებულობს. თავადს, ზოგ შემთხვევაში, არ გააჩნდა სათანადო ეკონომიური შესაძლებლობა, ანდა ხალისი მატერიალური დახმარება და მფარველობა აღმოეჩინა თავისი აზნაურისათვის და ნაცვლად იმისა, რომ შეემსუბუქებინა მისთვის საგადასახადო ტვირთი და ამით გადაერჩინა განადგურებას, ყიდდა ამ აზნაურს ყმა-მამულის გარეშე. ეს კი არსებული სამართლის ნორმების აშკარა დარღვევა იყო. (ასეთი ბედი ეწვია, მაგალითად, ციციშვილის აზნაურს გვარამაძეს ყიზილბაშობის დროს[24]).

---

[22] ხელ ინ. ფ Hd, № 2912.
[23] დოკ. I, № 441.
[24] ხელ. ინ. ფ. Qd № 1876.

ზემომოტანილი მაგალითები, ერთი მხრივ ისეთი, როდესაც ეკონომიური გაჭირვება აიძულებს აზნაურებს თავიანთი ყმა-მამულიდან შემოსავლის უშუალო თანამოზიარედ გაიხადონ თავიანთი სენიორები, ხოლო მეორე მხრივ ისეთიც, როდესაც ხდება აზნაურის პირადი თავისუფლების აშკარა შებღალვა, ზედმიწევნით ასახავს ეკონომიური დაცემულობისა და გაჭირვების შედეგად აზნაურთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის საგრძნობ გაუარესებას, თავადებისადმი ეკონომიური დამოკიდებულების დამძიმებას.

ამ მხრივ ყიზილბაშობის ხანა მონღოლების ხანას მოგვაგონებს. მონღოლობისა და მის უშუალო მომდევნო ხანაში მსხვილი ფეოდალი სარგებლობს რა აზნაურის მძიმე ეკონომიური მდგომარეობით, უწევს მას სათანადო დახმარებასა და მფარველობას. სამაგიეროდ კი იზრდება მისი უფლებები ამ აზნაურის ყმა-მამულზე.

ნაშრომში „საქართველოს ისტორია მე-13-14 სს." ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, თუ რა შედეგები მოაქვს ქვეყნის სამეურნეო მოშლას მწარმოებელი საზოგადოებისათვის ეკონომიური და სოციალური დამონების თვალსაზრისით: „შიმშილობა საშუალო საუკუნეებში უაღრესად კლასობრივი მოვლენაა: მთელის სისასტიკით ის მწარმოებელ მოსახლეობას დაატყდება ხოლმე თავს და განსაკუთრებით მას ანადგურებს როგორც ფიზიკურად, ისე სოციალურად: „გამოზრდა და ავსა ჟამსა დარჩენა" ერთ-ერთი ძლიერი საშუალება იყო ფეოდალთა მიერ მწარმოებელ საზოგადოების ეკონომიურად და სოციალურად კიდევ უფრო დასამონებლად".[25]

ასეთივე „ავსა ჟამსა შიგან დარჩენა" სოციალური და ეკონომიური დამონების საშუალება იყო ეკონომიურად წელმაგარ ფეოდალთა მხრით მათზე დამოკიდებული წვრილი ფეოდალების მიმართაც.

აღებული ხანისათვის დამახასიათებელია კიდევ ასეთი შემთხვევები: ეკონომიურ სიძნელეთა შედეგად უმიწაწყლოდ დარჩენილ აზნაურს მსხვილი ფეოდალი თავის გაუკაცრიელებულ, ამოწყვეტილ მამულზე სვამს. შედეგად ამისა აზნაურსა და მის სენიორს შორის სრულიად თავისებური ახალი ურთიერთობა მყარდება.

თუ ადრე მფარველობას უმთავრესად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი ქონდა, ახლა უკვე სენიორის მფარველობა ეკონომიურ ხასიათს ღებულობს და ამდენადვე, დამოკიდებულებასაც აშკარა და

25 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., ენ. შრ., 1937. ტ. VI, გვ. 293.

მკვეთრი ეკონომიური ხასიათი ეძლევა. აზნაურის ყმა-მამული, მისი მეურნეობა აღარ არის დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული სახელმწიფოში. ამიერიდან იგი სათავადოს უშუალო შემადგენელი ნაწილია, მისი განმამტკიცებელი და მისი ძლიერების დამცველი. თავადსა და აზნაურს შორის დამყარებული დამოკიდებულება საბოლოო ჯამში მიწისმფლობელობის საკითხში გამოიხატება. სენიორი იღებს საკუთრების უფლებებს აზნაურის ყმა-მამულზე. ამიერიდან აზნაურის ყმა-მამულის ძირითადი ნაწილი, რომელიც სამკვიდრო ყმა-მამულის სახელწოდებას ატარებს, სენიორისაგან მიღებულ მამულად განიხილება. სენიორის უფლებები აზნაურის მამულზე სრულიად რეალურ შინაარსს ღებულობს: ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში აზნაურის სამკვიდრო ყმა-მამული ამავე ბატონის სრულ საკუთრებაში გადადის. ასევე ხდება მაშინაც, როდესაც აზნაურის გარდაცვალების შემდეგ მას არ რჩება მამრობითი სქესის მემკვიდრე, ანდა მაშინ, როდესაც სენიორი თავის აზნაურს რაიმე მძიმე დანაშაულისათვის მამულიდან გაძევებით სჯის.

აღნიშნული პროცესი ახალი ეკონომიური დამოკიდებულების გაჩენისა ყმა-აზნაურსა და მის სენიორ მსხვილ ფეოდალს შორის, ცხადია, სათანადოდ უნდა ყოფილიყო ასახული იმ დროის დოკუმენტებში. მაგრამ, სამწუხაროდ, XIII — XIV საუკუნის საბუთები, ე. ი. იმ ხანის საბუთები, როდესაც აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა, როგორც ცნობილია, მეტისმეტად მცირე რაოდენობით არის შემონახული და ამ პროცესის დადასტურება უშუალო წერილობითი ცნობების საშუალებით ძნელი ხდება. შედარებით მრავლად არის შემონახული საბუთები XV საუკუნიდან. ამ საბუთების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ამგვარი მომენტის დადასტურება. გარდა ამისა, შესაძლებლობა გვაქვს დავიმოწმოთ XV ს. ქართულ დიპლომატიკაში ასახული ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი, რომელიც სენიორსა და ვასალ-აზნაურს შორის დამყარებულ ახალ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. მხედველობაში გვაქვს სამეფო ხელისუფლების ის აქტები, რომლითაც ეს ხელისუფლება თავადს წყალობის სახით უბოძებდა აზნაურს ამ უკანასკნელის ყმა-მამულთან ერთად, ანდა სწირავდა ეკლესიას აზნაურს მისი ყმა-მამულითურთ. ჩვენამდე არ არის მოღწეული XV ს-ზე ადრინდელი არც ერთი საბუთი, რომელიც ასეთ აქტს ასახავდეს. სოლო XV საუკუნიდან და შემდეგ სულ უფრო ხშირად ვხდებით ამგვარ ფაქტებს. მეფე თავადს სამუდამო მფლობელობაში უწყალობებს აზნაურს მისი ყმა-მამულითურთ. ცხადია, უფლებრივი მდგომარეო-

ბა ასეთი, წყალობის სახით გაცემული აზნაურისა განსხვავებულია მანამდე არსებული დამოკიდებული აზნაურების მდგომარეობისაგან და თვით ეს ფაქტი — თავადისათვის აზნაურის ყმა-მამულითურთ წყალობის სახით გაცემა, არის შედეგი და გამოხატულება იმ ცვლილებისა, რომელიც აზნაურთა სოციალურ მდგომარეობაში ხდება აღნიშნულ პერიოდში.

მეფის აქტები, რომლითაც იგი თავადს აზნაურს უბოძებდა, ანდა ეკლესიას შესწირავდა მას, უფრო ხშირად ფორმალური, იურიდიული სანქცია იყო უკვე არსებული მდგომარეობისა. აზნაურთა წყალობის აქტები მრავლად გაცემული მეფეთა მიერ იმას კი არ მოასწავებდა, რომ მეფე არიგებს თავადებს შორის ამ აზნაურებს, არამედ ამ აქტებით იგი მხოლოდ ლეგალიზაციას ახდენდა არსებული მდგომარეობისას და ამით, ცხადია, მეტ ძალასაც სძენდა მას ამგვარი აქტებით უკვე სახელმწიფო ხელისუფლებაც ცნობს იმ მჭიდრო დამოკიდებულებას, უკეთ, ბატონობის იმ უფლებას თავადისა თავის ყმა აზნაურზე, და ამ უკანასკნელის ყმა-მამულზე, რომელიც თავადებს ამ დროისათვის უკვე მოპოვებული აქვთ. პირველი ამგვარი საბუთები დამოწმებული გვაქვს ალექსანდრე I-ის მეფობაში. 1419 წლის საბუთით, მცხეთის ეკლესიას ალექსანდრე I სწირავს პირის მწდეს ტოხაძეს მამულით, რომელიც „ძველთაგან მკვიდრი მცხეთის შვილი" იყო „ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობა--ქცევისაგან" „აღარა ჰქონდა" მცხეთას.[26] ხოლო 1425 წ. გორის მოურავსა და ეზოს ჭურჭარეხს ავთანდილ ზევდგინიძეს იგივე მეფემ უბოძა „ქარუმისძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი მათითა მამულითა, საჯდომითა, სახლითა, ყანითა, ვენახითა... სამკვიდროთ, სამამულოდ და აუცილებლად ყოვლისა დაბადებულისაგან".[27]

ამრიგად, XV საუკუნისათვის აზნაურის თავადებზე გასაჩუქრება, წყალობად გაცემა, ისე როგორც ყმა-გლეხებისა, უკვე ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. უფრო გვიანდელ ხანაში ხშირად ვხდებით აზნაურის ყმა-მამულით მზითვში გაყოლების, სისხლში მიცემის და გასაჩუქრების შემთხვევებსაც. არაიშვიათია აზნაურების ყმა-მამულით გაყიდვის შემთხვევებიც. ესეც ისეთივე რიგის მოვლენაა, როგორც აზნაურის წყალობად გაცემა. აზნაურის გაყიდვის აქტით არსებითად არაფერი არ იცვლება გაყიდული აზნაურის

[26] ისტ. საბ. წ. III, გვ. 10.

[27] ქრ. გვ. 229.

მდგომარეობაში. მას მხოლოდ ერთი ბატონის ნაცვლად მეორე უჩნდება. ხოლო აზნაურის სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობა იგივე რჩება. მაგრამ ის გარემოება. რომ ამ დროიდან ადგილი აქვს აზნაურის ყმა-მამულითურთ წყალობად მიცემის. გაყიდვის და გასაჩუქრების ფაქტებს აზნაურთა დაყმევების აშკარა მოწმობაა. აზნაური უკვე ვალდებულია ემსახუროს ამა თუ იმ ბატონს თავისი ნება-სურვილის მიუხედავად.

XIV — XV საუკუნიდან მოგვეპოვება არაერთი საბუთი, რომელიც აზნაურის თავადისადმი ახალ დამოკიდებულებაში მოქცევის პროცესს გამოხატავს. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ საბუთს. რომელიც ასახავს ზოგიერთ ისეთ მომენტს. როდესაც აზნაური ჰკარგავს რა მიწას. გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან ხედავს იმ ფეოდალის ყმად გახდომაში. რომელმაც ხელთ იგდო მისი მამული. საბუთი 1433 წლისაა. მეფე ალექსანდრემ ვინმე ჯაუნარს. რომელიც აზნაური ჩანს (ფლობს ციხეს და ჰყავს ყმები). ჩამოართვა მამული. საბუთში აღნიშნულია. რომ ეს მამული დასაბამითგან მცხეთის ეკლესიისა იყო და მხოლოდ „ჟამთა ვითარებათაგან შემლოდა" მას და ჯაუნარს ჰქონდაო. მეფემ ეს მამული მცხეთის ეკლესიას გადასცა; თვით ჯაუნარი იძულებული ხდება მცხეთის ეკლესიის ყმა შეიქმნეს. საბუთში ნათქვამია. რომ „თუ ჯაუნარიშვილი თქუენ (ე. ი. მცხეთის ეკლესიას. — გ. ა.) გეახლოს და ანუ შემდგომად თქუენსა კათალიკოზთა ჯაუნარის მომავალნი ყმად იახლნენ. ესე ციხე და მონასტერი მათ ჰქონდეს სარჩომად და მას ჟამთა მემამულეობით არა საქმე უც და ვერაოდეს ისარჩლონ"-ო.[28] შეიძლება ვიფიქროთ. რომ აქ მეფე მხოლოდ ამტკიცებს. აკანონებს შექმნილ მდგომარეობას. ეს მდგომარეობა კი ასეთია: არმაზის ციხის მფლობელმა ჯაუნარმა დაჰკარგა თავისი მამული. უფრო ძლიერმა მემამულემ. როგორიც იყო მცხეთის ეკლესია. შესძლო იმის დამტკიცება. რომ ეს მამული ოდესღაც მას ეკუთვნოდა. ამიერიდან თუ ჯაუნარს და მის შვილებს სურთ ამ მამულზე ჯდომა. ისინი უნდა „ეახლნენ მცხეთის ეკლესიას". ე. ი. გახდნენ მისი ყმანი. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ეს მამული მათ მიეცემათ „სარჩომად" და არა სამკვიდროდ — „მემამულობით არა საქმე უც."

ამ ხანაში მიმდინარე მსგავსი მოვლენების დადასტურებისათვის კარგ მასალას იძლევა XV საუკუნის მეორე საბუთიც. ეს საბუთი 1452 წლისაა. მასში აღბეჭდილია მიწების დაკარგვისა და, ამას—

---

[28] ისტ. საბ. III, გვ. 17.

თან დაკავშირებით. განსხვავებულ ურთიერთობაში მოქცევის ერთ-ერთი შემთხვევა. ტურასშვილს ჯალაბი დაუტყვევდა მტრის თავ-დასხმის დროს. მის გამოსახსნელად ტურასშვილს სხვა სახსრები არ გააჩნია და იძულებულია გაყიდოს თავისი მიწა-ვენახი. ვენახი მან მიჰყიდა ნანიტა ყიფიანს და 300 თანგა გამოართვა. ნანიტა ყი-ფიანმა ნასყიდი ვენახი ქვათახევის მონასტერს შესწირა და თავისი სულის საოხად ალაპი დაიმკვიდრა. ტურაშვილმა ასეთი თხოვნით მიმართა მონასტერს: თუ ვენახს მიბოძებთ. ალაპს მე გადავიხდიო. მაშასადამე. არახელსაყრელი ვითარების გამო ტურაშვილს ხელი-დან ეცლება მიწა. იგი ყიდის ამ მიწას. მაგრამ. იმისათვის რომ არ-სებობა შესძლოს. მზადაა შევიდეს ყმურ დამოკიდებულებაში. თუ კი მიწა კვლავ მის სარგებლობაში დარჩება. მიუხედავად იმისა. რომ ეს მიწა ამიერიდან მისი პირადი. განუყოფელი საკუთრება აღარაა, ხოლო თვითონ კი ამ მიწის თანამესაკუთრის ერთგული სამსახურის ვალდებული მკვიდრი ყმაა. არ არის გამორიცხული. რომ ეს ტურა-შვილი აზნაურია. ყოველ შემთხვევაში. იგი საბუთის მიხედვით თა-ვისუფალი ადამიანი.[29] მცირე შესაძლებლობის მემამულე ჩანს, რომელიც ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის გაუარესე-ბას განიცდის.

საინტერესოა კათოლიკოზ მიქელის მიერ XIV საუკუნის დასა-წყისში თავის მსახურთუხუცესისათვის — ვაჩე გუარამასძისადმი მიცემული საბუთი. ეს უკანასკნელი ყოველ ეჳვს გარეშეა. აზნაურ-თა წოდებას ეკუთვნის, მაგრამ იმ აოხრების გამო. რომელიც მტრებმა საქართველოს მიაყენეს. მთლად გაღარიბებულია და „დარჩენის“ სხვა შესაძლებლობა აღარა აქვს. თუ არა ის. რომ თა-ვისი სენიორისაგან მიიღოს მამული და იმით იცხოვროს. თვითონ მას „რანიღა მამულნი ქონდა“. „იგინიცა ამოწყუჱტილ“ იყო: ჩანს. გაუკაცრიელებული და გაოხრებული იყო აი. ეს საბუთი: „მას ჟამ-სა—წერს კათალიკოზი მიქელ—ოდეს პირველ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან მოოჴრდა ესე სამეფო და ზოგნი ქუჱყანანი და სოფელნი დიდად მოოჴრდეს და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგემო-ბასა შინა იყვენით. ამისთჳს რათა რანიღა მამულნი გვქონდეს. იგი-ნიცა ამოწყუჱტილ იყუნეს და მით ოდენ ვერ დარჩებოდით... ამის მიზეზითა გუჱაჯენით და ვითამც შეგუჱწყალენით შენ ვაჩე გუარა-

---

**29 წინააღმდეგ შემთხვევაში ტურაშვილის სოციალური მდგომარეობისათ-ვის ასეთ მნიშვნელოვან საბუთში მისი ბატონობის ხელრთვა, ანდა თუნდაც სა-ხელის მოხსენიება გვექნებოდა.**

მასძე... რანისა საყდრისა სამსახურო სოფელნი გქონდეს. მოოჴრებულ იყვნეს და ვერა დარჩებოდი. ვისმინეთ აჯა თქუენი და მოგეცით სამამულოდ... კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორომაშენი ყოველი.. თჳნიერ მუნ შინა მსხდომთა ხუცესთა სიგლოსანთაგან კიდე...“[30]

ამ ეპოქაში ხშირია მიწების გაყიდვა თვით აზნაურთა მიერაც „შიმშილობისაგან“. ასე მაგალითად. ამგვარი გაჭირვების გამო ამირახორს ელიოზს მიყიდა მიწა მისმა ძმამ გრიგოლმა.[31] და სხვ. ფრიად დამახასიათებელი გამოთქმაა დაცული ამ ეპოქის ერთ-ერთ საბუთში. — „ჟამთა შლილობისაგან (ნაგულისხმევია თემურ-ლენგის დრო) შეცვალებოდეს მამულნიო“.[32] მართლაც. ამ „ჟამთა შლილობამ“. მამულების „შეცვალება“ და. საერთოდ. მათი ამოძრავება და ახალი გადანაწილება მოიტანა.

მამულების ამოძრავებამ, რომელიც თავის მხრივ შედეგი იყო XIII — XV სს. საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებისა, როგორც ცნობილია, საქართველოში მიწისმფლობელობის ისეთი ფორმის დამკვიდრება გამოიწვია. რომელზეც სათავადოს ორგანიზაცია იყო დამყარებული და ამ სათავადოს არსებით ეკონომიურ ნიშანს წარმოადგენდა.

მიწისმფლობელობის გარკვეული ფორმა, როგორც სათავადოს ეკონომიური ხასიათის არსებითი ნიშანი. და უმთავრესად, ამ ფორმის ჩამოყალიბების მიზეზები. კარგად არის ნაჩვენები ვ. გაბაშვილის მონოგრაფიაში „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში“. ავტორი ეხება რა მონღოლთა ბატონობის შედეგებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და საქართველოში. არჩევს ამ შედეგების განსხვავებულ ხასიათს საქართველოსათვის. ერთი მხრივ. და სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის, მეორე მხრივ. ნაშრომში ნაჩვენებია. რომ მონღოლთა ბატონობამ ყველა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყანაში სამეურნეო დეგრადაცია და საერთო ეკონომიური დაქვეითება მოიტანა. ყველგან მიმდინარეობს „მამულების ამოძრავება“, ხდება ცვლილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება. მახლობელ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ეს პროცესი მთავრდება იმით. რომ ადგილობრივი ფეოდალების მიწები ხელთ უვარდება დამპყრობელთა დიდკაცობას, რასაც არსებითი ხასიათის ცვლილე-

---

[30] ქრ. II, გვ. 176.

[31] იქვე, გვ. 457.

[32] იქვე, გვ. 437.

ბები მოაქვს ამ ქვეყნების საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის. ეყრება მყარი ეკონომიური საფუძველი მონღოლურ-თურქული მოდგმის სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის პოლიტიკურ ბატონობას მისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის და ექსპლოატაციის ჩამორჩენილი ფორმებით. საქართველოში კი მონღოლთა ბატონობის შედეგად რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა იქმნება. „მამულების ამოძრავებას“ აქ არ გამოუწვევია ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება მონღოლური მომთაბარული არისტოკრატიის სასარგებლოდ. საქართველოში უცვლელი რჩება ფეოდალთა კლასის ეთნიკური შემადგენლობა. აღზევებული ქართველი ფეოდალი დამცრობილის ადგილს იჭერს ისე. რომ უცვლელი რჩება ფეოდალური უფლების სოციალური და ეკონომიური საფუძველი. აქ არ დამკვიდრებულა ე. წ. აღმოსავლური მიწისმფლობელობა. არამედ შედარებით უფრო პროგრესულმა. უფრო მაღალგანვითარებულმა მიწის მფლობელობამ შეინარჩუნა თავი. ვ. გაბაშვილს აქვე ახსნილი აქვს ასეთი განსხვავებული მდგომარეობის შექმნის მიზეზებიც.

მაგრამ, აღნიშნულია იქვე, თუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მონღოლობის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, აშკარა უკანდახევა. მიწისმფლობელობის ჩამორჩენილი ფორმების დამყარება გამოიწვია. არც საქართველოს საზოგადოებრივი განვითარებისათვის ჩაუვლია მონღოლთა ბატონობას ამ მხრივ უშედეგოდ. მართალია. აქ მიწისმფლობელთა როლში მამულების ამოძრავების შემდეგ გამოდიან არა დამპყრობლები. არამედ იგივე ქართველი ფეოდალური კლასი ეპატრონება მამულებს. მაგრამ მონღოლობით შექმნილი სოციალურ-ეკონომიური პირობები მსხვილი კოლექტიური სათავადო საკუთრების გაბატონებას იძლევა შედეგად. რაც თავის მხრივ. აგრეთვე, უკან დახევა იყო იმ ინდივიდუალურ ფეოდალურ საკუთრებასთან შედარებით. რომელიც მანამდე იყო გაბატონებული გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში და რომლის განვითარების გზითაც უნდა წასულიყო ქვეყანა ნორმალურ პირობებში.[33]

ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ საქართველოში მონღოლთა ბატონობის მძიმე შედეგებით გამოწვეული მამულების ამოძრავების მეორე მხარესაც. ე. ი. ერთი მხრივ. XIII — XV საუკუნეების საქარ-

---

[33] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბილისი. 1958, გვ. 83—120. 143—148.

თველოში შექმნილმა მდგომარეობამ აზნაურთა ზედა ფენის მსხვილ სათავადო სახლებად ჩამოყალიბება გამოიწვია მიწისმფლობელობის თავისებური ფორმებით. მეორე მხრივ. აზნაურთა ფენის მეორე ნაწილის. მისი წვრილი და საშუალო ფენის ეკონომიურსა და სოციალურ მდგომარეობისათვისაც აღნიშნულმა მოვლენებმა არსებითი ხასიათის გარდატეხა მოიტანა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების მთელი შემდგომი მსვლელობისათვის და კიდევ უფრო განამტკიცა სათავადოთა სისტემის არსებობა.

ქვეყნის საერთო ეკონომიური დაცემულობა. მძიმე საგადასახადო პირობები. ფეოდალური საზოგადოების მომწესრიგებელი ცენტრალური ხელისუფლების მკვეთრი შესუსტება. რაც ფართე გასაქანს აძლევდა ყოველგვარ ძალმომრეობას. შინაურ ქიშპსა და ურთიერთ ბრძოლას. შეუძლებელს ხდიან წვრილი ფეოდალური სახლების დამოუკიდებელ არსებობას. ამის გამო ძლიერია მათი გამსხვილების ტენდენციები[34] და ვითარდება მიწის საერთო-სახელმწიფოებრივ საკუთრება. ე. წ. სახასო საქონებელი საფეოდალოებს შიგნით. წვრილი საზნაურო სახლების არსებობის შეზღუდვა-გადაშენებაც ამავე ნიადაგზე ხდება. აზნაურთა წვრილი და საშუალო ფენების დამცველი ცენტრალური ხელისუფლების დაცემა-დასუსტებამ. ქვეყნის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ თავის შედეგად მოიტანა ის. რომ წვრილი და საშუალო ფენები აზნაურობისა კარგავენ თავიანთ მიწებს და ეს მიწები მსხვილ აზნაურთა ხელში გადადის. შესაბამისად ამისა, იქმნება აზნაურთა ისეთი ფენა. რომელიც სოციალურად განსხვავებულია მანამდე არსებული აზნაურობისაგან;. ამრიგად. სწორედ ის პირობები. რომელიც მსხვილი სათავადო სახლების — სათავადოების — ჩამოყალიბებას იწვევს. იწვევს იმასაც. რომ აზნაურთა ფენა „დიდებული აზნაურების". თავადების ყმობაში ექცევა. იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც აზნაურები იმისათვის, რომ შესძლონ არსებობა, რომელიმე ძლიერი ფეოდალის ყმები უნდა გახდნენ. იქნება ეს საერო თუ საეკლესიო სენიორი, თუ თვითონ მეფე; ამის გარეშე მათი არსებობა უკვე შეუძლებელია.

---

34 ეს გარემოება, როგორც ამას ვ. გაბაშვილიც აღნიშნავს, ჩვენს მიერ ზემოციტირებულ ნაშრომში, კარგად აქვს შენიშნული ივ. ჯავახიშვილს, რომელიც წერს, რომ აღნიშნულ ხანაში „გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს", (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1948 წ., გვ. 184).

ამრიგად. თუ ერთი მხრივ ხდება მსხვილი სათავადო სახლების ჩამოყალიბება იმის გამო. რომ დანაწევრებული საფეოდალო სახლების არსებობა შეუძლებელია შექმნილ ვითარებაში. მეორე მხრივ. ამავე მიზეზების შედეგად მიმდინარეობს ცალკეული წვრილი აზნაურების მსხვილი სათავადო სახლების ყმობაში შესვლა. როგორც პირველი ამათგანი არის ეკონომიური რეგრესისა და სახელმწიფოს პოლიტიკური დასუსტების შედეგი. ასეთივე რიგის მოვლენაა ეს მეორეც. როგორც არაპროგრესული ხასიათისაა, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით. სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება. არაპროგრესული მოვლენაა ამავე თვალსაზრისით. თავადებისადმი დამორჩილებულ აზნაურთა ფენის წარმოშობაც. ეს ორივე მოვლენა ერთმანეთს აუცილებლად გულისხმობს და განაპირობებს.

სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბება. რაც გულისხმობს იმას, რომ თავადები ფლობენ ყმებს ბატონყმური ურთიერთობის საფუძველზე, მემკვიდრეობით ფლობენ სახელმწიფო თანამდებობებს (მათი აღზევება თუ დამცრობა ამიერიდან უკვე ცენტრალური ხელისუფლების ნებით კი არ ხდება. არამედ მათ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობა სამემკვიდროდ აქვთ მოპოვებული) და ნაწილობრივ შეუვალობითაც სარგებლობენ. გულისხმობს იმასაც. რომ ეს სათავადოები საჭიროებენ აზნაურთა საკუთარ რაზმს ყმა-გლეხთა დასამორჩილებლად თუ მეზობელი სათავადოების წინააღმდეგ საბრძოლველად, ან კიდევ მეფის ცენტრალისტური ტენდენციებისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გასაწევად; თავადებს სჭირდებათ ყმა-აზნაურები მეურნეობის გასაძღოლად და აგრეთვე სათავადო კარის ძლიერების და გარეგნული ბრწყინვალების საჩვენებლადაც. ასე რომ, თუ. ერთი მხრივ. აზნაურები საარსებოდ საჭიროებენ ძლიერი ფეოდალის მფარველობას თავისებური ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო ქვეყანაში. თავადიც ძლიერად არის დაინტერესებული აზნაურების ყმად ხელში ჩაგდებით. ის ამარაგებს მათ ყმა-მამულით. უწევს შემწეობას სახელმწიფო გადასახადების გაღების საქმეში.

აზნაურების დაყმევებას თავადების მიერ მძიმე უარყოფითი შედეგი ჰქონდა ფეოდალურ საქართველოს შემდგომი სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის. აზნაურთა ფენის სახით სამეფო ხელისუფლებას ხელიდან გამოეცალა ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა, სხვა ხელშემშლელ მიზეზებთანერთად, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას XV — XVIII საუკუნეების საქართველოში.

# აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობა XV — XVIII საუკუნეებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ. აზნაურთა ფენა ამიერიდან არ შეადგენს ერთ მთლიან ძალას. დამოუკიდებელი აზნაური ამ დროისათვის აღარ არსებობს. აზნაურები ეკუთვნიან თავადს. ეკლესიას. ან მეფეს. უფლებრივი თვალსაზრისით როგორც სათავადო. ისე საეკლესიო და სამეფო აზნაურები თანასწორნი არიან. მაგრამ მათი სამსახურებრივი თუ ეკონომიური მდგომარეობა განისაზღვრება იმ თავისებურებით, რომელიც ამა თუ იმ პატრონს (თავადი. ეკლესია. მეფე) ახასიათებს. როგორც სიუზერენს. ცხადია, რომ სამეფო აზნაურები. რამდენადაც ისინი ეკუთვნიან უზენაესი ხელისუფლების მფლობელს სახელმწიფოში. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. სამეფო აზნაურს სოციალური და ეკონომიური დაწინაურების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს.[1] მეფისაგან შეწყნარებული, ეკონომიურად და სამსახურებრივად აღზევებული აზნაური თავადობისაკენ ისწრაფოდა და ზოგიერთ (იშვიათ) შემთხვევაში აღწევდა კიდევაც ამას. მეფეს. როგორც ყველაზე მსხვილ ფეოდალს სახელმწიფოში, აზნაურის ყმა-მამულით უზრუნველყოფის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა; ამდენადვე. თანამდებობანიც. რომელსაც აზნაური სამეფო კარზე ფლობდა, უფრო შემოსავლიანი იყო. ვიდრე თანამდებობა რომელიმე თავადის კარზე; და ბოლოს სამეფო აზნაური დაცული იყო იმ ძალმომრეობისაგან. რომელსაც. როგორც ქვემოთ დავინახავთ. არაიშვიათად განიცდიდა სათავადო აზნაური თავის სენიორისაგან. ამიტომაა. რომ სათავადო აზნაურებს შორის ძლიერია ლტოლვა მეფის ყმობისადმი. მაგრამ მიუხედავად იმისა. რომ აზნაურები, როგორც ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები. პირადად თავისუფალნი იყვნენ. მათი წასვლა თავადისაგან არ იყო ადვილი. აზნაურები თავადებისაგან მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებში იმყოფებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში ისინი ვერ ახერხებენ მათგან თავის დაღწევას და მეფის ყმობაში გადასვლას. აკად.

---

1. „. . . понятно , царские азнауры находятся в сравнительно лучших условях. чем их социальные собратья. Возможностей экономического усиления и социального возвышения у царского азнаура больше". Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв. Тб. 1937. გვ. 39.

ნ. ბერძენიშვილი ჩვენს მიერ ზემოციტირებულ ნაშრომში წერს: «Отказаться» от своего патрона и отойти к другому азнаур может лишь отказавшись от пожалованных ему во владение патроном земли и крестьян. Но и после этого отход азнаура, тем более, если он «мквидри», связан с трудностями... Не только пожалованное, но и все недвижимое имение азнаура-вассала патрони склонен со временем рассматривать, как достояние своего «дома» и в случае отхода вассала он посягает и на эту часть его собственности. Патрони противится отходу вассала»[2].

ისმის საკითხი, რა პირობებში შეეძლო აზნაურს დაეტოვებინა თავისი ბატონი და სხვას ყმობოდა, რა ფარგლებში, რამდენად სარგებლობდა იგი პირადი თავისუფლებით. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: რა მდგომარეობაშია აზნაურის უფლება სენიორისაგან წასვლისა სახელმწიფო სამართლის მიხედვით, როგორ უყურებს ამას თავადი და შემდეგად ამისა, რა რეალური შესაძლებლობა აქვს აზნაურს ამ უფლების ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

საკანონმდებლო ძეგლებში აზნაურთა აღნიშნული უფლების შესახებ არავითარი მითითება არ გვაქვს, რაც სრულიად გასაგებია. აზნაურის პირადი თავისუფლება იყო ბუნებრივი, უდაო უფლება ფეოდალური კლასისა, რომელსაც ეს ფენა ეკუთვნოდა და მას საგანგებო აღნიშვნა არ ესაჭიროებოდა. მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს დავით ბატონიშვილის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი ქართული სამართლის მიმოხილვაში («Обозрение Грузии по части прав и законоведения»), სადაც ფეოდალური საზოგადოების არა ერთი დაუწერელი კანონი თუ სახელმწიფო წყობილების ნიშანი არის ჩაწერილი, სათავადო აზნაურების შესახებ ვხვდებით ასეთ განცხადებას: «Княжеские дворяне в лице и фамилии своей суть свободны. Они имеют волю избирать местопребывание и пользуются всеми преимуществами благородному грузинскому дворянству присвоенными»[3]. დავით ბატონიშვილის ეს სიტყვები, ისე როგორც ზოგიერთი სხვა ადგილი მისი თხზულებისა, უფრო სახელმწიფო ნორმას გამოხატავს, ვიდრე რეალურ ვითარებას სახელმწიფოში. ქართული სახელმწიფოს დაუწერელი კა-

---

[2] Н. Бердзенишвили, очерк . . . . გვ. 38

[3] დ ა ვ ი თ  ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ რობაქიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 262, 242.

ნონის მიხედვით მართლაც ასე ითვლებოდა — აზნაურს შეეძლო თავისი ნებით დაეტოვებინა ბატონი და ვისთანაც სურდა, შას მისვლოდა ყმად. მაგრამ რეალურად ისეთი ვითარება იყო შექმნილი. რომ აზნაურს რიგ შემთხვევებში უჭირდა თავისი უფლებების განხორციელება.

XVIII საუკუნის სასამართლო აქტებში საჭირო გამხდარა აზნაურის თავისუფალი წასვლის უფლების საგანგებო დადასტურება. აღნიშვნა იმისა. რომ აზნაური შეიძლება წაუვიდეს თავის ბატონს (ჩანს. ეს საკითხი სადაოდ იყო ქცეული ზოგიერთისათვის). სასამართლო დოკუმენტებში აზნაურთა ამ უფლების აღიარებისას შენიშნავდნენ. რომ აზნაურს ბატონისაგან წასვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა. თუ თავის ყმა-მამულს ბატონს დაუტოვებდა. 1795 წლის ერთ სასამართლო განაჩენში. რომელსაც ხელს აწერს ერეკლე II. ვკითხულობთ: „აზნაურშვილს რომ თავისმა მებატონემ ყმა ან მამული გაუყიდოს. ან ჩამოართოს და ან კიდევ თითონ აზნაურშვილმა თავის ნებით ყმასა და მამულზე ხელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება“.[4]

აზნაურის პირადი თავისუფლება ერთ-ერთი მთავარი ნიშანთაგანია. რაც განასხვავებს აზნაურს გლეხისაგან. ეს ნიშანი მკაფიოდ მოჩანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო განაჩენებში. აზნაურიშვილს თავისუფლება აქვს, გლეხკაცურად ველარ იყმობენ, ნათქვამია ერთ-ერთ მათგანში. მაგრამ სხვა საკითხია. თუ როგორ იყენებს აზნაური ამ უფლებას ცხოვრებაში და ნამდვილად შეუძლია თუ არა მას ასეთი თავისუფლების მოპოვება.

აზნაურის ბატონისაგან წასვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. უმთავრესი დაბრკოლება არის ის. რომ აზნაური ეკონომიურად ძლიერად არის დამოკიდებული თავის ბატონისაგან. ზემოთ ციტირებული 1795 წლის სასამართლო განაჩენიდან ცხადად ჩანს. რომ აზნაური თავისუფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ თავის „ყმასა და მამულზედ ხელი აიღო და თავისის მამულიდამ ადგა“. ამრიგად. ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში აზნაური კარგავს თავის სამკვიდრო მამულს. სამკვიდრო ყმა-მამულის დაკარგვა კი ისეთი დაბრკოლება იყო. რომელიც ნებას არ აძლევდა. ხელს უშლიდა აზნაურს წასულიყო ბატონისაგან. აიძულებდა მას ბატონის მორჩილებაში დარჩენილიყო. მისთვის ემსახურა.

---

[4] სცია, ფ. 1448, № 766.

აზნაურისა და მისი სენიორის ურთიერთ დამოკიდებულების საფუძველს მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენს. აზნაური არ არის თავისი ყმა-მამულის ერთადერთი მესაკუთრე. აზნაურის ყმა-მამულზე საკუთრების გარკვეული უფლებები გააჩნდა აზნაურის მებატონესაც. ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკუთრების იმ ფორმასთან, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში დანაწევრებული საკუთრების (dominum divisum) სახელწოდებას ატარებს. ბატონის მონაწილეობა აზნაურის საკუთრებაში შემდეგი გარემოებებით მტკიცდება: აზნაურს არა აქვს თავისი ყმა-მამულის თავისუფალი გასხვისების უფლება. ყმა-მამულის გაყიდვის, ანდერძათ გაცემის, შეწირვის თუ სხვა მისთანა შემთხვევაში აზნაურმა ნებართვა უნდა აიღოს თავის ბატონისაგან; როდესაც აზნაური არ დგას თავის მამულზე, ტყვედ არის ჩავარდნილი, თუ წასული და დაკარგულია სადმე, ბატონი მის ყმა-მამულს თავისად სთვლის და თავისთვის იხმარს, ყიდის ან წყალობად გასცემს (თუმცა, აზნაურის ტყვეობიდან დაბრუნების შემთხვევაში ბატონი ვალდებულია დაუბრუნოს ან მისცეს სანაცვლო ყმა-მამული); თუ აზნაური რაიმე მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ბატონს უფლება ჰქონდა ჩამოერთვა მისთვის ყმა-მამული; უძეოდ გარდაცვლილი აზნაურის ყმა-მამული მთლიანად ბატონის ხელში გადადიოდა. მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ აზნაურის განკარგულებაში მყოფი საკუთრების სხვადასხვა სახეობანი, რადგან აზნაურის ბატონი ყმის ყოველგვარ საკუთრებას ერთნაირად ვერ შეეხებოდა. აზნაურის ყმა-მამული, საკუთრების ხასიათის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება: 1. სამკვიდრო ყმა-მამული, 2. ბატონისაგან ნაწყალობევი და 3. ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი, პირადი გარჯით შეძენილი ყმა-მამული (ნასყიდი, ნასისხლი, ნამზითვი, ნაჯილდოები...). განსხვავება საკუთრების ამ სამ სახეობას შორის ნათლად შეიმჩნევა აღებული ხანის საბუთებში. მკვიდრი მამული, „ნასყიდი“ და „მებატონისაგან ნაწყალობევი“ — ჩვეულებრივ, ასეა ხოლმე ერთიმეორისაგან გამიჯნული ამა თუ იმ ფეოდალის მთლობელობა.[5]

ნაწყალობევი ქონება აზნაურის ყველაზე უფრო მერყევი საკუთრება იყო. ასეთი სახის ქონების უკან წაღება, ანდა სხვა წყალობით შეცვლა, ყოველთვის შეეძლო მწყალობელს, იმ დროს, როდესაც სამკვიდრო ქონებას ასე თავისუფლად ვერ მოეპყრობოდა.

---

[5] ისტ. საბ. III, № 22; საქ. სიძ. წ. III, № 191; ხელ. ინ. ფ. Qd, № 2169; ფ Ad, № 1570.

ცხადია. აზნაურის საკუთრების უფლება ბატონისაგან ნაწყალობევ ყმა-მამულზე მეტად შეზღუდულია. ბატონთან ახლადმისული აზნაურის ქონება ჩვეულებრივ ასეთი სახის საკუთრებისაგან. ნაწყალობევი ქონებისაგან, შედგება. ამიტომაა, რომ ასეთ აზნაურს თავისი ყმა-მამულის გაყიდვის უფლება არ გააჩნია. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მაჭავარიანი (ქართლში გადმოსული იმერეთიდან, ეყმო ფალავანდიშვილს.—გ. ა.) მოსული კაცია. ის მამულს როგორ გაჰყიდის.[6]

აზნაურის სამკვიდრო ყმა-მამული ისეთი სახის ქონებაა, რომელსაც ეს აზნაური ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და რომელშიც შესულია როგორც ნაწყალობევი, ისე მისი საკუთარი, ე. წ. „თანმოყოლილი" ყმა-მამული და სხვ. დროთა განმავლობაში მან დაისაკუთრა ნაწყალობევი ყმა-მამული. ბატონი ასე ადვილად ვეღარ წაიღებს ამ ყმა-მამულს.

სამკვიდრო ქონების შედარებით უფრო მტკიცე ხასიათს შესანიშნავად მოწმობს ერეკლე II სიტყვები, გამოთქმული აზნაურ ბაქრაძისადმი მიცემულ განაჩენში. ამ განაჩენს ერეკლე II ასეთ დასკვნას აწერს: „ქ. რადგან ამ ბაქრაძის მამა და პაპა დიდი ხნის დასახლებული არის მერეს მამულზედ, სამართლით არც მამული გამოერთმევა ამ ბაქრაძესა. ალავერდლის ყმობისა მეფის ალექსანდრეს გუჯარი აქვს და მამულზედ ა[მ] მოწმე(ე)ბს უფიცავს. რომ ა მ თ ო ნ ს თ ა ო ბ ა ს გ ა უ ვ ლ ი ა და ა მ ა ს მ ა მ უ ლ ი რ ო გ ო რ ღ ა წ ა ვ ა რ თ ო თ?!".[7] ეს სიტყვები შესანიშნავად ადასტურებს სამკვიდრო საკუთრების თავისებურ სიმტკიცეს.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ „მკვიდრი" მამული აზნაურის სრული საკუთრება იყო.

ვახტანგის სამართლის ერთ-ერთ მუხლში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ აზნაურს, იქნება ის სამეფო თუ სათავადო, უფლება არა აქვს ბატონის დაუკითხავად გაჰყიდოს თავისი ყმა-მამული.[8] დაახლოებით ასევეა აღნიშნული ერეკლე II ერთ სასამართლო განაჩენ-

---

[6] ხელ. ინ. ფ. Hd, № 1774.

[7] სცია, ფ. 1448, № 359.

[8] „ხელმწიფის სახასოს აზნაურიშვილისას და სახასო გლეხისას ხელმწიფის უდასტუროდ თავადი, ნურც თავადის ყმა თავისი ბატონის უბეჭდოდ ნურავინრას გაყიდის. თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითონ დაიჭერს და ფასს მომყიდველს სთხოვს". ვახტანგის სამართალი, და სხვ.

შიც[9]. ეს კანონი ძირითადად სწორედ აზნაურის სამკვიდრო ქონებას შეეხება.

ნაწყალობევი და სამკვიდრო საკუთრების გარდა აზნაურს გააჩნია კიდევ ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი, საჯილდაოდ ნაშოვნი და, საერთოდ, პირადად, თავისი გარჯით, „კარგკაცობით", მოპოვებული. თავისი ხელით მონაგარი ქონება. ასეთი ქონების განსხვავებული ხასიათი კარგად ჩანს საბუთებში. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ლაპარაკი ჩამოვარდა რუისის ღვთაების სასაფლაოზედ. კლიმიას-შვილები ამბობდენ: ბატონის ჩვენისაგან არ მოგვცემია. ჩვენის კაცობით გვიშოვნია საჯილდაოთა"[10]. როდესაც კლიმიას-შვილები ასე დაჟინებით ცდილობენ დაამტკიცონ და ხაზგასმით აღნიშნავენ. რომ ეს სადავო ადგილი თავიანთი ბატონისაგან მიღებული წყალობა კი არაა, არამედ ბატონისაგან დამოუკიდებლად, მათი „კაცობით" ნაშოვნი საკუთრებაა („საჯილდაო"). ჩანს, მათთვის დიდი მნიშვნელობის ამბავია ამის დამტკიცება და ამ ადგილის „საჯილდაოდ" შოვნის ფაქტი მათი უდაო უფლებების დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო.

აზნაურის პირად. უცილობელ საკუთრებას წარმოადგენს მისი ნასყიდი ყმა-მამული. ეს აზნაურის ყველაზე მტკიცე საკუთრებაა.

ნასყიდი ქონების სიმტკიცის დამადასტურებელ გამოთქმებს, საერთოდ. იურიდიულ აქტებში ხშირად ვხვდებით: „ნასყიდობა არავის მოშლიაო". აღნიშნავენ თავადები, „ნასყიდობა არ მოიშლებოდაო", შენიშნავს მეფე თავის ერთ-ერთ სასამართლო განაჩენში,[11] „ნასყიდობა არავის წართმევიაო"[12] აცხადებს გლეხი თავის არზაში. ნასყიდი ქონების სიმტკიცე და ხელუხლებლობა დაცულია კანონით, ვახტანგის სამართალში ნათქვამია: „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას მამული, სოფელი. საქონელი. თუ პირუტყვი, დიაღ ალალი შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის და თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება. მაგრამ პატონსაც ეს მართებს. სხვა რიგად, რომ კაცმან კაცს გარდააბდევინოს. ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს". [13] ასე რომ. დანაშაულის შემთხვევაში. მართალია. მეფეს შეუძლია უკლებლივ მთელი ქონება ჩა-

---

[9] „საქართველოს რიგით და წესით ასრე გავარიგეთ და დადებულიც ასრე არის, თავისის ბატონის უდასტუროდ ვერა კაცი მამულს ვერ იყიდის და ვერც გაჰყიდის" (სცია, ფ. 1448, № 677).

[10] საქ. სიძ. წ. III, № 12.

[11] ხელ. ინ. ფ. Hd, № 4135.

[12] სცია, ფ. 1448. № 467.

[13] ვახტანგის სამართალი, § 160.

მოართვას დამნაშავეს, მაგრამ კანონი ურჩევს მას, რომ, როგორც უნდა დასაჯოს დამნაშავე, „ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალონ“.

ნასყიდი მამულის სრული, შეუზღუდველი საკუთრების ხასიათი გამოხატულია იმ ფორმულაში, რომელიც ჩვეულებრივ იხმარებოდა ხოლმე ნასყიდობის აქტებში: „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. ხელგეწიფოდეს გასასყიდად, გასამზითვად თუ რითაც ფერად გინდოდეს“. ამ ფორმულაში დადასტურებულია ნასყიდი ქონების თავისუფალი გაყიდვის, გამზითვების, საერთოდ, გასხვისების უფლება.

აზნაურის ნასყიდი ყმა-მამულიც ასეთივე განსაკუთრებულ მდგომარეობაშია (მისი ნამზითვიც, ნასისხლიც და სხვა მისთანა, ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი ქონება). ასე მაგალითად, ბატონი ვერ აუკრძალავდა აზნაურს ნასყიდი ყმა-მამულის გაყიდვას თუ გაანდერძებას. სამკვიდრო და მით უფრო ნაწყალობევი ყმა-მამულის გასხვისება-გაყიდვის საკითხში კი აზნაური თავისი ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ბატონს უფლება ჰქონდა აეკრძალა თავისი აზნაურისათვის ასეთი ყმა-მამულის გასხვისება და უფლება ჰქონდა დაერღვია ნასყიდობის აქტი, თუკი იგი მისი ნებართვის გარეშე იყო შედგენილი. ამის დამადასტურებელი არა ერთი საბუთი მოგვეპოვება.[14] მაგრამ სამართლის მიხედვით. ბატონი ვერ დაუშლიდა ყმას ნასყიდი ყმა-მამულის გაყიდვას: ბეჟან ამილახვარი ჩივის მეფესთან თავისი ყმის შესახებ—ჩემს ნაწყალობევ ადგილებს ჰყიდისო, „ჩვენგან მიცემულს მამულს თუ სამართალი გააყიდვინებს. ნება სამართლისა არისო“. მაგრამ გაირკვა, რომ ეს ადგილები ამილახვრის ყმას თავისი ბატონისაგან ნაწყალობევი კი არ ჰქონია, არამედ სახასო კაცისაგან უყიდია. ამის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი „ასე გაყიდულის მებატონე თავის გლეხს ვერ დაუშლის გასყიდვას“.[15]

ამრიგად. სამკვიდრო. და მით უფრო ნაწყალობევი, მამულის გაყიდვის შემთხვევაში ბატონს უფლება აქვს არ დათანხმდეს გაყიდვაზე და ეს კანონიერი იქნება. მაგრამ. თუ ყმა თავისი ნასყიდი მამულის გაყიდვას მოინდომებს. ბატონი მოვალეა მისცეს მას თავისი დასტური.

ამ დებულების დასამტკიცებლად შეიძლება კიდევ სხვა საბუთების მოტანაც. დავკმაყოფილდებით ერთით: აზნაური პაპალოა საბთლიკუდაშვილი ჩივის მეფესთან. რომ მისი ბატონი ედია ავალიშვი-

[14] სცია, ფ. 1448, № 1479; ხელ. ინ. ფ. Hd, № 6335; დოკ. I, № 270.

[15] სცია, ფ. 1448, № 1479.

·ლი არ ანებებს მას ნასყიდი მამულის გაყიდვას. მეფე უბრძანებს თავადს, მისცეს თავის აზნაურს ნასყიდი მამულის გაყიდვის საშუალება. ან არა და გადაუხადოს იმ ვალების ნაწილი, რომელთა გამოც ამ აზნაურს მამულის გაყიდვა უხდება.[16] ურჩი თავადი არ ემორჩილება ბრძანებას. მეფე ხელმეორედ უგზავნის ოქმს: „ჩვენი ბრძანება არის, ამ პაპალას თავის სახსრის ვალი რომ დაზდებია, იმას უწინაც მივეცით ოქმი. თავის ნასყიდი მამული გაყიდოს და მოვალეს მისცეს, მაგრამ, რომელიც ნასყიდი არა ჰქონდეს, სამკვიდროს მამულს ნუ გაჰყიდის."[17]

ასევე წყდება საკითხი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აზნაური ეკლესიას სწირავს თავის ყმა-მამულს; აზნაურს არ შეუძლია შესწიროს ეკლესიას თავისი სამკვიდრო ქონება ბატონის ნებართვის გარეშე. აზნაურის შეწირულების წიგნს ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ახლავს ბატონის დამტკიცება.[18] მაგრამ თავისი ნასყიდი ქონების შეწირვა კი აზნაურს შეუძლია ისე, რომ მისი შეწირულების წიგნს ბატონის ხელრთვა არ ახლდეს.[19]

ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აზნაურს თავისი ყმა-მამულის ანდერძით დატოვება სურს ვინმესათვის. აზნაური თავის სამკვიდრო ყმა-მამულს ვერავის ვერ დაუტოვებდა ბატონის ნებართვისა და გაანდერძების აქტში მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე. მაგრამ აზნაურის ნასყიდი ქონება ამ მხრივ, ჩანს, გამონაკლისს შეადგენდა. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა შემდეგი საბუთი: არჩვაძე გოგიამ გედევანიშვილს პატარკაცს მიჰყიდა მიწა. ნასყიდობის ამ წიგნს აშიაზე ახლავს მიწის მსყიდველის — გედევანიშვილის მინაწერი: „თუ უშვილო გარდავიცვალო, ჩემი ანდერძია, ჩემი ნასყიდობა ჩემსავე მამის შვილს დარჩეს."[20]

ამრიგად, აზნაური შედარებით თავისუფალია თავისი ნასყიდი ქონების გასხვისების საკითხში, მაგრამ საბუთების მიხედვით აშკარა ხდება ერთი გარემოება, ფრიად დამახასიათებელი აზნაურის მდგომარეობისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სამართლით დაცულია ნასყიდი ქონების ხელუხლებლობა და ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს დაიცვას ყმა აზნაურის უფლებები ნასყიდ ყმა-მამულზე, თავადების ძლიერობისა და სამეფო

---

[16] იქვე, № 446.
[17] იქვე, № 430.
[18] იქვე, № 2249.
[19] იქვე, № 364.
[20] ხელ. ინ. Hd, № 14261.

ხელისუფლების სისუსტის პირობებში აზნაურის ეს უფლებები ყოველთვის დაცული როდია. აღნიშნული გარემოება კარგად შეიმჩნევა ზემოხსენებული სანთლიკუდაშვილის საბუთების მაგალითზეც და აგრეთვე სხვა საბუთებითაც. თავადები ცდილობენ თავიანთი უფლებები გაავრცელონ აზნაურის ამ სახის საკუთრებაზედაც.

აზნაურის ნასყიდი ყმა-მამულის სამკვიდრო და ნაწყალობევი ყმა-მამულისაგან განსხვავებული ხასიათი მჟღავნდება იმ ფაქტშიც, რომ აზნაურის ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში აზნაური თავის ძველ ბატონთან სტოვებს როგორც მისგან წყალობის სახით მიღებულ ყმა-მამულს. ისე თავის სამკვიდრო ყმა-მამულსაც, მაგრამ საკუთრების უფლებას ინარჩუნებს თავის ნასყიდ ყმა-მამულზე.

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის ხელისუფლება საქართველოში, სხვა საკითხთა შორის, დაინტერესებული იყო სათავადო აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობითაც. მთავრობამ ამ საკითხზე ქართველ თავადთაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. კითხვაზე იმის შესახებ. თუ ქონების რა ნაწილს უტოვებდა თავის ბატონს აზნაური მისგან წასვლის შემთხვევაში, ქართველმა თავადებმა ასეთი პასუხი გასცეს: „თავადის აზნაურნი, ვიცით, რომ რამდენიმე თავიანთის მებატონისაგან გასულან სამეფოს მამულში და აგრეთვე სხვისა სათავადოსა სამფლობელოსა შინა, მაგრამ ხსენებულთა მათ აზნაურთა თავადისათა, რაიცა ქონებიათ ყმა. გინა მამული, ის კი სრულებით დაუტევებიათ თავეთის მებატონეთათვის და აზნაურის დატოვებულის ყმასა და მამულში თავადისადმი ნასყიდიც რევებულა თუ არა, იგი ჩვენ არა ვუწყით."[21]

ქართველი თავადების ამ პასუხში აშკარად შეიმჩნევა ის ტენდენცია. თავადებს რომ ახასიათებთ აზნაურთა ნასყიდი ყმა-მამულის მიმართ. მათ არ სურთ იცნონ აზნაურის განსხვავებული, უცილობელი უფლებები ასეთი სახის ყმა-მამულზე და ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ თავიანთ პასუხში მათ აზნაურის ეს უფლება მიჩქმალეს.

XIX საუკუნის დამდეგს შედგენილ ქართული სამართლის მიმოხილვაში დავით ბატონიშვილი ამ საკითხის შესახებ წერს: «Княжеские дворяне в лице и фамилии своей суть свободны. Они имеют волю избирать местопребывание и пользуются всеми преимуществами благородному грузинскому дворянству присвоенными. Имения пожалованныя от царей, благо-

---

21 სცსა, ფ. I, საქმე № 627.

приобретенныя, равно и приданое за женами остаётся неприкосновенным. Прочее же стяжание полученное от милостей князей, их патронов, остаются навсегда за прежними владельцами, покровителями сих дворян»[22]. ქართული სამართლის ეს მუხლი უფრო სწორად გამოხატავს არსებულ წესს. რასაც სხვა საბუთებიც ემოწმება. ასე მაგალითად. ბებურიშვილის ბუშისათვის მიცემულ აზნაურშვილობისა და სითარხნის წიგნში თავადი აღნიშნავდა: „ჩემი მოცემული მამული კი ჩამოგართვი და თქვენის ნასყიდის მამულით გაგანთავისუფლეო და საბატონყმოთ ხელი არ მაქვს შენთანაო."

პაპუნა დოქიძემ, მეფე ბაქარის საუფლისწულო ყმამ, სვეტიცხოვლის ყმობაში გადასვლა არჩია. ვახტანგ VI ბრძანებით იგი დომენტი კათალიკოზს ახლდა სპარსეთში და მის ყმობაში შესვლა მოინდომა. კათალიკოზ დომენტის მიერ პაპუნა დოქიძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია: „აწე ჩვენს ძმისწულთან მეფეს ბაქართან შუა შემოგვიყუანე და სვეტისცხოვლის ყმობა მოინდომეო". მეფე ბაქარ დათანხმებულა და ნება დაურთავს, ანუ, როგორც ნათქვამია საბუთში, „შეუწირავს" დოქიძე სვეტიცხოვლისათვის; დოქიძის სამკვიდრო მამული ბაქარს დარჩენია, მაგრამ ნასყიდი მამული კი თან გაყოლია დოქიძეს ახალ ბატონთან. „ის შენი მამა-პაპათ სამკვიდრო მამული ისევ საუფლისწულოდ დადვეს და შენ ამ შენგან ნასყიდობით შემოგწირეს,"[23] აღნიშნავს დომენტი კათალიკოზი დოქიძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში, რომლითაც ამ თავის ახლადშეძენილ აზნაურს ყმა-მამულს უბოძებს.

ერეკლე II ურჩ ფეოდალებს დავით, პაატა და ნიკოლოზ ციციშვილებს ჩამოართვა აზნაური მელვინეთხუციშვილი თავისი ძმისწულებით და სახასო ყმად გაიხადა. მელვინეთხუციშვილების სამკვიდრო მამული ციციშვილებისად სცნო, ხოლო ნასყიდი კი მელვინეთხუციშვილებს დაუტოვა. ბრძანების წიგნში ერეკლე II ასე წერს: მელვინეთხუციშვილები „ციციშვილს პაატას და ნიკოლოზის წილიდამ უმამულოთ გამოვართვით და ჩვენს სახასოთ დავიჭირეთ. ციციშვილებს გაყრა რომ მოუხდეთ, სხვა სახლისკაცებმა ამ მელვინეთხუციშვილის სამაგიეროდ უმამულოთ სხვა აზნაურიშვილი უნდა აიღონ და ამათთან ციციშვილებს საბატონყმოთ ხელი აღარა აქვსთ, ჩვენი სახასო არის.

---

[22] დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ. § 242.

[23] ხელნ. ინ. ფ. Ad, № 1575.

ქ. რომელიც მამულები ამ მელვინეთხუციშვილებს ნასყიდი აქვს და ან მოსული კაცი ჰყავს, რომ ციციშვილებისაგან მიცემული არ ყვანდესთ, ის იმათივე არის და ვერც ვერავინ მოუშლისთ და რომელიც ციციშვილებისაგან ამათ ყმა და მამული მისცემია, ის ისევ ციციშვილებისა არის და მელვინეთხუციშვილებს ამ ყმასთან და მამულთან ხელი აღარ აქვსთ".[24]

ამრიგად, აზნაურს უფლება აქვს დატოვოს თავისი ნებით ბატონი და სხვას ეყმოს. მხოლოდ ძველ ბატონს უნდა დაუტოვოს თავისი სამკვიდრო და ნაწყალობევი ყმა-მამული. ნასყიდ ყმა-მამულზე კი იგი ინარჩუნებს საკუთრების უფლებებს. მართალია, საკანონმდებლო ძეგლებში ამგვარი კანონი აღნიშნული არ არის, მაგრამ ასეთი წესის არსებობა ცხოვრებაში სრულიად ცხადი ხდება ზემოთ ნახსენები სასამართლო განჩინებებით, რომელიც ბატონისაგან აზნაურის წასვლას ეხებოდა. [25] ამასვე მოწმობს როგორც დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა".[26] ისე XIX საუკუნის დამდეგის ქართველი თავადების აზრა-განმარტება.[27]

ასეთი იყო საკითხის იურიდიული მხარე. მაგრამ გასარკვევია, თუ როგორ უყურებდა თავადი ამ წესს და ჰქონდა თუ არა აზნაურს რეალური შესაძლებლობა. რომ აღნიშნული უფლებებით ესარგებლა.

აზნაურისათვის ხშირად გადამწყვეტი. საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა ბატონისაგან წასვლის შემთხვევაში თავისი სამკვიდრო ყმა-მამულის დატოვებას. მართალია, აზნაური ინარჩუნებდა ნასყიდ ყმამამულს. მაგრამ აზნაურთა ძირითად მასას. ეკონომიური სივიწროვის პირობებში, ასეთი სახის ყმა-მამული ან არ გააჩნდა, ან კიდევ, თუ ჰქონდა, ნაკლებმნიშვნელოვანი იყო მისი მეურნეობისათვის. აზნაურის ქონების ძირითად ნაწილს შეადგენდა მისი სამკვიდრო, მამაპაპეული ყმა-მამული. რომელსაც აზნაური საუკუნეთა მანძილზე ფლობდა. „სამკვიდროში" იგულისხმებოდა როგორც ბატონისაგან ნაწყალობევი. ისე აზნაურის მიერ პირადი გარჯით მოპოვებული ყმამამული. რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე სახის მამული დროთა

24 იქვე, ფ. Qd, № 420.

25 „საბატონყმოთ ვერ შემოგივედით აზნაურობის მიზეზით"—1797 წლის საბუთი (სცია, ფ. 1448, № 2997); „აზნაურიშვილია, თავისუფლება აქვს; გლეხკაცურად ვერ იყმობენ"—1774 წლის სასამართლო განაჩენი (იქვე, ფ. 1448, № 867): „აზნაურიშვილმა თავისი ნებით ყმასა და მამულზედ ხელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება"—1792 წლის სასამართლო განაჩენი (იქვე, № 873).

26 დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ. § 242.

27 სცია, ფ. 1, № 627.

განმავლობაში აზნაურის სამკვიდრო მამულად იქცეოდა. მაგრამ ბატონი ცდილობდა თავისი უფლებების გავრცელებას აზნაურის არა მარტო სამკვიდრო ქონებაზე, არამედ მის ნასყიდ ქონებაზედაც და აზნაურის წასვლის შემთხვევაში არც ამ სახის ქონებას ანებებდა მას[28].

მეფესთან გადასული აზნაურიც კი ყოველთვის არ იყო ყმა-მამულის მხრივ შესაფერისად უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილებული; მართალია, მეფე ცდილობდა აზნაურთა მოზიდვას თავის მხარეზე, მაგრამ მას ყოველთვის არ შეეძლო მათი სათანადოდ მომარაგება.

თუ რამდენად შეზღუდული იყო ეკონომიურად აზნაური წასვლის უფლების განხორციელებაში, კარგად ჩანს აზნაურ ფარსადან ესიტაშვილის მიერ ბატონისათვის მიცემულ ყმობის წიგნიდან. „ჩემის ცოდვით და უკეთურებით ურჩება მოვინდომე. — წერს ამ წიგნში ესიტაშვილი, — და თქვენი ბატონ-ყმობა უარყავ და ბატონთან ჩოვილი დავიწყე და თქვენის ყმობიდან განთავისუფლება მოვინდომე და თქვენ ბატონისათვის მოგეხსენებინათ და ბატონი გამწყრომოდა და გარსევან ეშიკაღათბაში იასაულად ებოძებინა და რომელიც თქვენთვის მამა-პაპისაგან წყალობა მამული მქონდა, იმ მამულსაც და ასი თუმან სინჯიკაშვილების სახსარი რომ მეჭირა, ის ყმა და მამულიც და ეს თეთრიც ჩემთვის უნდა გამოერთმევინა და თქვენთვის მიებარებინა. ახლა მოველ და შემოგეხვეწე და ჩემი დანაშაული მაპატიეთ, რომ რადგან თქვენის მამა-პაპის ერთგულად ნამსახურის კაცის შვილი ვიყავ და შენი მემკვიდრე აზნაურშვილიც ვიყავ, ეს ყმა და მამული და ეს თეთრიც მევე, წყალობა მიყავით. დღეს და დღეის იქით. როგორც ერთს სხვას ჩემისთანას აზნაურშვილს თავისი მემკვიდრის ბატონისათვის ერთგულად ემსახუროს, მეც ისე თავდადებით და ერთგულად გემსახურო თქვენცა, თქვენს ძმისწულსაც და თქვენს ჩამომავლობასაც“.[29]

მოტანილი საბუთიდან შეიმჩნევა, რომ საქმეს სწყვეტს ის ყმა-მამული, რომელიც ესიტაშვილს წასვლის შემთხვევაში უნდა დაეტოვებინა ბატონთან. ესიტაშვილმა ამ ყმა-მამულის შენარჩუნება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა. რომ ისევ თავის ძველ ბატონთან დარჩენილიყო.

აზნაურის განთავისუფლებას, ეკონომიური დამოკიდებულების გარდა, პირადი დამოკიდებულებაც აძნელებდა. ბატონი სრულიად არ თვლიდა აზნაურს უფლებამოსილად. რომ მას თავისი ნებით მიეტოვებინა საცხოვრებელი, უგულვებელეყო სამსახურებრივი მოვალეო-

---

[28] Н. Бердзенишвили, Очерк, გვ. 38.

[29] სცია, ფ. 1448, № 1558.

ბანი და სხვასთან წასულიყო.

აზნაურის ყმა-მამულს თავადი თავისად სთვლიდა. თავადის ასეთი მიდრეკილების საფუძველზეა წარმოშობილი მისი დამოკიდებულება აზნაურის ყმა-მამულისადმი აზნაურის წასვლის შემთხვევაში — თუ აზნაური წავა, ყმა-მამული ბატონს რჩება[3]; კიდევ მეტიც, დროის განმავლობაში თავადი იმის დაკანონებასაც კი ცდილობდა, რომ აზნაურს. საერთოდ. არავითარ შემთხვევაში. არც ყმა-მამულის დატოვების პირობით არ ჰქონდეს ბატონისაგან თავისუფალი წასვლის უფლება. საბუთებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ დაჟინებით ცდილობდა თავადი აეკრძალა აზნაურისათვის წასვლა, ხელი შეეშალა მისთვის ამგვარი ცდების განხორციელებაში.

ასე რომ. მართალია. აზნაურის პირადი თავისუფლება ისეთი ბუნებრივი რამ იყო, რომ კანონმდებლობაში საგანგებო აღნიშვნას არ საჭიროებდა, მაგრამ იყო რა მიმართული ძლიერი ფეოდალების, თავადების საერთო მისწრაფების წინააღმდეგ — აღეკვეთათ აზნაურთა თავისუფალი გადასვლა, დაკავშირებული იყო რა ისეთ ძლიერ დაბრკოლებასთან. როგორიცაა სამკვიდრო ყმა-მამულზე უარის თქმა, აზნაურთა ეს უფლება დროთა მანძილზე მიჩქმალული იყო. ფიქციად იქცა. XV—XVII სს. მასალებიდან გაგვიძნელდებოდა ისეთი ფაქტის მოტანა, რომელიც აზნაურის თავადის ყმობიდან წასვლას შეეხებოდეს. მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევარში მეფე ერეკლე II სცადა აზნაურთა თავისუფალი წასვლის მიჩქმალული უფლების აღდგენა და რეალური გამოყენება. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი თავადები XIX ს. დასაწყისს რუსეთის მმართველობისათვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავენ, თითქოს, აზნაურებს მანამდე თავისუფალი წასვლის უფლება არა ჰქონიათ და ეს უფლება მათ ერეკლე II მიანიჭა.[30] სინამდვილეში ერეკლემ მხოლოდ ყურადღება მიაქცია და ხაზი გაუსვა აზნაურთა ამ უფლებას, რომელიც არასოდეს არ ყოფილა გაუქმებული და მხოლოდ დროთა ვითარებაში მივიწყებას ეძლეოდა. ერეკლეს ამის საწინააღმდეგო მოქმედება დიდი მნიშვნელობისა იყო. წარმატების შემთხვევაში ამ უფლების მტკიცედ დამკვიდრებას აზნაურთა დიდი ამოძრავება შეეძლო გამოეწვია — ბევრი იყო უმნიშვნელო ყმა-მამულის მქონე აზნაური, რომელიც შედარებით ადვილად შეელეოდა სამკვიდრო ქონებას და ბატონს წაუვიდოდა. ამიტომაც იყო, რომ თავადებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს აზნაურთა თავისუფალი გადასვლის შემთხვევებს. თავისი ნასყიდი მამულითურთ მეფის ყმობაში გადასულ ციციშვილთა ყოფილ ყმა-აზნაურს თომა

---

30 სცია, ფ. I, № 678

მელვინეთხუციშვილებს გაუთავებელი დავა უხდება ციციშვილებთან. რომ ამ უკანასკნელთ იცნონ მისი უფლებები ნასყიდ ყმა-მამულზე.[31] მელვინეთხუციშვილებს არზებით შესვლა უხდებათ მეფესთან იმ შევიწროების გამო. რომელსაც მათი ყმები ციციშვილებისაგან განიცდიან.[32] ამ აზნაურებს ავიწროებენ სხვა მეზობელი ფეოდალებიც. არ ანებებენ მეფისაგან ნაწყალობევ ყმა-მამულს და სხვ.[33]

მიუხედავად იმისა, რომ თავადის ყმობიდან წასული აზნაურის ყმა-მამული თავადის ხელში გადადიოდა და, მაშასადამე, ამის შემდეგ თავადი ხდებოდა ამ ყმა-მამულის შემოსავლის ერთადერთი მესაკუთრე და მომხმარებელი, თავადები მაინც სასტიკად ეწინააღმდეგებიან აზნაურების ყმობიდან წასვლას.

ამის ახსნა იმით, რომ თავადს ესაჭიროება აზნაური თავისი მეურნეობისათვის, როგორც მოხელე. სჭირდება, როგორც დამხმარე ძალა ექსპლუატირებული მასის დასამორჩილებლად და სხვა, ვფიქრობთ, სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ არა საკმაო. ის ფაქტი, რომ თავადები ასეთ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ აზნაურს მისი ყმობიდან წასვლის შემთხვევაში, ჩვენი აზრით. ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თავადები ნაკლებად არიან ჩაბმული სასაქონლო მეურნეობაში, ნაკლებად არიან დაინტერესებული თავიანთი მეურნეობის ზრდა-განვითარებით, მათი მადა „კუჭის მოთხოვნილებით გაიზომება“.

აზნაურის წასვლის შემთხვევაში თავადი ჩვეულებრივ დიდი ხნის განმავლობაში დაეძებდა მას. როცა იპოვიდა, მოითხოვდა მის უკან დაბრუნებას, და, თუ აზნაური ნებით არ დაემორჩილებოდა, მაშინ სასამართლოში ჩიოდა, ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ აზნაურს უფლება არა ჰქონდა თვითნებურად წასულიყო ყმობიდან. ამრიგად, თავადი აზნაურის პირად დამორჩილებასაც ცდილობდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა აზნაურ საყვარელიძეთა თავგადასავალი.

იმერეთის აზნაური საყვარელიძე XVII ს. დამლევსა თუ XVIII ს. დასაწყისს სტოვებს თავის სამკვიდრებელს და ქართლში გადმოდის. ქართლში მას ნათესავი ჰყოლია დედის ხაზით—პაპუნა ციციშვილი — საყვარელიძესაც მასთან შეუფარებია თავი. ის არ ჰყმობია ციციშვილს, ოდენ მის „კედლათ დამდგარა“, შეხიზნებია. პა-

---

[31] ხელ. ინ. Qd, №№ 418, 407, 378.

[32] იქვე, № 419.

[33] საქ. სიძ. III, № 212; ხელ. ინ. ფ. Qd, №№ 392, 443, 389, 385, 6694; სცია, ფ. 1448, № 5393. და სხვ.

პუნა ციციშვილის გარდაცვალების შემდეგ საყვარელიძეს სხვა ნათესავი გამოუჩენია, ამჯერად სადავითიშვილოში და ელიზბარ დავითიშვილთან დამდგარა აგრეთვე ხიზნად (ამ გარემოებას—ხიზნად და არა ყმად დადგომას — საყვარელიძე თავის არზებში განსაკუთრებით ხაზს უსვამს). XVIII ს. დასაწყისს ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილები იყრებოდნენ და ყმა-მამულს იყოფდნენ. საყვარელიძეს საფრთხე შეექნა — სხვა ყმა-აზნაურებთან ერთად მისი „წილში ჩადებასაც“ მოინდომებდნენ დავითიშვილები. ეს კი შეცვლიდა საყვარელიძის მდგომარეობას; ამის შემდეგ უკვე „წილში ნარგები“. მათი სრული ყმა გახდებოდა. საყვარელიძეს ეს არ სურდა. მან საჩქაროდ არზა მიართვა ვახტანგ VI, სთხოვა წილში არ ჩაეგდოთ ის დავითიშვილებს გაყრის დროს. მეფემაც სათანადო ბრძანება გასცა და „მე და ზარდიაშვილი, — წერს გიორგი საყვარელიძე თავის ერთ-ერთ არზაში. — მაშინვე აქეთ გადმოგვაყენეს და ბარათში აღარ ჩაგვაგდეს“-ო. დავითიშვილები საქმის ასეთი გადაწყვეტით უკმაყოფილონი დარჩენილან. საყვარელიძეს ისინი უკვე თავიანთ ყმად თვლიდნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ მეფის ბრძანებას. გავიდა ხანი, ვახტანგ VI რუსეთს გადაისვეწა. ქართლი „უპატრონო“ შეიქმნა, დავითიშვილებს მოქმედების თავისუფლება მიეცათ. გიორგი საყვარელიძე წერს არზაში: „მცირე რამ ხანი გამოვიდა და ბატონი რუსეთს გადავარდა. ელიზბარმა (დავითაშვილი.—გ. ა.) დამიპირა და ჩემს ცხოვრებისაგან დამცალა. სულის მეტი არა შემარჩინა რა“-ო. უსახსროდ დარჩენილი აზნაური ისევ თავის სამკვიდრო მამულზე იმერეთს გადავიდა. მაგრამ იქაც არ იყო მტკიცე ხელისუფლება, რომელიც განადგურებისაგან დაიცავდა უმწეო აზნაურს. იმერეთში დარჩენისაც შემეშინდაო, — ამბობს იგი, — წვრილშვილი გახლდი და შვილების დასყიდვისა მეშინოდაო. ისევ ქართლს გადმოსულა და თავის მოყვარესთან დამდგარა 10—12 წელიწადი. აქაც არეულობა იყო. აქაც შვილების დაყიდვის შიში იყო მეშინოდაო, არავინ მომკლასო, ღმერთს ვევედრებოდიო, რომ საქართველოს პატრონი გასჩენოდა, ნატრობდა მიუსაფარი აზნაური მტკიცე სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, მის უფლებებს, პირად თავისუფლებას რომ დაიცავდა.

როდესაც ქართლ-კახეთში თეიმურაზ II და ერეკლე გამეფდნენ. საყვარელიძეს ისევ ქართლში გადმოსვლისა და მეფის ყმობაში შესვლის სურვილი უჩნდება. მაგრამ ამის საშუალება არა ჰქონია — „ასეთი კაცი არა მყვანდა, რომ თქვენს კარზედ მამეწია და ჩემი საქმე მოგხსენებოდათ“-ო, მიმართავდა მეფეს შემდეგში საყვარელიძე.

საყვარელიძე ეძებდა პატრონს. რომელიც დაიცავდა მას. „არავის გაა-გლეჯინებდა“, არავის დააჩაგვრინებდა და ყმოვრების სახსარსაც მისცემდა. გიორგი საყვარელიძე იმ ხანებში ძლიერ ფეოდალთან — დიმიტრი ამილახვრიშვილთან მისულა და მისი წყალობის ყმა შექ-მნილა. ამილახვრიშვილსაც მისთვის ყმა-მამული უბოძებია ცხინ-ვალს. ნიქოზს. ტბეთს, თამარაშენს. საყვარელიძე ყმა-მამულითაც უზრუნველყოფილი შეიქნა და მეზობელი ფეოდალების შემოტევე-ბისაგანაც დაცული. თავიანთ არზებში გიორგი საყვარელიძე, თუ მი-სი ძე შიოში არა ერთხელ იხსენიებენ, რომ დემეტრეს ყმობაში არავინ წადავებია მათ მამულზე, არავის შეუწუხებია. დიმიტრი ამილახვრი-შვილი ძლიერი თავადი იყო და მეზობელ ფეოდალებსაც მისი შიში და მორიდება ჰქონდათ. დავითიშვილებს ამ დროს დავიწყებული არა აქვთ. რომ საყვარელიძე ოდესღაც მათ მამულში იდგა და მას თა-ვის ყმად თვლიან.[34] უცდიან შესაფერ ვითარებას. რომ საყვარელიძე კვლავ ყმად დაიბრუნონ. და ეს ვითარებაც დაუდგათ. 1765 წ. ერეკ-ლე II დემეტრე ამილახვრიშვილი დასაჯა ღალატისათვის და ყმა-მა-მული ჩამოართვა. ამიერიდან საყვარელიძე სამეფო ყმა გახდა. წესი იყო. რომ ახალი ბატონი უმტკიცებდა იმ ყმა-მამულს, რომელიც ფეოდალს ეჭირა. საყვარელიძემაც მეფისაგან ყმა-მამულის დამტკი-ცების წიგნი მიიღო. მაგრამ ამიერიდან საყვარელიძეები მეზობელ ფეოდალთა გაუთავებელი შეტევების ობიექტად იქცევიან. თავი წა-მოყვეს ყველა იმათ, რომელთაც რაიმე კანონიერი თუ კანონიერე-ბას მოკლებული პრეტენზიები ჰქონდათ საყვარელიძეთა და მათი ყმა-მამულის მიმართ. დემეტრე ამილახვრიშვილისაგან ჩამორთმეულ ქონებას, სამეფოდ რომ დაიდო, ფეოდალები უყურებენ, როგორც გასანაწილებელ რასმეს და ყველანაირი საშუალებით ცდილობენ დაეუფლონ მას. განსაკუთრებით შავი დღე დაადგათ საყვარელი-ძეებს. როგორც ახლად მოსულ აზნაურებს. მათ ყოველის მხრიდან სხვადასხვა მტაცებელი დაატყდა თავს და მათი ყმა-მამულის მითვი-სებას ლამობენ. თავდასაცავად საყვარელიძეები მეფე-დედოფალს და ბატონიშვილებს მიმართავენ არზებით. იწერება გაუთავებელი წყება არზებისა, რომელსაც ჯერ გიორგი საყვარელიძე წერს და შემ-დეგ მისი მოხუცებულობის ჟამს და გარდაცვალების შემდგომ მისი შვილები. მოღწეულია მათ მიერ 1766-97 წლებში დაწერილი 39 არ-ზა. ამ არზების ერთი ნაწილი ეხება საყვარელიძეთა თავდაცვას და-ვითიშვილების შემოტევებისაგან. დავითიშვილმა ახლა შესაძლებლად

---

[34] მასალები... III, № 120. (1750 წ. დავითიშვილები იურებიან და წილში გიორგი საყვარელიძესაც აგდებენ).

დაიხახა ყმად ეშოვნა აზნაური საყვარელიძე იმ საბაბით, რომ ეს აზნაური ოდესღაც მის მამულში იდგა, და მეფეს არზა მიართვა. საყვარელიძე კი თავის მხრივ ასაბუთებდა, რომ დავითიშვილს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა საბატონოდ ხელი დაედო მისთვის. გიორგი საყვარელიძე სთხოვს მეფეს. დაიცვას იგი ამ უკანონო პრეტენზიებისაგან: „ჩემთან რა საქმე ვისმეს აქვს, თუ სიტყვა ჰქონდა ვისმე, აქამდინ რატომ არ მოხსენდა ბედნიერ ხელმწიფესა. ახლა ბედნიერს ხელმწიფეს ამას ვევედრები: მე ერთი დაუძლურებული კაცი გახლავარ. ოთხი ხმლის ამქნევი შვილი მყავს. ამათ თავისის ბედნიერის კალთას ქვეშ გაძლება მისცეს და ამათ ერთი მუჭა ს(ისხლი) ბედნიერმა ხელმწიფემ თავის წინ დააქცევინოს“.[35] თუ რა მოჰყოლია შედეგად ამ არზას, საბუთებიდან არ ჩანს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც გიორგი საყვარელიძის შვილების მიერ დაწერილი თხოვნიდან ჩანს. დავითიშვილს კვლავ წამოუყენებია ძველი პრეტენზიები და ისევ უცდია საყვარელიძეთა დამორჩილება.

1776 წლის აგვისტოს 23-ს, ლევან ბატონიშვილისადმი მიცემული არზით, საყვარელიძეები შიოშ, ზაალ, იესე და ქაიხოსრო ითხოვენ დაცვას დავითიშვილის პრეტენზიებისაგან. „ჩვენთან არას კაცს საქმე არა აქვს რა, უბრალოს კაცის სიტყვით ნუ შეგვბეზღებთ“. წერენ ისინი არზაში.[36] ლევან ბატონიშვილს ბრძანება გაუცია. რომ საყვარელიძეებს მეფისათვის მიემართათ. იმავე წლის 13 ოქტომბერს შიოშ საყვარელიძე არზით მიმართავს ერეკლე II-ს წერს: მამაჩემი „ელიზბარ დავითის შვილს მისვლია. (ელიზბარს) ყმა და მამული მიუცია. მერე ელიზბარს რომ თავის ძმა გაჰყრია, მამაჩემიც წილში უდგიათ. მამაჩემს არ უყაბულნია, თავიანთი მიცემული ყმა და მამული იმათთუისვე დაუგდია. მარტო ცარიელი თავი გამოუტანია იმათგან... ახლა ზაალ დავითის-შვილი და ელიზბარ მედავებიან. პაპის-ჩვენის ნაახლები ხარ, ჩვენი ყმა ხარო. ეს როგორც მომიხსენებია. ჩვენი საქმე ასეა. დავითის-შვილის მემკვიდრე ყმაც რომ ვიყო, აზნაურიშვილი ვარ. იმისი ყმა და მამული გამიშვია, ჩემთან რაღა ხელი აქვს. ტყვილად მაცოდვილებს. ოცდათუთხმეტი წელიწადი დიმიტრი ამილახორის-შვილს ვახლდი, სად იყო აქამდინ. ტყუის. თქუჱნი ყმა გახლავარ, სამართალი მაღირსედ; ღმერთი გაგიმარჯვებს“.[37]

---

35 ხელ. ინ. ფ. Hd, № 2564. ეს არზა უთარიღოა. დაწერილი უნდა იყოს 1766—69 წლებში (1766 წლიდან შეიქნა გიორგი საყვარელიძე სამეფო ყმად, ხოლო 1769 წლიდან გიორგის მაგიერ არზებს მისი შვილი შიოში წერს, ჩანს გიორგი ცოცხალი აღარ არის).

36 იქვე, № 5354.

37 ხელ. ინ. ფ. Hd, № 5284.

როგორც ამ არზიდან ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ საყვარელიძეს დაუტოვებია ყმა-მამული და ისე წასულა დავითიშვილისაგან. ეს უკანასკნელი მაინც თვლის, რომ საყვარელიძე მისი ყმაა და ცდილობს მეფის კარზე ჩივილით, სამართლის საშუალებით დაიბრუნოს იგი. ჩანს, დავითიშვილს მიაჩნდა, რომ ყმა-აზნაური პირად თავისუფლებას მოკლებული იყო.

ასე ფიქრობდნენ სხვა თავადებიც. აზნაურის წასვლის შემთხვევაში ყოველნაირად ცდილობენ მის მობრუნებას, უჩივიან სამართალში. პრაქტიკაში შემოდის ე. წ. განთავისუფლების წიგნის დადება აზნაურის თავადის ყმობიდან წასვლის შემთხვევებში.[38] მხოლოდ ასეთი საბუთის მქონე აზნაური იყო სავსებით დაზღვეული თავისი ძველი ბატონის მოსალოდნელი პრეტენზიებისაგან მომავალში.

თავადების ტენდენციას, დააბრკოლონ აზნაურთა თავისუფალი გადასვლა, შეზღუდონ მათი პირადი თავისუფლება, თავისი ისტორიული საფუძველი ჰქონდა, რაც იმ ცვლილებაში მდგომარეობდა აზნაურებმა რომ განიცადეს დროთა განმავლობაში უფლებრივი მდგომარეობის მხრივ.

XVI — XVIII საუკუნეებში აზნაურებს განასხვავებდნენ იმისდა მიხედვით, თუ რა გზით მოხვდნენ ისინი ყმობაში. ამის გამოსახატავად სპეციალური ტერმინებიც არსებობდა. აზნაურები იყვნენ: მკვიდრი, მეფის მიერ ნაწყალობევი, ნამზითვი, ნასისხლი, ნასყიდი, წყალობის (ნებით მოსული). ეკლესიას ჰყავდა შეწირული აზნაურებიც.

მეფის მიერ თავადისათვის აზნაურის ბოძება აზნაურის ყმა-მამულთან ერთად ხშირი მოვლენა იყო XV — XVIII საუკუნეების საქართველოში.[39] არაიშვიათად ვხდებით მეფისა თუ თავადის ქალიშვილისათვის აზნაურის მზითვად გაყოლების ფაქტებს.[40] იყვნენ ნასისხლი აზნაურები. ე. ი. სისხლის საფასურში გაღებული აზნაურები.[41] თავადებს ჰყავთ საჩუქრად მიღებული აზნაურებიც.[42] ე. ი. აზნაურე-

---

38 სათანადო მაგალითები მოტანილი გვაქვს წერილში „აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში". მას. საქ. და კავკ. ისტ. 1953. ნაკვ. 29. გვ. 99—100.

39 დოკ. II, № 441; სცია, ფ. 1448, №№ 107, 523, 584; ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 4, 133, 5234, 10869; 6919.

40 საქ. სიძ. წ. III, № 519; წ. II, № 281; ხელ. ინ. ფ. Hd, №№, 465, 1975, 966.

41 ხელ. ინ. ფ. Hd, № 8421.

42 სცია, ფ. № 450, დავთ. № 33, ხაბ. № 278.

ბი გასაჩუქრების ობიექტსაც წარმოადგენენ. არსებობდნენ ნასყიდი აზნაურებიც.[43] იყვნენ ე. წ. წყალობის აზნაურები. ეს უკანასკნელნი ისეთი აზნაურები არიან, რომელნიც თავისი ნებით მივიდნენ რომელიმე თავადთან, მიიღეს მისგან ყმა-მამული და ამის სანაცვლოდ იკისრეს მისი სამსახური.

უკვე ის გარემოება, რომ აზნაური წყალობა-გაჩუქების ობიექტს წარმოადგენდა და ეს მისდა დაუკითხავად ხდებოდა, იმაზე მიუთითებს, რომ აზნაურის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური ნიშანთაგანი, პირადი თავისუფლება. შელახული იყო. აზნაურის პირად თავისუფლებას უკვე პირობითი ხასიათი მიეცა. თუ უფრო ადრე, ბატონყმობის გამარჯვებამდე საქართველოში. წვრილი აზნაურები საკუთარი ნება-სურვილით შედიოდნენ დიდებული აზნაურების მფარველობაში, ანდა ექცეოდნენ მსხვილი ფეოდალების ხელში არა პერსონალურად. არამედ მთელი მხარეების მათ საგამგეოში გადასვლასთან დაკავშირებით, გვიანდელ ხანაში, უკვე გათავადებული ეს მსხვილი ფეოდალები. აზნაურებს ცენტრალური ხელისუფლებისაგან ღებულობდნენ საჩუქრად, ყმად, ამ აზნაურის ყმა-მამულთან ერთად. თავადს გარკვეული უფლებები გააჩნია აზნაურის ყმა-მამულზედაც. თავადისა და აზნაურის პატრონყმობა ამ დროს პირობითი დამოკიდებულება და ურთიერთშეთანხმების საკითხი კი აღარაა, არამედ ბატონყმური მოვლენაა. თავადის ბატონობა აზნაურზე ხორციელდებოდა უკვე აზნაურის დაუკითხავად და იმ უფლებით. რომელიც თავადს უზენაესმა ხელისუფლებამ მიანიჭა. ამ დროს ჩვენ საქმე გვაქვს აზნაურსა და სენიორს შორის ყმური დამოკიდებულების დამძიმების ფაქტთან. ასევე. თუ არა კიდევ უფრო მეტად, ჩრდილს ჰფენს აზნაურის პირად თავისუფლებას მისი მზითვად გაყოლების ფაქტებიც, ანდა სისხლის საფასურში აზნაურის მიცემა — ნასისხლი აზნაურების კატეგორიის არსებობა. ყველა ასეთი შემთხვევა აზნაურის დაუკითხავად ხდება. იგი ერთი ბატონიდან მეორის ხელში გადადის, როგორც პირად თავისუფლებას მოკლებული ყმა. რადგან მის ნება-სურვილს ანგარიშს აღარ უწევენ. იგი ასეთ შემთხვევაში უკვე ვალდებულია ემსახუროს თავის ძველსა თუ ახალ ბატონს.

ასე რომ. თუ ერთი მხრივ, როგორც ზემოთ დავინახეთ. სახელმწიფო სამართალი ცდილობს დაიცვას აზნაურთა ფენის უფლებები, მეორე მხრივ. ცხოვრება აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საზიანოდ არის შებრუნებული.

თავადების პოლიტიკური ძლიერებისა და აზნაურთა პირადი თავისუფლების დამცველი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის

[43] დოკ., წ. I, № 634: წ. II, № 92.

პირობებში თავადების ცდები, ხელი შეუშალონ აზნაურთა თავისუფალ გადასვლას. ხშირ შემთხვევაში წარმატებას აღწევს. აზნაურთა პირადი თავისუფლება აღნიშნულ ეპოქაში მნიშვნელოვნად შელახულია. ეს მდგომარეობა ცენტრალური ხელისუფლების დიდ მარცხს მოასწავებს. მას ხელიდან ეცლება საყრდენი ძალის უდიდესი ნაწილი. სათავადო აზნაურები სათავადოს ძლიერებისა და სიმტკიცის ერთ-ერთ პირობას ქმნიან.

თავი მესამე

## ყმა-აზნაური

როგორც ცნობილია, აზნაურთა ფენა აღებულ ხანაში ფეოდალთა პირად ყმობაშია მოქცეული. ყველაზე მსხვილ ფეოდალს, მეფეს, ყველაზე მეტი ყმა-აზნაური ჰყავს. სამეფო აზნაურები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან — მათ დაწინაურების, სოციალური და ეკონომიური აღზევების მეტი შესაძლებლობა აქვთ.[1] აზნაურთა ფენის ერთი ნაწილი მცხეთის საკათალიკოზო ეკლესიას ეკუთვნის. აზნაურთა დიდი ნაწილი კი ქართლის თავადების ყმები არიან.

როგორია ყმა-აზნაურის ვალდებულებანი სენიორის მიმართ, რა ძალას ქმნიან ისინი ამა თუ იმ ფეოდალის ხელში, როგორია ყმა-აზნაურის ურთიერთობა თავის ბატონთან. ყველა ამ კითხვაზე ვცდილობთ პასუხი გავცეთ წინამდებარე თავში.

### I. სამეფო აზნაურები

მეფის აზნაურები რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატებოდნენ სხვა ფეოდალთა ყმა-აზნაურებს. სამეფო აზნაურთა ერთი ნაწილი შედარებით დაწინაურებული იყო ეკონომიურად და რამდენადმე თვალსაჩინო თანამდებობანი ეკავა სამეფო კარზე. ასეთთა შორისაა: თურქისტანიშვილი, საგინაშვილი, გაბაშვილი, მურვანიშვილი, ბაზაძე, ყორღანაშვილი, შანშიაშვილი, სააკაძე, გლურჯიძე და სხვ.

სამეფო აზნაურთა ბედიღბალი, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის სიმტკიცე-სისუსტე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

---

[1] Н. Бердзенишвили, Очерк.... გვ. 38.

ასე მაგალითად, XVII ს. შუა ხანებში სამეფო აზნაურთა ერთი ნაწილი თვალსაჩინო დაწინაურებას განიცდის. ეს ის დროა, როდესაც, დაწყებული 30-იანი წლებიდან, ქვეყანა რამდენადმე მოსვენებულია გარეშე მტრების შემოსევებისაგან, სამეფო ხელისუფლება შედარებით მოღონიერებულია, რის შემდეგაც ფეოდალური ანარქია, განუკითხაობა საგრძნობლად სუსტდება. როსტომ მეფე (1632-58) საყრდენი ძალების შემომტკიცებას ცდილობს. იგი მფარველობს ვაჭარ-ხელოსანთა ფენებს. მფარველობს და ხელს უწყობს აგრეთვე სამეფო-აზნაურთა დაწინაურებას. მათ ეკონომიურ მომძლავრებას. სამეფო აზნაურთა სამამულო მფლობელობის დაცვა-განმტკიცება, საგადასახადო მდგომარეობის მოწესრიგება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება შემოსავლიანი თანამდებობების ბოძების გზით, მეფის საზრუნავ საგანს შეადგენს. ასეთსავე პოლიტიკას განაგრძნობენ სხვა მეფეებიც — ვახტანგ V (1658-75), ვახტანგ VI (1703-24).

მძიმე სოციალურ-ეკონომიური კრიზისის წინაშე დგება სამეფო აზნაურთა დიდი ნაწილი XVIII ს. მეორე მეოთხედიდან, ოსმალობა-ყიზილბაშობის ხანაში. ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოშლა, სამეფო ხელისუფლების დაცემა და განსაკუთრებით უცხო დამპყრობელთაგან შემოწერილი მძიმე გადასახადები აჩანაგებენ და დაღუპვის კარამდე მიჰყავთ წვრილი ფეოდალების მეურნეობა. ძლიერი მფარველის ძებნაში ზოგიერთი სამეფო აზნაური თავს აფარებს გაძლიერებულ დიდებულ თავადებს (სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი. გივი ამილახვარი. შანშე ქსნის ერისთავი). ამის შედეგად სამეფო აზნაურთა რიგები სუსტდება. იკლებს.

XVIII ს. შუა ხანებიდან ქვეყნის საერთო მდგომარეობა იცვლება. საგრძნობი ცვლილებები ხდება სამეფო აზნაურთა მდგომარეობაშიც. წესრიგდება მათი საგადასახადო მდგომარეობა. სამეფო აზნაურები კვლავ და უფრო ფართო მასშტაბით ჩანან სამეფო კარის სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობებზე; მათ ხელთ უგროვდებათ ფულადი თანხები. რითაც აფართოვებენ ყმა-მამულს, გასცემენ ფულს სესხად პროცენტებზე. მონაწილეობენ ვაჭრობაში. ერთი სიტყვით, აქტიურად ებმებიან ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოვიტანთ რამდენიმე ასეთ მაგალითს:

ქვემო ქართლს მოსახლე სამეფო აზნაურებს, შანშიაშვილებს საბუთებში XVI ს. დასასრულიდან ვხვდებით. ამ დროს ისინი მეფეთაგან ხშირად ღებულობენ წყალობის წიგნებს. განსაკუთრებულ დაწინაურებას როსტომ მეფის ხანაში აღწევენ. როსტომ მეფის კარზე მათ

სამოხელეო თანამდებობანი უკავიათ და მეფის მფარველობით სარგებლობენ: მეფე უმტკიცებს ახლად შეძენილ ნასყიდ მიწებს. თავის მხრითაც უწყალობებს მამულებს. მფარველობს მეზობელი ძლიერი ფეოდალების შემოტევებისაგან.[2]

ეკონომიური დაწინაურების წყალობით. შანშიაშვილთა სახლის წევრებს შორის სათავისთავო ქონების გაჩენა-გაზრდა ხდება. ეს აძლიერებს სახლის წევრებში ტენდენციას განცალკავებისაკენ. ქონებრივი გამოყოფისაკენ. XVII ს. შუა ხანებში შანშიაშვილთა სახლი ორად იყოფა. ორივე ოჯახის მეთაურს თანამდებობა უჭირავს სამეფო კარზე. ორივე ინტენსიურად აფართოებს თავთავის ყმა-მამულს. ასეთი მდგომარეობა XVIII ს. პირველ ათწლეულებამდე გრძელდება. XVIII ს. შუა ხანებისათვის მათი ეკონომიური მდგომარეობა ეცემა, ყმა-მამულის შეძენას წყვეტენ. აღარც სამოხელეო-საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩანან. გარკვეული შემსუბუქება 40-იანი წლების ბოლოდან ეწყებათ. საგანგებო სიგელით თეიმურაზ II მათ საგადასახადო მდგომარეობას აწესრიგებს. XVIII ს. დასასრულს შანშიაშვილები კვლავ ჩანან მოხელეებად — მოლარისა და ქარხნის ნაზირის თანამდებობანი უკავიათ. მათ ხელთ გარკვეული ფულადი სახსრები გროვდება. XIX ს. პირველ ნახევარში შანშიაშვილები სავაჭრო ოპერაციებში ებმებიან — სავაჭრო ამხანაგობათა წევრები ხდებიან.

შანშიაშვილთა სახლის ისტორია განსაკუთრებით ტიპიურია სამეფო აზნაურისათვის. იგივე ითქმის გლურჯიძეთა შესახებაც.

გლურჯიძეები XVI ს. დამდეგიდან ჩანან ჩვენს საბუთებში[3] როსტომ მეფისაგან ყმა-მამულის წყალობას ღებულობენ 1535 წ. ეს ნაწყალობევი მამული ქვემო ქართლს. ს. ბოლნისს მდებარეობს[4]. მაგრამ როგორც მომდევნო ხანის საბუთებიდან ჩანს, გლურჯიძეთა ძირითადი სამკვიდრო მამული ქართლის შუაგულ ს. სასირეთსა და მის მახლობლად არის. გიორგი XI შალვა გლურჯიძეს, თავის პაშის ქეშიგს ყოველწლიურ ჯამაგირს უნიშნავს,[5] ხოლო შანშე გლურჯიძის შვილებს, რომელთაც თავისსა და მამამისის ნამსახური [illegible] უწოდებს. სასირეთს ყმა-მამულს აძლევენ.[6] XVIII ს. პირველ ნახევარში გლურჯიძეთა რამდენიმე ერთმეორისაგან დამოუკიდებელი ოჯა-

---

[2] სცია, ფ. 1450, დავთ. № 6, საბ. №№ 33, 27; დავთ. № 5, საბ. №№ 45, 47; დავთ. № 33, საბ. №297; ხელ. ინ. ფ. Hd, № 14439.

[3] საქ. სიძ. II, № 3559.

[4] სცია. ფ. 1448, № 81.

[5] ქართ.—სპ. საბ. № 141.

[6] სცია. ფ. 1448, № 524.

ხია. ქანუჩარ გლურჯიძეს თავლიდარის თანამდებობა უჭირავს[7]. „დასტურლამალში“ იხსენიება. ატენის სადედოფლო ზვრებთან დაკავშირებით. ხასადარი შალვა გლურჯიძე, აგრეთვე, დედოფლის მეღვინეთუხუცესი საამ გლურჯიძე.[8]

ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს გლურჯიძეები დიდ სიძნელეებს განიცდიან: იწყებენ მამულების გაყიდვას. ამ მამულის დიდი ნაწილის მყიდველია ვინმე ახალქალაქელი ოსეფა როსტევანასშვილი. როგორც ირკვევა, და მოსალოდნელიც იყო, გლურჯიძეთა მამულები ხელთ უვარდება როსტევანასშვილს იმის გამო, რომ გლურჯიძენი ვერ აუდიან მძიმე გამოსაღების მირის გადახდას.[9] გლურჯიძეთა მდგომარეობა XVIII ს. შუა წლებიდან უმჯობესდება. აღარ ჰყიდიან მამულებს. ელიზბარ გლურჯიძე შემოსავლიან თანამდებობებს ღებულობს -ატენის მოურავისა და მოლარეთ უხუცესისა.[10] ელიზბარის გარდაცვალების შემდეგ ამ თანამდებობაზეა მისი შვილი ნიკოლოზი[11]. მეფის მოხელეა იოსებ გლურჯიძეც.[12] XVIII ს. დასასრულისათვის გლურჯიძეთა 4 დამოუკიდებელი ოჯახი ჩანს.[13]

თურქისტანიშვილების სახლი XVII საუკუნისათვის რამდენიმე განაყოფი ოჯახისაგან შედგება. მათი წარმომადგენლები მეფეთა სამსახურში იმყოფებიან, ხელს უმართავენ, ბრძოლაში საგარეო თუ საშინაო მტრების წინააღმდეგ. მაგალითად. როცა როსტომ მეფესა და არაგვის ერისთავს შორის ბრძოლა წარმოებდა. მეფემ თურქისტანიშვილსა და გაბაშვილს დაავალა მოეკლათ დათუნა არაგვის ერისთავი და მისი თავი მეფისათვის მიერთმიათ. მათ ეს დავალება შეასრულეს.[14] თუშებისა და კახელების რაზმით ტახტის მაძიებელი ერეკლე ბატონიშვილი თავს დაესხა ვახტანგ V. „მაშინ აგინებდა მეფესა თუში ვინმე ბილწად, ამაზედ განვიდა თამაზ თურქისტანიშვილი. ბრძო და მოჰკლა იგი და მოართვა თავი მეფესა.[15] ვახუშტის

---

7 დოკ. I, № 222, 729.

8 დასტურლამალი, გვ. 123, 111.

9 ხელ. ინ. ფ. Qd, № 376; ფ. Hd, №№ 5882, 1659, 1660, 6796, 9431, 13683, [illegible], 1971, 5246, 14160; სცია. ფ. 1448, № 5485, 5486; ფ. 1450, დავთ. № 26, [illegible] №№ 130, 131.

10 იქვე, № 2028; სცია, ფ. 1450, დავთ. № 25, საბ. № 12.

11 ხელ. ინ. ფ. Hd, № 14075 და სხვ.

12 იქვე. №№ 9327, 2188, 2507, 2458.

13 იქვე, № 13659, საქ. სიძ. III, №272.

14 ვახუშტი, გვ. 71.

15 იქვე, გვ. 31.

ამ ცნობას ადასტურებს ვახტანგ V-ის წყალობის წიგნი თამაზ თურქისტანიშვილისადმი.[16]

გიორგი XI და ვახტანგ VI თურქისტანიშვილებს იყენებენ საშამხლოსთან და რუსეთთან დიპლომატური ურთიერთობის დროს.[17] რუსეთს გადასახლებულ ვახტანგ VI-ს თურქისტანიშვილთა ზოგიერთი წარმომადგენელი თან მიჰყვება.[18]

ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს თურქისტანიშვილთა სახლი დიდ სიძნელეებს განიცდის. თურქისტანიშვილები ვალებში ვარდებიან. მამულების დაყიდვა უხდებათ.[19]

XVIII ს. შუა წლებიდან, როდესაც ქართლში შედარებითი წესრიგი მყარდება, თურქისტანიშვილები თავიანთი სამამულო მფლობელობის საქმეების მოწესრიგებას კიდებენ ხელს.[20] შედიან მეფის სამსახურში. ნინია (ივანე) თურქისტანიშვილს 1778 წ. ერეკლე II ყოველწლიურ ჯამაგირს უნიშნავს.[21] ნინია ერეკლე მეფის სასამართლო საქმეების მონაწილეა,[22] მსაჯულად იწოდება.[23] 1806 წ. იმპერატორ ალექსანდრე I სახელზე დაწერილ მოხსენებაში იოანე თურქისტანოვი წერს: „...მეფის ირაკლის სამსახურში მამა ლეკებმა მომიკლეს. მეფე ირაკლიმ მე საქართველოს სასამართლოში განმაწესა. ყოველს წელიწადში ამ ღრამატით ხუთი თუმანი უნდა იჯარებიდამ მომცემოდა. ყოველს წელიწადზედ იჯარადრები მაძლევდნენ ვიდრე ღუბერნიის გახსნამდე. ამის გარდა ერთი ღრამატი მიბოძა. რაც მეფის პირველს მდივანს იმავ სასამართლოდამ სამდივნო ერგებოდა. ერთის მდივნის წილის ტოლი შემოსავალი ჩემი იყო... ოცდაათი წელიწადია საქართველოს მდივანბეგებთან მდივნად ვიყავ განწესებული ამ ჯამაგირით და ამ განწესებულის შემოსავლით ორმოც თუმნამდი მქონდა სარგო. ამ ჩემის მოხსენებულის დასამტკიცებლად განსვენებულის მეფის ირაკლისაგან ბოძებული ღრა-

---

16 სცია, ფ. 1448, № 2765.

17 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 89, 126, 133.

18 სცია, ფ. 1450, დავთ. № 18, საბ. № 32; დავთ. № 50, ქ საბ. № 59.

19 იქვე. დავთ. № 50, საბ. №№ 67, 60, 63, 64; დავთ. № 18, საბ. № 33; დავთ. № 2, საბ. № 118; ფ. 1458, №№ 965, 963; ხელ. ინ. ფ. Hd, № 9320. ფ. Qd, № 1451; ფ. Ad, № 955; დოკ. I, № 393; საქ. სიძ. II, №№ 351, 352.

20 ხელ. ინ. ფ. Qd, № 2340; სცია, ფ. 1450, დავთ. № 18, საბ. № 53.

21 მას. საქ. და კავ. ისტ. 1948. I, საბ. № 109.

22 სცია, ფ. 1448, № 4030; ხელ. ინ. ფ. Qd. № 2169; ფ Hd, № 6644; დოკ. II, № 237.

23 იქვე. ფ. 1450, დავთ. № 45, საბ. № 92.

24 საბუთში წერია—„ღრუბელის“.

ვატა მომირთმევია და საქართველოს ბრწყინვალეთ და მოხელეთაგან დამტკიცებული მოწმობა.[25]

ზაქარია თურქისტანიშვილი ერეკლე მეფის არტილერიაში მსახურობდა და კაპიტანის ჩინი ჰქონდა. ღებულობდა ჯამაგირს — 30 თუმანს წელიწადში.[26] 1791 წ. ერეკლე მეფე მას მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივ დავალებით რუსეთს გზავნის.[27]

XIX ს. დასაწყისისათვის თურქისტანიშვილები 5 კომლად არიან დაყოფილი.[28] საკმაოდ შეძლებული მემამულეები ჩანან. მათი ყმა-მამული ქვემო ქართლს მდებარეობდა. ცენტრით სოფ. ერიტისს.

სამეფო ხელისუფლებისა და მეფის აზნაურთა ურთიერთდამოკიდებულების ასეთსავე სურათს იძლევა ყორღანაშვილების, ნაგინაშვილების,[29] სააკაძეებისა და სხვა სამეფო აზნაურების სახლთა ისტორიიდან აღებული ფაქტები.

როგორც ვხედავთ, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა სახელმწიფოში სამეფო აზნაურთა მატერიალური ძლიერების და პოლიტიკური გავლენის ზრდის აუცილებელი პირობაა. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებასა და დაცემას დაღუპვის კარამდე მიჰყავს ხოლმე წვრილი მემამულის, სუსტი ფეოდალის — აზნაურის მეურნეობა. სამეფო ხელისუფლება თავის მხრივ ცდილობს აზნაურთა ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას და ეყრდნობა მათ შინაური თუ გარეშე მტრების წინაამდეგ ბრძოლის დროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია XVIII ს. მეორე ნახევარში ერეკლე II ზრუნვა სამეფო აზნაურთა ფენის განმტკიცებასა და რიცხობრივ მომრავლებაზე. სამეფო აზნაურები ერეკლე II დროს აქტიურად ებმებიან ქვეყნის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეფე ზრუნავს მათი ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. იცავს მათ სამამულო და საბატონო უფლებებს. დიდ ყურადღებას აქცევს აზნაურთა მოზიდვას სამეფო მამულებზე.

[25] ცსია, ფ. 1, საქმე № 173. Прошение Туркестанова на имя императора о назначении ему содержания за службу секретарем при ц. Иракли II.

[26] იქვე. ფ. 26. საქმე № 677.

[27] იქვე. ფ. 1448, № 672.

[28] იქვე. ფ. 26, № 510.

[29] ამ სააზნაურო სახლთა ისტორია განხილული გვაქვს წერილში „აზნაურთა ფენა და სამეფო ხელისუფლება XVII—XVIII სს. აღმ. საქართველოში“ (I, წესი და სამეფო აზნაურები), მას. საქ. და კავ. ისტ. 1963. ნაკვ. 35, გვ. 125—138.

სამეფო აზნაურთა რიცხვის შენარჩუნება-გაზრდას. მაგალითისა-
თვის მოვიტანთ სამეფო აზნაურის იაგულაშვილის თავგადასავალს.
XVIII ს. პირველ ნახევარში. განსაკუთრებით მის მეორე მეოთ-
ხედში. იაგულაშვილები ეკონომიური სიძნელეების გამო ჰყიდიან
ყმა-მამულს.[30] ებნევათ ყმა-გლეხები.[31] ამ სახლის წევრები უკეთე-
სი ბედის საძებნელად უცხო ქვეყანას იხვეწებიან. როდესაც ქართლ-
კახეთს ერეკლე II ჩაუდგა სათავეში. მან „ყარიბობაში" მყოფ ისაია
იაგულაშვილს მიმართა სამკვიდრო მამულზე დაბრუნების მოწოდე-
ბით. ისაიასადმი მიმართულ წერილში მეფე წერს: „აქ ღვთის მო-
წყალებით ახლა უცხოს ქვეყნის კაცნი მოდიან და სახლდებიან და
შენ შენი სამკვიდრებელი რათ უნდა გაუშვა"-ო.[32] მეფის მოწოდე-
ბას სათანადო შედეგი გამოუღია და შემდგომ ხანებში იაგულაშვი-
ლი თავის მამულს უბრუნდება. მეფე მას მფარველობს.[33]

საინტერესოა აზნაურ ლ ა რ ა ძ ი ს თავგადასავალიც. ლარაძეე-
ბი სამეფო აზნაურები არიან ქვემო ქართლს მოსახლენი. მეფეთაგან
ყმა-მამულის წყალობით სარგებლობენ ხშირად. იძენენ ყმა-მამულს
ნასყიდობათა გზითაც.[34] საკმაოდ შეძლებული აზნაურები ჩანან.
მათ ეკუთვნოდა ყმა-მამული სოფლებში — ირაგას. თხილნარას,
ჯიგრაშენს. დარუბანდს. წინვენახსა და დიდი ეგრისში. ამ უკანას-
კნელ სოფელში. როგორც 1793 წ. გიორგი ლარაძე წერს. მამამისს
„მსახურებდა... ასი კომლი კაცი და უფრო მეტიც".[35]. XVIII ს. მეო-
რე მეოთხედში (ოსმალობა-ყიზილბაშობის მძიმე ხანაში) ლარაძეთა
მემკვიდრე მცირეწლოვანი გიორგი დაობლებულა. სარდალი ქაი-
ხოსრო ორბელიანი, მისი სპობელი ძლიერი ფეოდალი. ეპატრონე-
ბა ლარაძეთა მამულს. გიორგი ლარაძე 1793 წელს დაწერილ ან-
დერძის წიგნში ამბობს: „რადგან იმ ჟამად ჩვენს მეპატრონეს მე-
ფესთან ველარ მივაწევდი (იმ დროს უმეფობა იყო ქართლში—გ. ა.).
მიველ და მივანდევ ჩემი თავიცა. ყმაცა და მამულიცა სარდალს ქაი-
ხოსროს და ასე ვმსახურე. რომ თითონ მიბრძანებდა. შენის სამსა-
ხურით ყელამდინ სავსე ვარო; ვიყავ კარგა ხანი იმათს ოჯახში და
სარდალს რევაზს ასე შევუველ. რომ ყოველივე იმათის ყმისა და მა-
მულის მეურნეობა მე მქონდა" (შესანიშნავი მაგალითია იმისა. თუ

---

30 დოკ. II, № 35; ხელ. ინ. ფ. Ad, №№ 1559 d, 2177 b.

31 სცია, ფ. 1448, №№ 252, 763.

32 იქვე, № 1254.

33 იქვე. ფ. 1450. დავთ. № 18, საბ. № 170

34 დოკ. I. №№ 31, 33; ქართ.—სპ. საბ. № 68; სცია, ფ. 1450. დავთ. № 57, საბ. № 8; ფ. 112, № 486; საქ. სიძ. I, № 245.

35 საქ. სიძ. I, № 248.

როგორ ეპატრონებიან და ყმად იხდიან თავადები სამეფო აზნაურებს სამეფო ხელისუფლების დაცემისა და განუკითხაობის ჟამს.).

თავკამოდებული სამსახურის მიუხედავად. რომელსაც გიორგი ლარაძე ორბელიანებს უწევდა. მის გულში მეფეთა ერთგულება მთელი ძალით ღვიოდა და შესაფერ მომენტში თავი იჩინა კიდეც. 1747-48 წლებში რეაქციონერი თავადების კანდიდატმა. გამაჰმადიანებულმა ბატონიშვილმა აბდულა-ბეგმა, ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება სცადა. მან სომხით საბარათაშვილო გაიერთგულა. მხოლოდ ქვეშის ციხე არ ნებდებოდა მას. იქ 80 კაცით ქვეშის მოურავი გიორგი ლარაძე ყოფილა გამაგრებული. გიორგი ლარაძე წერს: „აბდულა-ბეგს ასე უთვლიდი: ვიდრემდის მეფის თეიმურაზისა და იმისის შვილის ირაკლის სახელი საქართველოში იხსენიება. ამ ციხეს ცოცხალი ვერ დაგანებებ მეთქი და დიდადაც მემუქრებოდა". აბდულა-ბეგს სძლია ერეკლე მეფემ. „შემდგომად რაოდენისამე ჟამის. — განაგრძობს გიორგი ლარაძე. — ქალაქს ჩამოველ და ჩემი ამბავი სანატრელს მეფეს მოხსენებოდა. რევაზს სარდალს აღარ დამანება. ასე უბრძანა. ჩემი ყმა ჩემთვის მინდაო, სარდლიდამ გამომიყვანა და თავის პალატაში მემსახურებდა."[36] მეფემ ლარაძეს სახლი უბოძა ქალაქში და საყდრის დეკანოზად განაწესა. ამით კიდევ ერთი თავისი აზნაური იხსნა მეფემ თავადის მიმძლავრებისაგან.

ერეკლე II ზრუნავს დას. საქართველოდან გადმოსული აზნაურების ყმა-მამულით მომარაგებაზე; აზნაურის ხარისხში აჰყავს ის ყმები. რომელთაც რითიმე იჩინეს თავი. ყველაფერი ეს საგრძნობლად ზრდის და აძლიერებს სამეფო აზნაურთა ფენას XVIII ს. მეორე ნახევარში.

## 2. საეკლესიო აზნაურები

საეკლესიო აზნაურთა მფლობელი ძირითადად მცხეთის საკათალიკოზო ეკლესია იყო. XVIII ს. ბოლოსათვის მის ხელთაა 20-მდე სააზნაურო სახლი. თითოეული სახლი უმეტეს შემთხვევაში რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოჯახად არის დაყოფილი. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი ეკონომიური მდგომარეობით. ეს. ჩვეულებრივ. ის აზნაურებია. რომელთაც მსხვილი სამოხელეო თანამდებობა უჭირავთ კათალიკოზის კარზე. ასეთთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან მაღალაშვილები და გედევანიშვილები.

---

[36] ხელ. ინ. ფ. Hd, № 4250.

მაღალაშვილთა (მაღალაძეთა) საგვარეულო მცხეთის ეკლესიის ყმა-აზნაურთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებულთაგანია. XVIII ს. ბოლოსათვის მაღალაშვილები მრავალი განაყოფისაგან შედგებიან. იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა,[37] მათ 7 განაყოფს ასახელებს: ამილბარაშვილებს, სვიმონისშვილებს, ნიკოლოზიშვილებს, იოსებისშვილებს, გაბრიელისშვილებს, ივანესშვილებს და გიორგასშვილებს. მათ შორის უფროსი ამილბარაშვილების ოჯახია. XVII ს-დან დაწყებული ეს ოჯახი მსხვილ თანამდებობას. სახლთუხუცესობას. ფლობს (მემკვიდრეობით) კათალიკოზის კარზე. XVIII ს. მეორე ნახევარში ამილაბარაშვილები თავადობას ღებულობენ.

მაღალაშვილთა გვარი არა მხოლოდ ერთ-ერთი დაწინაურებული და ოჯახმრავალი საგვარეულოა მცხეთის ეკლესიის ყმა-აზნაურებს შორის. არამედ ერთ-ერთი უძველესთაგანიც. იოანე ბატონიშვილი ასე წერს მაღალაშვილთა შესახებ: „ესენი არიან იმერეთიდგან მოსულნი საქართველოსა შინა დროსა მეფისა ალექსანდრესა წელსა ქ(რისტ)ეს აქეთ 1415 და მეფემან ალექსანდრემ მიიღო ესენი აზნაურად და უბოძა იო(ა)ნის ძის მამულიდგან ნაწილი და შესწირა მცხეთის ეკლესიასა ვ(ითარ)ც)თ წერილ არს გუჯარსა შინაცა და დაასახლნა მეტეხსა შინა“.

რაც შეეხება მაღალაშვილთა იმერეთიდან მოსულობას. ამის არავითარი საბუთი არა გვაქვს. როგორც ცნობილია. ფეოდალურ საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, ძლიერი ტენდენციაა თავადურ და აზნაურულ გვართა მოსულობის დამტკიცებისა. ამიტომ ყველა ცნობას ამა თუ იმ აზნაურის მოსულობის შესახებ სარწმუნოდ ვერ მივიღებთ, თუ ამ ცნობის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არ არსებობს. იოანე ბატონიშვილის ცნობის მეორე ნაწილი. რომელიც მაღალაშვილთა მცხეთის ეკლესიის აზნაურად დასმის თარიღს ეკუთვნის, დაახლოებით სწორი უნდა იყოს. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე საბუთი, რომელიც მაღალაშვილთა მცხეთის ეკლესიის საზნაურო მამულზე დასმას ეხება. ეს საბუთი XV ს. დასაწყისს ეკუთვნის. იმ ხანას. როდესაც საბოლოო ჩამოყალიბებას აღწევდა და სათანადო დოკუმენტებით მტკიცდებოდა აზნაურთა ყმური დამოკიდებულების განსხვავებული ფორმები. ეს საბუთები გარკვეული ინტერესის ღირსია და ჩვენც მათზე რამდენადმე ვრცლად შევ-

---

[37] ხელ. ინ. ფ. S, № 3729.

ჩერდებით. ორი მათგანი მეფე ალექსანდრე I-ს ეკუთვნის. ამ ორივე საბუთის ქორონიკონი მცდარია — 1391 წელს უდრის. რაც საბუთის გამცემის ალექსანდრე მეფის ზეობის წლებს არ უდგება. საბუთი ალექსანდრე I-ის მეფობით — 1412-43 წწ. უნდა დათარიღდეს.[38] ერთი ამ საბუთთაგანი ამილბარ დიმიტრი და გიორგი მაღალაძეთა სახელზეა გაცემული. საბუთის მიმცემი მეფე ალექსანდრე წერს: „მას ჟამსა ოდეს პატიოსანი ივანიძე გაბრიელ უმკვიდრო იქმნა და მისი სახლი და მამული მისნი ოხერი დაშთა, აწე ბატონს მამაჩვენს მოეყვანა დადებით მამათქვენი და მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა და ის სოფლით გასულიყო და თქვენ დაშთომილ იყვენით. შეგიწყალეთ და შეგიყვანეთ და დაგსვით პატიოსნის ივანიძის მამულსა, სახლსა და ნატამალსა ზედა და გიბოძეთ"... აქ მოდის მამულის შემადგენელი ნაწილებისა და იმ სახელთა ჩამოთვლა, რომელიც ივანიას-ძის მამულს ახლავს. ეს სახელოებია: „თრიალეთზე ეძანის და თავფარავანის მოურაობა, ქადაგობა სამცხეთოს მეათორმეტის წილისაგან ერთი... მამათავრობა დიღმის წყლის ზემოთ, გორისჯვარს ზემოთ ზვრამდი".[39]

მცხეთის ქადაგი დიმიტრი მაღალაძე სხვა საბუთითაც არის ცნობილი. ის არის დამწერი მეფე გიორგი VIII მიერ, 1449 წლის 25 დეკემბერს მცხეთის ეკლესიისათვის ბოძებული საბუთისა.[40]

არსებობს კიდევ ერთი საბუთი, გაცემული ალექსანდრე მეფისვე მიერ ამ ჯერად საყდრისშვილთა ქადაგ მახარებელისა და მისი შვილების სახელზე. (როგორც ცოტა ქვემოთ დავინახავთ, მახარებელიც მაღალაძეთა გვარს ეკუთვნის). ამ საბუთში ალექსანდრე მეფე წერს: „სულკურთხეულ მეფეს მამაჩვენს მეფე გიორგის მცირე ყმა მცხეთას აღეზარდე. სოფლისა ვითარებისაგან პატიოსანი ივანიას ძეთა საქადაგო სახლი და სახელო უმკუიდრო ქმნილიყო და მამასა ჩვენსა და ჩვენთა გვართა და კათალიკოზთა მასზედა ახლად ივანიას-ძედ და ქადაგად განეჩინე და შეეყვანეთ და რაცა კავთისხევს და მცხეთასა საყდარს საქადაგო მამული შესავალი და სახელო იყო, თქვენთვის მოებოძა. აწ ჩვენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ.[41]

---

[38] ხელ. ინ. ფ. Qd, ß 6995. ამ საბუთში მოხსენებული ალექსანდრე მეფე რომ სწორედ ალექსანდრე I-ია და არა ამ სახელით ცნობილი სხვა რომელიმე ქართველი მეფე, მტკიცდება საბუთში აღნიშნული ალექსანდრე მეფის მამის (გიორგი) და შვილების (გიორგი, დიმიტრი) სახელებით.

[39] სცია, ფ. 1449, ß 777.

[40] ისტ. საბ. III, გვ. 32.

[41] ხელ. ინ. ფ. Qd, № 6995, ამ საბუთის პირია. იქვე, ფ. Ad, № 1498.

როგორც ვხედავთ, აქ ივანიას-ძეთა ნაქონ სახელო ქადაგობაზე და მასთან დაკავშირებულ მამულზეა საუბარი. წინა საბუთით ამილბარ. დიმიტრი და გიორგი მაღალაძეებმა მხოლოდ მეთორმეტედი წილი მიიღეს სამცხეთის ქავადობისა, ასე რომ. ეს ორი საბუთი ერთიმეორესთან წინააღმდეგობაში თითქოს არა ჩანს.[42]

ამრიგად. ირკვევა, რომ ალექსანდრე I მამას. მეფე გიორგი VII (1393–1407).[43] უმკვიდროდ დარჩენილ ივანიას-ძის ძირითად მამულზე ამილბარ. დიმიტრი და გიორგი მაღალაძენი დაუსვამს. მათთვის უბოძებია სხვა სახელოებთან ერთად მცხეთის ქადაგის სახელოს ნაწილიც. მცხეთის ქადაგის სახელო და მასთან დაკავშირებული მამული მიუღია გიორგი მეფისაგან ქადაგ მახარებელსაც. ეს ყველაფერი მეფე ალექსანდრე I დაუმტკიცებია ზემოთ მოტანილი წყალობის წიგნების საშუალებით.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ქადაგი დიმიტრი მაღალაძე მსგავსად ივანიას-ძეთა უმკვიდრო შექმნილა. მისი მამული და სახელოები მთლიანად მახარებლის ხელთ გადადის. ამას მოწმობს კათალიკოზ დავითის მიერ 1470 წ. „მაღლას-ძეთა მღრდელსა მახარებელსა" და მისი შვილებისადმი ბ(რძანე)ბითა და ნებადართვითა... მეფის ბაგრატისითა და სრულიად მცხეთიშვილთა... კითხვითა და დამოწმებითა" ნაბოძები წყალობის წიგნი. კათალიკოზი დავით წერს. რომ ივანიას-ძის სახლი ამოწყდა. ასევე უმემკვიდრეო შეიქმნა ქადაგი დიმიტრის სახლიც. და რომ მცხეთიშვილი არ დაჰკარგოდა ეკლესიას. მცხეთის ეკლესიის ყმა. მღვდელი მაღალაძე მახარებელი. კათალიკოზთაგან აღზრდილი ივანიას-ძისა და ქადაგი დიმიტრის მამულზე შევიყვანეთ და დავსვით იმავე რიგითა და წესით. როგორითაც მისი წინამორბედნი იჯდნენო. საბუთის დასასრულს ასეთი შენიშვნა აბლავს: „...და თუ ვისრა ივანიას-ძისა მამულისა სიგელი. ნიშანი და დაწერილი ჰქონდას და გამოჩნდეს. ყუელა სიგლითა ამით გაგუიცუ-

---

[42] საკვირველი რჩება მხოლოდ. თუ რატომ არ არის აღნიშნული საბუთებში, რომ ივანია-ძეთა სახელო ქადაგობა და მასთან დაკავშირებული მამული მაღალაძეებთან ერთად ქადაგ მახარებელსაც უპყრავს. ანდა. პირიქით. ქადაგ მახარებელთან ერთად მაღალაძეებსაც ებოძათ.

[43] ვახუშტი ბაგრატიონი თავის ისტორიაში ალექსანდრე I-ის მამად გიორგი VII თვლის და ალექსანდრე I კონსტანტინე მეფის ძმისწულად მიაჩნია, ამ აზრს არღვევს სათანადო საბუთების მოშველიებით ივანე ჯავახიშვილი. ის ამტკიცებს, რომ ალექსანდრე კონსტანტინე მეფის შვილი და გიორგი მეფის ძმისწულია. (ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ. 1948. გვ. 24—25). ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი საბუთი კი მოწმობს, რომ ვახუშტის აზრი ალექსანდრე I მამისშვილობის შესახებ საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

დება და მტკიცე ესე ოდენ არის“.[44] ამგვარივე შინაარსის სხვა საბუთი მართლაც არსებობს. ესაა დავით კათალიკოზის მიერ მაღალაშვილის ოქროპირისადმი ბოძებული წყალობის წიგნი,[45] იგულისხმება თუ არა ზემოთ ციტირებულ შენიშვნაში სწორედ ეს საბუთი. ძნელი სათქმელია. მით უფრო, რომ ოქროპირ მაღალაშვილის შვილებს შორის მღვდელი მახარებელიც იხსენიება.

მცხეთის ქადაგი მახარებელი XV საუკუნის ბოლომდე ჩანს ამ დროის საბუთებში.[46]

როგორც ვხედავთ. XIV ს. ბოლოს (გიორგი VII-ის დროს) მაღალაძენი მცხეთის ეკლესიის საიზნაურო მამულზე მკვიდრდებიან. ამ აქტს სამეფო ხელისუფლება ამტკიცებს. ამიერიდან მაღალაძენი მცხეთის ეკლესიის დამოკიდებულებაში არიან მთელი თავიანთი ყმა-მამულითურთ. ეკლესიის კარზე მათ სამოხელეო თანამდებობანი უჭირავთ — ქადაგისა და სხვ.

ქადაგის სახელო მემკვიდრეობითია მაღალაძეთა სახლში მთელი XVI ს. მანძილზე.[47] ქადაგად იწოდება მაღალაშვილთა წარმომადგენელი XVII ს-შიც.[48] 1565 წ. ერთ-ერთ მაღალაძეს—პაპუნას მედარბაზეთუხუცესი თანამდებობა აქვს[49]. ხუცია და იოვანე მაღალაძენი გომის მოურავები არიან.[50] XVII ს-დან მაღალაძეთა სახლი იმკვიდრებს მსხვილ თანამდებობას — საკათალიკოზო საყდრის სახლთუხუცესობას. 1624 წლიდან იოვანე მაღალაძე კათალიკოზის სახლთუხუცესია.[51] 1651 წლიდან ეს მსხვილი შემოსავლიანი თანამდებობა მისი შვილის თუ (ძმისშვილის?) პაპუა მაღალაშვილის ხელთაა .[52] მას სხვა შემოსავლიანი თანამდებობებიც უჭირავს — სოფელ კრწანისის მოურავობა და სხვ. პაპუა მაღალაძე ცნობილია. როგორც ენერგიული მეურნე. რომელმაც მაღალაანთ მამულებს ბევრი შემატა და დიდ სიმაღლეზე აიყვანა თავისი ეკონომიური კეთილდღეობა. კათალიკოზის სახლთუხუცესის თანამდებობა მის

---

44 ხელ. ინ. ფ. Hd, ◊ 1352.

45 იქვე. ფ. Ad, № $1498_3$.

46 ისტ. საბ., II, გვ. 23, 42.

47 ხელ. ინ. ფ. Hd, ◊ 1353; სიტ. საბ. II, გვ. 33; სპ.—ქარ—საბ. № 18; ხელ. ინ. ფ. Ad, № $1498_9$.

48 ხელ. ინ. ფ. Ad, № $1498_8$, 1646, ღძკ., წ. № 121 და სხვ.

49 ჟორ. I, № 7.

50 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1756.

51 ისტ. საბ. I, გვ. 21; ხელნ. ინ. ფ. Hd, № 1710.

52 ისტ. საბ. IV, გვ. 34.

ოჯახს ბოლომდე. XIX ს. დამდეგამდე შერჩა. XIX ს. დასაწყისში შედგენილი საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის აღწერილობაში მაღალაშვილთა 7 კომლის ყმა-მამულია აღწერილი. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ასეული დღიური სახნავი მიწისა და მრავალი ბაღ-ვენახის მფლობელია.[53]

მცხეთის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-მამულის XV ს. ნუსხებში იხსენიება ხოლმე „ქრცხინვალს ელიოზიძე ურია მამულით".[54] XV ს. მეორე ნახევარში ელიოზ ელიოზის ძე, მცხეთის ეკლესიის საბუთების დამწერი, ჯვარისმტვირთველად იწოდება.[55] ჯვარისმტვირთველია აგრეთვე დანიელ ელიოზის-ძეც.[56] XVI ს. მეორე ნახევარში ელიოზ ელიოზისძე და გედეონ გულბადის-შვილი ელიოზის-ძე ორ სახლად გაყრილან.[57] პირველი მათგანი ამის შემდეგაც ელიოზიშვილის გვარს ატარებს. მეორე გედეონ ელიოზის-ძის გარდაცვალების შემდეგ ზედსახელად იმკვიდრებს გაყრილი სახლისკაცების ელიოზის შვილებისაგან განსასხვავებლად გედევანიშვილობას.[58] ეს ორი სახლი შემდგომ საუკუნეებში სრულიად დამოუკიდებელ ორ საგვარეულოდ იქცა — ელიოზიშვილებისა და გედევანიშვილების.

გედევანიშვილები განსაკუთრებულ მდგომარეობას იკავებენ მცხეთისშვილებს შორის. XVII ს. დამდეგს ისინი მსხვილ თანამდებობას, საკათალიკოზოს სარდლობას ღებულობენ. ამ სახელოს გედევანიშვილებისათვის წყალობის წიგნი შემონახული არ არის, თუმცა გედევანიშვილების მიერ XIX ს. შედგენილ საგვარეულო საბუთების ნუსხაში იხსენიება: „დომე(ნ)ტი კათალიკოზისაგან წყალობის სიგელი სარდლობისა და ხევის თაობისა" 1605 წელს გედევანიშვილებისათვის ბოძებული.[59] როსტომ მეფის მიერ 1652 წ. მცხეთის ეკლესიისათვის მიცემულ შეწირულების წიგნში იხსენიება ჯარის უფროსი გედევანისშვილი გაბრიელ.[60]

შემდგომ ხანებში გედევანიშვილები იყრებიან, ცალკე ოჯახებად იშლებიან. სარდლობა ერთსა და იმავე ოჯახს უჭირავს მემკვიდრეობით. XVII ს. დამლევს ეს თანამდებობა გიორგი გედევანი-

---

53 სცია, ფ. 254, № 210.

54 ქრ. II, გვ. 197; სცია, ფ. 1451, დავთ. № 1, გვ. 7, № 59

55 ისტ. საბ. II, გვ. 10, 14; იქვე, III, გვ. 34 და სხვ.

56 ხელ. ინ. ფ. Qd, № 27.

57 საქ. სიძ. II, № 59.

58 იქვე, № 241.

59 სცია, ფ. 112, № 589.

60 ქრ. II, გვ. 466; საქ. სიძ. I, № 281.

შვილს აქვს.[61] XVIII ს-ის დასაწყისს სარდალია მისი შვილი ზაზა.[62] იონა მიტროპოლიტი XIX ს. დასაწყისს დაწერილ ნაშრომში „როდოსსვლა. ესე იგი თვისის მშობელთა და სახლისა თვისისა მოთხრობაი. ანუ სიტყუა“-ში გადმოგვცემს: როდესაც ვახტანგ VI განჯას გაილაშქრა, მას თან ახლდა სარდალი ზაზა გედევანიშვილი. ქართველთა ლაშქარში შფოთი და არეულობა მომხდარა. მეფეს მოახსენეს, რომ ამ შფოთის მიზეზი ზაზა გედევანიშვილიაო. მეფემ უმალვე მოჰკვეთა თავი დამნაშავეს და საქმე მერმე გამოიძია; ზაზა, როგორც ამბობს გედევანიშვილთა გვარის მეისტორიე, უდანაშაულო აღმოჩნდა.[63] სარდალი ზაზა გედევანიშვილი საბუთებში უკანასკნელად 1721 წელს იხსენიება.[64] თანახმად იონა მიტროპოლიტის ცნობისა, ზაზა ვახტანგ VI განჯას გალაშქრების ახლო ხანებში, ე. ი. 1722 წ. გარდაცვლილა (ვახტანგმა განჯას გაილაშქრა 1722 წელს.) ზაზას ორი შვილი დარჩა გაბრიელ (რომელმაც სარდლობა მიიღო; 1724 წელს პირველად ვხვდებით საბუთებში მის სარდლად ხსენებას)[65] და პაატა. პაატას მოლარეთუხუცესის თანამდებობა სჭერია. ის მეტად დაახლოებული პირი ყოფილა დომენტი კათალიკოზისა. იონა მიტროპოლიტი მოგვითხრობს — როდესაც დომენტი კათალიკოზი კონსტანტინეპოლს წავიდა. მას თან ახლდა „მოლარეთუხუცესი გედეონის-ძე პართენი, ეს იგი პაატა. დიდად კაი ყმა და საყვარელი დომენტი კათალიკოზისა“. შემდეგში პაატა რუსეთში ახლავს ანტონ I კათალიკოზს. როდესაც იქ ანტონს ვლადიმერის ეპარქია უჭირავს. იონა მიტროპოლიტი პაატას „კნიაზის“ ტიტულით იხსენიებს.[66] არსებულ საბუთებში XVIII ს. მეორე ნახევრამდე გედევანიშვილთა არც ერთი წარმომადგენელი თავადად არ იწოდება. ასეთი პატივით გედევანიშვილები პირველად 1760 წლის. შემდეგ კი 1764 წ. საბუთებში გვხდებიან.[67] გედევანიშვილთა თავადების წოდებაში გაფორმება XVIII ს. მეორე ნახევრის ფაქტია. დარეჯან დედოფლის მიერ იონა მიტროპოლიტისადმი მიცემულ მოწმობის წიგნში ნათქვამია: „როდესაც კურთხეული კათალიკოზი რუსეთში

---

[61] საქ. სიძ. I, № 214; დოკ. I, № 138 და სხვ.

[62] დოკ. წ. I, № 223; ცსსა, ფ. 1448, № 3907.

[63] გედევანიანთ გვარი XVII ს-ში. გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ. ტფ. 1914

[64] დოკ. I. №№ 262. 263: ისტ. ი. პ. წ. V, გვ. 33.

[65] სცია. ფ. 1448, №№ 864, 2767; დოკ. I, № 285.

[66] „გედევანიანთ გვარი XVIII ს-ში“. გვ. 4.

[67] საქ. სიძ. წ. I, № 224.

გამოისტუმრეს, მაშინ მოლარეთუხუცესი გედევანის-შვილი პაატა სანატრელ მეფეთაგან იყო კნიაზად გამოცხადებული და კუალად მეორედ კათალიკოზი რომ გამოისტუმრა სანატრელმან მეფემან ჩვენთან, მაშინ კიდევ თქვენი ძმა გედეონის-შვილი გიორგი კნიაზად იყო გამოცხადებული"-ო[68]. მაშასადამე, ამ ცნობის თანახმად, თავადობა პირადად მოლარეთუხუცესმა პაატა გედევანიშვილმა და შემდეგ მისმა შვილმა გიორგიმ მიიღეს. XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIX ს-ში მათი უახლოესი ნათესავებიც თავადებად იწოდებიან. ამ ოჯახის გარდა გედევანიშვილთა სხვა ოჯახებიც არიან, რომელნიც აზნაურებად რჩებიან.[69]

სარდლობა, რომელიც გედევანიშვილთა საგვარეულო სახელოდ იქცა, განსაკუთრებულ მდგომარეობაში აქცევდა მათ. ისინი როგორც სამცხეთის სარდლები, მეფეს უშუალოდ უკავშირდებიან სამხედრო ხაზით, რაც განსაკუთრებით ნათლად მოჩანს თეიმურაზ II და ერეკლე II მეფობაში. მრავალი ბრძანება და ოქმია ამ მეფეთაგან გაცემული უშუალოდ სამცხეთის სარდლების სახელზე. სხვა მხრივ, პირველ რიგში მემამულეობრივ საკითხში, გედევანიშვილები კვლავ მცხეთის ეკლესიის დამოკიდებულობაში რჩებიან. ეკონომიური შესაძლებლობის მხრივაც დაწინაურებულ აზნაურთა რიცხვს მიეკუთვნებიან. XIX ს. დამდეგის მასალებით ამ სახლის ზოგიერთი ოჯახი 400 და 600 დღიურ სახნავ მიწებს ფლობენ.[70]

სხვა საეკლესიო აზნაურებს სამოხელეო თანამდებობანი უპირავთ კათალიკოზის კარზე. მათ ხელთაა ამა თუ იმ სოფლის მოურაობა: მეტეხის მოურავები თუხარლები არიან, კრწანისის მოურავები — თაზიშვილები, მოხისის მოურავები — კვალიაშვილები, ასაშნის მოურავები—გიქიმყრელები და სხვა. სარდლისა და სახლთუხუცესის გარდა კათალიკოზს ჰყავს თავისი ბოქაულთუხუცესი მეჯინიბეთუხუცესი, სუფრაჯი, მდივან-მწიგნობარი და მდივნები, ნაზირი, მეღვინეთუხუცესი და სხვ. ყველა ამ თანამდებობაზე საკათალიკოზო აზნაურებს ვხედავთ. (გარაყანიძე, ჰარმაული, თაზიშვილი, ქადაგიშვილი, ელიოზიშვილი, მგალობლიშვილი და სხვ.) ვხვდებით საკათალიკოზო აზნაურებს შედარებით უფრო წვრილ თანამდებობებზეც — ამა თუ იმ სოფლის ნაცვალი, მელალე, მებალახე (ბოჰორიძე, ეგაძე, მგალობლიშვილი). უკავიათ წმინდა საეკლესიო თანამდებობანიც — მამამთავრის, დეკანოზის, მგალობე-

---

68 დოკ, II, № 862.

69 სცია, ფ. 1450, დავთ. № 38, საბ. № 1753 ფ. 1449. № 1179, ფ. 254, №№ 408, 210

70 იქვე, ფ. 254, № 210.

ლის და სხვ. (ალვსებაძე. ზურაბულიძე, კვალიაშვილი). თანამდებობანი, ჩვეულებრივ, მემკვიდრეობითია გვარში.

ამა თუ იმ დამსახურებისათვის კათალიკოზი აჯილდოვებს ხოლმე ყმა-მამულით თავის აზნაურებს.[71] უმტკიცებს ნასყიდობის აქტებს.[72] ათავისუფლებს ზოგჯერ სახელმწიფო გადასახადებისაგან.[73] საეკლესიო აზნაურის ბეითალმანი მამული კათალიკოზს ეკუთვნის (ჩვეულებრივ ის ამ ყმა-მამულის რომელსამე სხვა თავის აზნაურს უბოძებს ხოლმე)[74] სააზნაურო სახლის გაყრას კათალიკოზი ხელმღვანელობს.[75] ზოგჯერ აზნაური, რომელსაც მამრობითი სქესის მემკვიდრე არ რჩება. ვინმეს იშვილებს და მას უანდერძებს თავის ყმა-მამულს. ამგვარი აქტებიც კათალიკოზის მონაწილეობით იდება და საბუთს კათალიკოზის აუცილებელი დამტკიცება ახლავს.[76] ამ აქტების სიხშირე მოწმობს იმას, რომ, ჩვეულებრივ, კათალიკოზი. ისე როგორც სხვა ფეოდალები. დაინტერესებულია, სააზნაურო სახლის შენარჩუნებით თავის საყმოში. ყველა ამ აქტის დადება-გაფორმებისას კათალიკოზი. ისე როგორც სხვა ფეოდალები. სრულიად დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

უშუალო ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებას საეკლესიო აზნაურებთან (იქნება ეს მათთვის ყმა-მამულის ბოძება, ანდა რაიმე სამსახურის დაკისრება) არა აქვს, რაც ამ ეპოქის საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაჩინო თავისებურებას შეადგენს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო გამონაკლისი უნდა აღინიშნოს ზოგიერთი საეკლესიო აზნაურისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობიდან.

მცხეთის საკათალიკოზო ეკლესიის ყმა-აზნაურთა ძირითადი ნაწილი ქართლს მოსახლეობდა. მაგრამ ამ ეკლესიას რამდენიმე აზნაური კახეთშიც ჰყავდა. ესენია — გაკიმყრელი, გარაყანიძე. მოწობლიძე. მგალობლიშვილი.

---

71 სცია, ფ. 1448, № 560; საქ. სიძ. II, №№ 189, 210, 278, ხელ. ინ. ფ. Hd. № 14682.

72 საქ. სიძ. II, № 360.

73 ხელ. ინ. ფ. Hd, № 889.

74 სცია, ფ. 1448, № 969; ფ. 1450, დავთ. № 31, ს.ბ. № 127. ხელ. ინ. ფ. Hd. № 11305.

75 ხელ. ინ. ფ. Hd, № 6258.

76 იქვე, № 889: სცია, ფ. 1448, № 2769; ფ. 25, № 496.

1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატს. როგორც ცნობილია, თან დაერთო ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების სახელობითი სია. ქართლის აზნაურები ჩამოთვლილი არიან იმისდა მიხედვით თუ ვის ეკუთვნიან მეფეს, ეკლესიას თუ ამა თუ იმ თავადს. კახეთის აზნაურები ცალკე არიან ჩამოთვლილი. გიჟიმყრელი, გარაყანიძე, მიწობლიძე და მგალობლიშვილი კახეთის აზნაურთა რიცხვში არიან შეტანილი. მაგრამ ამ აზნაურთა საგვარეულო დოკუმენტებით კი უდავოდ მტკიცდება, რომ მცხეთის ეკლესიის ყმები არიან. განვიხილავთ ამ საბუთებს.

მეფეთა შეწირულების წიგნებსა და მცხეთის ეკლესიის ყმა-მამულის ნუსხებში ყოველთვის იხსენიება აზნაური გიჟიმყრელი თავისი მამულით.[77] 1753 წ. ანტონ კათალიკოზი ქაიხოსრო გიჟიმყრელს წყალობის წიგნს აძლევს, რომელშიც მას „სვეტისცხოვლის მკვიდრს და ყმას“ უწოდებს.[78] როდესაც გიჟიმყრელთა სახლის წევრები გაყრას დააპირებენ, კათალიკოზს მიმართავენ, რათა მან გაჰყაროს.[79] უმემკვიდროდ დარჩენილი ერთ-ერთი გიჟიმყრელის ბეითალმანი ყმა-მამული ეკლესიის საკუთრებაში გადადის.[80] გიჟიმყრელი, ასაშნის მოურავი, კათალიკოზის დავალებებს ასრულებს.[81]

გარაყანიძე ძველი სააზნაურო სახლი ჩანს. იოანე ბატონიშვილი გარაყანიძეთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას ყაზან-ყაენის დროს, 1300 წ. უკავშირებს: ყაზან-ყაენის მხედრობის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი უსახელებია გარაყანიძეთა წინაპარს. იგი ამ დროს ქსნის ხეობის მოხელე ყოფილა. მტერთან ბრძოლაში დამსახურებისათვის მეფეს მისთვის აზნაურობა უბოძებია. იოანე ბატონიშვილს იქვე მეორე ცნობაც აქვს გარაყანიძეთა წარმოშობის შესახებ. ამ ცნობით, გარაყანიძეთა წინაპრები მეფე ლუარსაბის დროს „იქნენ ჩინებულ“. გარეყანმა ისახელა თავი „ბრძოლასა შინა 1556 წელსა და მუნითგან იწოდებიან გარაყანიძედ“.[82] დოკუმენტური ხასიათის

---

77 სცია, ფ. 1451, დავთ. № 1, გვ. 8, საბ. № 60; გვ. № 28, საბ. № 330; გვ. 30, საბ. № 358; გვ. 32, საბ. № 408; ხელ. ინ. ფ. Ad, № 872; ისტ. საბ. II, გვ. 52.

78 ხელ. ინ. ფ. Hd, № 1970.

79 იქვე. № 6258.

80 სცია, ფ. 1451, დავთ. № 2, ბ, გვ. 30, საბ. № 588.

81 იქვე, გვ. 31, საბ. 590.

82 ხელ. ინ .ფ. S, № 3729.

წყაროთა მიხედვით პირველი ამ ცნობათაგანი უფრო სარწმუნოა. ჯვრის მონასტრის აღაპებში იხსენიება ბეშქენ მანდატურთუხუცესის ვარდანის ძის სიძე ფურთუხ გარეყანის-ძე, რომელსაც 2 ათასი თეთრი გაუღია და აღაპი გაუჩენია მონასტერში.[83] ფორთოჯ გარაყანის-ძე მაკარის შვილი ყოფილა და ცოლად ჰყოლია ვარდანის-ძის ასული ხათოთა.[84] თუ მივიღებთ, რომ ბეშქენ მანდატურთუხუცესი XIV ს. პიროვნებაა, მაშინ ცხადი ხდება, რომ გარაყანიძეთა გვარი ამ დროს საკმაოდ ცნობილი და დაწინაურებული გვარია, რაკი 200 თეთრის გაღება შეუძლია და მანდატურთუხუცესის ქალიშვილი შეურთავს.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, გარაყანიძეთა წინაპრები ქსნის ხეობიდან არიან „პირველ ცხრაძმის ხეობას მოსახლენი და მუხნებურნი ხევის ბერნი". მართლაც, გარაყანიძეთა ერთი ნაწილი შემდგომ ხანაშიც, XVII — XVIII საუკუნეებშიც, ქსნის ხეობას მოსახლეობს და ქსნის ერისთვიანთ ყმა აზნაურები არიან. მაგრამ ამავე დროს გარაყანიძეთა ერთი ნაწილი სრულიად გამოყოფილია ქსნისხეველ აზნაურთაგან. ქსნის ერისთვიანთ ყმობას ჩამოცილებულია და კახეთს სახლობს. ეს გარემოება იოანე ბატონიშვილის ცნობაშიც არის ასახული: „სხუანი გარაყანიძეები არიან კახეთის წილნი ზემოავჭალის მოსახლენი". ნათქვამი აქვს ბატონიშვილს. ტრაქტატს დართულ სიაში გარაყანიძეები იხსენიებიან სამეფო აზნაურთა რიცხვში (ეს ის გარაყანიძეებია, რომლებიც XVIII ს. მეორე ნახევარში, ქსნის ერისთვიანთ სხვა ყმა-მამულთან ერთად, მეფემ ჩამოართვა ქსნის ერისთავებს) და კახეთის აზნაურებს შორისაც. აზნაურ გარაყანიძეთა ნაწილი კახეთში ადრევე იკიდებს ფეხს. ჯერ კიდევ ალექსანდრე კახთა მეფის მიერ 1486 წ. გაცემულ სიგელში მოწმედ არის დასახელებული ხელა გარაყანიძე.[65] ამ დროს ის, თითქოს, მეფის აზნაურია. უფრო გვიან კი გარაყანიძე იმ ყმა-მამულის ნუსხაში იხსენიება, რომელიც მცხეთის ეკლესიის მფლობელობაშია. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ კათალიკოზ ნიკოლოზისადმი 1579 წ. ბოძებულ შეწირულების წიგნში იხსენიება „სოფელი ჯაჭვი და გარაყანიძე ზავრად თავისი მამულითა".[86] ამიერიდან კახეთის გარაყანიძეები კათალიკოზთან და მცხეთის ეკლესიასთან არიან მჭიდროდ დაკავშირებულნი. ყმა-მამულის წყალობის წიგნს აძლევენ გარაყანიძეებს კათალიკოზე-

---

[83] Список крестного Монастыря в Иерусалиме 1914. გვ 14.

[84] იქვე. გვ. 36.

[85] ხელ. ინ. ფ. Hd, № 8731.

[86] ისტ. საბ. II, გვ. 52

პირ ზებედე,[87] დომენტი,[88] ზაქარია,[89] ანტონი,[90] ყარაყანიძეთ ბოქაულთუხუცესის თანამდებობა უკავიათ კათალიკოზის კარზე.[91]

მიწობლიძენი მცხეთის ეკლესიის საბუთებში XV საუკუნიდან ჩანან. მეფე ალექსანდრე I მიერ მცხეთის ეკლესიისადმი მიცემულ მაკუჭას-ძეთა შეწირულების წიგნს, კათალიკოზის სიგელისას შემდეგ ასეთი მინაწერი ახლავს: „აქ ამა მეფეთა და კ(ათალიკო)ზთა განჩენილის ჩუენ გობირახისძენი მიწობელ და ბარათა მოწამენი ვართ."[92] ვფიქრობთ ეს ის მოწობელია რომლის სახელი საზნაურო სახლის გვარად იქცა. 1441 წლის შემდგომ. მის ახლო ხანებში. გვაქვს საბუთები ფარემუზ მიწობლიძის[93] და მიწობელ მიწობლიძის მიერ გაცემული.[94] მიწობლის მოხსენიება მოწმედ მეფის მიერ მცხეთის ეკლესიისადმი მიცემულ და კათალიკოზის მიერ დამტკიცებულ საბუთში იმას უნდა მოწმობდეს, რომ იგი ამ დროს უკვე მცხეთის ეკლესიის აზნაურია. XVI საუკუნისათვის ეს ფაქტი სრულიად უდავოა: ალექსანდრე კახთა მეფის მიერ 1579 წელს მცხეთისადმი შეწირულ ყმა-მამულის ნუსხაში იხსენიებიან „მიწობელნი ნავნიოს და გიორგი. მისი განაყოფი. და პაატა. იმის განაყოფი მათითა მამულითა"..[95] 1619 წ. გიორგი მიწობლიძე კათალიკოზ ქრისტეფორესაგან გომის მოურაობას და სხვა წყალობას ღებულობს.[96] წყალობის წიგნებს აძლევენ სვეტიცხოვლის მკვიდრ ყმას აზნაურიშვილს მიწობლიძეს. ზაქარია, ქრისტეფორე, დომენტი კათალიკოზები.[97] როდესაც XVIII ს. დამლევს ნოდარ მიწობლიძე, რომელსაც მემკვიდრე არა ჰყავდა. გადაწყვეტს შვილად აიყვანოს კათალიკოზის ყულუღი მარკოსი. ნაშვილებობის წიგნს კათალიკოზი ამტკიცებს.[98]

---

87 სცია, ფ. 1450. დავით № 17. საბ. 156.

88 იქვე, საბ. № 159.

89 საქ. სიძ. I, № 41.

90 ხელ. ინ. ფ. Qd. № 665.

91 სცია. ფ. 1450, დავთ. № 17. საბ. № 156: დავთ № 34, საბ. № 128: ფ. 1448, № 188: ხელ. ინ. ფ. Ad. №№ 1646, 1846: ფ. Sd, № 407: საქ. სიძ I, №№ 41. 242; ისტ. საბ. IV, გვ. 71.

92 ისტ. საბ. III, გვ. 24.

93 შიო მღვ. საბ. გვ. 75.

94 სცია, ფ. 1451, დავთ. № 1, გვ. 210 № 20.

95 ისტ. საბ. II, გვ. 52.

96 დოკ. I, № 21.

97 ხელ. ინ. ფ. Hd. №9446: ფ. № Ad, № 1756, ფ. Qd, № 2106; სცია, ფ. 1448, №№ 80, 115.

98 სცია, ფ. 1448, № 2769.

შემდეგში, როდესაც ნოდარ მიწობლიძემ უარი თქვა შვილობილზე და ამის გამო დავა ატყდა, დავის გარიგებას კათალიკოზი ხელმძღვანელობს.[99] თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს. რომ მოსამართლეებად კათალიკოზმა მცხეთისშვილები კი არა, არამედ კახეთის მსაჯულნი მოიწვია.[100]

სიკვდილის წინ ნოდარ მიწობლიძეს გაბრიელ წინამძღვრიშვილი უშვილნია. ნოდარის სიკვდილის შემდეგ, როდესაც წინამძღვრიშვილმა მიწობლიძეთა ყმა-მამულის მფლობელობაში შესვლა დააპირა, კათალიკოზი პროტესტით გამოვიდა. მან განაცხადა, რომ ნოდარ მიწობლიძე მცხეთის აზნაური იყო და არ შეეძლო კათალიკოზის ნებართვის გარეშე ვინმე ეშვილებინა. რადგან მისი მამული ეკლესიას ეკუთვნოდა.[101]

მგალობელი საეკლესიო თანამდებობის პირი იყო და, ისე როგორც სხვა თანამდებობები, ფეოდალურ საქართველოში, ჩვეულებრივ, მემკვიდრეობით გადადიოდა გვარში. ამიტომაა, რომ თანამდებობა, ხშირად გვარის აღმნიშვნელ სახელად იქცეოდა (ამირეჯიბი, ამილახვარი. ჯაბადარი, მეღვინეთუხუცესი, მდივანი და მრავალი სხვა). ასევე მოხდა ამ შემთხვევაშიც, მგალობელის შთამომავლობამ „მგალობლიშვილი" დაიმკვიდრა გვარად. თუ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ ისინი თავდაპირველად, საბუთებიდან არ ჩანს. XVIII საუკუნეში მგალობლიშვილი საგვარეულო სახელია, ამ დროს მათ მგალობელის თანამდებობა აღარ უკავიათ. სხვა სახელოებსა ფლობენ კათალიკოზის კარზე — მდივნები, ან სოფლის მოურავეები არიან. ისინი კათალიკოზის ყმებად ირიცხებიან: 1788 წ. ანტონ კათალიკოზი უბრძანებს მდივან დავით მგალობლიშვილს — ლოპოტის შესაყართან ფაცერი ჩადგას ეკლესიის სახელზე.[102] 1794 წ. კათალიკოზი მას სოფ. ვარდისუბანს საბალახის აღებას, გაყიდვას და ფულის გამოგზავნას ავალებს.[103] 1801 წელს ანტონ კათალიკოზი წყალობის წიგნს აძლევს დავით მგალობლიშვილს, რომელშიც მას საეკლესიო აზნაურს უწოდებს.[104] კათალიკოზს ემსახურება მოხელეობით დავითის ძე პაატა მგალობლიშვილიც.[105]

---

99 იქვე, ფ. 1450, დავთ. № 54, საბ. №№ 169, 176, 172.

100 იქვე, ფ. 1448, №№ 3819, 3821, 3666.

101 იქვე, ფ. 26, № 496.

102 ხელ. ინ. ფ. Ad, № 273.

103 სცია, ფ. 1451, დავთ. № 2 ბ, გვ. № 129.

104 იქვე, გვ. 55, № 135.

105 ხელ. ინ. ფ. Ad, № 57, 40, 2163; სციაფ. 1448, № 3090.

ზემოთ მოტანილი საბუთები თითქოს ეჭვს არა ტოვებენ, რომ ეს აზნაურები მცხეთის ეკლესიის ყმები არიან, მაგრამ მათ ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს. XVII — XVIII სს. კახეთის მეფეები თავიანთ უშუალო ყმებად განიხილავენ მცხეთის ეკლესიის აზნაურებს. კახეთის სამეფოსათვის, როგორც ვიცით, უცხოა კერძო მფლობელობაში მყოფი აზნაურების არსებობა და კახეთის მეფეებიც, როცა კი საამისო ხელსაყრელი ვითარება უდგებათ, ცდილობენ საკუთარ ყმებად განიხილონ კახეთს მოსახლე მცხეთის ეკლესიის აზნაურები. ამის გარდა, ამ მხრივ თვით ამ აზნაურთა სამეფო ხელისუფლებისაკენ ლტოლვაც გამოსჭვივის ზოგჯერ. თეიმურაზ I წყალობის შეპირების წიგნს აძლევს გურგენ გარაყანიძეს — „როდესაც მამული გამოგვივარდეს, უსაცილოდ მამულის წყალობა გიყოთ და კიდეც დავარჩინოთ"-ო.[106] ეს საბუთი მეფეს, როგორც ჩანს, მაშინ აქვს გაცემული, როდესაც გაძევებულია კახეთიდან (1632-34 წწ.) და თავის საბატონოს დაბრუნებისათვის იღწვის. ერთ-ერთ მოკავშირედ კახეთში, გარაყანიძეს იგულვებს და სამეფოს დაუფლების შემთხვევაში სამსახურის ჯილდოდ მამულის ბოძებას ჰპირდება, XVII ს. დამლევს ლუარსაბ გარაყანიძე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერეკლე I, რომელიც ამ თავის ერთგულ და ნამსახურ ყმას „ისეთ დროს გაწეული ერთგულებისათვის, როდესაც მეფის და ყაენის მტრებმა და ორგულებმა „ბევრი ძალი" უყვეს გარაყანიძეს და სასახლე და მამული სულ დაუწვეს", სოფ. ბიწმენს კათალიკოზის სახასო ყმა-მამულის წყალობის წიგნს აძლევს.[107] წყალობის წიგნი უბოძა ერეკლე I გიყიმყრელსაც.[108] კახეთის მეფე იმამყულიხანმა ახაშნის მოურაობა ერთხანს ჩამოართვა და შემდეგ ისევ უბოძა დათუნა ყიყიმყრელს.[109] ამ სახელოს წყალობის წიგნს აძლევს მეფე კონსტანტინეც.[110] კონსტანტინე მეფე წყალობის წიგნს უბოძებს მიწობლიძეებსაც, სადაც სწერს, რომ ამას წინათ ყალათათ მოგვახსენეს და შენი სამკვიდრო მამული სხვას მივეცით, ახლა კი ისევ გიბრუნებთო.[111] ხოლო ლუარსაბ გარაყანიძეს 8 კომლი ყმა-გლეხის წყალობა უყო. ალიყულიბეგ (ზაზა) გარაყანიძეს კონს-

---

[106] ხელ. ინ. ფ. Hd, № 4243 ა.

[107] სცია ფ. 1448, № 3269.

[108] ლენ. აღმ. ინ. ფ. H 3, № 45.

[109] ხელ. ინ. ფ. Hd, № 9430.

[110] იქვე, № 2243.

[111] სცია, ფ. 1450, დავთ. № 17, საბ. № 49

ტანტინე მეფე თავისი მამის ერთგულსა და დიდად ნამსახურს უწყალობებს და აღნიშნავს, რომ იგი მას ახლდა ყველგან, განურჩევლად, ისპაანსა თუ სხვაგან.[112]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კახეთის მეფეები ერეკლე I, დავით II, კონსტანტინე არ სცნობენ თავიანთი სამეფოს აზნაურთა ყმურ დამოკიდებულებას რომელიმე ფეოდალისაგან, თუნდაც ეს ფეოდალი მცხეთის ეკლესია იყოს და თავიანთი ტახტის ირგვლივ მოზიდვას ცდილობენ მაშინ, როცა ხელსაყრელი ვითარება აქვთ ამისათვის. XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფეთა ხელისუფლებას საკათალიკოსო ყმა-აზნაურთა სიაში არ შეჰყავს ეს აზნაურები, და აცხადებს მათ კახეთის აზნაურებად ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დოკუმენტში, როგორიცაა 1783 წ. ტრაქტატს დართული სია. ეს გარემოება კი საფუძველს აძლევს [illegible], განუცხადოს რუს მოხელეებს, რომ „არა ვრაცხავთ თავსა ჩვენსა ეკლესიის აზნაურთა, არამედ კახეთის აზნაურათა."[113]

ერთგვარი თავისებურება შეიმჩნევა იმ აზნაურთა მდგომარეობაშიც, რომელნიც ტრაქტატს დართულ სიაში სამთავრო-სამროველო-საქვათახევო აზნაურებად არიან შეტანილი. ესენია — ანანიაშვილი, მამაცაშვილი, შატბერაშვილი და დეკანოზიშვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყმა-აზნაურები სვეტი-ცხოვლის საკათალიკოსო ეკლესიას ჰყავდა მხოლოდ. მაგრამ XVIII ს-ში აზნაურებს იჩენს ზოგიერთი საეპისკოპოსო ეკლესია თუ მონასტერიც.

სამთავროს ეკლესიის მღვდლები, ხუცესები, დეკანოზები XVIII ს. ჩვეულებრივ, ანანიაშვილები არიან.[114] მათ უჭირავთ აგრეთვე ამ ეკლესიის სახლთუხუცესის თანამდებობაც.[115] სამთავროს ეპისკოპოსი პასიონი 1794 წ. იოსებ ანანიაშვილს კირბალის მოურავობას უბოძებს. ეს თანამდებობა ანანიაშვილის სახლს წინათაც სჭერია.[116]

საეკლესიო თანამდებობის ჭერა თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ეს თანამდებობის პირი ამ ეკლესიის ყმაა. ასე მაგალითად, თბილისის სიონის სახლთუხუცესები სამეფო ყმები

---

112 იქვე, საბ. № 158; დოკ. II, № 546.

113 იქვე, ფ. 254, № 210.

114 ხელ. ინ. ფ. Qd, №№ 522, 699; ფ. Ad, № 1738; ფ. Hd, № 2659; დოკ. I, №№ 395, 561; სცია, ფ. 1450, დავთ № 4, საბ. № 219; დავთ. № 38, საბ. № 174.

115 ხელ. ინ. Qd, № 522; ფ. Ad, № 841; დოკ. II, № 298; სცია, ფ. 1448, № 3906.

116 სცია, ფ. 1448, № 954.

იყვნენ. სამთავროს ეკლესიის ეპისკოპოსები ამილახვრიანთ აზნაურებია (ყანჩიელები) და ა. შ. მაგრამ თანდათან ზოგიერთი ეკლესია თავის ყმად რაცხს ამა თუ იმ საზნაურო საგვარეულოს, რომლის წარმომადგენლები მემკვიდრეობით ემსახურებიან ამ ეკლესიას. ტრაქტატს დართულ სიაში ანანიაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, სამთავრო-სამოწყვლო-საქვათახევო აზნაურად არის ჩათვლილი. საეკლესიო ყმათა 1818 წლის კამერალურ აღწერილობაში ანანიაშვილები, სამთავროს ეკლესიის აზნაურებად იწოდებიან.[117]

მამაცაშვილები XVII ს. საბუთებით მეფის აზნაურები არიან: 1626 წ. მეფე თეიმურაზ I მათ უბოძებს ყმა-მამულს რუისში.[118] წყალობას ღებულობენ ისინი როსტომ მეფისა და ვახტანგ V-ისაგანაც.[119] რუისის ეკლესიის სამსახურში XVIII ს. შუა ხანებიდან ჩანან: 1740 წ. მროვლის მამამთავარია მამაცაშვილი ზურაბ.[120] 1750 წ. რუისის საეპისკოპოსო საყდრის სახლთუხუცესია ქაიხოსრო მამაცაშვილი.[121] 1765 წელს ქაიხოსრო მამაცაშვილისათვის ანტონ კათალიკოზის მიერ მიცემულ წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ეს სახელო მამაცაშვილებს დომენტი კათალიკოზისაგან ჰქონიათ მიღებული. ამრიგად, აქაც ამ საეკლესიო აზნაურთა, ისე როგორც ამ ეკლესიის უზენაეს მბრძანებლად კათალიკოზი გამოდის. ამასთანავე ირკვევა, რომ მამაცაშვილები არ არიან ჩვეულებრივი ტიპის საეკლესიო ყმა-აზნაურები. მათზე უზენაეს ბატონობას სამეფო ხელისუფლება ინარჩუნებს, არ წყვეტს უშუალო ურთიერთობას ამ ყმებთან: XVIII ს. მეორე ნახევარში მამაცაშვილები თავიანთი სადავო საქმეების გამო, მეფესთან ჩივიან.[122] მამაცაშვილების გაყრა მეფის ბრძანებით ხდება.[123] მამაცაშვილი მეფისაგან ღებულობს მამულის წყალობას, რასაც მროველი ამტკიცებს.[124] რუისის ეკლესიის მოხელეს, პეტრე მამაცაშვილს, მროველ ეპისკოპოსთან იცავს ცენტრალური ხელისუფლება.[125]

---

117 იქვე, ფ. 254, № 408.

118 იქვე, ფ. 1449, № 1104.

119 იქვე, №№ 1102: 1105, 113.

120 ხელ. ინ. ფ. Qd, № 1702.

121 იქვე, ფ. № 9444; სცია, ფ. № 1450, დავთ. № 38, ხაზ. №№ 88, 102.

122 ხელ. ინ. ფ. Qd, № 1730; სცია, ფ. 1449, №№ 1101, 1106.

123 ხელ. ინ. ფ. Qd, № 338.

124 იქვე, № 17741.

125 იქვე, № 336.

მამაცაშვილები მეფის დავალებათა შემსრულებელნი. მეფის ბრძანების იასაულები არიან[126]. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ მამაცაშვილები მეფის ყმები არიან და ეკლესიასთან მხოლოდ სამოხელეო თანამდებობრივი ურთიერთობა აქვთ. ზემოთ ხსენებულ თანამდებობათა გარდა მამაცაშვილებს რუისის ეკლესიის დეკანოზობა უპყრიათ, სამროვლო ყმების მოურავები არიან. ერთ-ერთ მამაცაშვილს კი წმინდა ევსტათის ეკლესიის (სოფ. ერთაწმინდას) თავლიდრობა მიუღია. ამ თანამდებობრივი დამოკიდებულების გამოა, რომ მამაცაშვილები XVIII ს. ზოგიერთ საბუთში რუისის ეკლესიის აზნაურებად იხსენიებიან. 1818 წლის ეკლესიის ყმათა კამერალურ აღწერილობაშიც მამაცაშვილები რუისის ეკლესიის ყმებად იწოდებიან.[127]

შატბერაშვილები საბუთებში XVI ს-დან იხსენიებიან და სამეფო აზნაურები ჩანან. ამავე დროს ქვათახევის ეკლესიის სამსახურში იმყოფებიან: 1703 წ. მეფეს შატბერაშვილები ლაშქარში დაუბარებია.[128] 1717 წ. საბუთში ქვათახევის წინამძღვარი თავის სახლთუხუცესს შატბერაშვილს დათუნას მოწმედ ასახელებს.[129] XVIII ს. მეორე ნახევარში იხსენიება შატბერაშვილი — „მეფის მგალობელი იოთამ".[130] 1797 წ. ქვათახევის არქიანდრიტი დავით შატბერაშვილს თავის აზნაურს უწოდებს და კავთისხევის მოურაობას უმტკიცებს.[131] 1800 წ. გრიგოლ შატბერაშვილი გიორგი XII იასაულია.[132] თავის სახლისკაცთან სამამულო დავის გასარიგებლად შატბერაშვილი დავით ბატონიშვილს მიმართავს.[133] 1804 და 1808 წლების კამერალურ აღწერებში შატბერაშვილები ქვათახევის მონასტრის აზნაურებად იწოდებიან.[134]

რუისს მოსახლე დეკანოზისშვილების ერთი ნაწილი ციციშვილების აზნაურები არიან, ხოლო მეორე ნაწილი მროველი ეპისკოპოსების სამსახურშია მე-18 ს. საბუთებით.[135] 1806 წ. მროველი

---

126 ხელ. ინ. იქვე, № 656; ფ. Hd, № 13996; საქ. სიძ. III, № 547, დოკ. II, № 249; სცია, ფ. 1450, დავთ. № 45, საბ. № 207.

127 სცია, ფ. 254, № 408.

128 დოკ. I, № 162.

129 ხელ. ინ. ფ. Hd, № 4264.

130 იქვე, ფ. Qd, № 760; სცია, ფ. 1448, № 136.

131 ხელ. ინ. ფ. Hd, № 6544.

132 დოკ. II, № 336.

133 ხელ. ინ. ფ. Hd, № 8895.

134 სცია, ფ. 254, №№ 58, 408.

135 ხელ. ინ. ფ. Hd, № 5256.

მიტროპოლიტი იუსტინე თავის აზნაურს დეკანოზ დავით დეკანოზისშვილს მღვთაების ეკლესიაში სასაფლაო ალაგს უწყალობებს.[136] ზემოთ განხილული 4 სააზნაურო სახლი — სამთავრო-საქვათახეოხამროვლო — ამ ეკლესიებთან მხოლოდ თანამდებობრივ დამოკიდებულებაში არიან. მამაცაშვილებთან და შატბერაშვილებთან მეფეს უშუალო ურთიერთობა გაწყვეტილი არა აქვს. ყმა-მამულის მფლობელობის დარგში ისინი ამ ეკლესიებისაგან დამოუკიდებელნი ჩანან.

## ვ. სათავადო აზნაურები

როგორც ცნობილია. სათავადოთა საბოლოო ჩამოყალიბება-გაფორმება XV ს-ში ხდება. ახალ-ახალი სათავადოების წარმოშობა ქართლის ტერიტორიაზე ამის შემდეგაც მიმდინარეობს. ასე მაგალითად, XVI ს. დამდეგს წარმოიშვება მუხრან-ბატონის მსხვილი სათავადო; XVII ს. 40-იან წლებში ყალიბდება სათარხნიშვილო და სხვ. XVIII ს. მეორე ნახევარში. ტრაქტატს დართული სიის თანახმად, ქართლში 38-მდე თავადია. მაგრამ ყველა თავადს არ ჰყავს ყმა-აზნაურები და არც ყველა თავადის საფეოდალო ჩაითვლება სათავადოდ. იმავე სიის თანახმად. ყმა-აზნაურთა მფლობელია 21 თავადი. მათ შორის არიან ისეთი ძლიერი და მსხვილი თავადები როგორიცაა ამილახვარი. ქსნის ერისთავი. ორბელიანი და სხვ. მათ მფლობელობაში რამდენიმე ათეული კომლმრავალი სააზნაურო სახლია. არიან ისეთი თავადებიც (მაჩაბელი. ხერხეულიძე. ხიდირბეგიშვილი და სხვ.). რომელთაც თითო-ოროლა კომლი აზნაური ჰყავს.

თავადსა და მის აზნაურს შორის მჭიდრო სამამულო ურთიერთობაა. აზნაურის მთელ ყმა-მამულს თავადი თავის სათავადოს შემადგენელ ნაწილად განიხილავს. თავადი უმტკიცებს ხოლმე თავის აზნაურს მის მამაპაპეულ ყმა-მამულს. ერთგული სამსახურისათვის აჯილდოებს ყმა-მამულით, სახელოთი, ზოგჯერ სახელმწიფო გადასახადებისაგან ათავისუფლებს. ყველა ამ აქტის დადებაში თავადი სრულიად დამოუკიდებელია ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

საზნაურო სახლის გაყრა თავადის მოვალეობას შეადგენს. სადავო საქმეებს, რომელიც აზნაურის სახლის წევრებსა. ანდა ერთი სათავადოს აზნაურებს შორის წარმოიშვება. არჩევს თავადი. მას გამოაქვს მსჯავრი, სჯის აზნაურს დანაშაულის შემთხვევაში. მძიმე დანაშაულისათვის შეუძლია ჩამოართვას ყმა-მამული და გააძეოს

---

[136] იქვე, № 3961.

კიდევაც თავის სათავადოდან. თავადს არ მიუწვდება ხელი მხოლოდ აზნაურის პიროვნებაზე — მისი მოკვლისა თუ დასახიჩრების ნება თავადს არა აქვს.

უძეოდ გარდაცვლილი აზნაურის ყმა-მამული, ე. წ. ბეითალმანი, თავადის ხელში გადადის, მის უცილობელ საკუთრებად იქცევა. მოკლული აზნაურის სისხლი თავადს ეკუთვნის. მამულიდან გადახვეწილი აზნაურის ქონება თავადისაა.

თავადის უფლებები აზნაურზე იმდენად ფართოა, რომ მას შეუძლია გაყიდოს აზნაური, შეუძლია მზითვად გაატანოს ქალიშვილს, დააგიროს, ნასისხლად ან საჩუქრად მისცეს ვინმეს. ოღონდ, ყოველივე ეს აზნაურის ყმა-მამულთან ერთად უნდა მოხდეს.

როგორც ვხედავთ, თავადსა და აზნაურს შორის სამამულო მფლობელობაზე დაფუძნებული მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული. ამ ურთიერთობას ცხადყოფს ის სამსახურიც, რომელსაც აზნაური თავადის სასარგებლოდ ეწევა.

აზნაურებს თავადის კარზე სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობა ეჭირათ. თავადის კარი, მოწყობილი სამეფო კარის ყაიდაზე, სამეფო კარის სამოხელეო აპარატის მრავალ თანამდებობას იმეორებდა. აქაც პირველი ადგილი ეკავა სახლთუხუცესს, რომელიც სათავადოს შესავალსა და გასავალს განაგებდა, ბოქაულთუხუცესი — საპოლიციო ფუნქციების მატარებელი იყო, მოლარეთუხუცესი — სათავადოს საკანძურის მცველი. იყვნენ აქ მდივან-მწიგნობარი, ნაზირი, მეღვინეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი და სხვ. ყველა ეს თანამდებობანი სათავადოში აზნაურებს ეკავათ. ამათგან ყველაზე შემოსავლიანი, ჩანს, სახლთუხუცესისა იყო. ერთ საბუთში ციციშვილების სახლთუხუცესის თომა მეღვინეთხუციშვილის შესახებ ნათქვამია: „ერთის ციციშვილის ოდენი შესავალი მეღვინეთხუციშვილს თომას ქონდა, რომ იმათი სახლთუხუცესი იყო“.[137]

თანამდებობანი, ჩვეულებრივ მემკვიდრეობითი იყო ამა თუ იმ სააზნაურო სახლში. ზოგიერთ მსხვილ სათავადოში ხშირად ერთდროულად ორი ან მეტი სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი ან ნაზირი იყო. ასე მაგალითად, ციციშვილების სახლთუხუცესია XVIII ს. 50 — 60-იან წლებში მეღვინეთხუციშვილიც, წინამძღვრიშვილიცა და ბუნიათიშვილიც.[138] ქსნის საერისთავოში სახლთუხუცესე-

---

137 ხელ. ინ. ფ. № 406.

138 ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 854, 855, 10350; ფ. Qd, № 798; სცია, ფ. 1448, №№ 4968, 1282.

ბი XVIII ს. მეორე ნახევარში არიან გიორგი უთნელიშვილი, იოსებ თულაშვილი და არჩევან ფიცხელაურა.[139] ბოქაულთუხუცესის სახელო საციციანოში XVIII ს-ში ერთდროულად უჭირავთ კლიმიაშვილს, გვერდწითელს, ჩანჩალაძეს, გულბადისშვილს.[140] ნაზირისა — მეღვინეთხუციშვილს და გვერდწითელს.[141] ეს აიხსნება იმით, რომ სათავადო საუფლისწულოებად იყო დაყოფილი და თითოეულ უფლისწულს თავ-თავისი მოხელეები ჰყავდა.[142] ზემოთ ჩამოთვლილ კარის მოხელეებს გარდა სათავადოში იყვნენ „საქვეყნოდ გამრიგე" ანუ ცალკეული სოფლის თუ სოფლების მოხელეები — მოურავი, ნაცვალი, გზირი, მამასახლისი. პირველი ამათგანი თითქმის ყოველთვის აზნაური იყო. ნაცვლის თანამდებობაზეც უფრო ხშირად აზნაურები არიან. მამასახლისი და გზირი კი ყოველთვის გლეხის (უფრო ხშირად, აღზევებული გლეხის, მსახურის) ხელთ იყო. მოურავსა და ნაცვალს თავიანთი სარგოები ჰქონდათ და შემოსავლიან თანამდებობებს შეადგენდნენ. ერთ სათავადოში მრავალი მოურავი იყო ხოლმე.

ამის გარდა, აზნაურებს ეჭირათ ზოგჯერ საეკლესიო თანამდებობანი სათავადოში შემავალი ეკლესიების კარზე. ასე მაგალითად, საამილახორო ეკლესიის სამთავისის ეპისკოპოსები ამილახვრიანთ აზნაურები—ყანჩიელები იყვნენ. აზნაურები იყვნენ წინამძღვრები, დეკანოზები და ზოგჯერ მღვდლებიც.

მოხელეობა თავადის კარზე აზნაურის განსაკუთრებით საპატიო სამსახური იყო, რომელიც ჯილდოს სახით ეძლეოდა ხოლმე მას და მისი ეკონომიური დაწინაურების ერთ-ერთი საშუალება იყო.

ასეთი სამსახურის გარდა, პირველ რიგში, თავადისა და აზნაურის ურთიერთობა აზნაურის სავალდებულო სამსახურს გულისხმობდა. აზნაური ვალდებული იყო ხლებოდა ბატონს დაძახებისთანავე და მასთან ყოფილიყო განუშორებლად, თუ კი ამას ბატონი მოითხოვდა. აზნაური უნდა ხლებოდა ბატონს ლაშქრობა-ნადირობაში, ხლებოდა მშვიდობიანობის ჟამს, დაემშვენებინა მისი ამალა.

---

139 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 278.

140 სცია, ფ. 1450, დავთ. № 38, საბ. №№ 63, 88, ფ. 1448, № 39; საქ. სიძ. II, № 249; ხელ. ინ. ფ. Qd, №№ 817, 1026, 798; ფ. Hd, № 8020, 855; დოკ. I, № 3[illegible].

141 ხელ. ინ. ფ. Ad, № 59; სცია, ფ. 144, № 5101.

142 გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა ჩვენს მიერ დასახელებულ ნაშრომში წერს: „საუფლისწულოებსაც თავიანთი სახლთუხუცესი და სხვა მოხელეები უნდა ჰყოლოდა" (გვ. 142), დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ასეთსავე დასკვნას აკეთებს სახლთუხუცესის სახელოს შესახებ. (დასახ. ნაშრ. გვ. 278).

როგორც ბატონის გარეთ ყოფნისას („გარეობაში"), ისე შინ დღესასწაულებსა და თუ სტუმრობა-მასპინძლობის დროს. აზნაური ვალდებული იყო შეესრულებინა ბატონის ესა თუ ის ერთდროული დავალება, წასულიყო იქ, სადაც ბატონი საქმეზე გაგზავნიდა.

ტეტია ტატიშვილის არზას ერეკლე II ასეთი ოქმი მიაწერა: „...როსტომ ერისთავის ყმა ხარ. კიდეც უნდა გაჰყვე და კიდეც უნდა გამოჰყვე და კიდეც უნდა მსახურო, როგორც ბატონ-ყმობის რიგი არის... იმისი ყმა ხარ და იმას უნდა იახლო."[143]

აზნაურის ხლების წესი სათავადოში ზუსტად იყო დადგენილი. სასახლისკაცო ურთიერთობის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა იმას, თუ რომელი აზნაური უნდა იახლოს თავადმა, რომელი სახლისწევრებმა. დავით ქსნის ერისთავისა და გიორგი ყულარაღასის სასახლისკაცო გარიგების წიგნში ნათქვამია, რომ „ყულარაღასმან საერისთაოდამ აზნაურიშვილი და მსახური ორმოცი კაცი უნდა იახლოს".[144] მერალიბეგ ციციშვილისა და მისი ბიძაშვილების ძმობისა და შერიგების წიგნში სათითაოდ არიან ჩამოთვლილი ის აზნაურები და მსახურები, რომლებიც მერალიბეგის ბიძაშვილებს უნდა ახლდნენ.[145] 1737 წ. დადებული ამილახვრიანთ შერიგების წიგნით აზნაურთა ხლების საკითხი მოსამართლეებმა ასე გადაწყვიტეს : „როგორც მამა-პაპათ თქვენსა აზნაურიშვილი ხლებოდეს, თქვენც ისევე იახელითო".[146]

ისე როგორც მთელი ყმა-მამული სათავადოში, აზნაურებიც საკუთრების თვალსაზრისით სამ ჯგუფად იყოფოდნენ — საერთო სათავადო, საუფლისწულო და სათავისთავო. ამილახორიშვილი ჩივის თავის სახლისკაცზე — მან „ერთი კომლი ჩემი საუფლისწულო აზნაურიშვილი წამართვა და თითონ იახლოო".[147] ქაიხოსრო ამილახორისშვილი წყალობის წიგნს აძლევს თავის ყმას „სათავასთავოს აზნაურიშვილს იასეს".[148] ამირინდო და დემეტრე ამილახვრიშვილებს შორის დადებულ მორიგების წიგნში აღნიშნულია, რომ აზნაური იალღუზიშვილი საერთოდ დაიდვა. ამ სააზნაურო სახლის ერთი წევრი „ამილახორს ამირინდოს უნდა ახლდეს და ერთი დემეტ-

---

[143] ხელ. ინ. ფ. Hd, № 9968.
[144] იქვე. ფ. Qd, № 6955.
[145] იქვე, ფ. Hd, № 10245.
[146] იქვე, ფ. Ad, № 1328.
[147] იქვე, ფ. Hd, № 14017.
[148] იქვე, № 2151.

რეს. რისაც ყმისა და მამულის პატრონი არიან, სულ საერთოდ დაიდვა“-ო.[149]

ზოგჯერ რომელიმე თავადი ან თავადიშვილი გადაიბირებდა ხოლმე აზნაურთ თავის მხარეზე. სათავისთაოდ იმსახურებდა საერთო აზნაურებს.[150] ასეთი რამ სახლისკაცების უთანხმოებისა და დავის მიზეზი ხდებოდა.

აზნაურთა ხლების დადგენილი წესის დარღვევა სათავადოში იმითაც აიხსნება, რომ თვითონ აზნაურები ემხრობოდნენ სათავადო სახლის ხან ერთ წევრს, ხან მეორეს, ცდილობდნენ სათავადო სახლის შიგნით წარმოებული შინაური ბრძოლა სახლის წევრებს შორის თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ, მიმხრობოდნენ ისეთ თავადს თუ თავადიშვილს. რომელიც მათთვის სასურველი იყო. სათარხნოს აზნაურები ჩივაძე, ცალქალამანიძე, შიხეიდრის-ძე და ბაგრატის-შვილი პირობის წიგნს აძლევენ სოლომონ თარხნიშვილს: „ჩვენ დიდად შეგვაწუხეს თქვენმა სახლისკაცებმა და ჩვენი დაჩაგვრა და დამდაბლება მოინდომეს... ამა მიზეზისათვის თქვენ მოგმართეთ და ჩვენი თავი თქვენ შემოგავედრეთ დღეს და დღეის იქით თქვენ [illegible] ვარავის ვმსახუროთ და აღარცავის თქვენ განაყოფთ დავემორჩილნეთ“.[150a]

აზნაურის ხლება და ლაშქრობა-ნადირობაში მონაწილეობის მიღება აზნაურის ძირითადი სამსახურეობრივი მოვალეობა იყო. ამის მეტი სხვა ვალდებულება, ჩვეულებრივ, აზნაურს თავისი ბატონის წინაშე არ ედვა, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით გადახვევებსაც ამ ზოგადი წესიდან.

მასალებში შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგჯერ აზნაურს შესაწევარი უნდა მიერთმია თავისი ბატონისათვის ქორწილსა ანდა რაიმე გასაჭირის დროს. საქართველოს გამგებელი სვიმონ ბატონიშვილი უბრძანებს ერთობილთ მუხრანის აზნაურშვილთ, მსახურთ და გლეხთ, რომ ლევან მუხრან-ბატონი ქორწილს აპირებს და „როგორც სხვას იმათის სახლის კცისათვინ საქორწილო მოგერთმევინოსთ. ისრე ახლა ამასაც საქორწილო მოართვით და ხელი მოუმართეთ, მკას უკან მოეცით“.[151] საქართველოს გამ-

---

149 იქვე, ფ. Qd, № 2532. მ. ქიქოძე წერილში „ქართლის სათავადოების ისტორიიდან XVII—XVIII სს. (საამილახორო)“ ადასტურებს აზნაურთა ამ სამ ჯგუფად დანაწილებას საამილახვროს სახლის წევრებს შორის. ოღონდ, მართებულად არ გვესახება აზნაურთა კატეგორიებად გამოცხადება და მათ შორის პირველი, მეორე და მესამე ადგილების განაწილება. (მას. საქ. და კავ. ისტ. ნაკვ. 35. გვ. 104. 1963).

150 ხელნ. ინ. Hd, № 14533

150a იქვე, № 2904.

151 დოკ. 1, № 214.

გებლის ჩარევა მუხრან-ბატონის და მისი ყმების ურთიერთობაში თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ამგვარი ძღვენის გაღებას თავს არიდებენ.

მასალებიდან ირკვევა, რომ აზნაურის ასეთი სამსახური სავალდებული ხასიათს არ ატარებდა და იყო მხოლოდ ტენდენცია, თავადების მხრიდან სავალდებულოდ ექციათ იგი. ამ ტენდენციას აზნაურები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ და ებრძვიან. აზნაურთა წინააღმდეგობით უნდა აიხსნებოდეს წყალობის წიგნი, ერთობით ციციშვილების მიერ 1724 წ. თავიანთი აზნაურიშვილებისადმი მიცემული. ციციშვილები პირდებიან აზნაურებს, რომ აღარ გამოართმევენ მათ არც საქორწილოს და არც „ვალის თეთრს“, თუ ვიღებდით როდისმე თქვენგან ამგვარ გამოსაღებს, უმართებულოდ ვიქცეოდით: „არც საქორწილო და არც ვალის თეთრი არც ძველთაგან ვთხოებოდათ. ჩვენ როცა გთხოვდით, უმართებულო იყო და არას გემართლებოდით: რადგან რომ ძველადგანაც არ გეთხოებოდით, ჩვენც ასე გაგათავისუფლეთ და ამოგიკვეთეთ, რომ არც ჩვენი საქორწილო, არც ვალის თეთრი არას ჩვენის დაპირებისათვის ჩვენგან თქვენ თეთრი არ გეთხოვებოდეს“.[151]

ასეთივე რიგის მოვლენა იყო აზნაურის ყმების გამოყენება თავადის სამსახურში. XIX ს. დასაწყისს ქართველი თავადები ასეთ ჩვენებას აძლევენ რუსეთის ხელისუფლებას: „უკეთუ მებატონესა მისსა აზნაურთასა დასჭირდებოდათ რომელთამე საჭიროებათა თვისთა ზედან თეთრი, იმსახურებდნენცა ოდესმე თეთრით ყმათა აზნაურისა თვისითა. ...ამასთანავეცა ყოველსავე შეგარასა თვისთა შინა გარევდენ და იმსახურებდენ ხვნითა, მკითა, მიტანითა და სხვართა კეთებითა. გლეხთა მის აზნაურთასა ვითარცა ყმათ თვისთა და სხვებრ ყმანი აზნაურთანი ემსახურებოდნენ აზნაურთა მათ ვისადამიცა კუთვნილ იყვნენ“.[152]

ციციშვილთა გაყრილობის ერთ წიგნში აღნიშნულია: „ქ. აზნაურიშვილის ყმებს თუ გამოართმევდნენ რასმე, ნახევარს ნიკოლოზ აიღებდეს და ნახევარს ამილახვარს მისცემდეს“.[153]

როგორც თავადების ჩვენება, ისე ამ საბუთის სიტყვებიც და სხვა მასალებიც მოწმობს, რომ აზნაურის ყმების თავადის მეურნეობაში გამოყენება, მათთვის გადასახადის გამორთმევა, სისტემატურ, დაკანონებულ ხასიათს არ ატარებდა. ის შემთხვევითი ხასიათისა იყო და ცალკე თავადების ცალკეულ ცდებს წარმოადგენდა.

---

151 ხელ. ინ. ფ. Sd, № 427.

152 სცია. ფ. I, № 627.

153 ხელ. ინ. ფ. Sd, № 427.

ამრიგად, სამსახური, რომელიც აზნაურს თავისი ბატონის წინაშე ადევს, შემდეგში მდგომარეობს: 1. სამხედრო ვალდებულება — ლაშქრობა-ნადირობაში მონაწილეობა; 2. კარზე სამსახური — წლე-ბა; 3. მოხელეობა; 4. შესაწევარი (სავალდებულო ხასიათს არ ატარებს); 5. აზნაურთა ყმების სამსახური (აგრეთვე არ ატარებს სავალდებულო ხასიათს).

აზნაურის სამსახური თავისი ბატონის სასარგებლოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყმა-მამულის მფლობელობასთან. მოვიყვანთ ამის ერთ თვალსაჩინო მაგალითს. სარდალი ალექსანდრე ციციშვილი თავის ძმისადმი მიცემულ საბუთში წერს, რომ მან თავისი აზნაური კლიმიაშვილი კაცრას-შვილი მას დაუთმო: თუ სამსახურზე უარი გითხრასო, შვილი არ გაახლოს, მამული, რომელიც წინათ ბაა-კა კლიმიაშვილს ეჭირა და შენ გემსახურებოდა და ახლა კი ამ კაციას-შვილს უჭირავს, გამოართვი და შენთვის დაიჭირეო, ამ გადაწყვეტილებას მეფეც ამტკიცებს.[154]

ჩხეიძის ბუში დიმიტრი ციციშვილთან მისულა და მის ვალდებულად დამდგარა. ციციშვილს მისთვის ვენახი მიუცია სამსახურის პირობით. ჩხეიძის შვილი ამ პირობას არ ასრულებს და ციციშვილი ჩივის სამართალში: „აქამდინ მატყუვა. შენ გიახლებო და ვენახს ნუ წამართმევო. ახლა აღარ მახლია და ჩემს ვენახს რაღათ ჭამენ-ბებ ...სამართალში მელაპარაკოს და თუ ვენახზედ ხელს ვერ აიღებს, თითონ მიახლოსო“.[155]

აზნაურს მამული უნდა ჰქონდეს, რათა თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება შესძლოს. ამიტომაა, რომ აზნაურს უფლება არა აქვს თავისი ბატონის ნებართვის გარეშე გაყიდოს ყმა-მამული. როდესაც ციციშვილის აზნაურმა კლიმიაშვილმა მამული დააგირავა და გაყიდვა მოინდომა, ციციშვილმა მეფესთან იჩივლა და ასე დაასაბუთა თავისი საჩივარი: „თუ კი მამულს დამიგირავებს და გამიყიდის, რიღასი აზნაურიშვილი იქნებაო“.[156]

აზნაურული სამსახური აზნაურისათვის გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული: სათანადო სამხედრო აღჭურვილობით შეიარაღებული ცხენებით და მსახურებით. ზოგჯერ საკუთარი ნუზლითაც უნდა ვაჰყოლოდა აზნაური თავადს სალაშქროდ თუ სხვაგან და მასთან უნდა ყოფილიყო განუშორებლად. ეს იყო ბატონის მხრივ აზნაურის ყმა-მამულიდან მიღებული შემოსავლის გარკვეუ-

154 ხელ. ინ. ფ. Hd, № 9506.

155 სცა., ფ. 1448, № 805.

156 დოკ. II, № 311.

ლი ნაწილის მითვისების არაპირდაპირი ფორმა, რამდენადაც ის ხარჯები, რომელიც აზნაურის ამგვარ სამსახურთან იყო დაკავშირებული ხმარდებოდა ბატონის ინტერესების დაცვას, ფეოდალთა კლასის საერთო საქმეს, მათი კლასობრივი ბატონობის განმტკიცებას.

უფრო აშკარა ხასიათს ატარებდა ბატონის მიერ თავისი აზნაურის ყმა-მამულის პროდუქციის მითვისების მხრივ ის ვალდებულებანი, რომელთაც, მართალია არ ქონია რეგულარული და სავალდებულო ხასიათი, მაგრამ, რომლის დანერგვის ძლიერი ტენდენცია არსებობდა: შესაწევარის გაღება და აზნაურის ყმების გამოყენება ბატონის მეურნეობაში.

ამრიგად, ბატონი გამოდიოდა თანამონაწილედ თავისი აზნაურის ყმა-მამულის მოხმარების, სარგებლობის საქმეშიც. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ დებულებას, რომელიც ზემოთ გვქონდა გამოთქმული — ყმა-მამულზე საკუთრების უფლება აზნაურს განაწილებული აქვს თავის ბატონთან.

ჩვეულებრივ, თავადი ცდილობს შეინარჩუნოს და, თუ შესაძლებელია. მოამრავლოს ყმა-აზნაურთა რიცხვი სათავადოში. თავადის დაინტერესება აზნაურის შენარჩუნებით ყველაზე ძლიერად გამოსჭვივის იმ გარემოებაში, რომ თავადი სასტიკად ეწინააღმდეგება აზნაურის ყმობიდან წასვლას, თუნდაც ყმა-მამულის დატოვების პირობით. ტყვედ ჩავარდნილი აზნაურის გამოხსნას თავადი, ჩვეულებრივ, აქტიურად ცდილობს. ციციშვილის აზნაური ბექან დანდლიშვილი ლეკებს ჰყავდათ დატყვევებული და მეფეს გამოუხსნია. ციციშვილები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაიბრუნონ აზნაური. მეფესა და ციციშვილებს შორის იდება წიგნი, რომლითაც ციციშვილები პირობას უდებენ მეფეს, რომ, თუ ვერ შევძელით ამ აზნაურის დახსნა, თქვენი იყოსო, ხოლო თუ მოვახერხეთ და მოგართვით ის თანხა, რაც ამ აზნაურის გამოხსნაზე დაგეხარჯათ, ეს „ჩვენი აზნაურშვილი ისევ ჩვენ გვიბოძოთო".[157] ციციშვილებს მოუხერხებიათ თავიანთი აზნაურის დახსნა: 1781 წლის ერთი საბუთით, ბექან დანდლიშვილი ქალაქის მოურავის დავით ციციშვილის ყმაა.[158]

თავადი ჩვეულებრივ დიდი ხალისით ღებულობს თავის მამულში გარედან მოსულ აზნაურს, ამარაგებს ყმა-მამულით და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს ყმად. დამახასიათებელია ამ მხრივ

---

157 საქ. სიძ. III, № 16.

158 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1955.

იმერეთიდან გადმოსული აზნაურის საყვარელიძის ამბავი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. საყვარელიძე საბოლოო ჯამში, XVIII ს. 40-50-იან წლებში, ძლიერი ფეოდალის, დემეტრე ამილახვრიშვილის ყმა შეიქნა.

აზნაურების ლტოლვა ძლიერი ფეოდალის ყმობაში შესვლისაკენ დიდია, რაც სავსებით ბუნებრივია, აქ ისინი უკეთ არიან დაცული მეზობელი ფეოდალების შემოტევებისაგან და ეკონომიურადაც უფრო უზრუნველყოფილი არიან. განსაკუთრებით ძლიერდება აზნაურთა ლტოლვა ძლიერი ფეოდალების ყმობაში შესვლისა ისეთ პერიოდებში, როდესაც სამეფო ხელისუფლება დაცემულია. ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს მსხვილი ფეოდალები, როგორიც იყვნენ შანშე ქსნის ერისთავი, ან გივი ამილახვარი, საგრძნობლად ზრდიან თავიანთ ყმა-აზნაურთა რიგებს.

ყიზილბაშობა-ოსმალობის დროს მრავალ სათავადო აზნაურს მძიმე გასაჭირი ადგება თავს. მძიმე გადასახადები აჩანაგებს მათ მეურნეობას. თარხნიშვილების აზნაური რამაზ ცალქალამანიძე „ავის დროსაგან და ნამეტანის უსამართლოსა და გამოსაღების ბეგრისაგან“ სათარხნოს აყრას ჩივის და თავის ყმას თავს ახსნევინებს: „თათრობა იყო და მრავალი ბეგარა და ჭირი წამართვეს და სხვა ილაჯი არა მქონდა“, ვალი აგაღებინე და თავი დაგახსნევინეო.[159] ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ვერ ახერხებენ ცალქალამანიძენი თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებას და ხშირად მიმართავენ ყმა-მამულის გაყიდვას.[160] თარხნიანთ მეორე აზნაური, ჯორაშვილი იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა ყიზილბაშური გადასახადების გამო, რომ მიწების დაყიდვას რომ მორჩა, შვილსაც ჰყიდდა ტყვედ.[161]

ციცაშვილების აზნაური გვარამაძე, სათათრო გამოსაღებების სიმძიმით ღონემიხდილი, იძულებულია გაყიდოს მიწები.[162] ბოლოს, იმავე სიძნელეებით შეწუხებული მათი ბატონი თვითონ გვარამაძეებს ჰყიდის ტყვედ.[163]

---

159 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7051.

160 სცია, ფ. 1448, №№ 4189, 4178, 4423, 6511; ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. № 42; დავთ. № 40, საბ. № 179, დავთ. № 5, საბ. № 94.

161 ხელ. ინ. ფ. Hd, № 4250.

162 სცია, ფ. 1450, დავთ. 38, საბ. № 202; ხელ. ინ. ფ. Hd, № 982.

163 საქ. სიძ. III, № 459.

მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან და დიდ ზარალს განიცდიან ზოგჯერ აზნაურები საფეოდალო ომებსა და სათავადოებს შიგნით სასახლისკაცო ბრძოლა-ქიშპის დროს. რაც ხშირი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოში. მოვიტანთ ამის ერთ თვალსაჩინო მაგალითს: XVIII ს. 30-იანი წლების ბოლოს საციციანოში სახლისკაცებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა. ურთიერთ თავდასხმების დროს იჟლიტებოდნენ აზნაურები, ყმა-გლეხები, ნადგურდებოდა მათი მეურნეობა. ერთ-ერთ საბუთში მოტანილია ნუსხა იმ ზარალისა, რომელიც მოქიშპეთა ერთ-ერთმა მხარემ განიცადა თავდასხმების დროს. დახოცილთა და აწიოკებულთა ნუსხაში საციციანოს მრავალი აზნაურია დასახელებული. სახლთუხუცესი გიორგი გვერდწითელი მოკლეს. მის მეუღლეს ცეცხლით ამოხადეს სული. „საქონელი გამოაჩინეო". მათი შვილი „ციხიდამ გადააგდეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა". ამირან გვერდწითელი თავისი ცოლშვილით თათრებს მიჰყიდეს. მოჰკლეს შიოშ წინამძღვრიშვილი და სხვა აზნაურები. ამოწყვეტილთა და გაყიდულთა ნუსხაში ჩამოთვლილია 15-მდე აზნაური თავიანთი ცოლშვილით, მსახურ-მოახლეებით, ყმა-გლეხებით; დანიავებულია მათი ავლა-დიდება და სარჩო-საბადებელი — სურსათის მარაგი, პირუტყვი, თოფ-იარაღი, ოქრო-ვერცხლეული.[164]

ეს ერთი ეპიზოდია სასახლისკაცო ბრძოლისა სათავადოში. ამგვარი ბრძოლები მუდამ წარმოებდა. მაგრამ იგი განსაკუთრებით სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი მაშინ იყო, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება სამეფოში დაცემის გზაზე დგებოდა. თავადის მძლავრობაც თავის აზნაურზე, უსამართლო მოპყრობა და შევიწროება; უფრო ხშირი იყო ასეთ პერიოდებში. ამიტომ. ბუნებრივია. სათავადო აზნაურები ძლიერი სამეფო ხელისუფლების მომხრენი. ამ ხელისუფლების მოკავშირენი იყვნენ. მეფესა და სათავადო აზნაურებს შორის უშუალო კონტაქტის არ არსებობა ამ მოკავშირეობას პასიურს ხდიდა, ძალას უკარგავდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც იჩენდა ხოლმე თავს. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

164 სცია, ფ. 1448, № 5048.

# აზნაური, როგორც მემამულე და ყმათამფლობელი

ეკონომიური მდგომარეობის მხრივ აზნაურთა ფენა დიდი სიჭრელით ხასიათდება. ქონებრივად დაწინაურებულ აზნაურების გვერდით, რომელთა ყმა-მამული და შემოსავალი შეიძლება ერთ პატარა სათავადოს უდრიდეს, მრავლად არიან მცირეყმიანი და მცირემიწიანი ანდა სრულიად უყმო და უმიწაწყლო აზნაურებიც. აზნაურთა ეკონომიური მდგომარეობის სიჭრელე რამდენადმე ასახულია XVIII ს. დამდეგის სამართლის ძეგლში — ვახტანგის კანონებში. ისე როგორც თავადები, აზნაურები აქ სამ ხარისხად არიან დაყოფილი. აზნაურთა სისხლის შეფასების დროს ვახტანგის სამართალი არჩევს: 1. გადიდებულ აზნაურშვილს. 2. შუა აზნაურშვილს და 3. მესამე ანუ ცალმოგვ აზნაურს. ამისდა მიხედვითაა გაჩენილი სისხლი[1].

ვახტანგის სამართალში მოცემული დახარისხება XVIII ს. საბუთებში უხვადაა ასახული და გამოყენებული, რაც მოწმობს იმას, რომ ეს დაყოფა ცხოვრებაში არსებულ რეალურ მდგომარეობას გამოხატავდა. „ცალმოგვი აზნაური",[2] ანუ „დაბალი აზნაური".[3] ანდა „მესამე აზნაურშვილი".[4] „შუა აზნაურშვილი",[5] ანდა „მეორე აზნაურშვილი"[6] და ბოლოს. „პირველი აზნაურშვილი"[7] ან კიდევ სხვაგვარად „ამავალი აზნაურშვილი."[8] ასეთი გამოთქმები ხშირად გვხვდება XVIII ს. სასამართლო თუ სხვა ხასიათის დოკუმენტებში.

ვახტანგ VI შემდეგდროინდელი სასამართლო განაჩენებიც სისხლის გაჩენის დროს აზნაურთა ხარისხებად დაყოფის პრინციპით ხელმძღვანელობენ.

მთავარი საზომი. რომლითაც აზნაურთა სხვადასხვა ხარისხს განასხვავებდნენ, აზნაურთა ქონებრივი მდგომარეობა იყო. მაგრამ,

---

1 „გადიდებულის აზნაურის სისხლი—192 თუმანი... ამას ქუემოთის შუას აზნაურის სისხლი—96 თუმანი... ცალმოგვის მესამეს აზნაურის სისხლი 48 თუმანი ვახტანგ VI სამართლის წიგნი. თ. ენუქიძის გამოცემა. 1955. გვ. 57—58

2 ხელ. ინ. ფ. Sd, № 487; სცია, ფ. 1448, № 1694.

3 დოკ. II, № 140; ხელ. ინ. ფ. Ad, № 1694.

4 ხელ. ინ. ფ. Ad, № 196.

5 იქვე, ფ. Sd, № 487.

6 სცია, ფ. 1448, № 1259.

7 დოკ. II, № 154.

8 სცია, ფ. 1448, № 918.

ამასთანავე მნიშვნელობა ჰქონდა მის სამოხელეო მდგომარეობასაც. თუ აზნაური მეფის მოხელე იყო, მას თავის „გვარობის სისხლის გარეთად". „სახელოს სისხლიც" ეკუთვნოდა.[9]

აზნაურების დაყოფა სამ ხარისხად აზნაურთა კუთვნილებით სხვაობასთან კავშირში თითქოს არ ჩანს. რუსეთის მთავრობამ, რომელიც საქართველოში თავისი ხელისუფლების დამყარებისთანავე შეუდგა აქ აზნაურთა საკითხის შესწავლას, საკვლევ პუნქტთა შორის ასეთი საკითხიც დასვა — გაირჩევიან თუ არა ერთიმეორისაგან ხარისხების მიხედვით სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურები: „...не составляли ли вообще царские 1-ю, церковные 2-ю и княжеские 3-ю степени дворянства?„ ამ საკითხის გამოსარკვევად შერჩეულმა კომისიამ, რომელიც ქართველი თავადებისაგან შედგებოდა, ასეთი პასუხი გასცა: „дворянские фамилии разделяемы были по степеням судя тогдашняго положеня по имуществу, и по должностям царя и члена царского дома и чтобы когда-нибудь составляли вообще царские 1-ые, церковные 2-ой и княжеские 3-ю степени дворянства, то сего никогда не бывало. Иногда дворянина княжеского определяемо было.. за 1-й, а государственному за 3-ю степени за кровь сумму". აქვეა მოტანილი სათანადო მაგალითებიც[10]. ამასვე ამტკიცებენ სათავადო აზნაურები საქართველოს უმაღლესი მართებლობის საერო საკრებულოსადმი 1820 წ. წარდგენილ თხოვნაში. ისინი აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ მათგანს ხელთ უჭირავთ მეფის სასამართლოს განაჩენები, სადაც მათთვის პირველი ხარისხის აზნაურის სისხლია გადაწყვეტილი.[11]

ასეთი მტკიცება ფორმალურად სწორია. თავადის ყმობა თავისთავად ხელს არ უშლიდა იმას, რომ აზნაური პირველი ხარისხის კატეგორიაში მოხვედრილიყო. ამგვარი შეზღუდვა არც ერთ საკანონმდებლო აქტსა და სასამართლო განაჩენში აღნიშნული არ არის. მაგრამ ფაქტიურად ეკონომიურად დაწინაურებულ და, მაშასადამე, პირველი ხარისხის აზნაურებს სამეფო აზნაურებს შორის ვხვდებით. მათ სამეფო კარზე დაწინაურებისა და აღზევების მეტი შესაძლებლობა აქვთ, როგორც მეფეთაგან ყმა-მამულის წყალობად მიღების გზით, ისე თანამდებობათა შემოსავლის საშუალებით. აქ დაწინაუ-

---

[9] ვახტანგის სამართალი, დასახ. გამ. გვ. 58.

[10] სცია, ფ. 1, საქმე 127.

[11] სცია, ფ. 1, საქმე № 628. („ У некоторых из нас имеются царския решения, коими присуждена им-за кровь пения за первоклассного дворянина").

რების შესაძლებლობა მით უფრო დიდია, რომ მეფეთა საშინაო პოლიტიკა თავის აზნაურთა მდგომარეობის განმტკიცებას, მათ დაწინაურებას გულისხმობს. სამეფო ხელისუფლება ცდილობს თავისი დასაყრდენის შექმნას სწორედ ასეთი, მისგან ძლიერად დამოკიდებული, მისი მფარველობით და მხარდაჭერით დიდად დაინტერესებული, წვრილი ფეოდალების სახით მსხვილი, დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილი ძლიერი ფეოდალების, ძირძველი თავადების საპირისპიროდ.

სათავადო აზნაურთა შორისაც ადგილი აქვს აზნაურთა ეკონომიური დაწინაურების ცალკეულ შემთხვევებს. აქაც ასეთი დაწინაურების ძლიერი ფაქტორი, შემოსავლიანი თანამდებობების დაკავებაა თავადის კარზე. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია ციციშვილის აზნაურის თომა მეღვინეთხუციშვილის შესახებ: „ერთის ციციშვილის ოდენი შემოსავალი მეღვინეთხუციშვილს თომას ქონდა, რომ იმათი სახლთხუცესი იყო.“[12] მაშასადამე, ამ აზნაურის შემოსავალი თავადიშვილის შემოსავალს უდრიდა, მაგრამ დაწინაურებული, ქონებრივად ძლიერი აზნაურების რიცხვი სათავადო აზნაურებში შესამჩნევად დაბალია და მათი დიდი უმრავლესობა წვრილი მესაკუთრეა.

ის მამული, რომელსაც ჩვეულებრივ ფლობდა აზნაური, სრულიად განსაზღვრული შინაარსის შემცველი იყო. მას ეწოდებოდა „საზნაურშვილო მამული“, ანდა „საზნაურშვილო სამოსახლო“, ზოგჯერ მარტივად — „საზნაურშვილო“.[13] ამ გამოთქმაში გარკვეული სახისა და შემადგენლობის სამფლობელო ადგილ-მამული იგულისხმებოდა. ძირითადად ეს იყო: აზნაურის სასახლე თავისი სამეურნეო ნაგებობებით, სასახლის ყმებითა და მათი სამოსახლოებით, სასაფლაო-ეკლესიით, იშვიათად საკუთარი ციხით. აზნაურის საბატონო სახნავ-სათესი მამულები და ვენახები — ჭოდაბუნები, ზვრები და საგლეხო საკომლოები.

ასეთი შინაარსისაა, მაგალითად, ერთ-ერთი საბუთით, სამეფო აზნაურის შიოშ სააკაძის საზნაურიშვილო მამული. სააკაძეს აქვს თავისი სასახლე კოშკით სოფელ ბობნევში. ესაა, როგორც ჩანს, მისი სამფლობელოს ცენტრი, სადაც თვითონ ცხოვრობს და საიდანაც

---

[12] ხელნ. ინსტ. ფ. Hd, № 8385, ს.

[13] დოკ. II, № 92; ხელ. ინ. ფ. Hd, № 6034, და სხვ.

განაგებს მთელ თავის ყმა-მამულს. სასახლეს სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ობიექტები ახლავს: ბაღი, მარანი თავისი ქვევრებით, სასახლის ყმების საკომლოები, ნაფუძრები, საწისქვილო. სოფელ გალმაუბანში შიოშ სააკაძეს აქვს საკუთარი ზვარი საწნახლებით, წალკოტი თავისი ნიგვზებით და ხილნარით. ამას გარდა, შიოშ სააკაძე სხვადასხვა სოფელში (არჩვაძის-უბანი, გალმაუბანი, ბიისი, გარბუდეთი, ნიგოზეთი, საქალეთი, ფარეხა-სოფელი, კარუშეთები) ფლობს ყმებს თავიანთი მამულით.[14]

სააზნაურო მამულის შექმნის საინტერესო სურათს იძლევა სვეტიცხოვლის ყმის პაპუნა დოქიძის ნაშრომ-ნაღვაწის ნუსხა. პაპუნა დოქიძე თავდაპირველად ბაქარ ბატონიშვილის საუფლისწულო ყმა იყო, მაგრამ მისგან გამოიტანა თავი და სვეტიცხოვლის ყმა შეიქმნა დომენტი კათალიკოზის ხელისშეწყობით. თავისი ძველი ბატონისაგან, წესის მიხედვით, მხოლოდ მცირეოდენი ნასყიდი მამული გამოყოლია და ახალ მებატონესთან მყოფი შესაფერისი ყმა-მამულის შეძენა-შეგროვებას მიმართავს. კათალიკოზმა უწყალობა მას საყდარი სასაფლაოდ და უბოძა რამდენიმე კომლი ყმა თავიანთი მამულებით. გარდა ამისა, თავის კარზე რამდენიმე თანამდებობა (მოლარეთხუცესისა და ნაზირის, სოფელ აშენდას ნაცვლობა და მეღალობა) მისცა. ეს თანამდებობები, გარკვეულ შემოსავალთან დაკავშირებული, საშუალებას აძლევენ გააზნაურების გზაზე მდგომ ამ ყმას ხელი მიჰყოს მამულების შეძენას ყიდვის გზით. მას უყიდია ატენს სასახლის ალაგი და აუშენებია იქ, როგორც თვითონ წერს, „კარგი დარბაზი და საწოლი და მარანი და საკუჭნ[ა]ო და სახაბაზო და საჯინიბო და ბოსელი და კარაპანი და კალო-საბძელი“. იყიდა, აგრეთვე, იქვე ატენს ვენახები, რომლებიც ზვრად აქცია, იყიდა წისქვილი, ყმები და ა. შ.[15]

სათავადო აზნაურები, მუსხელაშვილები მათი გაყრილობის წიგნის მიხედვით ფლობენ: სასახლეს, საბატონო მიწებს, ჰყავთ ყმები თავიანთი მამულით, აქვთ წილი წისქვილში, ფლობენ სასაფლაოს ეკლესიაში.[16]

ამგვარი შემადგენლობისაა ხოლმე ჩვეულებრივ აზნაურის მამული, ანუ „სააზნაურშვილო“. მაგრამ ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ყველა აზნაურის ქონება ასეთი რთული სახისაა. ძალიან დიდია იმ აზნაურთა რიცხვი, რომელთა მამული რამდენიმე დღიური მიწით განიზომება, ანდა ესეც არა აქვთ. აზნაურთა უმრავლესობას თითო-

---

[14] ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 7251.

[15] იქვე, ფ. Ad, № 1656.

[16] სცსა, ფ. 1448, № 871.

ეროლა კომლი ყმა ჰყავს. არიან სრულიად უყმონიც. დაბოლოს, არსებობენ ბოგანო და ხიზანი. სარჩო-საბადებელს სრულიად მოკლებული აზნაურები, რომელთაც ოდენ მხოლოდ სახელი-ღა აქვთ შერჩენილი აზნაურისა.

XV — XVIII სს. აღმ. საქართველოს აზნაურთა ფენის ეკონომიური მდგომარეობის გარჩევისას ძირითადად გამოვდივართ აზნაურთა ამ ხანების საგვარეულო საბუთებში შემონახული ცნობებიდან. როგორიცაა წყალობისა და ნასყიდობის სიგელები, გაყრილობის წიგნები, იშვიათი გამონაკლისის სახით შედგენილი ყმა-მამულის ნუსხები და სხვა დოკუმენტები (არზები, სასამართლო, განაჩენები და სხვ.). ამგვარ მასალებში გაფანტული სახით, ფრაგმენტალურად, ზოგჯერ სხვათა შორის, გაკვრით არის მოცემული ცნობები ამა თუ იმ აზნაურის ეკონომიური შესაძლებლობის შესახებ. მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალებით ხშირად ძნელდება. ასეთ შემთხვევაში გვეხმარება XIX ს. დამდეგის მასალები.

XIX ს. დასაწყისიდანვე მოგვეპოვება ხალხთა აღწერის ვრცელი დავთრები, ე. წ. კამერალური აღწერილობანი, რომელშიც ზოგჯერ საინტერესო და უხვი ცნობებია შემონახული აზნაურთა მფლობელობის შესახებ. ამასთანავე უსათუოდ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ეს აღწერილობანი, რა თქმა უნდა, მთელი სისრულით ვერ ასახავენ არსებულ ვითარებას და უეჭველ სიზუსტეს ხშირად მოკლებულია—ბევრი რამ არის აქ ნებით თუ უნებლიეთ, განზრახ თუ შემთხვევით გამორჩენილი, ზოგჯერ გაზვიადებული, ანდა განგებ შემცირებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა არსებული მდგომარეობის ზოგადი სურათის აღსადგენად ძვირფას ცნობებს იძლევიან, რამდენადაც ეს ცნობები რეალურ სინამდვილეს დიდად არ უნდა იყოს დაშორებული.

ცნობათა სიუხვის თვალსაზრისით სხვადასხვა წელს შედგენილი ეს აღწერილობები ყველა ერთნაირი ღირებულებისა არა ჩანს. ზოგიერთ მათგანში ცნობები მოსახლეობის ქონებრივ მდგომარეობაზე მეტისმეტად ზოგადადაა მოცემული და რაიმე ხელშესახები ცნობების მიღება აზნაურთა მფლობელობის შესახებ ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. მაგრამ, ამასთანავე, მოგვეპოვება ისეთი სახის აღწერილობებიც, სადაც სრულიად კონკრეტული ცნობებია შემონახული: რამდენი კომლი ყმა ჰყავს ამა თუ იმ აზნაურს, როგორია ამ ყმათა საქმიანობა და, ზოგჯერ, ქონებრივი შესაძლებლობა, რა შინაარსისა და მოცულობის მამული ეკუთვნის აზნაურს, რა რაოდენობით ფლობს სახნავად ვარგის მიწებს, ბაღ-

ვანახებს. წისქვილს. სკას და სხვა სამეურნეო ობიექტებს. პირუტყვს (რქოსანი საქონელი, ცხენი, ცხვარი, ღორი). ზოგიერთი აღწერილობათაგანი შეიცავს ცნობებს არამარტო იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის სახნავად ვარგისი მიწა აქვს აზნაურს, არამედ იმასაც, რა რაოდენობის მიწას იყენებს იგი აქედან დასამუშავებლად და რა შემოსავალს ღებულობს მოხნული მიწიდან და ბაღვენახებიდან. ამავე დროს, აღნიშნულია ზოგჯერ ისიც, თუ რა სახის საკუთრებას შეადგენენ აღნიშნული მამულები აზნაურისა (სამკვიდრო, ნასყიდი, ნაწყალობევი). როდესაც აზნაურს საკუთარი მიწა არ გააჩნია, მოცემულია ზოგჯერ ცნობა, რომ იგი სარგებლობს სხვისი მიწით, სალალედ ამუშავებს მას (за плату) და ნათქვამია ისიც, თუ რა რაოდენობის შემოსავალს ღებულობს ამ გზით.

სამწუხაროდ, ამგვარი, მდიდარი შინაარსის შემცველი აღწერილობები შედარებით მცირეა და, შეიძლება ითქვას, გამონაკლისსაც კი შეადგენენ. ამ მხრივ უსათუოდ გამოირჩევა თავისი მდიდარი ცნობებით გორის მაზრის სახაზინო აზნაურების აღწერილობა, შედგენილი 1818 წელს — „Ведомость коронным дворянам, в Горийском уезде живущим[17]" ავრეთვე, ამავე წელს შედგენილი გორის მაზრის საეკლესიო ყმათა კამერალური აღწერილობა და ერთი-ორი კიდევ სხვა, რომლებზე დაყრდნობითაც ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ ცნობას აზნაურთა ქონებრივი შეძლების შესახებ.

აზნაურთა მფლობელობის შესახებ საინტერესო სურათს იძლევა XIX საუკუნის დასაწყისს საგანგებო მიზნით შედგენილი საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის აღწერილობაც.[18]

XIX საუკუნის დასაწყისს რუსეთის მთავრობამ საქართველოში დასვა საკითხი საეკლესიო აზნაურების სახელმწიფო უწყებაში გადაყვანის შესახებ. გადაწყდა მათი ამ უწყებაში გადაყვანა ყმა-მამულის გარეშე. აზნაურის ყმა-მამული ეკლესიას უნდა დარჩენოდა. ამის გამო საჭირო გახდა აზნაურთა მფლობელობის გამორკვევა, რათა დაახლოებით იმგვარივე რაოდენობის ყმა-მამულით დაეკმაყოფილებინათ ისინი სახელმწიფო მიწების ფონდიდან. ამ მიზნით ჩატარდა საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის აღწერა. აღწერილ იქნა თბილისის, გორის და დუშეთის მაზრებში მცხოვრები საეკლესიო აზნაურების ყმა-მამული. ეს აღწერილობა საინტერესო დოკუმენტს

---

17 სცია, ფ. 254, № 58, გვ. 85—125.

18 სცია, ფ. 254, № 408.

წარმოადგენს. მაგრამ საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ერთი გარემოება: თუ ზემოთ ხსენებული კამერალური აღწერილობა დგებოდა იმ მიზნით. რომ მის საფუძველზე მოწესრიგებული ყოფილიყო სახელმწიფო გადასახადების აკრეფის საკითხი. ხოლო ამასთან დაკავშირებით ყმა-მამულის ნამდვილი რაოდენობის დაფარვა და ხელოვნურად შემცირებაა მფლობელთაგან სავარაუდებელი. აქ. საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის აღწერილობაში. უკვე სხვა. ამის საწინააღმდეგო მომენტია ანგარიშგასაწევი. ეს აღწერილობა ისეთი საქმისათვის იყო გამიზნული. რომელიც ხალისს აძლევდა აზნაურებს ხელოვნურად გაეზარდათ თავიანთი ყმა-მამულის ნამდვილი რაოდენობა იმ მიზნით. რომ ასეთივე გაზრდილი რაოდენობის ყმა-მამული მიეღოთ შემდეგ სახელმწიფოსაგან. გარდა ამისა. მხედველობაში მისაღებია ისიც. რომ საეკლესიო აზნაურები შედარებით სათავადო აზნაურებთან. რომელთა რიცხვი დიდად სჭარბობდა. საეკლესიო აზნაურებს. შედარებით უკეთ იყვნენ მამულებით უზრუნველყოფილი. მიუხედავად ყოველივე ამისა, აღწერილობა მოწმობს. რომ საეკლესიო აზნაურების უმრავლესობა მცირე რაოდენობის ყმა-მამულს ფლობს. საშუალოდ 20 — 30 დღიურ მიწას; განსაკუთრებით კი აზნაურები გამოირჩევიან თავიანთი მცირეყმიანობით.

1818 წელს შედგენილ გორის მაზრის საეკლესიო ყმათა კამერალურ აღწერილობაში[19] მოცემულია ცნობები 18 სოფელში მცხოვრები 52 კომლი საეკლესიო აზნაურის მიწათმფლობელობისა და მეურნეობის შესახებ. თითოეული აზნაურის ქონებრივი მდგომარეობის აღწერილობა იწყება. ჩვეულებრივ. იმის აღნიშვნით. რომ აზნაურს გააჩნია საკუთარი სახლი (იშვიათ შემთხვევებში. როდესაც აზნაურს ასეთი რამ არა აქვს. აღნიშნულია, რომ „იგი სხვის სახლში ცხოვრობს"). შემდეგ მოდის აზნაურის სახნავი მიწების რაოდენობრივი აღწერა. აზნაურთა სახნავი მიწებით უზრუნველყოფის მხრივ აღწერილობაში დიდ სიჭრელეს ვპოულობთ. არიან ისეთი აზნაურები, რომელთაც ან სულ არა აქვთ სახნავი მიწა. ან ერთხახევარ დღიურს ფლობენ, ან კიდევ 200 დღიური სახნავი მიწა აქვთ. აღწერილობაში მოცემული ცნობები ამგვარი ცხრილის შედგენის შესაძლებლობას იძლევა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1-დან | 15 | დღიურამდე | სახნავ | მიწას | ფლობს | 12 აზნაური |
| 20-დან | 80 | „ | „ | „ | „ | 8 „ |
| 100-დან | 200 | „ | „ | „ | „ | 12 „ |

---

[19] სცია, ფ. 254, № 608.

სრულიად არ გააჩნია საკუთარი სახნავი მიწა 18 აზნაურს.

პროცენტებში რომ გამოვსახოთ ეს ცხრილი. იგი ასეთ სახეს მიიღებს:

აზნაურთა 35%-ს სრულიად არ გააჩნია სახნავი მიწა; მცირემიწიანები, ე. ი. ისეთები, რომელნიც 1 დღიურიდან 15 დღიურამდე ფლობენ 27%-ია. 20 დღიურიდან 80 დღიურამდე მიწას 15% ფლობს და 100-დან 200 დღიურამდე სახნავ მიწას — 23%.

მოცემულ ცხრილში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება. რომ უმრავლესობა მცირემიწიანი და უმიწო აზნაურები არიან. ასეთები 62%-ს შეადგენენ. ამასთანავე, საკმაოდ დიდია ისეთი აზნაურების რიცხვი. რომელთაც საკუთარი მიწა არა აქვთ (52-დან 18-ია).

დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს უფრო ადრინდელი, 1804 წ. გორის მაზრის სახაზინო აზნაურთა კამერალური აღწერილობითაც.[20] აღწერილი 82 აზნაურიდან: 1-დან 15 დღიურამდე მიწას ფლობს 21 აზნაური, ანუ 25%. 20-დან 80 დღიურამდე ფლობს 25 აზნაური. ანუ 30%. 100-ზე მეტ დღიურ მიწას ფლობს 13 აზნაური, ანუ 15% .25 აზნაურს, ანუ 30%-ს სულ არა აქვს სახნავი მიწა.

მაშ, აქაც უმიწო და მცირემიწიანი აზნაურები უმრავლესობას შეადგენენ (55%) და საკმაოდ დიდია უმიწო აზნაურთა რიცხვი (82-დან 25-ია).

ორივე ზემოგანხილული კამერალური აღწერილობის ერთ-ერთი გრაფა გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, თუ სახნავი მიწების ამ საერთო რაოდენობიდან რამდენს იყენებს აზნაური დასამუშავებლად. ამ ცნობებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება. რომ, ჩვეულებრივ, გამოყენებული მიწების რაოდენობა მეტად მცირეა.

მოხნული მიწების სიმცირე აზნაურის განკარგულებაში მყოფი მიწების რაოდენობასთან შეფარდებაში განსაკუთრებით თვალში საცემია იმ აზნაურთა მამულებში. რომელნიც შედარებით მსხვილი მიწათმფლობელები არიან. ასე მაგალითად. სოფ. რუისს მცხოვრები აზნაური სპირიდონ ფანიაშვილი ფლობს 200 დღიურ სახნავ მიწას, ხნავს კი მხოლოდ 30 დღიურს (ე. ი. გამოყენებული აქვს სახნავად მთელი სახნავი მიწების მხოლოდ ერთი მეექვსედი, თუ მეშვიდედი). სოფ. ბრეთას მცხოვრები აზნაური ფრიდონ ფანიაშვილი ფლობს 200 დღიურს. ხნავს აქედან მხოლოდ 20 დღიურს. სოფ. კავთისხევს მცხოვრები აზნაურები გაბრიელ. დიმიტრი და თომა შიხაიდრიშვი-

---

[20] სცია, ფ. 254, № 54.

ლები. რომლებიც სამ ოჯახად ცხოვრობენ. საერთოდ ფლობენ 200 დღიურ სახნავ მიწას, აქედან ხნავენ 15-15 დღიურს ორნი, ხოლო მესამე 5 დღიურ მიწას. ცხინვალს მცხოვრები აზნაური პაატა ლუზნაძე 70 დღიური სახნავი მიწის პატრონია. აქედან ხნავს 8 დღიურს.

მოტანილი მაგალითები საბაზინო და სათავადო აზნაურებს ეხება. მოვიტანთ ამავე წლის საეკლესიო ყმათა კამერალური აღწერილობის ცნობებს: სოფ. სვენეთის მცხოვრები აზნაური შატბერაშვილი ფლობს 100 დღის სამკვიდრო მიწას. აქედან ამუშავებს მხოლოდ 15 დღიურს. სოფ. ზემორეხს მცხოვრები აზნაური იოსებ ახახიაშვილი ფლობს 200 დღიურს. ამუშავებს 20-ს. სოფ. მეღვრეკისს მცხოვრები აზნაური ალექსი ღედანაშვილი ფლობს 35 დღის საეკლესიო მიწას და 15 დღისას საკუთარს. ნასყიდს, ე. ი. სულ 40 დღიურს, ამუშავებს კი 10 დღისას. ხოლო იქვე მცხოვრები სიმონ ღედანაშვილი კი. რომელიც 40 დღის საეკლესიო სახნავ მიწას ფლობს და კიდევ 15 დღისა თავისი ნასყიდი აქვს, ამუშავებს მხოლოდ 3 დღიურს. როგორც ვხედავთ, მიწების საერთო რაოდენობასა და გამოყენებული მიწების რაოდენობას შორის განსხვავება ძალიან დიდია. შეიძლებოდა გვეგულისხმა. რომ მიწების საერთო რაოდენობაში ჩვეულებრივ ნაგულისხმევია სახნავად გამოუსადეგარი მიწებიც, ტყიახი და ქვა-ქვიშიანი ადგილები. თუმცა. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად აღწერილობაში ნათქვამია ხოლმე ასე -- „земли удобной и неудобной для паханья (столько-то) дней паханья", ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში კი ასე წერია იქ: „земли пахатной на (столько-то) дней". მაგრამ კიდევაც რომ სახნავად გამოუსადეგარი მიწებიც ვიგულისხმოთ მიწების საერთო ფონდში. მაინც მოხნული მიწების რაოდენობა მეტისმეტად მცირე ჩანს.

ეს ფაქტი. მოხნული მიწების მცირე რაოდენობა. მიუთითებს პირველ რიგში იმაზედ. რომ მიწების დამუშავების შესაძლებლობა აზნაურებს შორის მეტად დაბალია. მათ არ გააჩნიათ ამისათვის საჭირო მუშახელი, განიცდიან ყმა-გლეხთა ნაკლებობას. ამიტომ აუთვისებელი რჩებათ მიწების დიდძალი რაოდენობა. აუთვისებელი მიწების დიდი რაოდენობით არსებობა. ამასთანავე. მიუთითებს იმ ფაქტზედაც, რომ მათი მფლობელები აწარმოებენ მხოლოდ იმდეხს. რამდენიც მათთვის აუცილებელი საჭიროებაა. ე. ი. არ არიან სასაქონლო წარმოებაში ჩაბმულნი. მათ არ გააჩნიათ სტიმული და საშუალება აწარმოონ ბაზრისათვის, ზრუნავდნენ მეურნეობის გაფართოებაზე და კმაყოფილდებიან საკუთარი მოთხოვნილებების

დაკმაყოფილებით. ამიტომაა, რომ თუკი აზნაურს უჩნდება ხელთ მატერიალური შესაძლებლობა, უგროვდება ფულადი თანხა, ეს უმეტეს წილად ისეთი აზნაურებია, რომელთა შემოსავლის წყაროს ყმა-მამულის გარდა აუცილებლად რაიმე შემოსავლიანი თანამდებობა წარმოადგენს.

კამერალურ აღწერილობებში მოცემულია აგრეთვე ცნობები ბაღ-ვენახების რაოდენობის შესახებ აზნაურის მეურნეობაში. ზემოთგანხილული გორის მაზრის საეკლესიო ყმების აღწერილობა ასეთ ცნობებს გვაწვდის: 52 აზნაურიდან 41 აზნაური ფლობს ვენახს. ე. ი. აზნაურთა დიდი უმრავლესობა. მხოლოდ 11 აზნაურს არ გააჩნია ვენახი. აზნაურთა ვენახები უმეტესად მცირე მოცულობისაა. უმრავლესობას (25 აზნაურს, ვენახის მქონე 41 აზნაურიდან) 2 დღიურზე ნაკლები ფართობის ვენახები აქვთ (½, 1 ან 1½ დღიური), დანარჩენებს — 2. 3. 4 და იშვიათად 5 დღიური ვენახი. დაახლოებით ასეთივე სურათია სახაზინო აზნაურთა აღწერილობითაც. აქ უვენახო აზნაურთა რიცხვი შედარებით მეტია — თუ საეკლესიო აზნაურთა შორის ისინი 30%-ს შეადგენდნენ, აქ მათი რიცხვი 43%-ს უდრის. უმრავლესობას აქაც 2 დღიურზე ნაკლები ფართობის ვენახი უჭირავს. იმ აზნაურთა რიცხვი, რომელნიც ამაზე უფრო დიდი ფართობის ვენახებს ფლობენ (2 დღიურიდან 7 დღიურამდე) აქ 3%-ით მეტია საეკლესიო აზნაურებთან შედარებით.

აზნაურთა ვენახები შემოსავლის მიხედვით სხვადასხვაგვარია. ერთი დღიური ვენახი ზოგ შემთხვევაში 10 კოკა ღვინოს იძლევა, ზოგ შემთხვევაში კი 40 კოკას. 2 დღიურიანი ვენახი ერთ შემთხვევაში 15 კოკა შემოსავალს იძლევა. მეორე შემთხვევაში კი 100 კოკას და ა. შ.

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობები მოწმობენ, არსებობს უმიწაწყლო აზნაურების საკმაო რაოდენობა. ასეთი აზნაურები ხშირად რომელიმე ფეოდალისაგან იღებენ მიწას და სალალედ ამუშავებენ მას. ე. ი. მიწის მესაკუთრეს ლალას უხდიან. ასე მაგალითად, კამერალური აღწერილობის ცნობით, სოფ. გომს მცხოვრები აზნაური ზურაბ თაზიშვილი სახნავ მიწას არ ფლობს, იგი ამუშავებს საეკლესიო მიწას 5 დღისას. სოფ. მეტეხს მცხოვრებ სიმონ თუხარელს სახნავი მიწა არ აქვს, მაგრამ იგი ხნავს 12 დღის მიწას ასევე — ე. ი. სხვას უხდის ლალას. იქვე მცხოვრებ დავით ყავრიშვილს საკუთარი მიწა ½ დღისა აქვს და, რადგანაც ეს მეტისმეტად ცოტაა, იგი ხნავს აგრეთვე სხვა. 6 დღის მიწას „за галлу".

აზნაურთა უმრავლესობისათვის, როგორც უკვე აღნიშნული იყო. წვრილი ფეოდალური საკუთრება არის დამახასიათებელი ამას მოწმობს. როგორც ცალკეული სააზნაურო სახლების საბუთების გაცნობა მათ ერთობლიობაში, ისე საგანგებო ნუსხები აზნაურთა მფლობელობის შესახებ.

ასე. მაგალითად, 1818 წელს შედგენილი ქართლის აბაშიძეთა აზნაურების ყმა-მამულის აღწერილობიდან ჩანს. რომ იქ შეტანილი საანაშიძეოს აზნაურები მხოლოდ რამდენიმე დღიურ სახნავსა და თითო ან ½ დღის ბაღს ფლობენ. ჰყავთ რამდენიმე ყმა. ანდა ზოგჯერ სრულიად უყმონი არიან. რამდენიმე აზნაურის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი სრულიად უმიწაწყლონი არიან. ასეთი აზნაურები უმეტეს წილად ბატონის კარზე იმყოფებიან და იქ პოულობენ სარჩოს.

საშილახვროს ყმების ერთ ნუსხაში. სადაც 17 აზნაურია აღწერილი. 3 აზნაურის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი უყმონი არიან. 2 აზნაურის შესახებაც ნათქვამია. რომ ისინი ცალმოგვი აზნაურები არიან. მათაც ყმები არა ჰყავთ, დანარჩენ 12 აზნაურს კი ამ აღწერილობით მხოლოდ რამდენიმე კომლი ყმა და ბოგანო გლეხი ჰყავს.[21]

საკმარისია ერთი თვალის გადავლება 1721 წლის სომხით-საბარათიანოს ცნობილი აღწერილობისათვის.[22] რომ ადამიანს თვალში ეცეს უყმო და მცირეყმიან აზნაურთა დიდი რაოდენობა.

XIX-ს-ის დამდეგს შედგენილი საეკლესიო აზნაურების აღწერილობაში. 108 აზნაურის სახლია აღწერილი, აქედან 34 უყმო აზნაურია.

უყმო აზნაური ხშირი მოვლენაა XVII — XVIII საუკუნეების საბუთების მიხედვითაც. ერთს წერილში. რომელიც XVIII საუკუნეშია დაწერილი. უცნობი პირი სწერს ვინმე ბატონ იარალის: „...უწყი ძმა, რომ ჩვენი უბედურობით ასე გავხდით. რომ ერთი კომლი კაცი არა გვყავს და თუ მოხერხდებოდეს და ან იქნებოდეს, მეფის სძალი შუამდგომელ ჰყო თავის მაზლის მეფის ძეს იულონთან და ორი კომლი თელეთელი კაცი გიბოძოს თავის მამულით.... რომ ჩვენც აზნაურიშვილი ვართ და ერთი კომლი კაცი არა გვყავს. ნაკლებობა არის, ჩვენ რომ ერთი კაცი არა გვყვანდეს".[23]

---

21 სცია, ფ. 1448, № 1694.

22 ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. თბ., 1907.

23 ხელ. ინ. ფ. Hd № 6628.

აზნაური ნიკოლოზ გოგიბედაშვილი არზით მიმართავს ერეკლე II-ეს: „უყმო კაცნი გახლავართ და გლეხის კაცის გამოსაღებსა და ბეგარაში გვრევდნენო".[24]

ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება აზნაურ ქვლივიძეთა ოჯახი — მათაც ყმები არ გააჩნიათ და ჩივიან იმის გამო, რომ მოსე-ლეები უსამართლოდ აკისრებენ გადასახადს [25] (კანონით აზნაურს, რომელსაც ყმა არა ჰყავდა, სახელმწიფო გადასახადი არ ეთხოვე-ბოდა, ვინაიდან აზნაური პრივილეგირებულ ფენას ეკუთვნოდა და ამდენად სახელმწიფო გადასახადებისაგან თავისუფალი იყო).

აზნაური, როგორც ყმათა მებატონე, შემდეგი ნიშნებით ხა-სიათდება: ვინაიდან აზნაურები (საუბარია მათი ძირითადი მასის შესახებ) წვრილი მემამულეები არიან, ყმათა ექსპლუატაცია მათ მამულში განსაკუთრებით ძლიერია. აზნაურ-ბატონს, ჩვეულებრივ, არ აქვს საშუალება რამდენადმე ხელშემწყობი პირობები შეუქმნას თავის ყმა-გლეხს ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის. მას ხშირად საშუალება არ აქვს უზრუნველყოს იგი მიწების საკმარისი რაოდენობით, შეუმსუბუქოს ბეგარა-გადასახადები მაშინ, როდესაც ძლიერ უჭირს ყმას. აზნაურები ხშირად ყმათა გაძლიერებული ექს-პლუატაციის უხეშ ხერხებს მიმართავენ. უზომოდ ზრდიან ბეგარა-გადასახადებს და უსამართლო „უდები" გადასახადებით ტვირთავენ ყმა-გლეხებს. საამისო ფაქტები მრავლად მოგვეპოვება აღებული ხანის მასალებში. მაგალითისათვის მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: აზნაური ზურაბ გედავანიძე კულუხს ახდევინებდა თავის ყმას. ეს გადასახადი, როგორც თვითონ გედავანიძე წერს, ყმას არ ევალებო-და. თავი რომ დაეღწია ამ უსამართლო გადასახადისათვის, გლეხს ქრთამის გაღება დასჭირდა. გლეხისათვის მიცემულ კულუხის ამო-კვეთის წიგნში გედავანიძე წერს: „კულუხს გართმევდით, უსა-მართლო გჭირდა. შევიტყვეთ, რომ ძველად არა გდებოდა კულუხი და მოხვედით და კულუხის ამოკვეთას შემოგვეხვეწენით... ასე რომ ცოტა რამე მოგვართვი ფასადა და კულუხი ამოგიკვეთე".[26]

მუხრან-ბატონის აზნაურმა თავის ყმას, ობოლს წამოზრდა არც კი დააცადა, 10 წლისა მოსტაცა დედას და მსახურად წაიყვანა. საინ-ტერესოა ისიც თუ რით დაასაბუთა აზნაურმა თავისი საქციელი:

---

24 სცია, ფ. 1448, № 837.
25 სცია, ფ. 1448, № 3611.
26 ხელ. ინ. ფ. Hd, № 9472.

„...ამ ბიჭის მამა და ბიძები ასე დაიკარგნენ, დაისოცნენ. მე არც თვალით დამინახვნენ... მე [ე]ს ბიჭი ხელში ძლივს ჩავიგდე, ესეც დამეკარგება. ჩემი მკვიდრი ყმა ამის მეტი არა მყავს რა..-ო."[27]

აზნაური დავით ელიოზიშვილი თვითვე აღწერს მეფისადმი მირთმეულ არზაში, თუ რა მძიმე ექსპლუატაციას უწევს იგი ყმას. მას იმდენად შეუწუხებია ეს ყმა, რომ იგი ყელამდე ვალებში ჩავარდნილა: „ეს კომლი ყმა მყავანდა, — წერს ელიოზიშვილი, — ამათაც ჭირი შეუდგათ. კაცი მოკვდა, იმისი ობლები დარჩნენ და მე რომ ბინა არსადა მაქვს, იმათთან გახლავარ და ვაწუხებ და ვალით ყელამდინ სავსენი არიან და მამულიც დაგირავებული აქვსთ. ახლა ცალგნით მოვალე[ე]ბი აწუხებენ, მეორედ გამოსაღების იასაულნი უდგანან და აღონებენ, მესამედ, ხომ მე შევიქენ იმათ სინაბარას და ვაღონებ... გევედრებით, მოწყალება მოიღოთ და ეს კაცი გამითარხნოთ, რომ ან ჩემი მოვლა შეიძლოს, ან ვალის პასუხის ძლევა...".[28]

აზნაურ-მებატონის მიერ ყმათა გაძლიერებული ექსპლოატაციის ბუნებრივი შედეგია ის, რომ კლასობრივი ბრძოლის ხერხი, რომელიც გლეხთა მიწიდან აყრაში მდგომარეობდა და, საერთოდ, დიდად იყო გავრცელებული ფეოდალურ საქართველოში, ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებულია სწორედ აზნაურთა ყმების მიერ. აზნაურის ყმები უფრო ძლიერ მებატონესთან, მსხვილ თავადებთან, ან მეფესთან, გარბიან, ანდა ეკლესიებს აფარებენ თავს.

ხშირად იმის გამო, რომ აზნაურს საშუალება არ აქვს მეურნეობისათვის საჭირო პირობები შეუქმნას თავის ყმას, ეს აზნაური ძალაუნებურად ურიგდება ისეთ მდგომარეობას, როდესაც მისი ყმა ხიზნად დგას სხვაგან, სხვის მამულში, და გარკვეულ გადასახადსაც უხდის მამულის პატრონს. ბატონი მასზე თავის ბატონყმურ უფლებებს ამის შემდეგაც ინარჩუნებს, მაგრამ ყმობა, ეკონომიურ საფუძველს გამოცლილი, ხშირად უკვე გაქრობის საფრთხის წინაშე დგება. ბატონი კი, რა თქმა უნდა, სანამ ამის ძალა აქვს, თავს არ ანებებს თავისი უფლებების გავრცელებას სხვასთან ხიზნად მდგომ ყმაზე და აიძულებს მოემსახუროს. იმ მიზეზის გამო, რომ ყმას არ სურს აზნაურ-ბატონის სამსახური და ზოგჯერ კიდევაც წასულია მისგან, აზნაური ხშირად იძულებული ხდება სხვას მიჰყიდოს ეს ყმა, რომ რაიმე სარგებლობა მაინც ნახოს მისგან.

---

27 სცია, ფ. 1448, № 853.

28 სცია, ფ. 1448, № 4277.

ასეთივე მიზეზებით არის ზოგჯერ გამოწვეული აზნაურ-ბატონის მიერ თავისი ყმისათვის თავდახსნილობის წიგნის მიცემა. აზნაური იძულებული ხდება თავი დაახსნევინოს ყმას. ვინაიდან იგი მაინც არ ემორჩილება, წასულია მისგან.

აზნაური ზოგჯერ იმ მიზეზითაც ჰკარგავს ყმებს, რომ მას, როგორც ეკონომიურად სუსტ მებატონეს, ხშირად საშუალება არ აქვს გამოიხსნას ვალებში ან ტყვედ ჩავარდნილი ყმა. რაც ამ დროს ფართედ გავრცელებული ტყვეთა სყიდვისა და ლეკიანობის პირობებში ხშირი მოვლენაა. აზნაური მაშინ იძულებული ხდება ხელი აიღოს ყმაზე იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც მის დახსნას შეძლებს. ზოგჯერ აზნაური იძულებულია გაყიდოს ყმები იმის გამო, რომ თვითონაა ჩავარდნილი ვალებში და სხვა გამოსავალი არ აქვს. არაიშვიათია ისეთი საბუთები, სადაც აღნიშნულია, რომ ყმასა და მის აზნაურ-მებატონეს „ლაპარაკი გამორევია“. აზნაური-მებატონე ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში დებს პირობას, რომ „ძალასა და უსამართლობას“ არ უზამს თავის ყმას, რომ მას „ჯაბრით არ მოეკიდება“.[29] ზოგჯერ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც მიდის.[30]

ვინაიდან აზნაურს ხშირად არ ემორჩილებიან ყმები და ადგილი აქვს მისი მამულიდან ყმათა აყრა-გაქცევის მასობრივ შემთხვევებს, აზნაური-ბატონი ძლიერად საჭიროებს მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების არსებობას სახელმწიფოში, რომელიც დაეხმარება მას საბატონო უფლებების დაცვასა და რეალიზაციაში და როდესაც აზნაურს არ შეუძლია თავისი ძალით დაიმორჩილოს ყმები, შეაჩეროს მათი წასვლა მამულიდან, აართვას მათ დაკისრებული გადასახადი, ანდა უკან დაიბრუნოს გაქცეული ყმა, იგი დახმარებისათვის სამეფო ხელისუფლებას მიმართავს ხოლმე. მეფე. რამდენადაც შეუძლია. იცავს აზნაურის საბატონო უფლებებს. მაგრამ სამეფო ხელისუფლება ყოველთვის როდი დგას სათანადო სიმაღლეზე და ყოველთვის როდი ძალუძს მას აზნაურის დაცვა. აზნაურს ხშირად ყმები ეცლება ხელიდან მეზობელი ფეოდალების მხრიდან მომძლავრებისა და შევიწროების გზით. სათავადო აზნაურების ყმები აკლებასა და დარბევას განიცდიან სათავადო სახლის წევრებს შორის ამტყდარი დავისა და ურთიერთ ქიშპის დროს. არის შემთხვევები, როდესაც, არღვევს რა ბატონყმობის დადგენილ რიგს, ესა თუ ის თავადი აიძულებს თავისი აზნაურის ყმა-გლეხს მოემსახურონ მას.

---

29 ხელ. ინ. ფ. Qd, № 1675, 35.

30 სცია, ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. № 267.

ყოველივე ამის შედეგი ისაა, რომ აზნაურთა ძირითადი მასა ხშირად ვერ ახერხებს თავის მამულში ინტენსიური მეურნეობის წარმოებას. თუმცა. მეორეს მხრით. შეინიშნება მეურნეობის გახვითარების ამა თუ იმ გზის ძიების ცდები.

აზნაურთა ძირითადი მასა. როგორც უკვე აღვნიშნეთ. ხასიათდება მცირე ყმიანობით. მასალებში აშკარად შეინიშნება შეუსაბამობა აზნაურის მიწებისა და მათი დამუშავებისათვის საჭირო მუშახელის — ყმა-გლეხთა რიცხვს შორის.

ნაწილი მცირეყმიანი და უყმო აზნაურებისა თავისი სენიორის კარზე ცხოვრობს და კარზე სამსახურით ირჩენს თავს, მაგრამ ესაა მხოლოდ ერთი ნაწილი. მეორე ნაწილი კი. უფრო მრავალრიცხოვანი. ისეთი აზნაურებია. რომელთაც საკუთარი მეურნეობა აქვთ. ისეთ შემთხვევაში. როდესაც აზნაურ-მებატონეს არ ჰყავს საჭირო მუშახელი, იგი მიმართავს მიწების დამუშავებას სხვისი ყმების საშუალებით — მიწების საღალედ გაცემის გზით. აზნაურთა საბუთებში მიწების საღალედ გაცემის შემთხვევები მრავალია. აზნაურთა ყმა-მამულის ნუსხებში ამგვარი მიწები ზოგჯერ ცალკეა გამოყოფილი „საღალე მამულების" სახელწოდებით.

მიწების საღალედ გაცემის დროს მიწის გამცემსა და აძლებს შორის პირადი დამოკიდებულება არ მყარდება. მიწის აძლები ვალდებული იყო მოსავლის გარკვეული ნაწილი ღალის სახით მიწის პატრონისათვის მიეცა. ჩვეულებრივ მათი შეთანხმება (თუ განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებდა) წერილობით არ ფორმდებოდა. პირობა მარტივი და ცნობილი იყო და ამა თუ იმ კუთხის ჩვეულებას ემყარებოდა.

ხშირად აზნაურს. რომელსაც საღალედ ჰქონდა გაცემული მიწა. უჭირდა ამ მიწის მოსავლიდან თავისი წილის მიღება ღალის სახით. აზნაური თავისი, როგორც მებატონის. სისუსტის გამო ხშირად იმასაც ვერ ახერხებს. რომ დაიმორჩილოს საკუთარი ყმები და გამოართვას კუთვნილი გადასახადი და მით უფრო უძნელდება მას ეს საქმე იქ. სადაც არა მისი ყმის. არამედ გარეშე პირისაგან გადასახადის გამორთმევის საკითხი დგება. ასეთ შემთხვევაში აზნაური დასახმარებლად კვლავ სამეფო ხელისუფლებას მიმართავს.[31]

მიწის საღალედ აძლებნი და დამმუშავებელნი. ცხადია. ისეთი გლეხებია, რომელნიც უზრუნველყოფილნი არ არიან მიწით. ასეთები კი უფრო ხშირად ისევ აზნაურის ყმები არიან. გლეხების მიერ მი-

---

[31] დოკ. II, № 205.

წის სალალედ აღება. ჩვეულებრივ. მათი ბატონის ნებართვით და. შეტყობით ხდება. ის არის ხოლმე შეთანხმების მონაწილეც.

სალალედ მიწის აღება ამ ყმა-გლეხთათვის ხშირად ერთადერ-თი საშუალებაა ამ გადასახადების გასასტუმრებლად. რომელიც თა-ვიანთი მემკვიდრე ბატონის წინაშე აკისრიათ.

სახნავ მიწების სალალედ გაცემას გარდა მებატონე-აზნაურები ზოგჯერ მიმართავენ მიწების გაცემას ზედ ვენახის გასაშენებლად[32] აზნაურის მამულში დაქირავებული მუშა-ხელის. მოჯამაგირეების გამოყენების შემთხვევებსაც ვხდებით.[33]

ჩვენ განვიხილეთ აზნაურის, როგორც ყმა მებატონისა და მე-მამულის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი, დასასრულს შევჩერ-დებით კიდევ ორიოდეზე.

სათავადო სახლებისაგან განსხვავებით. სადაც გაბატონებულია საკუთრების სამი ფორმა (სასახლო ანუ სახასო, საუფლისწულო და სათავისთაო). საააზნაურო სახლში ჩვენ ვხდებით საკუთრების მხო-ლოდ ორ ფორმას 1. საერთო სასახლო ანუ „სახასო“ და 2. სათავის-თავო. რაც შეეხება საუფლისწულო საკუთრებას (რაც სათავადოს მკვლევართა განმარტებით არის სახასო საკუთრების ნაწილი, მიცე-მული სათავადო სახლის წევრთათვის დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში)[34] იგი, არც ამ სახელწოდებით და არც სხვა რაიმე შესატყვისი ტერმინით, აზნაურის სახლში დადასტურებული არაა. აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგიც: სააზნაურო სახლში მეტად ძლიე-რია ტენდენცია ცალკე. დამოუკიდებელ ოჯახებად გამოყოფისა. ამი-ტომ გაყრა და საერთო ქონების განწილვა ოჯახებს შორის ძალიან ხშირია. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, არის ის, რომ აზნაურის სახლი თავისთავადს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ერთეულს არ წარმოად-გენს სახელმწიფოში. (ამით იგი არსებითად განსხვავდება სათავადო სახლისაგან). სააზნაურო სახლის ძლიერება. თუ სისუსტე მისი სე-ნიორის (მეფე. ეკლესია. თავადი) სისუსტე-სიძლიერეზეა დამოკი-დებული. სააზნაურო სახლის უშიშარ არსებობას. მისი ყმა-მამულის დაცვას აზნაურის სენიორი ახორციელებს. ამდენად. სახლის გამ-სხვილებას და დაუშლელობას ყმა-აზნაურისათვის შედარებით ნაკ—

32 სცია. ფ. 1448, № 7926, 8154.

33 ხელ. ინ. ფ. Qd № 696: სცია, ფ. 1448, № 2935, (ამ საბუთში აღნიშნუ-ლი მამულების „ფასით მუშაობა“ ჩვენის აზრით დაქირავებული მუშა-ხელით დამუშავებას გულისხმობს); სცია, ფ. 1450, დავთ. № 30, საბ. № 229 და სხვ.

34 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 273; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ. გვ. 139—140.

ლება მნიშვნელობა აქვს. არც აზნაურის სენიორი არის დაინტერესებული თავისი აზნაურის სახლის გაუყრელობით. მას სწორედ აზნაურთა სახლების სიმრავლე აინტერესებს პირველ რიგში (აზნაურის ძირითადი მოვალეობა ხომ სენიორის ხლებაა და რაც უფრო მეტია სააზნაურო სახლი სენიორიაში ამ სახლების მით უფრო მეტი წარმომადგენელი იმყოფება სენიორის სამსახურში). სოლო, მეორე მხრივ, აზნაურთა ფეოდალური სახლების ტენდენცია კოლექტიური საკუთრების წინააღმდეგ იმითაც აიხსნება, რომ აზნაური, როგორც მცირეყმიანი ფეოდალი, განსაკუთრებით არის დაინტერესებული ყმა-გლეხთა მაქსიმალური და ამავე დროს რაციონალური (რამდენადაც ამის შესაძლებლობას მისი ეკონომიური სივიწროვე აძლევს) ექსპლუატაციით. რაც ყმა-მამულის ინდივიდუალური საკუთრების პირობებში უფრო ადვილი მისაღწევია.

თავი მეხუთე

## შინაკლასობრივი ბრძოლა თავადებსა და აზნაურებს შორის

აზნაურისა და თავადის ურთიერთობა აშკარა თუ ფარული შინაკლასობრივი წინააღმდეგობით და ბრძოლით ხასიათდება. აზნაური, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, მკაცრ ბატონყმურ უღელშია ჩაბმული. მას შესაძლებლობა არ აქვს თავისი ნებით აირჩიოს ბატონი. სათავადო აზნაურები თავადებს შორის ამტყდარ სასახლისკაცო დავასა და საფეოდალოებს შორის წარმოებულ შინა ომების დროს დიდ სიძნელეებსა და ზარალს განიცდიან ხოლმე. ისინი ხშირად ხდებიან თავადებისა თუ თავადიშვილების მხრიდან უსამართლო მოპყრობისა და მიმძლავრების მსხვერპლი. თავადები ზოგჯერ ცდილობენ გადასახადებით დაბეგრონ აზნაურები, თავიანთ მეურნეობაში გამოიყენონ აზნაურთა ყმა-გლეხები. ყოველივე ამას აზნაურები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ და ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. ფარულად უკავშირდებიან სამეფო ხელისუფლებას მის ბრძოლაში თავადების წინააღმდეგ და შესაფერ პირობებში აშკარადაც გამოდიან მეფის მხარეზე. ბატონის მიტოვება და სხვასთან მისვლა ყმად (რაც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება) ბრძოლის ერთ-ერთი ხერხია. არის აზნაურთა ჯგუფური გამოსვლის შემთხვევები ბატონის წინააღმდეგ. აღებული ხანის საბუთებში შინაკლასობრივი ბრძოლის მრავალი მაგალითია ალბეჭდილი.

არა ერთი ასეთი შემთხვევა გვაქვს საციციანოში. ნიკოლოზ ციციშვილი 1800 წ. ჩივის მეფესთან თავის აზნაურებზე, მაღრაძესა და

კლიმიაშვილზე: „იმ ჩემს აზნაურიშვილს (კლიმიაშვილს.— გ. ა.) ჩემი ბატონ-ყმობა არ უნდა და ის მტანჯავს“-ო. მაღრაძე და კლიმიაშვილი თვითნებურად რუსეთს წასულან, იქ 4 წელი დაუყვიათ: „ახლა მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს, ახლა ყმასა და მამულსაც მართმევენ“-ო, ჩივის თავადი.[1]

როგორც გიორგი XII ბრძანებიდან ჩანს, მაღრაძეს ციციშვილთა ყმობიდან გამოსვლა და სამეფო ყმად გახდომა განუზრახავს. მეფე ბრძანების ასეთ წიგნს აძლევს მას: „თქვენც ასე იცოდეთ და თქვენმა ძმისწულებმაც. ჩვენთან ხლება რომ მოგინდომებიათ, ღვთის მოწყალებით, ჩვენც მწყალობელნი ვიქნებით და თავის ჟამზე საზნაურშვილო მამულზედაც დაგაყენებთ და არცარა გაგიჭირდება და არცარა გეთხოებათრა კარზე სამსახურის მეტი და არც არავის სხვას კაცს თქვენთან საქმე ექნება ჩვენი და ჩვენი შვილების მეტს“.[2]

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში აზნაურს თავისი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ეკონომიური საფუძვლის გაჩენა მოუხერხებია — რუსეთიდან „თეთრი მოუტანია“ და სამეფო ხელისუფლების ხელისშეწყობით სათავადო ყმობიდან თავის დაღწევას ლამობს. აღწევს კიდევაც: 1801 წ. ამილახვარ ციციშვილი არზით მიმართავს დავით მემკვიდრეს და სთხოვს, რომ „საცა ან აზნაურშვილი და ან გლეხი კაცნი იყოს დაფანტული, ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ ავყაროთ და საცა ჩვენი ნება იყოს, იქ დავაყენოთ“-ო. დავით მემკვიდრემ სათანადო ოქმი უბოძა, ოღონდ ოქმში საგანგებოდ დასძინა: „მაღრაძეს გიორგი მღვდელთან, იმის ძმისწულებთან და იმათ გლეხკაცთან კი საქმე არა აქვს და სხვა ყველა ამილახვარისა არის“-ო.[3]

კლიმიაშვილის ცდა კი ასეთივე წარმატებით ვერ დაგვირგვინებულა. 1805 წ. ის თავის ბატონს ნიკოლოზ ციციშვილს ბატონყმობის წიგნს აძლევს, სადაც ცოდვებს ინანიებს მის წინაშე და მომავალში მორჩილებას ჰპირდება.[4] თუმცა, დავა მათ შორის ამის შემდეგაც გრძელდება.[5]

---

[1] მასალები, № 205.
[2] ხელ. ინ. ფ. Qd, № 707.
[3] იქვე, ფ. Sd, № 298.
[4] იქვე, ფ. Hd, № 14708.
[5] იქვე, № 14712; ფ. Sd № 3310.

ციციშვილების აზნაური რუისელი დაფქვიაშვილი ინტენსიურად ეწეოდა მამულების შესყიდვას.[6] რუისელ აზნაურთა და სამღვდელოთა მოწმობით, დაფქვიაშვილს „საცა მდგომარეობა აქვს მამულ-ადგილისა, თუ რასაც ფერის საცხოვრებლისა, არაფერი ციციანთაგან წყალობა არ აქვს ამ ნიკოლოზს. სულ თავის ნასყიდს მამულ-ალაგზე დგას, რომელიც მრავალი სიგელი ხელთ უპირავს ნასყიდობისა".[7] არის ნიშნები იმისა, რომ დაფქვიაშვილი ციციშვილისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ლამობს. 1771 წ. ის მეფისაგან უშუალოდ ღებულობს ყმის სახელმწიფო ბეგარისაგან განთავისუფლების წიგნს იმ საბაბით, რომ საკუთარი ძალებით თავის მამულში კოშკი აიშენა.[8] მაგრამ ციციშვილი, ჩანს, თავისი მეთოდებით შეებრძოლა დაფქვიაშვილის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებებს. როგორც ირკვევა, XVIII ს. დამლევს დაფქვიაშვილსა და მის ბატონს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. 1798 წ. იოანე ბატონიშვილი ოქმში სწერს მერაბ მამუჩაშვილს, რომ „დაფქვიაშვილები თავის ბატონს მოარიგეო".[9] ხოლო XIX ს. დამდეგის საბუთებიდან ჩანს, რომ გიორგი ციციშვილს დაფქვიაშვილისათვის ყმაგლეხი წაურთმევია და თავისთვის იმსახურებს. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ციციშვილი გასწყრომია დაფქვიაშვილს და უთქვია მისთვის — „ვიააც გინდა, ეყმეო". როგორც ჩანს, ციციშვილს მითვისებული აქვს მიმძლავრებით დაფქვიაშვილის ყმა-მამული, ვინაიდან დაფქვიაშვილი შერიგებას თხოულობს, მაგრამ „კნიაზმა არ ინება ეს და თავისთვინ საკუთრად გარდიდო ამისი ყმა და მამული".[10]

XVIII ს. მეორე ნახევარში მეფემ ციციშვილს ღალატის გამო ჩამოართვა აზნაურები თომა მეღვინეთხუცაშვილი და ლუარსაბ წინამძღვრიშვილი. უეჭველია, ეს აქტი თვით ამ აზნაურების თანხმობითა და სურვილით ხდება.

აქტიურ შინაკლასობრივ ბრძოლას ვხვდებით ქსნის საერისთავოში. ამ ბრძოლის განსაკუთრებით მკაფიო მაგალითი გვაქვს ქსნის საერისთავოს მსხვილი აზნაურის ფიცხელაურის მოღვაწეობაში. ფიცხელაურთა ბრძოლა ქსნის ერისთავების წინააღმდეგ მთელი

---

6 სცია, ფ. 1450, დავთ. № 30, საბ. №№ 234, 239, 231, 227, 225.
7 ხელ. ინ. ფ. Qd, № 730.
8 იქვე, ფ. Hd, № 6029.
9 იქვე, ფ. Qd, № 730.
10 იქვე, ფ. Hd, № 3307.

სიცხადით არის ასახული სპეციალურ გამოკვლევაში და ამიტომ ამ ბრძოლაზე აქ აღარ შევჩერდებით.[11]

ფიცხელაურები თავიანთ ბრძოლაში ქსნის ერისთავებთან მარტონი არ არიან. ამ ბრძოლაში ჩაბმულია ერისთავთა სხვა აზნაურებიც. ასეთებს ეკუთვნიან, მაგალითად, თულაშვილები. ბრძოლაში, მეფესა და ქსნის ერისთვისშვილებს შორის რომ წარმოებდა, თულაშვილები მეფეს უკავშირდებიან და გარკვეულ სამსახურსაც უწევენ მას. ამის გამოა, ალბათ, რომ თულაშვილები შანშე ერისთვისშვილისაგან დიდ შევიწროებას განიცდიან.[12] გაწეული სამსახურისათვის იულონ ბატონიშვილი 1789 წ. იოსებ თულაშვილს ყმა-მამულს უბოძებს.[13] იმავე წელს ერეკლე II მას ხათრიჯამობის წიგნს აძლევს: რა სახელოებსაც ფლობდით ერისთვისშვილების კარზე, არ მოგაკლებთ, თუ არ მოგიმატებთო.[14]

როგორც ცნობილია, 1790 წლიდან ქსნის ერისთავები მთლიანად განდევნილი არიან მათ სათავადოდან და მათი ყმა-მამული სამეფოდ არის დადებული, ბატონიშვილებს უჭირავთ საგამგეოდ. 1801 წლის შემდეგ ქსნის ერისთვიანთ დაუბრუნდათ ყმა-მამული, მათი აზნაურები ფავლენიშვილები, ფურცელაძეები და ხმალაძენი, ფიცხელაურებთან ერთად თავს აღარ უდებენ ყმობაზე ერისთავებს. ეს აზნაურები ჩივიან, რომ არ ეკუთვნიან ერისთავებს და სამეფო აზნაურები არიან,[15] ამასვე ამტკიცებენ გარაყანიძეებიც.[16]

სასტიკი შინაკლასობრივი ბრძოლა წარმოებს არაგვის საერისთავოში. ეს ბრძოლა განსაკუთრებით ძლიერად იჩენს თავს საერისთავოს გაუქმების წინა ხანებში (1740-იანი წლების დასაწყისს). 1743 წ. არაგველებმა თავიანთი ერისთავი მოკლეს და საერისთავო თეიმურაზ II დაიპყრა. როგორც ირკვევა, თეიმურაზ მეფეს არაგვის აზნაურთა შორის თავისი ერთგულები ჰყოლია, რომელთაც მას სამსახური გაუწიეს და იქ დამკვიდრებაში ხელი შეუწყეს. 1743 წელსვე თეიმურაზ II ბეჟან შაბურიშვილს წყალობა უყო. წყალობის წიგნში ჩაუწერა: „ჩვენის სახლის მეფეთა და მეპატრონეთაგან დი-

---

[11] შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე. ტ. XX—B. 1959. გვ. 139—169.

[12] სცია, დავთ. № 37, საბ. №№ 59, 61, 51.

[13] ხელ. ინ. ფ. Hd, № 890.

[14] სცია, ფ. 1450, დავთ. № 34, საბ. № 195.

[15] იქვე, ფ. 2, № 431, 433.

[16] იქვე, ფ. 1, № 261.

დი წყალობა გჭირვებოდათ, ერთგულნი ყოფილიყავით“ და ახლაც ერთგულად მოგვიდექით და გვემსახურენით“-ო.

არაგვის ერისთავთაგან დევნილია და მეფეთა ერთგულია ადამ ყარანგოზიშვილი. ადამის მამა-ბიძებისათვის ბარძიმ ერისთავს თვალები დაუთხრია და თავიანთი მამულიდან გამოუყრია. ისინი კახეთს გახიზნულან. ადამ ყარანგოზიშვილი წერს, რომ შემდეგში მეფე ერეკლემ 'შეგვიწყალაო და ჩვენი მამული დაგვიბრუნაო.[17] ბარძიმ ერისთავი, რომელზეც არის საბუთში საუბარი 1731-39 წლებში მეთაურობდა არაგვის საერისთავოს. საბუთი მოწმობს, თუ რა შინაური შფოთი და ბრძოლა წარმოებდა ამ დროს არაგვის საერისთავოს შიგნით. საბუთში ნათქვამია, რომ იმ დროს „მამული სხვათაც წართმეული ქონდათ“-ო.[18]

აზნაურებსა და თავადებს შორის შინაკლასობრივი ბრძოლის მაგალითებს ვხედებით შედარებით უფრო სუსტ სათავადოებშიც.

ამირეჯიბსა და მის აზნაურ ბაქრაძეს შორის XVIII ს. მეორე ნახევარში უთანხმოებაა. 1775 წ. ზაზა ამირეჯიბი მეფისადმი მირთმეულ არზაში წერს: „ჩემს ყმას ბაქრაძეს არზა მოურთმევია და მიჩივის“. შფოთის აღმძვრელი და მიზეზი კი მუდამ თვითონ არისო.[19]

XVIII ს. პირველ ნახევარში ოთარ ჯავახიშვილსა და მის აზნაურს გიორგი ბეჟანიშვილს შორის სასისხლო საქმე ჩამოვარდნილა. ბეჟანიშვილს ოთარის სისხლი დასდებია და კათალიკოზ დომენტის გამოუხსნია ის.[20] ხოლო ნასყიდა ბეჟანიშვილი ჯავახიშვილებს შემოკვდომიათ და ბეჟანიშვილების მოყვრები თავდებად უდგებიან ნასყიდას შვილებს, რომ ისინი არაფერს დაუშავებენ ჯავახიშვილებს და მათი ერთგული ყმები იქნებიან.[21] XVIII ს. მეორე ნახევარში გიორგი ბატონიშვილს ლეკებში დატყვევებული ბეჟანიშვილები ოთარ, იოსებ და იოანე გამოუხსნია და მათი ნასყიდი ყმამამულიანურთ თავისთვის დაუდვია ყმად.[22]

ფალავანდიშვილებსა და მათ აზნაურ ლუარსაბ ნაგლაძეს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა, რომელშიც მეფეც ჩარეულა და ბრძანება გამოუცია — თუ ნაგლაძე მივა თავის სამკვიდ-

---

17 სცია, ფ. 1450, დავთ. № 13, საბ. № 75.

18 ხელ. ინ. ფ. Qd, № 2200.

19 იქვე, ფ. Ad. №№ 1600.

20 იქვე, ფ. Hd, № 14073.

21 ოო. I, № 342.

22 სცია, 1448, № 814.

რო ბაზულზე და ფალავანდიშვილების ერთგულ სამსახურს იკისრებს. ეს უკანასკნელნი მას მამულს ნუ მოუშლიან; თუ კი ნაგლაძე მათ არ ეყმობა, ფალავანდიშვილებს უფლება აქვთ მისი ყმა-მამული თავისთვის დაიჭირონ. ეს ბრძანება 1781 წ. გამოიცა.[23] 1797 წ. კი ლუარსაბ ნაგლაძე ერთგული სამსახურისა და ყმობის წიგნს აძლევს თავის ბატონებს „ერთობით ფალავანდიშვილებს", სადაც წერს, რომ „ბატონი ჩემი გლახა და გიორგი რომელსამე საქმით და სიტყვით განვარისხე და მე მძიმედ ბრალეული შევიქენ"-ო, ახლა მაპატიეთ დანაშაული და პირობას ვიძლევი, რომ როგორც ბატონყმობის რიგია, ისე გემსახუროთ და გაამოთო.[24]

დასასრულ, შევჩერდებით ამილახვრიანთ ყმა-აზნაურთა ერთ საინტერესო დოკუმენტზე, რომელიც თვალნათლივ ასახავს შინაკლასობრივი ბრძოლის ერთ მომენტს საამილახოროში XVIII ს. დასასრულს. ეს საბუთი გვისურათებს სათავადო აზნაურთა მდგომარეობის ზოგიერთ უარყოფით მხარეს, მათი უკმაყოფილების მიზეზებს და რაც მთავარია, საბუთში ალბეჭდილია აზნაურთა ჯგუფური, ორგანიზებული გამოსვლის შემთხვევა, როდესაც აზნაურები თავიანთ ბრძოლაში თავადის წინააღმდეგ გლეხთა ჩაბმასაც კი ცდილობენ.

1796 წ. საამილახოროს აზნაურები: ქარუმიძეები, ჩიკოიძეები, ლიპარიტისშვილები, თუხარლები, ზაალისშვილები, ყანჩიელი, გიოგაშვილები, ალექსიშვილი, ბასილაშვილი, ტარშაიჭაშვილი, მურაჩაშვილი, ამილახვართა ეკლესიის სამთავისის აზნაური ქავთარაძე და სამთავისის ეპისკოპოსი [illegible] და ფიცის წიგნს დებენ. ირკვევა, რომ ოთარ ამილახვრის სახლში დავა წარმოებს სახლიშვილებს შორის უფროს-უმცროსობაზე, დავის დროს ადგილი აქვს აზნაურებისა და გლეხების დარბევა-აწიოკებას, „ჭრილობას", „აკლებას", როგორც ნათქვამია საბუთში. სამთავისის ეკლესიის ყმებს „უსამართლო დებულებას"ართმევენ. აზნაურები წერენ, რომ მათ სცადეს ამილახვართა შერიგება, მაგრამ უშედეგოდ. ახლა გადაწყვიტეს დაიფიცონ და ერთად იბრძოლონ ამილახვართაგან მოყენებული აკლება-დარბევის წინააღმდეგ: „ვიყვნეთ ერთი მეორის კაი მდომნი და რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლო ცემა, ჭრილობა, აკლბეა და შვილების მოახლეთ წართმევა კვჭირვებია, ამაებს ნუღარ ვიყაბულებთ". აზნაურებმა ერთობლივი მოქმედების

[23] იქვე, ფ. 1450, დავთ. № 34, საბ. № 226.

[24] იქვე, № 227.

გეგმა გამოიმუშავეს: მეფესთან ერთად იჩივლებენ. ამილახვრებთან მოლაპარაკებას ერთად აწარმოებენ. გათვალისწინებულია გლეხების გამოყენება და ბრძოლაში ჩაბმა: „სადაც აზნაურშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულმა იქ უსამართლო მოინდომოს. აზნაურშვილმან გლეხს კაცს უქომაგოს და გლეხმა აზნაურიშვილსა და ერთი მეორეზედ, ვინც შორს იდგეს. კიდევ ერთი მეორეს მიეშველნეთ"-ო. შეთანხმების ერთ-ერთი მუხლი მოითხოვს. რომ უფლისწულებმა (ამილახვრიშვილებმა) ამილახვრის ბარათის გარეშე არაფერი გამოართვან გლეხს და დებულება არ მოუმატონ. ამ საბუთის სახით ერთი სათავადოს აზნაურთა ერთობლივი, ჯგუფური გამოსვლის საინტერესო ფაქტი გვაქვს. განსაკუთრებით საინტერესოა გლეხობის ჩაბმა აზნაურთა ბრძოლაში. ჩვეულებრივ. აზნაურთა ბრძოლა სათავადოში ისეთი ძალისა არ ყოფილა, რომ გლეხთა მასები მოეზიდა და ჩაება. პირიქით, კლასობრივი წინააღმდეგობა გლეხებსა და აზნაურებს შორის იმდენად ძლიერი იყო. რომ ასეთ რასმეს გამორიცხავდა. ამჯერად კი აზნაურ-მებატონეთა და სათავადოს ყმა-გლეხთა ინტერესები დაემთხვა. მათ ორთავეს ერთნაირად ზიანს აყენებდა სათავადოს სახლისკაცთა თავაშვებული მოქმედება და ძალმომრეობა და აზნაურებმაც ამის გამოყენება სცადეს თავიანთ ბრძოლაში.

როგორც ჩანს. აზნაურებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ამ დოკუმენტზე მათ ოთარ ამილახორს თანხმობა მოაწერინეს და მის სახლის წევრებსაც ბეჭდები დაასმევინეს.[25]

ეს დოკუმენტი, როგორც აღვნიშნეთ. სათავადო აზნაურთა შინაკლასობრივი ბრძოლის, ერთი სათავადოს აზნაურთა ერთობლივი, ორგანიზებული გამოსვლის თვალსაჩინო ნიმუშია.

აზნაურთა შინაკლასობრივი ბრძოლის ზემოთგანხილულ შემთხვევათა დიდი უმრავლესობა XVIII ს. მეორე ნახევარს. უფრო კი ამ საუკუნის დასასრულს ეხება. უეჭველია, ამ დროისათვის არის სავარაუდებელი შინაკლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული გაძლიერება. არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ერეკლე II ბრძოლას სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ. მან თავისი გავლენა მოახდინა აზნაურთა შინაკლასობრივი ბრძოლის გაღვივების საქმეშიც. შ. ხანთაძე თავის წერილში „სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში" სამართლიანად შენიშნავს. რომ გა5-

25 სცია, ფ. 1448, № 4473.

საკუთრებით თვალსაჩინო ძალისაა აზნაურთა ბრძოლა „მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-19 საუკუნის პირველ მესამედში. როცა ქართულ საზოგადოებაში სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა იწყება (ერეკლე მეორე...) და რუსეთთან შეერთება კი ბოლოს უღებს სათავადოთა პოლიტიკურ სისტემას".[26]

სათავადო აზნაურების ბრძოლა თავისთავად მიზნად არ ისახავდა რაიმე ძირფესვიან გარდაქმნებს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში. ამ ბრძოლის ცალკეული შემთხვევები. ჩვეულებრივ, გამოწვეული იყო ხოლმე თავადების მხრით არსებული ბატონყმური რიგის დარღვევებით. თავადები ზოგჯერ ცდილობენ ისეთი სამსახური დააკისრონ აზნაურებს, რომელიც მათ მანამდე არ ედოთ, ან კიდევ უხეშად არღვევენ აზნაურთა მფლობელობას, სამამულო უფლებებს და სხვა მისთანას, რაც აზნაურთა აქტიურ წინააღმდეგობას იწვევდა და საფუძვლად ედო მათ გამოსვლებს თავადების წინააღმდეგ.

სათავადო აზნაურებს გარკვეული პოლიტიკური სიმპათიებიც ახასიათებდათ. ძლიერი სამეფო ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაში წესრიგის დამყარების საწინდარია, დაიცავდა აზნაურთა უფლებებს თავადების მხრით ყოველგვარი ძალმომრეობისაგან. სათავადო აზნაურები, ჩვეულებრივ, მიისწრაფვიან მეფის სახასო ყმობისაკენ, რამდენადაც ამ გზით მათ სოციალური და ეკონომიური დაწინაურების მეტი შესაძლებლობანი ელით. ყოველივე ამის გამოა, რომ სათავადო აზნაურები სამეფო ხელისუფლების ბუნებრივი მოკავშირენი არიან მის ბრძოლაში თავადების წინააღმდეგ.

თავადებსა და მათ აზნაურებს შორის არსებული წინააღმდეგობა, მათ შორის შინაკლასობრივი ბრძოლის ფაქტები ობიექტურად ხელს უწყობენ თავადების ძლიერების შერყევას, ხელს უწყობენ ქვეყნის პროგრესული ძალების ბრძოლას საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, მაგრამ აზნაურთა ფენის შიგნით არსებული დანაწევრებისა და გათიშულობისა, აზნაურთა საერთო მასის არაერთფეროვნების პირობებში აზნაურთა შინაკლასობრივი ბრძოლა რაიმე სერიოზული და ღრმა შედეგების მომტანი საზოგადოებრივი ურთიერთობის გადახალისების მხრივ XVIII ს. მეორე ნახევარში არ ყოფილა. უფრო შედეგიანი ხდება ის XIX ს. პირველ ნახევარში. როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალი ხელისუფლება გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს თავად-

---

[26] აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. ტ. XX—B. 1959. გვ. 132.

აზნაურთა ერთიანი კონსოლიდირებული ფენის შესაქმნელად. სათავადო აზნაურთა შინაკლასობრივი ბრძოლა ამ დროს ახალი ძალით იშლება.

### თავი მეექვსე

## სამეფო ხელისუფლება და სათავადო აზნაურები

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მეფესა და სათავადო აზნაურებს შორის უშუალო ურთიერთობა XV—XVIII სს. საქართველოში შეწყვეტილია. ამ ურთიერთობას მეფე თავადის საშუალებით ახორციელებს.

სათავადო აზნაურის შეწყალება-დასჯა, მისი გამოყენება სამსახურში, მონაწილეობა აზნაურის ყმა-მამულის მფლობელობაში, ყოველივე ეს თავადის უფლებას შეადგენს, რომლის განხორციელებაში ის სრულიად დამოუკიდებელია სამეფო ხელისუფლებისაგან.

მეფესა და სათავადო აზნაურს შორის აღმართული ზღუდე განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს ჯარის გამოყვანისა და სახელმწიფო გადასახადების შეწერა-აკრეფის საკითხში. სათავადო აზნაური თავისი ყმებით თავადის სამხედრო რაზმს შეადგენს ლაშქრობის დროს. სახელმწიფო გადასახადი ეწერება სათავადოს და თავადი ანაწილებს ამ გადასახადს თავის ყმებზე, მათ შორის თავის აზნაურებზეც.

ძირითადი დაბრკოლება მეფესა და სათავადო აზნაურებს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარების გზაზე, საბოლოოდ რომ სთიშავს მათ, არის ის, რომ აზნაურს უფლება არა აქვს მიატოვოს თავისი სენიორი და სხვა სენიორის სამსახურში გადავიდეს ისე, თუ უარს არ იტყვის მთელ თავის უძრავ ქონებაზე. აზნაურების დიდი ნაწილი, ამრიგად, მეფის უშუალო ყმობას ჩამოცილებულია. მეფე ვერ დაასაქმებს, თავის სამსახურში ვერ გამოიყენებს სათავადო აზნაურს (იქნება ეს სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახური), ვერ დასჯის დანაშაულისათვის, ვერ შეუწყობს ხელს მის ეკონომიურ დაწინაურებას, ვერ უწყალობებს ყმა-მამულს. არც მის ყმა-მამულზე მიუწვდება ხელი აზნაურის უძეოდ გარდაცვალების შემთხვევაში.

ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობას სამეფო ხელისუფლება გულგრილად ვერ ურიგდება და ის ხელისუფალი, რომელიც თავის ძალაუფლების განმტკიცებისათვის ზრუნავს, ცდილობს შეებრძოლოს არსებულ ვითარებას. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე მოპოვე-

ბულ და დამკვიდრებულ უფლებას, ცხადია. ადვილად ვერ სთმობს თავადი და ხელისუფალი, რომელიც თავადების ამ უფლებებს უტევს. სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება.

პირველი მეფე, რომელმაც აშკარად სცადა არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ გამოსვლა, ერეკლე I იყო.

ერეკლე I მოღვაწეობაში ყურადღებას იქცევს ცალკეული შემთხვევები უშუალო კავშირის დამყარებისა მეფესა და სათავადო აზნაურებს შორის. საკმაოდ ხშირად გვხვდება ერეკლე I წყალობის წიგნები, გაცემული სათავადო აზნაურებისადმი, რაც ჩვეულებრივ პირობებში მოცემული დროის ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის უჩვეულო რამ არის. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა. სათავადო აზნაურს წყალობის წიგნს, იქნება ეს ყმა-მამულის ბოძების თუ სითარხნის წყალობის წიგნი, აძლევს მხოლოდ და მხოლოდ თავადი, აზნაურის უშუალო სენიორი. მეფისაგან ყოველგვარი დამტკიცების გარეშე. XVII საუკუნის მიწურულს კი გვხვდება არა ერთი წყალობის წიგნი ერეკლე I მიერ სათავადო აზნაურთადმი ბოძებული. ასე მაგალითად, ერეკლე I კობიაშვილს (რომელიც არაგვის ხეობის მკვიდრი აზნაურია და არაგვის ერისთავის ყმა) უბოძა ყმა-გლეხი თავისი მამულით.[1]

XVII საუკუნის ბოლოს. როდესაც ქართლში ერთდროულად მეფობენ ერეკლე I და გიორგი XI, ქართველი თავადების ერთი ნაწილი ერთ მეფეს უჭერს მხარს, სხვა კი მეორეს. ერეკლე I მხარეზე აღმოჩნდა იოთამ ამილახვარი ძმით ავთანდილით (ხოლო მათი ბიძა გივი ამილახვარი ამ დროს გიორგი XI მიიმხრო). თბილისის ციხეში გამაგრებულ ერეკლე მეფესთან იმყოფებოდა ავთანდილი, რომელსაც აზნაურები გიორგი და ზაზა ქარუმიძეები ახლდნენ. მეფემ ამ უკანასკნელთ წყალობა უყო, სითარხნის წიგნი უბოძა: „...მოკითხული ვქენით და თქვენნი გლეხნი ძველადგანაც თარხანი ყოფილიყვნენ და ახლა ჩვენც ასე გაგითარხნეთ თქვენი კერძო გლეხნი საცა ვესახლოთ, რომე არც ეთხოვებოდეს კოდის პური, არც საბალახე. არც პირის თავი და ნახირისთავი“.[2] რამდენადაც სახელმწიფო გადასახადი, ჩვეულებრივ, სათავადოს შეეწერებოდა ხოლმე და თავადი თვითონ ანაწილებდა თავის საყმოში ამ გადასახადს. თვითონვე კრებდა მას და მეფის მოხელეს აბარებდა, ამდენად, სახელმწიფო გადასახადებისაგან ყმების განთავისუფლებაც თავადის პი-

---

[1] სცია, ფ. 1448, № 556.

[2] ხელ. ინ. ფ. Ad, № 2200.

რადი საქმე იყო. ამ თვალსაზრისით ერეკლე I ეს წიგნიც არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩვეულებრივი, ტრადიციით განმტკიცებული რიგის დარღვევა იყო.

სათავადოს სამოხელეო თანამდებობებსაც, როგორც წესი, თავადი თვითვე გასცემდა ხოლმე წყალობად თავის ყმა აზნაურებზე. მეფის ყოველგვარი დამტკიცების გარეშე. ერეკლე I ამ სფეროშიც თავისებურად იქცევა. მან მუხრან-ბატონის აზნაურს მუხრანის სახლთუხუცესს გიორგი ზედგინიძეს წყალობის წიგნი უბოძა: „...მას ჟამსა ოდეს თქვენის საქელოს მამულის წყალობის წიგნის გაახლება გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და სხვა ძველი სიგელებიც ვინახეთ და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ ასრე. რომე რაც ან მამული და ან საქელო მუხრანის ბატონის თეიმურაზის ჟამში გქონდეს და გჭეროდეს. ყველა ისრე უკლებრად გვიბოძებია... არ მოგეშალოს არცა ჩვენგან და არცა ვინცავინ მუხრანის ბატონი იქნებოდენ, ვერც იმათ მოგიშალონ. ბრძანება ესე ასე დაგიმტკიცდეს".[3]

ამილახვრიანთ აზნაურს ცალქალამანიძეს ერეკლე I ხან ჩამოართვა და ხან ისევ უბოძა ყმა-მამული კავთისხევს.[4]

გარაყანიძეები ძველითგანვე საკათალიკოზო ყმები, სვეტიცხოველის აზნაურები იყვნენ. ერეკლე I 1694 წელს მათ წყალობის წიგნი უბოძა: „...ოდეს რომე ჩვენი ერთგულობისათვის ჩვენმან მტერმან ბედნიარის ყაენის ორგულთ ბევრი (ძ)ალი გიყვეს და სასახლე და მამული სულ დაგიწვეს... ამისად სამუქფოდ წყალობას (დაგვეაჯეთ). ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო სახელო სოფელი ბიწმენი საყმოდ და გიბოძეთ თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია მჭედლისშვილები, მხობრიძები და სუხიაშვილები. ესები, რისაც მქონებელი იყო და რაც კათალიკოზის სახასო იყოს. ყველა თქვენთვის გვიბოძებია".[5]

ტატიშვილები XVII ს. შუა ხანებიდან დავითიშვილების აზნაურები არიან. 1696 წელს ერეკლე I მათ უბოძა წყალობის წიგნი და დაუმტკიცა მათი „სამკვიდრო და ნაჯილდოები სოფელი სურნისი".[6]

როგორც საბუთები გვიჩვენებენ. ერეკლე I საკმაოდ თავისებურად იქცევა. არღვევს საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრებულ რიგს. ამას არ შეიძლებოდა თავადების წრეში შეშფოთე-

---

[3] სცია, ფ. 1450, დავთ. № 37, საბ. № 76.

[4] იქვე, საბ. № 64.

[5] იქვე, ფ. 1448, № 3269.

[6] დოკ. I, № 81.

ბა და აშკარა უკმაყოფილება არ გამოეწვია. ნათლად მოჩანს, რომ ერეკლე მეფე თავადების წინააღმდეგ ცდილობს დაეყრდნოს სათავადო აზნაურებს. იყენებს რა ამისათვის შინაგან წინააღმდეგობას, თავადებსა და მათ აზნაურებს შორის რომ არსებობდა.

ეს გარემოება განსაკუთრებით აშკარად მოჩანს ქსნის ერისთავებისა და მათი აზნაურების ფიცხელაურთა ურთიერთობის მაგალითზე. 1690 წელს ერეკლე I სითარხნის წიგნს აძლევს შიოშ და არჯევან ფიცხელაურებს: „ძველთა ქელმწიფეთაგანაც თქვენის მამულის მეჯრის ხევს კაცები სალუქაშვილების, ასანაშვილის და გურგენიძის. ახშაძს ორის კომლის დვალიშვილების და სარიჯაშვილების სითარხნე ქონიყოთ... გვეაჯეთ მამულის სითარხნის წყალობას.. ვათარხნეთ თქვენი ყმა მეჯრის ხევს სალუქაშვილები. ასანაშვილი. გურგენიძე. ახშადს ორი კომლი დვალიშვილები. სარიჯაშვილები. არა კოდის პური. არა საბალახე. არა პირის თავი, არა ნახირისთავი, არა საპაზიერო. არა სამეჯინიბო ლაშქარ-ნადირობის და სათათროს საურის მეტი".[7] შ. ხანთაძე. რომელსაც შესწავლილი აქვს ქსნის ერისთავთა და ფიცხელაურთა ურთიერთობა ნაშრომში „სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში".[8] სამართლიანად ასკვნის ამ საბუთის საფუძველზე, რომ „უეჭველია, ეს წყალობა ფიცხელაურებს ერეკლე I-საგან რაღაც სამსახურისათვის უნდა მიეღოთ" და რომ ეს სამსახურია ფიცხელაურთაგან ერეკლე I მომხრეობა იმ დროს, როცა ქსნის ერისთავები გიორგი XI ემსახურებიან. როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებით დავინახეთ. ფიცხელაურებზე გაცემული მეფის წყალობა გამონაკლისი არ ყოფილა ერეკლე I და სათავადო აზნაურთა ურთიერთობაში. როგორც ჩანს, ეს მისი შინაური პოლიტიკის დამახასიათებელი იყო საერთოდ და იქნებ სწორედ ამან განსაზღვრა ქსნის ერისთავის პოზიცია XVII ს. ბოლოს, როდესაც მტრად გადაეკიდა ერეკლე მეფეს. მტრული პოზიცია ერეკლეს მიმართ დაიჭირა ქართლის ზოგიერთმა სხვა მსხვილმა თავადმაც.

სამეფო ხელისუფლების თვალსაზრისით მეფის ეს მოქმედება დროთა ვითარებაში შერყვნილი წესრიგის აღდგენა იყო. მაგრამ ასე როდი უყურებდნენ ამას თავადები. ისინი არსებულ მდგომარეობას დაკანონებულად თვლიდნენ და დათმობას სულაც არ ფიქრობდნენ.

---

[7] სცია, ფ. 1448. № 8890.

[8] იხ. შ. ხანთაძე, სახ. საქ. მუზეუმის მოამბე, 1959, XX-B.

თავადებთან ბრძოლაში ერეკლე I მარცხდება. მათ თავიდან მოიცილეს არასასურველი მეფე. მეფე, რომელიც. როგორც მოტანილი მასალები გვიჩვენებენ, უხეშად არღვევდა (თავადების თვალსაზრისით) დადგენილ წესებს, ამყარებდა რა უშუალო ურთიერთობას სათავადო აზნაურებთან.

ვახტანგ VI შედარებით უფრო სუსტად და იშვიათად. მაგრამ ზოგჯერ მაინც ცდილობს ჩაერიოს თავადებისა და მათი აზნაურების ურთიერთობაში. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითია ბეჟან ამილახვრიშვილის და მისი აზნაურის ტარსაიჭაშვილის ურთიერთობაში მეფის ჩარევა. ვახტანგ VI ტარსაიჭაშვილისათვის სახელო უბოძებია. ბეჟან ამილახვრიშვილის ერთ-ერთი სოფლის მოურაობა. ბეჟანი. ცხადია. ვერ მოითმენდა ასეთ აქტს და ეს სახელო უმალვე წაართვა თავის აზნაურს. ამის გამო ვახტანგ VI სასტიკი ოქმით მიმართა ბეჟან ამილახვრიშვილს: „...ერთი ესე. ტარსაიჭაშვილს სახელოს ართუ[illegible], ამისთანა საქმეებს დაეხსენ და ნურც ეჭიდები. აზნაურიშვილს ვინ გაგალარიბებინებს! სოფელი მართებულად შენ იმსახურე და მართებული მოურაობა და სარგო იმასვე ჰქონდეს“.[9]

როგორც ჩანს; ამ ოქმს არ გამოუღია შედეგი. ვინაიდან ვახტანგ VI ცოტა ხნის შემდეგ ისევ ოქმით მიმართავს ბეჟან ამილახვრიშვილს იმავე საქმეზე: „...ტარსაიჭაშვილები გამოგიყრია. სახელოს ართმევ სადმე. ეგ რა ამბავი არის და ან ვინ გაქნევინებს. ერთს კაცს ჩვენის წიგნით. ჩვენის ბრძანებით. სახელო მისცემია. შენ ვინ წაგართმევინებს და ან აზნაურშვილს ვინ გაგალარიბებინებს! დიალ. ავად გიქნია და ყმაწვილურად. აქ ამილახორსაც მდივანი მიუგზავნეთ და შენთვისაც ეს გვიბრძანებია: ამგვარ საქციელს დაეხსენ. ვერც სახელოს მოუშლი და ვერცა რას შესცოდებთ, [თო]რემ მწვედ გიწყენთ, იცოდე“.[10] როგორ დასრულდა ეს ჭიდილი მეფისა და თავადიშვილს შორის არ ჩანს.

ერეკლე II, რომელიც ასე ენერგიულად იღწვოდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ცხადია. შინაური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხად აზნაურთა ფენის გაფართოება-შემომტკიცების საკითხი უნდა გაეხადა. და. მართლაც. ჯერ არავის, არც ერთ მეფეს არ მიუმართავს ასეთი დიდი მასშტაბით ღონისძიებებისათვის სამეფო აზნაურთა რიცხვის კასაზრდელად და სათავა-

---

9 საქ. სიძ. III.: № 223.

10 საქ. სიძ. III, № 224. (ხელ. ინ. ფ. Ad, № 242).

და აზნაურთა თავის მხარეზე გადმოსაბირებლად. როგორც ერეკლე II. მაგრამ, ამასთანავე, მას არასოდეს არ მიუმართავს თავადისა და მისი აზნაურის ურთიერთობაში აშკარა უხეში ჩარევის ცდებისათვის. ის მოქმედებდა ხოლმე იმ წეს-კანონების ფარგლებში. რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო დადგენილი და არსებულ ნორმებს თითქოს არც კი არღვევდა. ის ფრთხილად. გარეგნული წესისა და რიგის დაცვით აკეთებდა ამ საქმეს. ასე, მაგალითად, როდესაც გიორგი აბაშიძემ თავის აზნაურს დავით ყიფიანს სახელო ჩამოართვა და ამ აზნაურმა, ჩანს. მეფესთან იჩივლა. მეფე ბრძანებით კი არ მიმართავს გიორგი აბაშიძეს. დაუბრუნოს ყიფიანს წართმეული სახელო. არამედ წერილის საშუალებით შუამდგომლობს ამ საქმეზე აბაშიძესთან.[11] აი. კიდევ სხვა მაგალითი: მეფესთან ჩივის მუხრან-ბატონის აზნაურის ზედგინიძის ყმა-გლეხი თავის ბატონზე. მეფე იძლევა ბრძანებას არა უშუალოდ აზნაურის სახელზე — უსამართლოდ ნუ მოექცევიო ამ ყმას. არამედ მუხრან-ბატონს მიმართავს ოქმით — შენი აზნაური ასე და ასე უნდა მოიქცესო.[12]

ამავე დროს ერეკლე II ხანაში სათავადო აზნაურთა საკმაოდ დიდი რაოდენობა სამეფო სამსახურში შედის. ეს სხვადასხვა გზებით ხდება. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის გზა. რომელიც სათავადოთა გაუქმებასთანაა დაკავშირებული.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სათავადო საუკუნეთა მანძილზე იყო არაგვის საერისთავო. არაგვის ერისთავებს მთელი რიგი მსხვილი და არამსხვილი სააზნაურო სახლები ემორჩილებოდნენ. XVIII საუკუნეში ეს სათავადო ჩამოერთვათ მათ მფლობელებს. არაგვის ერისთავებს და ერეკლე II ძეს, ჯერ ერთ ვახტანგს, შემდეგ მეორე ვახტანგ ბატონიშვილს მიეცა საგამგეოდ. ეს სათავადოს გაუქმებას მოასწავებდა. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით ნათლად მოჩანს მეფის და არაგვის საერისთავოს აზნაურების ურთიერთობის მაგალითზე. ამიერიდან არაგვის საერისთავოს აზნაურებს მეფე უკვე თავისი, საერთო სახელმწიფოებრივი სამსახურისათვის თავისუფლად იყენებს. რასაც ვერ შესძლებდა სხვა პირობებში. ასე. მაგალითად. არაგვის საერისთავოს ერთ-ერთი მსხვილი აზნაური ყაზიბეგიშვილი 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული სისტემატურად ასრულებს მეფის დავალებებს. მეფისაგან მას დაკისრებული აქვს პოლიტიკური მისია. რომე-

---

[11] იქვე. № 194.

[12] სცია, ფ. 1448, № 853.

ლიც არაგვის ხეობის მოსაზღვრედ მცხოვრებ მთიელ ხალხებთან. განსაკუთრებით თაგაურებთან, ურთიერთობას ეხება. ამ საქმეზე ერეკლე II და უფრო გვიან კი გიორგი XII და გაბრიელ ყაზიბეგიშვილს შორის სისტემატური მიმოწერა წარმოებს; 1789 წლის 7 იანვარს გაბრიელ ყაზიბეგიშვილი სწერს ერეკლე II „...თქვენის ბრძანებით თაგაურებში გახლდით და თქვენი ბრძანება მიუტანე და ქარავნის გიშვება უთხარ და არზა გა(ა)ხლესთ და რაც იმათი საჩივარი იყო, არზით მოგახსენესთ და ეს თავისი კაცი გა(ა)ხლეწთ და ამის პასუხს მოელიან. მანამდი ქარავნებს არ უშვებენ“. 12 იანვარს იმავე წლისა ერეკლე II წერილითვე პასუხობს ამავე საქმეზე გაბრიელ ყაზიბეგიშვილს.[13] ასეთივე მიმოწერა გრძელდება მომდევნო წლებშიც. 1791 წლის 29 ივლისს მეფე ერეკლე სწერს გაბრიელ ყაზიბეგიშვილს: „...შენი დიახ მადლობელნი ვართ. რომ ჩვენს სამსახურზე კარგად ირჯები“ და ახალ დავალებებს აძლევს.[14]

ამ წერილებიდან კარგად ჩანს. რომ გაბრიელ ყაზიბეგიშვილი მეფის ბრძანებათა და დავალებათა აღმსრულებელია. მის სამსახურში მყოფი კაცია. რაც მეფესა და სათავადო აზნაურს შორის ჩვეულებრივ. არ ხდებოდა. გაბრიელ ყაზიბეგიშვილთან ერთად მეფის დავალებათა შესრულებაში გაბრიელის ძმაც. ბაადური მონაწილეობს. დავალებები მოიცავს არაგვის ხეობის მოსაზღვრე სხვადასხვა მთიელ ტომებთან ურთიერთობის საკითხებს. ამგვარი სამსახურისათვის მეფეთაგან ყაზიბეგიშვილებს ყოველწლიური ჯამაგირი ჰქონდათ განწესებული.[15]

გიორგი XII იყენებს თავის სამსახურში გაბრიელ ყაზიბეგიშვილს და მის ძმას ბაადურს. ასე მაგალითად. 1799 წლის 19 სექტემბერს მათთვის მიწერილ წერილში ავალებს ხიდების გამართვისათვის თვალყურის დევნებას ბალთიდან მოკიდებული ნიშამდის.[16] ხოლო 1800 წლის 28 აგვისტოს გაბრიელ ყაზიბეგიშვილს ოქმით უბრძანებს მომავალი რუსის ჯარისათვის გამოგზავნილ მარხილებსა და ცხენებს გაუძღვეს. ლარს მიიყვანოს. და რაც რუსი ჯარის ბარგი იყოს. წამოიღოს: „ამ საქმეზე ისე ბეჯითად უნდა მოიქცე და შენის გარჯის მაგიერს წყალობას ჩვენგან მიიღებ“-ო.[17]

---

13 ხელ. ინ. ფ. Hd, № 4021.

14 იქვე, № 10276 d; იხ. აგრეთვე. იქვე. №№ 1853, 13007.

15 სცია, 1448. № 22; ხელ. ინ. ფ. Sd, № 344; ფ. Hd, № 3825.

16 ხელ. ინ. ფ. Hd, № 4024.

17 იქვე, № 1900.

თეიმურაზ II 40-იანი წლების დასაწყისში არაგვის საერისთავო რთულ თავისებურ პოლიტიკურ პირობებში იგდო ხელთ. როგორც ცნობილია, ამ ფაქტს დიდად შეუწყო ხელი არაგვის ერისთავის ყმათა უკმაყოფილებამ თავიანთი ბატონით, რომელმაც ყმაგლეხთ დაუმძიმა ბეგარა-გადასახადები. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ II გაბატონება არაგვის საერისთავოზე ამ სათავადოს აზნაურთა მხარდაჭერით უნდა მომხდარიყო.

სათავადოს გაუქმებისთანავე თეიმურაზ II 1743 წელს წყალობის წიგნს აძლევს არაგვის საერისთავოს მსხვილ აზნაურს კობიაშვილს. მეფე მას საერისთავოს ბოქაულთუხუცესის სახელოს უბოძებს. ეს თანამდებობა, აღნიშნულია საბუთში, მანამდე სხვას ეჭირა. „როგორადაც ჩიდილელაშვილს ქონებოდეს, რაც წესი და რიგი ბოქაულთუხუცობისა ქონებოდეს ან ყოფილიყოს, ჩვენც ამავე რიგათ გიბოძეთ“-ო, — წერს მეფე ამ საბუთში.[18] როდესაც არაგვის საერისთავო ერეკლე მეფის მცირეწლოვანი შვილის ვახტანგის სახელზე იყო ერთ ხანს დამტკიცებული, ამ სათავადოს დროებით ჩოლოყაშვილი ჯიმშერი მართავდა. წყალობის წიგნი კობიაშვილისათვის მას მეფის ბრძანებით მიუცია. 1757 წელს, როდესაც არაგვის საერისთავოს მართავს ერეკლე მეფის შვილი ვახტანგი, ის ერთ-ერთ თავის განაჩენში აღნიშნავს, რომ ჩოლოყაშვილს „ჯიმშერს მამის ჩვენის ბრძანებით ეს ბუჩაშვილის სამკვიდრო მამული“ საამ კობიაშვილისათვის მიეცაო.[19] 90-იან წლებში ერთ-ერთი კობიაშვილი — ლუარსაბი დედოფლის მოხელეა, ის დედოფლის მთის საბალახოს ამკრეფად არის მივლენილი.[20]

XVIII ს. მეორე ნახევრიდან მეფე უშუალოდ უკავშირდება არაგვის საერისთავოს აზნაურებს. ბრძანებებითა და ოქმებით მიმართავს მათ და განაგებს აზნაურთა მამულების მოწესრიგებისა თუ მამულებით დაჯილდოების საქმეს. 1785 წელს ერეკლე II ასეთი ბრძანებით მიმართავს არაგვის სახლთხუცეს ფარემუზს და ნაზირს ტეტიას: „...ყარანგოზიშვილს გრიგოლს რაც მამული დაბლა ბარში ქონდეს, ახლავ იმას მიეცით. ესეც მანდ მოვა, დადგება. ჩვენი მოსამსახურე არის. თქვენც ყური მიუგდევით, არავინ რა შესცოდოს“.[21] გრიგოლ ყარანგოზიშვილი არაგვის ხეობის აზნაურია. მე-

---

18 სცსა, ფ. 1448, № 501.

19 იქვე, ფ. 1448, № 3251.

20 საქ. სიძ. III, № 221.

21 ხელნ. ინ. ფ. Hd, № 5331.

ფის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფი.[22] სწყალობს მეფე ადამ ყარანგოზიშვილსაც.[23] ამავე დროს ადამ ყარანგოზიშვილი ყმა-მამულის წყალობას არაგვის საერისთაოს მფლობელ ვახტანგ ბატონიშვილისაგანაც ღებულობს.[24] როდესაც არაგვის ხეობის აზნაურს რაიმე გასაჭირი ადგია თავს, ის არზით მიმართავს უშუალოდ მეფეს განსხვავებით სხვა სათავადო აზნაურთაგან. რომელთა საქმეებს ან თვითონ თავადი აწესრიგებს. ანდა. ზოგიერთ შემთხვევაში, შედის არზით მეფესთან თავისი აზნაურის მაგიერ. ისეთ საქმეზე, როგორიცაა სახელმწიფო გადასახადის საკითხი, ყოველთვის თავადი მიმართავს ხოლმე მეფეს. არაგვის საერისთავოს აზნაური ღმვდელი გრიგოლ ყარანგოზიშვილი კი 1764 წელს თვითონ მიმართავს უშუალოდ მეფეს არზით და ითხოვს მისთვის ნაზომძეში ორი კომლი კაცის სურსათი ამოუკვეთოს მეფემ. ვინაიდან ჭირმა გაუწყვიტა ეს ყმები.[25]

ადამ ყარანგოზიშვილის დავას ბურდულთან მეფის მოსამართლეები არჩევენ 1770 წელს.[26] 1775 წელს კვლავ ბურდულთან დავის გამო ჩივის ადამ ყარანგოზიშვილი მეფესთან.[27] ასეთივე მდგომარეობაა უფრო გვიანაც. 80-იან და 90-იან წლებში.[28] ამავე დროს და არაგვის საერისთავოს მფლობელსაც ემორჩილება. მისი მოხელეა.[29]

ყარანგოზიშვილთა მჭიდრო კავშირი ერეკლე II-სთან სრულიად აშკარაა საბუთების მიხედვით. არსებობს საბუთი. საიდანაც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა. რომ ეს დაკავშირება უფრო ადრე. ჯერ კიდევ თეიმურაზ — ერეკლეს ქართლ-კახეთში გამეფებამდე დაწყებულა. ყარანგოზიშვილებსა და არაგვის ერისთავებს შორის მეტად მტრული დამოკიდებულება არსებობდა. რის გამოც ეს აზნაურები არაგვის ერისთავებს გაუგდიათ კიდეც თავიანთი სამკვიდრო მამულიდან. უკან დაბრუნება მამულებისა ყარანგოზიშვილებმა მხოლოდ ერეკლე მეფის დახმარებით შესძლეს. ეს გარემოება მოთხრობილია ადამ ყარანგოზიშვილსა და გოგია გრიგოლაშვილის დავის გამო დადებულ ერთ განაჩენში. იქ წერია: „...ადამ ამას ჩიოდა:

---

22 იქვე, № 2405.
23 იქვე, № 2335.
24 იქვე, № 10996.
25 იქვე, № 10998.
26 იქვე, № 5247.
27 იქვე, № 10997.
28 იქვე, №№ 2200, 5332, 5248, 5334, 5250 და სხვ.
29 იქვე, №№ 10993, 2347, 5335 და სხვ.

ბარძიმ ერისთავმან ჩემი მამა-ბიძანი ზოგი გარდაყარა და ზოგს თვალი მოსთხარა და მამაჩემი კახეთს გარდავარდა. მამული სხვათაც წართმეული ჰქონდა და ჩვენცა და იმ გარდავარდნაში რაც წიგნები ჰქონდათ ჩემს მამა-ბიძათ, გრიგოლაშვილს მიაბარესო. როსცა ღვთის მოწყალება მოგვევლინა და მეფემ ერეკლემ შეგვიწყალა, ჩვენის მამულის წყალობა მეც მიქმნა და სხვათაც თავთავისი უბოძა და მე ეს წიგნი მიბოძა, რომელიც დღეს ხელთ მიჰირავს"-ო.[30]

საინტერესო ცნობაა. რომელიც აშკარად მოწმობს შინაკლასობრივ ბრძოლას გაჩაღებულს არაგვის საერისთავოს შიგნით ერისთავებსა და მათ ყმა-აზნაურებს შორის საერისთავოს გაუქმების წინა ხანებში. უდავოა. რომ ამ ბრძოლაში მშველელად არაგველ აზნაურებს მეფე ეგულებათ და მეფეც მათზე დაყრდნობით ახერხებს ამ სათავადოს მოშლას.

ქართლის ერთ-ერთი სათავადო. თავადური რეაქციის ძლიერი საბუდარი ქსნის საერისთავო. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ნაწილობრივ გაუქმებულია. ქსნის საერისთავოს მრავალრიცხოვანი ყმა-აზნაურები ამიერიდან მეფეს დაუახლოვდნენ. მასთან უშუალო ურთიერთობის საშუალება მიეცათ. ჯერ კიდევ იმაზე ადრე, ვიდრე ერეკლე მეფე ქსნის ერისთავებს ჩამოართმევდა სათავადოს, ქსნის ხეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სააზნაურო სახლის, ფიცხელაურების წარმომადგენელი არჩევან ფიცხელაური მეფის ყმა შექნილა. 1771 წლის 28 დეკემბრის ოქმში ერეკლე II სწერს გიორგი ნათიშვილს: „არჩევანს ტფილელის ქრისტეფორის სასულიეროდ თორმეტი მინალთუნი მოეც არჩევანს ფიცხელაურს ტყვეობიდამ მოსულს".[31] ხოლო 1777 წლის 8 ოქტომბერს ერეკლე მეფე ასეთ ბრძანებას იძლევა: „ჩვენ მაგიერად ფიცხელაურს არჩევანს ასე უამბეთ: მერე შენ ჩვენგან დახსნილი ხარ. შენთან საქმე არავის აქვს. შენ ჩვენზე არა დააშო რა, თორემ იცოდე, დიდად გადაგხდება". [32] როდესაც ერეკლე მეფემ 1777 წლის ბოლოს ქსნის ხეობა ერისთავებს ჩამოართვა, 1778 წლის 20 იანვარს ქსნისხეველთ ბრძანებით მიმართა. მოუწოდა მორჩილებისაკენ და თავის მხრით წყალობა აღუთქვა. ამ ბრძანებაში მეფეს აღნიშნული აქვს, რომ „არჩევან გამოგვიგზავნიაო".[33] როგორც ჩანს. არჩევანს მეფე გზავნის იქ თავის მოხელედ. მომდევნო წლებში არჩევან ფიცხელაური ემორ-

---

[30] იქვე, ფ. Qd, № 2200.

[31] იქვე, ფ. Hd, №№ 11772.

[32] საქ. სიძ. II, № 410.

[33] სცია, ფ. 1449, №№ 381, 383; ფ. 1448, № 124 და სხვ.

ჩილება გიორგი ბატონიშვილს, როგორც ქსნის ხეობის ერთ-ერთი ნაწილის მფლობელს და მისგან ღებულობს წყალობას სახელოსა და ყმა-მამულის სახით.[34] ამავე დროს მეფეს არჯევან ფიცხელაურთან უშუალო ურთიერთობა აქვს, ოქმით მიმართავს ხოლმე, როდესაც დასჭირდება და უბრძანებს დაუყოვნებლივ სამეფო კარზე ჩამოსვლას.[35] როგორც ერთ გვიანდელ, 1797 წლის საბუთიდან ჩანს, ფიცხელაურთა ეს სახლი ჯერ კიდევ თეიმურაზის მფარველობის ქვეშ ყოფილა და მისგან წყალობაც მიუღია. 1797 წელს ერეკლე II მიერ თავისი შვილის გიორგი ბატონიშვილისათვის გაგზავნილ წერილში არჯევან ფიცხელაურის შვილების შესახებ ნათქვამია, რომ არჯევან ფიცხელაური მეფეთა ერთგული, მათი ნამსახური კაცი ყოფილა და რომ ის ჯერ კიდევ თეიმურაზ II-ის „გაკეთებულია". ე. ი. მისგან შეწყალებული და პატივდებული.[36] რაც საფიქრებელია, იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც ქსნის საერისთავო შანშე ქსნის ერისთავს დაკარგული აქვს (XVIII ს. 40-იან წლები) და ამ სათავადოს ერთ ხანს, 1747 წლამდე, სამეფო სახლი განაგებს. როგორც საბუთები გვიჩვენებენ, ის შემდეგშიც მეფესთან დაკავშირებული და გიორგი ბატონიშვილისაგან დიდად შეწყალებული აზნაურია.

იმავე, 1740-იან წლებში, როდესაც ქსნის საერისთავო თეიმურაზ II დაიჭირა, მეფისათვის სამსახური გაუწევია ქსნის საერისთავოს აზნაურს კორინთელს. ამ სამსახურის გამოჩენის შედეგია წყალობის ის წიგნები, რომელსაც 1744 წელს თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ისაგან იღებენ სიდამონ და ზურაბ კორინთელები.[37] მეფეთა წყალობის ერთ-ერთ წიგნში საგანგებოდ აღნიშნულიცაა, რომ ესა და ეს წყალობა გიყავითო „თქვენის მრავალ ნამსახურობის მაგიეროა".[38] კორინთლები ერეკლე II-ისაგან წყალობას ღებულობენ უფრო გვიანაც, 1777 წლის შემდეგაც.[39] კორინთლებს მეფე-ბატონიშვილები XVIII ს. ბოლომდე თავისთვის იმსახურებენ.[40]

როდესაც ერეკლე II ქსნის საერისთავო გააუქმა და ქსნის ხეობა სამეფოდ დაიჭირა, საერისთავოს მცირედი ნაწილი როსტომ ქსნის ერისთავიშვილს დაუტოვა. როსტომს დარჩა ყმად ქსნის ერის-

---

34 იქვე, № 412.

35 საქ. სიძ. წ. II, № 417.

36 იქვე, ფ. 1450, დავთ. № 26, საბ. №№ 276, 277.

37 იქვე. საბ. № 273.

38 იქვე. საბ. № 278.

39 სცია, ფ. 1449, № 382.

40 საქ. სიძ. III, № 335.

თავიანთ აზნაური კობახიძე. მაგრამ მალე კობახიძეთა ოჯახის ერთი წევრი. გაბრიელ კობახიძე მეფის ყმა ხდება, რადგანაც ის ტყვედ ჩავარდნილა და მეფეს გამოუხსნია. 1782 წელს ერეკლე II იძლევა ბრძანებას: „ეს კობახიძე გაბრიელ მღვდელი აზნაურშვილი დატყვებულ იყო და ჩვენ დაგვიხსნია უსჯულოთა ხელთაგან და ამასთან ჩვენ გარდა საბატონყმოთ საქმე არავის აქვს რა და ნურავინ შეაწუხებთ. თორემ დიდათ გიწყენთ. ჩვენგან დახსნილია და საჩვენოდ დავდეთ, რომ ჩვენი და ჩვენი შვილების მლოცველი უნდა იყოს ეს მღვდელი და უბრალოდ არავინ შეაწუხოს... თუ ვისმე სიტყვა ქონდეს ამასთან. ჩვენ მოგვახსენოს“.[41]

ამავე დროს როსტომ ერისთავის შვილის ყმად დარჩენილი ვასილ კობახიძეც, გაბრიელის ძმა. მეფეს მიმართავს დახმარებისათვის იმ შევიწროვებათა გამო. რომელსაც თავისი ბატონისა და მისი მოხელეებისაგან განიცდის. ვასილ კობახიძის საჩივარს სამეფო სასამართლო „საქართველოს მსაჯულთშეკრება“ არჩევს და მიმართავს ოქმით როსტომ ერისთავიშვილს დაანებოს ვასილ კობახიძეს წართმეული მამულები, თორემ სამართალი თავის ღონეს იხმარს, ძალით დაანებებინებსო. ვასილ კობახიძეც, ისე როგორც მისი ძმისშვილი, სამეფო ყმა შექმნილა. მეფეს მათი მამულის ნაცვლად სხვა მამული უბოძებია.[42]

არაგვის და ქსნის საერისთავოებს გარდა XVIII ს. მეორე ნახევარში უქმდება ქართლის ერთ-ერთი უმსხვილესი სათავადოს. საამილახოროს ნაწილი; ესაა მეფის საწინააღმდეგო შეთქმულების აქტიური წევრის დემეტრე ამილახორიშვილის წილი ყმა-მამული. ის 1765 წლიდან სამეფო საკუთრებაში გადადის. ამ გზით ამილახვრიანთ ყმა-აზნაურების ერთი ნაწილიც სამეფო აზნაურთა რიგებში ხვდება. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის დემეტრე ამილახვრიშვილის ერთ-ერთი აზნაური შიოშ საყვარელიძე. მარიან ბატონიშვილისათმი მირთმეულ არზაში 1781 წელს შიოშ საყვარელიძე წერს: „...მამის თქვენისაგან ნეკის ნასისხლში განწესებული გახლავარ“-ო.[43] მეფეს გადაეცნენ ნასისხლად ამილახვრიანთ ერთ-ერთი მსხვილი აზნაურთაგანნი ზაალ ქარუმიძე თავისი ძმებით. ლევან ბატონიშვილი ზაალის ძმების ლუარსაბის. ფარსადანისა და ბერისადმი მიცემულ წყალობის წიგნში 1780 წელს აღნიშნავს: „ამილახორიშვილს

---

[41] ხელ. ინ. ფ. Hd, № 8179.

[42] იქვე. № 11230; ფ. Qd, № 7067.

[43] იქვე, № 10408.

დემეტრეს ბატონის მამის ჩვენის მუხანათობა და ღალატი შეაჩნდა. იმის წილი სამილახვროს მერეედი მამული ნასისხლათ აიღო და ჩვენ გვიბოძა და თქვენც ნასისხლში ხართ აყვანილი".[44] სხვა უფრო გვიანდელ საბუთშიც ნათქვამია: „...ზაალ ქარუმიძე ბატონის წილად იყო აღებული"ო.[45]

სამეფო აზნაურებად იქცნენ დემეტრე ამილახვრიშვილის საბატონოში მყოფი სხვა აზნაურებიც. მეფის მიერ ნასისხლად აღებული ამილახვრიანთ ყმა-მამულის ნუსხაში დასახელებული არიან: „...ქ. თორტიზას ქარუმიძეები ოთხი კომლი თავიანთი ყმით... ქ. ძევერას პ კომლი აზნაური თავიანთ ყმით. ქ. ერედვს აზნაურიშვილნი ცალქალამანიძეები თავიანთ ყმით. ქ. ნიქოზს ნამორაძე ბეჟან თავისის კაცით. ქ. ფხვენის ზედგინიძეები თავიანთ კაცით..."[46] ეს ნუსხა, როგორც ჩანს, არასრულია. სხვა საბუთებიდან ვიცით, რომ აქ დასახელებული აზნაურების (ქარუმიძეები, ცალქალამანიძეები, ნამორაძეები, ზედგინიძეები) გარდა დემეტრე ამილახორიშვილის საყმოში შედიოდნენ აგრეთვე აზნაურები: იალღუზიშვილები, ჯავახაშვილები,[47] ციმაკურიძეები,[48] საყვარელიძეები.

ამ აზნაურთა მდგომარეობაში სამეფო ყმად გახდომასთან დაკავშირებით რიგი სიახლენი უნდა შემოსულიყო და შემოდის კიდეც. ქარუმიძეებმა მაშინვე გამოიტანეს ერეკლე I-საგან მიღებული სახელმწიფო გადასახადების სითარხნის წიგნი, რომელსაც, შესაძლოა, მხოლოდ ახლა მიეცა რეალური შინაარსი. წარუდგინეს იგი ერეკლე II და დამტკიცება მოსთხოვეს. ერეკლემაც უბოძა სათანადო საბუთი.[49] საინტერესოა, თუ როგორ გადმოსცემენ ქარუმიძენი სათავადო აზნაურებად გახდომის ფაქტს.

ქარუმიძეთა თქმით, ეს იყო მათი მხრით მეფისადმი ერთგულების გამოჩენის შედეგი. მათი ნება-სურვილით მომხდარი ამბავი: „ჩვენ ერთის დიდის ოჯახის მოხელენი გახლდით. — წერენ 1780 წელს მეფისადმი მორთმეულ არზაში ლუარსაბ ქარუმიძე და მისი ძმები. — თქვენის ერთგულების გულისათვის თქვენს საფარველს მოვატანეთ ამისთვის, რომ ბედნიერის ბატონის წყალობის წიგნი გვქონდა. ჩვენს მამისა და პაპის სამსახურს აცხადებდა, ამისათვის

---

44 სცია, ფ. 1449, № 985.

45 ხელ. ინ. ფ. Hd. № 10297.

46 იქვე. ფ. Sd. № 4455.

47 სცია, ფ. 1449, № 626.

48 იქვე, ფ. 1448 № 686.

49 დოკ. II, № 145.

გამოეწიეთ თქვენს საფარველს ქვეშა. ჩვენი სახელო და პატივი გაუშვეით". მაშასადამე, ქარუმიძეების გადმოცემით, მათი ოჯახი მამა-პაპით მეფის ერთგული და ნამსახური ყოფილა, მეფისაგან წყალობის წიგნიც ჰქონიათ და ამიტომაც მათ მეფის ყმობას მიაშურეს. საამილახოროში სახელოს ფლობდნენ, მოურავები ყოფილან. ამ სახელოსთვის თავი გაუნებებიათ, მაგრამ იმ პირობით, რომ მეფისაგან სანაცვლოს ბოძების იმედი ჰქონიათ: „მერვედი დემეტრეს წილის მოხელობა გვიბოძეთ. ამას გვიბრძანებდით, რაც დაგაკლდათ, ჩვენგან შეგისრულდებათო". — ამბობენ ისინი არზაში და ამ პირობის განაღდებას ითხოვენ მეფისაგან. მეფე ოქმით მიმართავს თავის შვილს ლევან ბატონიშვილს, რომელსაც საგამგეოდ ჰქონდა მიცემული მეფისაგან დემეტრე ამილახვრიშვილის ყმა-მამული, უბოძოს ქარუმიძეებს თავიანთ სახელოს წყალობის წიგნი.[50] ლევან ბატონიშვილმაც მაშინვე გასცა წყალობის სათანადო წიგნი[51]

ამიერიდან ლუარსაბ ქარუმიძე და მისი ძმები მეფის სამსახურში ჩადგნენ, მისი დავალებების აღმსრულებლები შეიქნენ. 1781 წლის 12 დეკემბრის ოქმით ერეკლე მეფე სამეურნეო ხასიათის ბრძანებებს აძლევს ახალსოფლის მოურავს ლუარსაბ (ლუა) ქარუმიძეს.[52] ამავე დროს, რამდენადაც მეფე შეიქნა ამილახვრიანთ სოფლის კასპის ნაწილის მფლობელი, იმსახურებს და დავალებებს აძლევს კასპის მოურავს ნინია ქარუმიძეს. თუმცა ის იმ ქარუმიძეთა ოჯახს ეკუთვნის, რომელიც ამილახვართა სხვა წარმომადგენელთა ყმობაში დარჩა. ასე მაგალითად, 1772 წლის 4 მარტს, ოქმით ერეკლე II კასპის მოურავს ნინია ქარუმიძეს უბრძანებს ყური უგდოს სამეფო ნავენახობს კასპში, არ მოახვნევინოს ნავენახობი სხვებს, ხოლო, რაც კასპში ღალა შემოვა, გაჰყოს და ამილახვრიშვილებს, ვის რამდენი წილი ერგებოდეს, ისე მისცეს.[53] ბრძანებით მიმართავს ერეკლე II 1785 წლის 31 ივნისს ფარსადან ქარუმიძესაც.[54] ქარუმიძეებიც, თავის მხრივ, მეფეს ანდა გიორგი ბატონიშვილს მიმართავენ ხოლმე არზით, როცა კი რაიმე გასაჭირი შეხვდებათ. 1776 წელს პაატა ქარუმიძემ არზით მიმართა ერეკლე II-ეს და სთხოვა 5-6 წლით სახელმწიფო გადასახადებისაგან გათარხნება სოფელ მთავარანგელოზის ყმა-გლეხთა (რომელნიც მან აქ ახლად

---

50 სცა, ფ. 1449, № 984.
51 იქვე, № 985.
52 იქვე, № 1008.
53 იქვე, ფ. 1448, № 464.
54 იქვე, № 494.

დაასახლა) და მათი დაცვა ქარუმიძეთა სხვა განაყოფების მხრით ამ ყმებზე გადასახადების შეწერისაგან.[55] 1777 წელს პაატა და ნინია ქარუმიძეები ისევ არზით შედიან ერეკლე II-სთან და ჩივიან თავიანთ სახლისკაცებზე, რომელნიც სოფ. მთავარანგელოზის მამულებს ედავებიან.[56] ქარუმიძეებს შორის მომხდარ სადავო საქმეებს მეფის სასამართლო არჩევს. 1791 წელს „საქართველოს მსაჯულთ შეკრებილება“ არჩევს ქარუმ, ფარსადან და ბერი ქარუმიძეების სამამულო დავას რევაზ ქარუმიძესთან.[57] ქარუმ და იოსებ ქარუმიძის გაყრილობის წიგნს გიორგი ბატონიშვილის ბეჭედი აზის.[58] სურსათის შესაკრებად გორელებისაგან მეფის დავალებით იულონ ბატონიშვილი ოქმით მიმართავს დავით აბაზაძეს (სამეფო აზნაური) და ნინია ქარუმიძეს და გორელებისაგან სურსათის აკრეფას უბრძანებს.[59] ქარუმიძე ავთანდილასშვილები გლახა და ბეცია თავიანთი ყმების ასაყრელად მეფისაგან იღებენ ოქმს.[60] ზახორელი ბერუას არზასთან დაკავშირებით, რომელიც ამილახვრიანთაგან შევიწროებაზე ჩივის, იულონ ბატონიშვილი მიმართავს მოურავს ფარსადან ქარუმიძეს, დაეხმაროს ამ არზის დამწერს თავის მამულიდან ლალის აღებაში.[61] 1800 წლის 6 ივნისს ოქმით, მეფე გიორგი XII მიმართავს თავის შვილს თეიმურაზს მფარველობა გაუწიოს ამილახვარიანთ აზნაურს იოანე ქარუმიძეს: „ეს იოანე ქარუმიძე.—სწერს მეფე.— შენთვის მოგვიბარებია. ამაზედ ყოვლის ფრით თვალყური უნდა გეჭიროს და ამილახვარსაც ჩვენ მაგიერად ასე გამოუცხადო, რომ ამისი სამკვიდრო სახელოს სარგოც არა დააკლოს რა და გაამლებინოს. ყველა ასე აღასრულე. ძლიერ მადრიელი ვიქნები“.[62]

ზემოთ ხსენებულ ქარუმიძეთა ერთი ნაწილი სამეფო აზნაურებად არიან ქცეული, მაგრამ მეორე ნაწილი — პაატა, ნინია, ფარსადან, ქარუმ, ავთანდილის ძენი გლახა და ბეცია — ამილახვართა ყმები არიან.[63]

---

55 ხელ. ინ. ფ. Ad, № 2183.
56 იქვე, № 2206.
57 იქვე, № 613.
58 იქვე, № 1965.
59 სცია, ფ. 1448, № 1690.
60 იქვე, ფ 1450, დავთ. № 19. საბ. 90.
61 იქვე, ფ. 1448, № 1841.
62 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1975.
63 იქვე; № 1961, სცია, ფ. 1448, №№ 4473; 1694 და სხვ.

ასე რომ, თუ ერთი მხრივ XVIII ს. მეორე ნახევარში სამეფო ყმებად იქცევა ქარუმიძეთა ზოგიერთი ოჯახი, ის ოჯახებიც, რომელნიც ამილახვართა ყმობაში რჩებიან, უშუალოდ უკავშირდებიან ხოლმე მეფეს. მეფისაგან მფარველობას და დახმარებას იღებენ და ზოგ შემთხვევაში სამეფო სამსახურსაც ასრულებენ. ყოველივე ეს, ცხადია, მანამდე არსებულთან შედარებით, ერთგვარ სიახლეს მოასწავებს მეფისა და სათავადო აზნაურთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XVIII ს. მეორე ნახევარში მეფესა და სათავადო აზნაურების ურთიერთობაში ზოგიერთი თავისებურებანი შეინიშნება. ეს თავისებურებანი შემდეგში გამოიხატება: თუ ადრე სათავადო აზნაურის სახლიკაცებს შორის, ანდა თავადის სააზნაურო სახლებს შორის მომხდარ დავას, ჩვეულებრივ თვითონ თავადი არჩევდა (ისე როგორც იქცეოდა ის თავისი ყმა-გლეხების სადავო საქმეების დროს), XVIII ს. მეორე ნახევარში ხშირია შემთხვევები, როდესაც თავადის აზნაურებს შორის მომხდარი დავის გამო განაჩენი იდება მეფის და მისი მოსამართლეების მიერ. მოვიტანთ რამდენიმე ასეთ მაგალითს:

კლიმიაშვილები ციციშვილთა სამკვიდრო აზნაურები იყვნენ. ციციშვილთა სათავადოს ერთ-ერთი სამოხელეო თანამდებობა, ბოქაულთუხუცესობა მათ საგვარეულოს ეკუთვნოდა. XVIII ს. მეორე ნახევარში კლიმიაშვილთა სააზნაურო სახლი გაყრილია და მათი სხვადასხვა განაყოფები არსებობენ. დათუა კლიმიაშვილს დავა აქვს თავის განაყოფთან, კაცია კლიმიაშვილთან ვენახის გამო. ამ სადავო საქმეს 1769 წელს მეფის სასამართლო არჩევს და განაჩენს ერეკლე II ამტკიცებს.[64]

თავიანთი გასაჭირის დროს სათავადო აზნაურები XVIII ს. მეორე ნახევარში ხშირად მიმართავენ ხოლმე მეფეს დახმარებისათვის. ისინი არზით შედიან მეფესთან, მაგალითად, იმის გამო, რომ ყმა გლეხები ეურჩებიან, სამსახურზე უარს აცხადებენ. ასეთია, მაგალითად, იოანე კლიმიაშვილის არზა 1798 წლის 20 ნოემბერს იულიონ ბატონიშვილისადმი მირთმეული. იულიონ ბატონიშვილი ამ არზის შედეგად სათანადო ზომებს იღებს, იასაულებს უგზავნის. იასაული უნდა დაადგეს კლიმიაშვილის ყმებს და აასრულებინოს სა-

[64] სცია, ფ. 1450, დავთ. № 38, საბ. № 103.

მსახური, რომელიც მათ მართებთ.[65] ხშირია ამ დროს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სათავადო აზნაური ჩივის მეფესთან თავის ბატონზე. ასეთია, მაგალითად, კლიმიაშვილის ქვრივისა და ობლების არზა ერეკლე II-სადმი.[66]

XVIII ს. მეორე ნახევარში სახელმწიფო გადასახადების აკრეფის საქმეში მეფე იმსახურებს თავის თავადებს, მიმართავს ხოლმე მათ ოქმით და ავალებს სხვადასხვა ღონისძიების შესრულებას. ამ საქმეში თავადებთან ერთად მეფე ერეკლე II სათავადო აზნაურებსაც იმსახურებს: 1786 წლის 3 მაისის ოქმით ერეკლე II უბრძანებს ვახუშტი ჯავახიშვილს და ჯამასპი კლიმიაშვილს სურსათის აკრეფას გაღმა მხრის სოფლებში.[67] 1799 წლის 18 ოქტომბრის ოქმით მეფე გიორგი XII უბრძანებს სარდალ გიორგი ციციშვილის აზნაურიშვილს ტეტია კლიმიაშვილს გამოღმა მხრის სალეკო გადასახადის თავლიდარისათვის მიბარებას.[68]

1800 წლის 22 აგვისტოს ოქმით მეფე ავალებს მინბაშ დათუა თარხნიშვილს და ტეტია კლიმიაშვილს რუსების მისასყიდი პური გამოართვან ციციშვილთა სასარდლოში შემავალ თავადებსა და აზნაურებს.[69] გიორგი XII უბრძანებს აგრეთვე კლიმიაშვილს ტეტია მოურავს და სხვებს შემოსავლის აღებას მთის სალბაშის, საფიჩხულის ან ბაჟის სახით და მის გაყოფას.[70]

1779 წლის 17 აგვისტოს ერეკლე II ბრძანებით მიმართავს მუხრან-ბატონის სახლთუხუცეს მერაბს: „რასაც წამს ეს ჩვენი ოქმი მოგვიდესთ, მაშინვე თავს შეიდევით და 30 ხარვარი პური გაარიგეთ მუხრანიდამ, დაფქვით და იმ სამს დღეზედ მზას დაიჭირეთ და როგორც ჩვენი ამბავი მოგივიდესთ, ისე ჰქმენით"-ო. ერეკლე II აღნიშნავს იქვე, რომ ამ საქმეს მუხრანის ბატონს ნუ შეატყობინებს მერაბ ზედგენიძე, ვინაიდან ის შეუძლოთ არის და „არამც ეწყინოს"-ო, „თუ შეატყობინებთ დიდად ავად მოგეპყრობით"-ო, წერს მეფე თავადის აზნაურს.[71]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზნაურის გაყრა მისი სენიორისვალდებულებაა. ქვემოთ მოგვაქვს საბუთი, საიდანაც ეს კარგად ჩანს, მაგრამ ამავე საბუთიდან ჩანს ისიც, რომ XVIII საუკუნის

---

65 ხელ. ინ. ფ. Qd, №696.
66 იქვე, № 705.
67 იქვე, Hd. № 11549.
68 საქ. სიძ. III, № 272.
69 ხელ. ინ. ფ. Hd. № 2167.
70 იქვე, № 7610.
71 ხცია, ფ. 1448, № 1332.

მეორე ნახევარში ამას არც თუ ისე მტკიცედ იცავენ. საბუთი წარმოადგენს გიორგი XII ოქმს მდივანბეგ ვახუშტი ჯავახიშვილის სახელზე. ამ ოქმში ნათქვამია: „...სარდალ-სახლთუხუცეს მუხრანის ბატონის იოანეს აზნაურიშვილებს მუსხელაანთ ცოტა რამ სალაპარაკო აქვსთ ერთმანეთში. მამულის გარჩევა უნდათ და მუხრანის ბატონი აქ ჩვენ გვახლამს და ვერ მოიცლის, რომ წავიდეს და შენ უნდა მიხვიდე ბრეძასა და ამ მუსხელაშვილებს რაც თავიანთი მამაპაპის ჰქონდესთ გასაყოფი და სალაპარაკო. რიგიანისა და სამართლიანის საქმით გაურჩიე. გაუყავ და თავ-თავისი წილი მიეც და გარდაუწყვიტე. რომ ერთმანეთთან სალაპარაკო აღარა დარჩესთ-რა. მუხრანის ბატონიც მოგწერს წიგნსა და როგორც სამართალი იყოს. ისე გაურჩიე და გაუსამართლე. რომ ჩვენთან აღარ იჩივლონ. თავთავისი წილი მოეც და გარდაუწყვიტე. ეს ასე უნდა გაუსამართლო". საბუთი 1800 წლის 23 მარტისაა.[72] მდივანბეგმა ვახუშტი ჯავახიშვილმა მართლაც გაუყო ყმა-მამული მუხრან-ბატონის აზნაურებს მუსხელიშვილებს. შემონახულია ამ გაყრილობის აქტი 1800 წლის 20 აპრილისა. რომელსაც ამტკიცებს დავით ბატონიშვილი.[73]

ერთი რამ არის კიდევ დამახასიათებელი XVIII ს. მეორე ნახევარში აზნაურთა ფენისათვის. თითქმის არა გვაქვს შემთხვევები მეფის მხრიდან თავადისათვის თავისი სახასო აზნაურის ყმა-მამულით ბოძებისა. დამოწმებული გვაქვს საბუთებში მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა. ისიც მეტად თავისებური: 1794 წ. ერეკლე II წყალობა უყო იმერეთის მეფის სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს იმ სამსახურისა და დახმარების გამო. რომელიც მას აღმოუჩინა ზურაბ წერეთელმა თავისი ჯარით. მეფემ უბოძა მას ქართლში თავის სახასო სადედოფლო სოფელი არადეთი „ყოვლისა შას შიგან მსახლობელის აზნაურშვილს იმხნელით და გლეხებით".[74] მეტად საინტერესოა და დამახასიათებელი ზურაბ წერეთლის პირობის წიგნი. რომელიც ამ წყალობასთან დაკავშირებით მიართვა მან იმავე დღეს ერეკლე II-ეს და დედოფალ დარეჯანს. ამ პირობის წიგნში ნათქვამია: „ქართლშიდ სოფლის სადედოფლოს არადეთის წყალობა დამემართა მათის სიმაღლისაგან და ამ არადეთში მსახლობელი აზნაურშვილი იმხნელი თავის შვილებით ძებოძა. მეც ეს პი-

---

[72] იქვე, № 4368.
[73] იქვე, № 871
[74] ხელ. ინ. ფ. Qd, № 6919.

რობა მომირთმევია. გაძლებას ვეცადო. რაც ჩვენგან შეიძლებოდეს, ის სოფელი და იმ სოფელში მსახლობელნი გლეხნი სამოურავოდ მივსცე. რაც ჩვენგან შეიძლება ყმა და გლეხი მიუმატო, თავისი ხატი და სასოფლო თითონ ქონდეს. თვითონ რომ ჩემს ხელმწიფე დედოფალს ახლდეს, თუ არ მიამის, არ მეწყინოს, რაც დღემდის უმსახურებია უმეტესათ სამსახური მოუმატოს. მეც მისი შემწე ვიყო და თუ ჩემი და ჩემის ოჯახის მუხანათობა შეაჩნდეს რამე, ისიც თქვენ მოგახსენოთ და ისე გარდახდეს. თუ არ შეაჩნდეს. გაძლება. სიყვარული და მინაცემი არცერთს იოტის ფასი არ მოეშალოს. არც დღეს ის რისაც მქონებელია. არც ისი და არც ჩემგან შემატებული. ამაზედ ჩემს კელმწიფეს მეფესა ვფიცავ. ეს ჩემი პირობა სრულებით ასე შევასრულო სიტყვით და საქმით. რაც იმკელი კაცის მართებულია პატივი და სიყვარული. გაძლება არ დავაკლო არც მას და არც მის შვილებს".[75]

უჩვეულოა პირობის ასეთი წიგნი აზნაურის საყმოდ მიღების გამო. საინტერესო და დამახასიათებელია აღნიშნული პირობებიც, მათ შორის ყველაზე მეტად ის პირობა, რომელიც ითვალისწინებს გაცემული სადედოფლო აზნაურის კვლავ დედოფლისათვის სამსახურის გაწევის ნების დართვას. მაშასადამე. აზნაურის ამგვარად გაცემა თავადისათვის წყალობად სრულიად არ ნიშნავს იმას. რომ ეს აზნაური სამეფო კართან სწყვეტდეს კავშირს. თავადი იმასაც პირდება მწყალობელს, რომ თუ მის მიმართ ორგულობა ჩაიდინა ამ აზნაურმა, ერთპიროვნულად. დამოუკიდებლად ვერ განსჯის მას, არამედ მეფეს და დედოფალს მოახსენებს და დამნაშავე ისე დაისჯება.

ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები. როდესაც სათავადოს გაუქმებასთან ერთად. მეფის ყმებად იქცევიან სათავადო აზნაურები.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით. ერეკლე II განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აზნაურთა უფლებას ბატონისაგან წასვლისა სამკვიდრო ყმა-მამულზე ხელის აღების პირობით. მაგრამ სამეფო ხელისუფლების ამ ღონისძიებას პრაქტიკულად დიდი შედეგი არ მოჰყოლია. სათავადო აზნაურების გადაბირებას აშკარად მეფე მაინც ვერ ბედავს და სათავადო აზნაურების მეფის ყმობაში გადასვლა უსათუოდ რაიმე საგანგებო საბაბთან არის ხოლმე დაკავშირებული. ასე მაგალითად. ციციშვილების აზნაურის გვარამაძის თავის ყმობაში მიღებისას ერეკლე II სარგებლობს იმ საბაბით, რომ გვარამაძეები ყიზილბაშობის დროს მათ ბატონს ტყვედ გაეყიდნა, ხო-

---

75 სცია. ფ 1450, დავთ. № 37, საბ. № 52.

ლო ტყვეობიდან დაბრუნებული ყმა XVIII ს. მეორე ნახევარში გამოცემული კანონის თანახმად თავისუფალი იყო ბატონის არჩევანში. ტყვეობიდან დაბრუნებული თუ გამოსყიდული აზნაურის თავის ყმობაში მიღება ერეკლე II-ისათვის ერთ-ერთი გზა იყო სათავადო აზნაურების გადმობირებისა. ამ გზით იქცა სამეფო ყმად თარხნიშვილების აზნაური ტარიელ ჯორაშვილი და ზოგიერთი სხვა სათავადო აზნაური. მეორე გზა. რომელსაც ერეკლე II მიმართავდა სათავადო აზნაურების მოსაზიდად, იყო ურჩი თავადებისათვის სასჯელის სახით აზნაურის ჩამორთმევა. ასე მაგალითად. ციციშვილის ყმა-აზნაურები თომა მელვინეთხუციშვილი. შემდეგში ლუარსაბ წინამძღვრიშვილი ამ გზით შეიქნენ მეფის აზნაურები.

ერეკლე II ბრძოლა სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ. ბრძოლა თავისი საყრდენი სოციალური ბაზის. აზნაურთა ფენის გაფართოებისათვის სათავადო აზნაურთა ხარჯზე. ნაკარნახევი იყო დაჩიხულობიდან გამოსვლისა და ქვეყნის შემდგომი განვითარების ინტერესებით, მაგრამ წამოწყებული ბრძოლა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. თავადური რეაქცია მტკიცედ იდგა თავისი ინტერესების სადარაჯოზე და ხელს უშლიდა მეფის ბრძოლას პროგრესისათვის. რეაქცია ამ ბრძოლაში სოციალურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას და ქვეყნის საგარეო მტრებს ემყარებოდა. ამიტომ იყო. რომ სამეფო ხელისუფლების წინაშე მდგომი საყრდენ ძალთა კონსოლიდაციის პრობლემა, რომლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი აზნაურთა ფენის შეკავშირება იყო. გადაუწყვეტელი დარჩა XVIII ს-ში. მხოლოდ XIX ს. შუა ხანებში, და ისიც დიდი ცდისა და ბრძოლის პირობებში. გახდა შესაძლებელი აზნაურების საბოლოო ჩამოცილება თავადების დამოკიდებულებისაგან. სათავადოს ძირითადი ფუნქციების მოშლასთან ერთად, რაც. ბუნებრივია, ერთბაშად არ მომხდარა. სათავადო აზნაურთა არსებობამაც დრო მოჭამა. მას შემდეგ, რაც თავადთან მოიშალა სათავადოს სამხედრო, სასამართლო და საფინანსო ფუნქციები, სათავადო ყმა-აზნაურების დახმარებით რომ ხორციელდებოდა სათავადოში, აზნაურთა ყმობასაც იქ ოდინდელი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მაგრამ აზნაურთა განსხვავებული სოციალური მდგომარეობა, მათი მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება თავადებისაგან, ჯერ კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა თავს. რუსეთის მთავრობას მრავალი ღონისძიების ჩატარება მოუხდა. სანამ აზნაურთა ყმობისაგან განთავისუფლების საკითხი თავის რეალურ გადაწყვეტას მიაღწევდა. ეს ცდები შეესაბამებოდა აზნაურთა დამოკიდებული ფენის მისწრაფებას თავი დაეღწიათ ყმობისაგან.

XIX საუკუნეში რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, რაც მიზნად ისახავდა თავად-აზნაურთა ერთიანი, კონსოლიდირებული კლასის ჩამოყალიბებას, აზნაურთა ფენამ თანდათან წოდებრივი და ქონებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. აზნაურობა თავადებთან ერთად რუს „პომეშჩიკებს" გაუთანაბრდა. სათავადო აზნაურების ჩამოცილება თავადებისაგან. მათი ქონებრივი გამიჯვნა ერთ-ერთი მიღწევა იყო კერძო-ფეოდალური მიწისმფლობელობის დამკვიდრების გზაზე. ფეოდალური საკუთრების გამიჯვნა და ინდივიდუალიზაცია, სათავადოებში არსებულ მიწისმფლობელობის ფორმებთან შედარებით, უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო და დიდად უწყობდა ხელს საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას XIX საუკუნეში.

## დ ა ნ ა რ თ ი

### მასალები სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურთა რაოდენობრივი შეფარდების შესახებ XV—XVIII სს. ქართლში

აზნაურთა რიცხობრივი რაოდენობის დასადგენად საფუძვლად აღებული გვაქვს 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატისათვის დართული ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების სია.[1] (ამ სიას ემყარება და თითქმის უცვლელად იმეორებს მას იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წ. შედგენილი ნაშრომი. რომელიც ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების საგვარეულო ისტორიის დადგენის ერთგვარ ცდას წარმოადგენს).[2] ჩვენი მიზნისათვის — სამეფო თუ სათავადო და საეკლესიო აზნაურთა რიცხობრივი შეფარდების დადგენისათვის — ტრაქტატს დართული აზნაურების სია საკმაო არაა. აქ აღნუსხულია მხოლოდ ის აზნაურული გვარი, რომელიც ცოცხალია XVIII ს. 80-იანი წლებისათვის. ჩვენ კი გვაინტერესებს აზნაურთა ფენა მთელ XV — XVIII საუკუნეთა სიგრძეზე. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ცვლილება მოხდა აზნაურთა შემადგენლობაში: არა ერთი აზნაურული გვარი გადაშენდა და არა ერთიც ახალი წარმოიშვა. არა ერთი სათავადო აზნაური სამეფოდ იქცა, ანდა პირიქით სამეფო აზნაური თავადის ყმა გახდა, და სხვ. ამას გარდა, თვით XVIII ს. 60-იანი წლებისათვის არ არის

[1] ხელ. ინ. ფ. Hd, № 2409.
[2] იქვე. ფ. S, № 3724

ეს სია ზუსტი. ზოგიერთი აზნაურული გვარი, იმ დროს ცოცხალი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გამორჩენილია ამა თუ იმ მიზეზით. ასე რომ, აღნიშნული სია ჩვენ მხოლოდ ამოსავალ წყაროდ თუ გამოგვადგება და მის ნაკლოვანებათა შესავსებად ისტორიულ დოკუმენტებს მივმართავთ.

### სამეფო აზნაურები

ტრაქტატის სიაში 81 სამეფო აზნაურია დასახელებული. ესენია:

1. შაბურისშვილი
2. თურქისტანიშვილი
3. სააკაძე
4. საგინაშვილი
5. გაბასშვილი
6. მურვანისშვილი
7. აბაზაძე
8. ყორღანაშვილი
9. ფიცხელაური
10. ენაკოლოფაშვილი
11. შანშიაშვილი
12. გლურჯიძე
14. გარაყანიძე
13. კობიაშვილი
15. კორინთელი
16. ჩერქეზისშვილი
17. ჰილასშვილი
18. იეგულასშვილი
19. მუსხელაშვილი
20. მეღვინეთხუცისშვილი
21. სავარსამიძე
22. ფურცელაძე
23. ტერისშვილი
24. ჩრდილელი
25. გარსევანიშვილი
26. გალატოზისშვილი
27. როსტევანასშვილი
28. მანუჩაროი
29. უთნელისშვილი
30. მახატელი
31. ყარანგოზისშვილი
32. მირზაშვილი
33. ზარდიასშვილი
34. ზანდუკელი
35. არეშიშვილი
36. თურმანისძე
37. ჯომარდიძე
38. ქურული
39. ოქრომჭედლისშვილი
40. ბერძნისშვილი
41. ალექსისშვილი
42. მარკოზისშვილი
43. ლარაძე
44. ნახუცრისშვილი
45. ფასიტაშვილი
46. ჰარუაშვილი
47. მახვილაძე
48. ზავარაშვილი
49. ჯავარაშვილი
50. რჩეულაშვილი

51. ქუმსიაშვილი
52. დავითიშვილი
53. ურქმაზისშვილი
54. ხეროდინასშვილი
55. თავყელისშვილი
56. წითელაშვილი
57. იშხნელისშვილი
58. ელიარასშვილი
59. მიქელისშვილი
60. ფარიმანისშვილი
61. ფაშტოვი
62. დიდებულიძე
63. ფანიასშვილი
64. ორჯონიკიძე
65. საყვარელიძე
66. ცალქალამანიძე
67. მადათაშვილი
68. ფირადაშვილი
69. ლორისმელიქისშვილი
70. გილდასშვილი
71. ბაზლიძე
72. ფატრელისშვილი
73. შავერდასშვილი
74. ბათისშვილი
75. უზნაძე
76. ოთანასშვილი
77. კოტეტისშვილი
78. გრიგოლაშვილი
79. ფარესისშვილი
80. გოგიბედაშვილი
81. ელიოზიძე

ამ სიის დასაზუსტებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ XVIII ს. შუა ხანებსა და მეორე ნახევარში ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი აქვს ზოგიერთ ისეთ მოვლენას, რომელმაც თავისი გავლენა იქონია ძალთა გადაჯგუფების საქმეში. ამ მოვლენათა შედეგად, 1783 წლისათვის ერთობ გაზრდილი ჩანს სამეფო აზნაურთა რიცხვი. XVIII ს. შუა ხანებში, როგორც ვიცით, გაუქმდა არაგვის ერისთავის სათავადო და ამ სათავადოს აზნაურები უშუალოდ დაუკავშირდნენ მეფეს. ამიტომ არაგვის საერისთაოს აზნაურები 1783 წ. შედგენილ ნუსხაში სამეფო აზნაურთა რიცხვშია შეტანილი. რამდენადაც ეს აზნაურები XV-ს-დან XVIII ს. ნახევრამდე არაგვის ერისთავთა აზნაურებს შეადგენდნენ, ამდენად, ჩვენ მათ არაგვის საერისთვოს აზნაურებად განვიხილავთ და არა სამეფო აზნაურებთან ერთად. ეს აზნაურებია: კობიაშვილი, შაბურიშვილი, ჰილასშვილი, ქუმსიშვილი, ყარანგოზიშვილი, ტერისშვილი, ჩრდილელი, ზანდუკელი, გილდაშვილი.

1777 წლის დამლევს ერეკლე II ღალატისათვის დასაჯა ქსნის ერისთავი და ჩამოართვა საერისთავო. ქსნის ერისთვისშვილებს, როსტომსა და მის ძმებს, საერისთავოს მცირე ნაწილი (თორმეტიოდე სოფელში მდებარე ყმა-მამული) დაუტოვა, დანარჩენი კი თავის შვილებს, გიორგი და იულონ ბატონიშვილებს გადასცა. გიორგი ბატონიშვილმა შემდეგში ეს მამული თავის შვილებს —

იოანესა და ბაგრატს მისცა. ამ გზით სხვა სახის ყმა-მამულთან ერთად, ქსნის ერისთავებმა თავიანთი აზნაურების დიდი ნაწილიც დაჰკარგეს. ქსნის ერისთავიანთ ის აზნაურები, რომლებიც ბატონიშვილთა ხელში გადავიდნენ. ამიერიდან სამეფო აზნაურთა რიცხვს მიეთვალნენ, ასეთებია: გარაყანიძე, ქურული, ფიცხელაური. უთნელიშვილი, კორინთელი, ფურცელაძე, ჩერქეზიშვილი, მახატელი.

დემეტრე ამილახვრიშვილის 1766 წ. ღალატისათვის დასჯის შემდეგ საამილახოროს 6 სააზნაურო სახლი მოაკლდა. ორი ამათგანი — საყვარელიძე და ცალქალამანიძე სამეფო აზნაურთა სიაში მოხვდა (4 დანარჩენი სრულიად გამორჩენილია რატომღაც ტრაქტატის სიაში).

ამრიგად. თუ მხედველობაში მივიღებთ XVIII ს. მეორე ნახევარში მომხდარ ამ ცვლილებებს. სამეფო აზნაურთა რიცხვი XVIII ს. მეორე ნახევრისათვის 60-მდე უნდა ვივარაუდოთ. წინა საუკუნეების მანძილზე სამეფო აზნაურთა რიცხვი თანდათან იკლებდა. სამეფო ხელისუფლება დროდადრო წყალობის სახით გასცემდა თავის აზნაურებს თავადებზე, უწყალობებდა მათ ეკლესიას. ძლიერი თავადები. თავის მხრივ. ძალადობისა და სხვა ღონისძიებათა გამოყენებით თვითნებურად ისაკუთრებდნენ ხოლმე სამეფო აზნაურებს. სამეფო აზნაურთა რიგების შევსება ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (მესხეთი, იმერეთი) გადმოსულ აზნაურთა სამეფო მამულებზე დასმის. ანდა ბუნებრივი გამრავლების (გაყრის შედეგად წარმოშობილი ახალი სააზნაურო გვარების წარმოშობის), ან კიდევ დაწინაურებულ გლეხთა გააზნაურების ხარჯზე (უნდა აღინიშნოს. რომ ეს უკანასკნელი გზა საკმაოდ იშვიათია ამ ხანის აღმ. საქართველოში). XVIII ს. მეორე ნახევარში ჩვენ ვხედავთ სამეფო აზნაურთა რიცხვის საგრძნობ ზრდას. ეს ხდება ჩვეულებრივ გავრცელებული გზების (გარედან მოსული აზნაურების სამეფო მამულზე დასმა და სხვ.) გარდა სათავადო აზნაურთა მეფის ყმობაში გადასვლის საშუალებით. ამ გზით რამდენიმე ათეული სააზნაურო სახლი მოემატა სამეფო აზნაურთა რიცხვს. ეს იყო სამეფო ხელისუფლების ერთგვარი წარმატება. მაგრამ. სამწუხაროდ, მან ამ დროს ვერ მიაღწია ისეთ დონეს, რომ რაიმე არსებითი ცვლილებები შემოეტანა არსებულ სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. აზნაურთა ჯერ კიდევ ფრიად დიდი ნაწილი მიჯაჭული ჰყავთ თავიანთ ყმობას ქართლის მრავალრიცხოვან ფეოდალებს.

## საეკლესიო აზნაურები

საეკლესიო აზნაურთა მფლობელი ძირითადად მცხეთის საკათალიკოზო ეკლესია იყო. 1783 წლის ტრაქტატისათვის თანდართული ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების სიით საკათალიკოზო ეკლესია 13 სააზნაურო სახლს ფლობს. ესენია:

1. მაღალაშვილი
2. ელიოზისშვილი
3. თუხარელი
4. ქარსიძე
5. თაზისშვილი
6. ქადაგისშვილი
7. კვალიასშვილი
8. ზუმბულიძე
9. ყავრიშვილი
10. ბოჰორიძე
11. ეგაძე
12. აღსაბაძე
13. ბადაშვილი

ეს სია სრული არ არის. შემონახული მასალები საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ მცხეთის ეკლესიის ყმა-აზნაურთა რიცხვი ამაზე უფრო დიდია. ტრაქტატის სიაში დასახელებულ სააზნაურო საგვარეულოებს გარდა მცხეთის ეკლესიას ჰყავდა აზნაურები. რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მოხვდნენ ამ სიაში.

ასეთთა შორისაა გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს გვარი. ტრაქტატის სიასა და იოანე ბატონიშვილის ნაშრომში ეს გვარი არც აზნაურების, არც თავადების რიცხვში არ არის შეტანილი.

როდესაც რუსეთის მმართველობამ XIX ს. დასაწყისში დასვა საკითხი საეკლესიო აზნაურთა ეკლესიისაგან ჩამოცილების შესახებ და ამასთან დაკავშირებით შედგა საეკლესიო აზნაურთა სია, იქ გედევანიშვილის გვარიც იყო ნაჩვენები (მცხეთას, სასხორს და გოროვანს). როდესაც მოხელეები შესდგომიან საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის აღწერას, ისინი მცხეთას მცხოვრებ ივანე, დიმიტრი და გიორგი გედევანიშვილებს თავიანთ მამულში არ შეუშვიათ და ყმა-მამულის აღწერა არ დაუნებებიათ. მათ განუცხადებიათ, რომ თავადები ვართო. უზენაესი მმართველობის საერთო საკრებულომ განიხილა გედევანიშვილთა საგვარეულო საბუთები და ისინი თავადებად სცნო. 1826 წ. შედგენილ საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის აღწერილობაში ივანე, დიმიტრი და გიორგი გედევანიშვილების ყმა-მამული შეტანილი არ არის, მაგრამ გედევანიშვილთა სხვა

წარმომადგენლების ყმა-მამული აღწერილია.[3] მაშასადამე, გედევანიშვილთა ერთი შტო თავადების წოდებაშია ნაგულისხმევი, სხვა შტოები კი ეკლესიის აზნაურებად ითვლებიან.

გედევანიშვილთა საგვარეულო საბუთებითაც მტკიცდება, რომ მას შემდეგ, რაც მათ ერთმა შტომ თავადობა მიიღო, დანარჩენი შტოები კვლავ აზნაურებად რჩებიან და ეკლესიის ყმები არიან.

1794 წლის საბუთებში მოწმედ იხსენიება „კათალიკოზის აზნაურიშვილი გედევანიშვილი დავით"[4]. 1800 წლის ნასყიდობის წიგნს დებენ კათალიკოზის „აზნაურიშვილები გედევანის-შვილები იოსებ და იოანე".[5] 1818 წლის კამერალურ აღწერილობაში შეტანილი არიან მცხეთის ეკლესიის აზნაურები ქაიხოსრო გედევანიშვილი, იოსებ გედევანიშვილი და სხვანი.[6] საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის 1826 წლის აღწერილობაში გედევანიშვილთა არა ერთი ოჯახის ყმა-მამულია აღწერილი.[7]

თუ რატომ არ მოხვდნენ გედევანიშვილები ტრაქტატს დართულ სიაში, ამაზე პასუხობს დარეჯან დედოფლის მოწმობის წიგნი. დედოფალი აღნიშნავს: „როდესაც არტიკულები დაიწერა, იმ დროს რომელიმე მიზეზით კურთხეული და ნეტარად სახსოვარი ჩუენი მეფე უწყრებოდა თქვენს სახლსა და ამ მიზეზისათვის დარჩა დაუწერელად კნიაზად გედეონის-შვილი არტიკულში".[8]

ჰ ა რ მ ა უ ლ ი — მცხეთის ეკლესიის ყმა აზნაურია XV—XVII და XVIII სს. პირველი ნახევრის მანძილზე. 1442 მისრი ედილაშვილმა, რომელიც „უმკვიდრო" შექმნილა (ვაჟი არა ჰყოლია), ქალიშვილი მღვდელ იესე ჰარმაულს მიათხოვა და მამული „მისითა საკელოთი და სამცხეთიშვილო კარსანს, ჯუარს, ფოსუს, ოროტას, კუტალას და ძაგუნაკორანთას" და ხატისწობენა ნაშვილობის წიგნით დაუმტკიცა „კითხვითა და ბრძანებითა ქართლის კათალიკოზისა შიოსითა და ყოვლითა მცხეთისშვილთა".[9] ამიერიდან, როგორც ვხედავთ, ჰარმაული მცხეთისშვილი შექმნილა. XVI—XVII სს. მანძილზე ჰარმაულები კიდევ აფართოებენ თავიანთ მამულს ნასყიდობათა და კათალიკოზთაგან მიღებულ წყალობათა გზით.[10] მათ სხვადასხვა თა-

---

3 სცი., ფ. 254, № 210.

4 იქვე, ფ. 1450, დავთ. № 38, საბ. № 175.

5 იქვე. ფ. 1449, № 1179.

6 იქვე, ფ. 254, № 408.

7 იქვე, ფ. 254, № 210.

8 დოკ. II, № 362.

9 ქრ. II, გვ. 252.

10 საქ. სიძ. II, №№ 360, 278, 210; ხელ. ინ. ფ. Qd, № 31.

ნადებობანი უპირავთ საკათალიკოზოში: ალავანის მოურაობა[11]. მეჯინიბეთუხუცესობა[12]. 1675 წ. ჭარმაულთა სახლი ორად იყოფა.[13] XVIII ს. 40-იან წლებში კი ეს ორივე სახლი უმემკვიდრეო შეიქმნა და ჭარმაულთა მამული კათალიკოზმა გედევანიშვილებს უბოძა.[14] ხოლო მეჯინიბეთუხუცესობა — თაზიშვილებს.[15]

დ ო ქ ი ძ ე. მართალია. დოქიძის გვარი არცერთ საბუთში აზნაურად არ იხსენიება. მაგრამ რამდენადაც ეს საეკლესიო ყმა. როგორც ეკონომიური, ისე უფლებრივი მდგომარეობით აზნაურს უტოლდება სავსებით და მხოლოდ გაფორმებაღა თუ აკლია ამ წოდებაში, ისიც მცხეთის ეკლესიის აზნაურებს შორის უნდა განვიხილოთ.

დოქიძე კათალიკოზის და სვეტიცხოვლის ყმა XVIII ს. დამდეგს ხდება. მანამდე ის საუფლისწულო ყმა იყო და დომენტი კათალიკოზს. როგორც ბატონიშვილს ახლდა მსახურად. როდესაც შაჰმა დომენტი კათალიკოზი ისპაანს დაიბარა. პაპუნა დოქიძე თან გაჰყოლია და ერთგულად უმსახურნია კათალიკოზისათვის. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კათალიკოზს თავის ძმისშვილის მეფე ბაქარისათვის უთხოვნია პაპუნა დოქიძის სვეტიცხოვლისათვის შეწირვა. პაპუნა დოქიძესაც სვეტიცხოვლის ყმობა მოუნდომებია და მეფესაც ამის თანხმობა მიუცია. ოღონდ პაპუნა დოქიძის სამკვიდრო მამული ისევ საუფლისწულოდ დაუდვიათ. ხოლო ის მამული. რომელიც პაპუნას ნასყიდობის გზით ჰქონდა შეძენილი, ანდა კათალიკოზს ებოძებინა მისთვის. პაპუნასვე დარჩა. პაპუნას კათალიკოზის ყმობაში შესვლა 1719 წ. კათალიკოზის წყალობის წიგნით გაუფორმდა.[16] ამ დროისათვის პაპუნა დოქიძემ 1712—1719 წლების მანძილზე ნასყიდობათა გზით საკმაო მამული დაიგროვა. როგორც მისდამი დადებული ჩვენამდე მოღწეული ნასყიდობის წიგნებიდან ჩანს. მას 1712 წ. უყიდია ვენახი.[17] 1713 წ. კიდევ ვენახი ატენს.[18] 1715 წ. მიწა საქოურში და[19] კიდევ მიწა.[20] 1716 წ. ატენს ახალშენი მამუ-

[11] ხელ. ინ. ფ. Ad, № 1911.

[12] იქვე. №№ 1959, 1854, 1814, 7845, 1626 და სხვ..

[13] სცია. ფ. 1450. დავთ. № 2, საბ., № 177.

[14] იქვე. ფ. 1448, № 669: ხელ. ინ. ფ. Hd. № 11305.

[15] სცია, ფ. 1450. დავთ. № 35. საბ. № 127.

[16] ხელ. ინ. ფ. Ad. № $1575_1$.

[17] იქვე, № 1581.

[18] იქვე, ფ. Ad, № 5195.

[19] იქვე, ფ. Ad. № 1663.

[20] იქვე, № 1647.

ლი.[21] 1717 წ. მიწა,[22] 1719 წლის 15/I-ს კიდევ მიწა.[23] 1713 წ. კათალიკოზ დომენტისაგან მის მიერ დახსნილი ბიჭი ნადირა მიიღო წყალობად.[24] მას შემდეგ, რაც პაპუნა დოქიძე სვეტისცხოვლის ყმა შეიქნა, კათალიკოზმა მას სახელოც უბოძა — აშენდის ნაცვლობა და მეღალეობა. ამრიგად, პაპუნა დოქიძეს აქვს თავისი მიწები და ვენახები, ჰყავს ყმა, ფლობს შემოსავლიან სახელოს. თავისი მდგომარეობით იგი უკვე აღარა ჰგავს გლეხს, მაგრამ, როგორც კათალიკოზისაგან 1719 წელს ნაბოძები წყალობის წიგნიდან ჩანს, მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ აზნაურის მდგომარეობისაგან რამდენადმე განსხვავდება. წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ მას არავითარი გამოსაღები (ჩამოთვლილია საბატონო გამოსაღებები) არ ეთხოვება ლაშქარ-ნადირობის გარდა და რომ მისი სახლის ერთი მსახური უნდა ახლდეს კათალიკოზს. ეს აზნაურული სამსახურია. მაგრამ ამასთანავე პაპუნა დოქიძეს ალაპი ადევს „ყოველს ხორციელს შაბათს... ჟამს აწირვინებდეთ ორს მღვდელსა და ერთს მთავარსა და საწირავად ხუთ შაურს მისცემდეთ"-ო, ნათქვამია საბუთში. აქვე აღნიშნულია ისიც, თუ რამდენი სტილი საკმელი, რამდენი კოდი პური და სხვა სანოვაგე უნდა დახარჯოს პაპუნამ ალაპის შესრულების დროს[25]. ეს უკანასკნელი ვალდებულება, ალაპის გადახდა, განასხვავებს დოქიძეს აზნაურთაგან და მას მოაღაპე გლეხის მდგომარეობაში აქცევს. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური მსგავსებაღაა. არსებითად ის გლეხი აღარ არის. მას შემოსავლიანი თანამდებობანი უკავია კათალიკოზის კარზე, ნაცვლობისა და მეღალეობის გარდა. 1721 წლიდან ის მოლარეთხუცისა და ნაზირის თანამდებობაზეა.[26] ეს უკვე მსხვილი სახელოა ფეოდალის კარზე. რაც მთავარია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დოქიძე იძენს ყმა-გლეხებს თავიანთი მამულით, ან უმამულოდ ყიდულობს მათ და სხამს მიწაზე. ამდენად ის უკვე ყმა-გლეხთაგან აღებული რენტით ცხოვრობს და თვითონ არ იხდის რენტას. ეს ის არსებითი რამ არის, რაც ძირითადად განასხვავებს აზნაურს გლეხისაგან. შემოსავლიანი თანამდებობები საშუალებას აძლევენ სისტემატურად გააფართოვოს თავისი ყმა-მამუ-

---

21 იქვე, № 1731.
22 იქვე, № 1661.
23 იქვე, № 1612.
24 დოკ.... წ. I, № 221.
25 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1575$_1$.
26 დოკ. I. №№ 263, 264, 267, ხელ. ინ. ფ. Ad, № 1656.

ლი. როგორც მის მიერ დადებული ნასყიდობის შემორჩენილი წიგნებით ჩანს, მას 1721 წელს ფარემუზ ჯავახიშვილისაგან უყიდია ყმა. ყარალაჯელი ბაინდურაშვილი ესტატე,[27] ზაზა აბაშიძისაგან მეტეხელი ბერია ტყაპუნაშვილი,[28] ხაალ ყანჩელისაგან ახრისელი კალატოზიშვილი დათუნა,[29] 1772 წ. ყიდულობს ვენახს თავისივე ვენახისა და თავისი ყმების ტყაპუნაშვილის და კალატოზიშვილის ვენახების გვერდით.[30] ზაზა (აბაშიძის) ყმების აბრამიშვილებისაგან ყიდულობს საწისქვილოს და მიწებს, აშენებს წისქვილს და მეწისქვილედ აბრამიშვილების თხოვნით მათ აყენებს. აბრამიშვილები იძლევიან პირობას, რომ მინდის ორ წილს მას, დოქიძეს მისცემენ და მესამედს თვითონ დაიტოვებენ. ხოლო რასაც ბოსტანს გააკეთებენ. სანახევრო იქნება.[31] 1723 წ. პაპუნა დოქიძე ბერისშვილისაგან საწისქვილოს ნახევარს ყიდულობს.[32] ყიდულობს კიდევ 2 დღის მიწას,[33] ყარალაჯში ყმას, ასატურაშვილს ზურაბს თავისი მამულით.[34] 1724 წელს ერასტი ჯავახიშვილი ნასყიდობის წიგნს აძლევს პაპუნას: „შენი დიალ ბევრი ვალი გვემართა და ჩვენ ამთონის თეთრის მოცემა ვერ შევიძელით და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ყმა ყარალაჯსა კილაკეტურაშვილი ხოსია თავისი შვილით, ბერუა და მომავალნი სახლისა მისისანი“ თავიანთი მამულით; კიდევ ყიდულობს გრაკლის თავს 12 დღის ხოდაბუნს და სხვა მიწებს.[35] ამავე წელს როინ ჯავახიშვილმა მიყიდა პაპუნას თავისი მკვიდრი ყმა მიხანაშვილი ბერი თავისი მამულით.[36] 1728 წ. პაპუნა დოქიძე ყიდულობს ზურაბ საავაძისაგან ვენახს.[37] 1799 წ. ბარამ მაღალაშვილისაგან სამამამთავროს ყიდულობს.[38] შემონახულია პაპუნა დოქიძის მიერ შედგენილი მისგან ნაშრომ-ნალვაწის ნუსხა. გარდა ამისა. რაც ზემოთ ხსენებულ ნასყიდობათა წიგნებით არის უკვე ჩვენთვის ცნობილი. ეს ნუსხა იძლევა კიდევ დამატებით ცნობებს პაპუნას მიერ შე-

---

27 დოკ. I, № 264.
28 იქვე, № 267.
29 იქვე, № 268.
30 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1698.
31 იქვე, № 1589.
32 იქვე, № 1790.
33 იქვე, № 1603.
34 საქ. სიძ. II, № 268.
35 იქვე, № 251.
36 იქვე, № 272.
37 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1831.
38 იქვე, № 1659.

ძენილი ყმა-მამულის შესახებ. ესაა: დომენტი კათალიკოზისაგან ნაბოძები ერთი საკომლო ატენს; პაატა პაპუნაშვილის საკომლო, რომელზეც პაპუნას დაუსახლებია გლეხი კაცი; მეტეხს დემეტრას შვილის ნაქონი 4 დღის მიწა; ატენს სასახლის ალაგი, სადაც პაპუნას აუშენებია „კარგი დარბაზი და საწოლი", მარანი, საკუჭნაო, სახაბაზო, საჯინიბო; ბოსელი, კარაპანი და კალო-საბძელი; პაპუნას უყიდია აგრეთვე ედიშერ ციციშვილისაგან ვენახი; გოსტაშაბიშვილისაგან თავის ნასყიდ წისქვილთან 2 დღის მიწა, სადაც ფარეხი აუშენებია. ამბრიასშვილისაგან 6 დღის მიწა უყიდია; შალვა სააკაძისაგან 5 დღის მიწა ხიდისთავს; რამაზას-შვილისაგან 6 დღის მიწა, ციცი ციციშვილისაგან 2 დღისა და სხვ.[39] როგორც ვხედავთ, პაპუნა დოქიძე კარგა მოზრდილი ყმა-მამულის მფლობელია ყველა იმ ატრიბუტებით, რაც აზნაურს აქვს ხოლმე ჩვეულებრივ. უკანასკნელად პაპუნა დოქიძე 1719 წლის საბუთში გვხვდება.[40] ამის შემდეგ, ის, ჩანს, ცოცხალი აღარ უნდა იყოს. მისი მემკვიდრეების შესახებ კარგა ხნის მანძილზე არაფერი ვიცით. როგორც ჩანს, მათ ველარ გაუწევიათ პაპუნას მიერ დატოვებული ყმა-მამულისათვის სათანადო მოვლა-პატრონობა. XVIII ს. 80-იან წლებში საბუთებში გვხვდება გლახა დოქიძე, რომელიც 1780 წ. კვლავ შოულობს კათალიკოზისაგან აშენდის მეღალეობას და ნაცვლობას. ეს სახელო, ნათქვამია კათალიკოზის წყალობის წიგნში, ძველთაგანაც გლახა დოქიძის ყოფილა და აქამდე „მარტოხელობის მიზეზით არა დაედივნა რა"-ო და ახლა ისევე მივეცითო".[41] 1785 წ. მეტეხის ნაცვლობასაც ღებულობს კათალიკოზისაგან წყალობად.[42] მიუხედავად ამისა, გლახამ არათუ შემატება ვერ შესძლო, არამედ მიღებულ ყმა-მამულს დაყიდვა დაუწყო. XIX ს. დამდეგს კათალიკოზი თავის მოხელეებით ცდილობს დაიბრუნოს „რაც მამული გაუყიდია დოქიძეს და ან იმის ცოლს".[43] ამ დროისათვის გლახა დოქიძის მამული უმკვიდრო შექნილა, ე. ი. გლახას არ დარჩენია ვაჟიშვილი. 1805 წ. მისმა ქვრივმა თინათინმა კათალიკოზთან იჩივლა, ქალები მყავანან გასათხოვარნი, ხოლო ჩვენი მამული ამილბარ მაღალაძეს აქვსო ნაბოძებიო. კათალიკოზმა დაავალა მაღალაძეს 3 თუმანი მიეცა თინათინისათვის, დოქიძეთა მთელი მამული კი მაღალაძის ხელში გადავიდა.[44]

---

39 იქვე, № 1656.
40 იქვე, ფ. Qd, $280_{II}$.
41 იქვე, ფ. Ad, № 1608.
42 იქვე, №№ 1745, 1592.
43 იქვე, ფ. Qd, № 1378.
44 იქვე, ფ. Ad, № 1615.

საეკლესიო აზნაურთა სიას კიდევ 4 საგვარეულო უნდა დაემატოს: გ ი ყ ი მ ყ რ ე ლ ი, გ ა რ ა ყ ა ნ ი ძ ე, მ ი წ ო ბ ლ ი ძ ე და ძ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი. ეს გვარები ტრაქტატის სიაში კახეთის აზნაურთა რიცხვშია შეტანილი. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, საბუთებით მათი მცხეთის ეკლესიისადმი ყმობა დასტურდება.

ამრიგად, როგორც მასალები გვიჩვენებენ, მცხეთის ეკლესია XV — XVIII საუკუნეებში 20 სააზნაურო სახლის მფლობელია.

თითოეულ სააზნაურო სახლში რამდენიმე კომლია სავარაუდებელი. XIX ს. დამდეგის მასალებით საეკლესიო აზნაურთა თითო საგვარეულოზე საშუალოდ 4 კომლი მოდის. ზემოთ ჩამოთვლილი 20 საგვარეულოდან საეკლესიო აზნაურთა 1826 წლის აღწერილობაში[44ა] 14 საგვარეულოა შეტანილი ასეთი შემადგენლობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | მაღალაშვილი | — | 8 კომლი |
| 2. | ელიოზიშვილი | — | 6 „ |
| 3. | თუხარელი | — | 5 „ |
| 4. | ქარსიძე | — | 3 „ |
| 5. | თაზიშვილი | — | 2 „ |
| 6. | ქადაგიშვილი | — | 1 „ |
| 7. | კვალიაშვილი | — | 7 „ |
| 8. | ყავრიშვილი | — | 1 „ |
| 9. | ბოჭორიძე | — | 2 „ |
| 10. | ბადაშვილი | — | 2 „ |
| 11. | გედევანიშვილი | — | 10 „ |
| 12. | გარაყანიძე | — | 1 „ |
| 13. | გიყიმყრელი | — | 2 „ |
| 14. | მგალობლიშვილი | — | 5 „ |
| | სულ | — | 55 „ |

**სათავადო აზნაურები**

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ტრაქტატს დართული სიის თანახმად ქართლში XVIII ს. მეორე ნახევარში 38 თავადია, რომელთაგან 21-ს ჰყავს თავისი ყმა-აზნაურები. ქვემოთ სათითაოდ განვიხილავთ, თუ რომელ თავადს რამდენი ყმა-აზნაური ჰყავს.

44ა სცია, ფ. 254, № 210.

რომელ საკვარეულოს ეკუთვნიან ეს აზნაურები. აგრეთვე, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოგვცემენ, მივუთითებთ იმაზეც, თუ როდის შემოდის ესა თუ ის აზნაური ამა თუ იმ თავადის ყმობაში. ამ საკითხებზე მთელი სიზუსტით პასუხის გაცემა ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა. საამისოდ მთელი ურიცხვი მასალის ამომწურავი შესწავლაა საჭირო. რაც ერთი ადამიანის შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ ჩვენს მიერ მოცემული სქემები, ვფიქრობთ, ძირითად ხაზებში მაინც, მიახლოებით სწორად ასახავენ არსებულ ვითარებას.

საამილახროში ტრაქტატის სიით 12 საზნაურო სახლია:

1. ზედგინიძე
2. ქარუმიძე
3. ყანჩიელი
4. ჩიკოიძე
5. ბასილაშვილი
6. ლიპარიტისშვილი
7. ტარსაიჭასშვილი
8. ზაალისშვილი
9. თუხარელი
10. ალექსისშვილი
11. მურაჩაშვილი
12. ციმაკურიძე.

ეს ნუსხა 1783 წლისათვის შექმნილ მდგომარეობას გამოხატავს. საუკუნეთა მანძილზე ამილახვრიანთ აზნაურების შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების დასადგენად ხელთ გვაქვს ამილახვართა ყმა-მამულის სხვადასხვა დროის ნუსხები. ერთ-ერთი XVII ს. პირველ ნახევარშია შედგენილი. ესაა ამილახვართა და მათ აზნაურთა ყმა-გლეხების ნუსხა.[45] აქ იხსენიებიან საამილახოროს მხოლოდ ის აზნაურები, რომელთაც ყმა-გლეხები ჰყავდათ. ნუსხაში 11 აზნაურული გვარია შესული; ზოგიერთი აზნაური მხოლოდ სახელითაა მოხსენებული. ამ ნუსხის მიხედვით, საამილახოროში 32-33 კომლი აზნაურია. დროთა განმავლობაში საამილახროს ზოგიერთი სააზნაურო სახლი გადაშენდა. ზოგიც ახალი შეემატა. XVIII ს. დასასრულს შედგენილი ნუსხებით ირკვევა. რომ ამ დროისათვის საამილახოროში 35-მდე კომლი აზნაურია.[46] ერთი შეხედვით, თითქოს საუკუნე-ნახევრის მანძილზე, საამილახორო ყმააზნაურთა რიცხობრივ შემადგენლობას თვალსაჩინო ცვლილებები არ განუცდია. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ XVIII ს. შუა ხანებში ადგილი აქვს საამილახოროს ყმა-მამულის, მათ შორის აზ-

[45] ს. კაკაბაძე. საამილახოროს დავთარი XVII ს. საისტ. მოამბე, 1925, წ. I.

[46] ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 1617, 7657; ფ. Ad, № 1403.

ნაურთა რიცხვის მკვეთრ შემცირებას. 1765 წლის ბოლოს გაიხსნა მეფის საწინააღმდეგო შეთქმულება, რომლის აქტიური მონაწილე დემეტრე ამილახვრის-შვილი აღმოჩნდა. დემეტრეს ხელთ იყო საამილახოროს ყმა-მამულის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი.[47] დემეტრეს, როგორც სამშობლოს მოღალატეს, მეფემ ჩამოართვა მთელი ქონება და თავის ნასისხლად გამოაცხადა. ჩამორთმეულ ყმა-მამულში 12 კომლი აზნაური შედიოდა. მაშასადამე, საამილახოროს ყმა-აზნაურთა რიცხვი ერთთავად 12 კომლით შემცირდა. მიუხედავად ამისა, 1791 წლისა და სხვა ნუსხების თანახმად, საამილახოროში კვლავ 30-ზე მეტი კომლი აზნაურია. ჩანს, XVII ს. პირველი ნახევრის შემდეგ ვიდრე XVIII ს. შუა წლებამდე ამილახვრიანთ ყმა-აზნაურთა რიცხვი საგრძნობლად მომრავლებული იყო.

სიაში აღნუსხულ საამილახორო აზნაურთა ნაწილი ამილახვრიანთ ძირძველი ყმებია, ნაწილი კი შედარებით გვიან შეძენილი.

საამილახოროს ერთ-ერთ ძირძველ სააზნაურო სახლს ქ ა რ უ მ ი ძ ე ე ბ ი შეადგენდნენ. XV ს. დასაწყისს ამილახვართა წინაპარს, გორის მოურავსა და ეზოს ჰურჰარეხს ავთანდილ ზედგინიძეს მეფე ალექსანდრე I უბოძა ქარუმიძე ქავთარ თავისი მამულით.[48] 1425 წ. მომხდარი ეს აქტი ერთი უძველესთაგანია აზნაურის თავადისათვის წყალობად გაცემისა. ქარუმიძეებს შემდგომ ხანებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ საამილახოროს აზნაურებს შორის. მათ ხელთ არის მსხვილი სამოხელეო თანამდებობანი ამილახვრიანთ კარზე — სახლთუხუცესობა,[49] კასპის მოურავობა;[50] გარსევან ქარუმიძეს გორის ნაცვლის თანამდებობა უჭირავს.[51]

XVIII ს. დამდეგისათვის ქარუმიძენი 4 კომლად არიან დაყოფილი.[52] XVIII ს. შუა ხანებში კი ქარუმიძეთა 6 კომლია ცნობილი: 1766 წ. დემეტრე ამილახვრის-შვილის სხვა ყმა-მამულთან ერთად ზაალ ქარუმიძე ძმებით, ყმითა და მამულით სამეფოდ დაიდო.[53] ხოლო ქარუმიძეთა სხვა 5 ოჯახი (ოთარის, გარსევანის, ავთანდილის, პაატას, გოგიასი) საამილახოროში დარჩა.[54]

---

47 სცია, ფ. 1449, № 854.

48 ქრ. II, გვ. 229.

49 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1251; ფ. Hd, №№ 1882, 2142; Qd, № 813; დოკ. I, № 352, სცია, ფ. 1448, № 4202.

50 საქ. სიძ. III, № 494.

51 დოკ. I, № 176.

52 სცია, ფ. 1448, № 3602.

53 იქვე, ფ. 1449, № 854.

54 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1403.

საამილახოროს 1791 წლის აღწერილობაში ქარუმიძეთა უკვე 7 ოჯახია შეტანილი.[55]

ქარუმიძეთა გარდა ამილახვრიანთ სხვა ძირძველი აზნაურებია: მურაჩაშვილი, ყანჩიელი, ბასილიშვილი, ტარსაიშვილი, ჩიკოიძე, თუხარელი, ლიპარისტიშვილი. ყველა ესენი ამილახვრიანთ ყმების XVII ს. პირველი ნახევრის ნუსხაში თითო ან ორ კომლად არიან შეტანილი და მხოლოდ ყანჩიელების რამდენიმე კომლია იქ დასახლებული.

XVIII ს. დამლევს ყანჩიელთა უკვე 5 კომლია საამილახოროში ცნობილი.[56]

ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მიხედვით ამილახვრიანთ ყმებად შედარებით უფრო გვიან, XVIII ს. მეორე ნახევრიდან, ჩანან შემდეგი აზნაურები: ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი (1791 წ. ნუსხაში მათი 3 კომლია შეტანილი),[57] ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი, ც ი მ ა კ უ რ ი ძ ე, ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე.

ზედგინიძე ამილახვართა მონათესავე გვარია. იმ დროს, როდესაც ზედგინიძეთა ერთი შტო XIV ს-ში აღზევდა და თავისი სათავადო (საამილახორო) ჩამოაყალიბა, ამ საგვარეულოს სხვა შტოები წვრილი ფეოდალის მდგომარეობაში რჩებიან. XVII-ს-ში ზედგინიძეებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული უნდა ჰქონდეთ ამილახვართაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა. გარდა იმისა, რომ ზედგენიძენი არ იხსენიებიან ამილახვრიანთ ყმათა XVII ს. ნუსხაში, ამას სხვა მონაცემიც გვაფიქრებინებს: XVII ს. ერთ საბუთში, სადაც ჩამოთვლილი არიან ამილახვართა სადროშოში შემავალი თავადები და სამეფო აზნაურები, დასახელებული არიან „ერთობილნი ზევდგინია[ნ]ნი" ფავნელიანთა, მაჩაბლიანთა, თუმანიანთა, ტატიანთა, აბაზაძისა და სხვა, ამილახვრიანთაგან დამოუკიდებელი საფეოდალო საგვარეულოების გვერდით.[58] 1747 წ. კი დავით ამილახვრიშვილი ასახელებს ზედგინიძეს: „ჩვენი აზნაურიშვილი ზედგინიძე ბეჟან".[59] 1753 წ. გაყრის დროს ამილახვრიანი ზედგენიძეებსაც იყოფენ ურთიერთ შორის.[60]

---

55 იქვე, ფ. Hd. № 1617.

56 იქვე.

57 სცია, ფ. 1450, დავთ. № 37, საბ. № 65.

58 ხელ. ინ. ფ. Hd, № 2124.

59 დოკ. I, № 471.

60 სცია, ფ. 1448, №№ 791, 2972.

ჩვენ განვიხილეთ ამილახვრიანთ 12 სააზნაურო სახლი, ტრაქტატის სიაში მოხსენებული. ეს სია ნაკლულია. ამილახვართა ყმააზნაურების რიცხვი გაცილებით დიდია. დ. გვრიტიშვილი გამოკვლევაში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ ტრაქტატის სიის დამატებით ამილახვრიანთ აზნაურების კიდევ 5 გვარს ასახელებს: თექთურმანიძეს, კუპატაძეს, პატისშვილს, კაპანაძეს და იალღუზიშვილს.[61]

თექთურმანიძისა და იალღუზიშვილის ტრაქტატში მოუხსენებლობა მარტივად აიხსნება: XVIII ს. დასასრულისათვის ეს ორი სახლი გადაშენებულია.

თექთურმანიძე XV საუკუნეში საკმაოდ თვალსაჩინო საგვარეულო იყო არაგვის საერისთავოში. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, თექთურმანიძე იყო პატრონი ხევისა. ის არაგვის ერისთავთა წინაპრებმა ამოწყვიტეს და ხევი თავისთვის დაიჭირეს.[62] თექთურმანიძეთა საგვარეულოს ზოგიერთი წარმომადგენელი, როგორც ჩანს, ცოცხალი გადარჩენილა, ოღონდ სოციალურად ჩამომცრობილა.[63] აზნაურული პატივი თექთურმანიძეებს საამილახოროში შემოუნახავთ. სადაც, შესაძლოა, ხევის ყოფილი მფლობელის ნათესავმა, არაგვის ერისთავთაგან დევნილმა, შეაფარა თავი და ამილახვრიანთ ყმა-აზნაური გახდა. თექთურმანიძეების საამილახოროში არსებობა დოკუმენტურად XVII ს. დასაწყისიდან დასტურდება. 1626 წ. იოთამ ამილახვარმა თექთურმანიძეებს მამული უბოძა.[64] თექთურმანიძე ამილახ-რიანთ საბუთებში XVIII ს-შიც იხსენიება.[65] მაგრამ ამ საუკუნის დასასრულს შედგენილ ამილახვრიანთ ყმების ნუსხებში[66] და XIX ს. პირველი კამერალურ აღწერილობებში თექთურმანიძეთა სააზნაურო სახლს საამილახოროში ველარ ვხვდებით. ვფიქრობთ, ეს სააზნაურო სახლი ამ დროისათვის გადაშენდა.

ასეთივე ბედი ეწია იალღუზიშვილთა სააზნაურო სახლსაც XVIII ს. დასასრულისათვის. ამილახვრიანთ ყმობაში ეს საგვარეულო სავარაუდებელია XVII ს. დასასრულიდან XVIII ს. დამლევამ-

---

61 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 242.

62 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. 1940. გვ. 125; დ. გვრიტიშვილი დასახ. ნაშრ. გვ. 87.

63 ხელ. ინ. ფ. Qd. № 1671.

64 იქვე, ფ. Ad, № 1388.

65 ხელ. ინ. ფ. Hd, № 2146; სცია, ფ. 1450, დავთ. № 38, საბ. № 215; - 144, ფ. 1448, № 253.

66 სცია, ფ. 1448, ჩ, №№ 1694, 4080.

დე. XVII საუკუნეში იალღუზიშვილი მეფის ყმა იყო ოღონდ ამილახვრის სადროშოში შედიოდა.[67] 1659 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ვახტანგ V იალღუზიშვილის დაცვა უხდება ამილახვართა შემოტევებისაგან.[68] ამილახვრიანთ ყმად იალღუზიშვილები 1692 წლიდან იქცევიან. ამ წელს ერეკლე I იოთამ ამილახვარს უბოძა იალღუზიშვილები თავიანთი მამულით.[69] XVIII ს. დასასრულს იალღუზიშვილის მამული საამილახოროში ბეითალმანად იხსენიება.[70]

კუპატაძე ვფიქრობთ, შეიძლება დაემატოს ამილახვრიანთ ყმა-აზნაურთა სიას. XVII ს-ში კუპატაძე ამილახვრიანთ ყმა-გლეხი ჩანს. ამილახვარი მას ათავისუფლებს კულუხისა, ბეგარისა, სამასპინძლოსა და ზოგიერთი სხვა ვალდებულებისაგან და უტოვებს შემდეგს—მსახურის ხლებას, ზვრის ბარვასა და ხოდაბუნის მკას.[71] ორი უკანასკნელი ვალდებულება სამუშაო ბეგარის ის სახეობაა, რომელიც ყმა-გლეხს ეკისრა ბატონის წინაშე. კუპატაძე არც XVIII ს-ში ჩანს ამილახვრიანთ ყმა-აზნაურად.[72] მხოლოდ 1797 წ. ერთი საბუთი მეტყველებს კუპატაძის წოდებრივ დაწინაურებაზე. ბარძიმ ამილახვრის-შვილი აღნიშნავს, რომ კუპატაძენი ბოლო ხანებში თავიანთ სამკვიდრო მამულზე არა მდგარან, აქა-იქ ცხოვრობდნენ და ახლა დაბრუნდნენ თავიანთ მამულზეო და დასძენს: „როგორც შენნი ამხანაგნი აზნაურნი იმსახურებდნენ, შენც ისე უნდა გვმსახუროო". ბარძიმ ამილახვრის-შვილმა კუპატაძეს რამდენიმე სოფლის მოურაობაც უბოძა.[73] ამ საბუთის მიხედვით კუპატაძე აზნაური თუ არა, მსახურიდან ამ წოდებაში გარდამავალ საფეხურზე მაინც დგას. ამილახვრიანთ ყმების ნუსხებში კუპატაძე აზნაურთა შორის არ იხსენიება.

ამილახვრიანთ აზნაურთა რიცხვში კაპანაძის შესატანად სათანადო საფუძველი არა გვაქვს. ამის მხოლოდ ერთი საბაბი არსებობს: ალექსანდრე ამილახვარი თომა კაპანაძეს, იმერეთის აზნაურიშვილს, იალღუზიშვილის ყმა-მამულს უბოძებს და მას თავისი

---

67 ხელ. ინ. ფ. Hd, № 2124.
68 იქვე, № 1533.
69 ქართ. სპ. საბ. № 150.
70 სცია, ფ. 1448, № 1020, 5714.
71 დოკ. I, № 116.
72 ხელ. ინ. ფ. Qd, № 2532; ფ. Hd, № 1617; სცია, ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. № 215.
73 დოკ. II, № 308.

„სძლის ბანგუას გაზრდილს“ ეძახის.[74] ეს საბუთი მოსკოვში დაიწერა. ალექსანდრე ამილახვრიშვილი (ერეკლე II საწინააღმდეგო პოლიტიკური პამფლეტისა და სხვა თხზულებების ცნობილი ავტორი) საქართველოში არ დაბრუნებულა (1802 წ. ასტრახანში გარდაიცვალა საქართველოში მომავალი). ამდენად. მის მიერ მოსკოვს გაცემულ საბუთს რეალური ძალა არ აქვს. კაპანაძე ამილახვრიანთ არც ერთ საბუთში აზნაურად არ იხსენიება.

პ ა ა ტ ი ს შ ვ ი ლ ი ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში პირველად მხოლოდ 1791 წლის ამილახვრიანთ ყმათა ნუსხაში იხსენიება.[75] ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს XVIII ს. ბოლოსათვის ცალკე კომლად გამოყოფილი ამილახვრიანთ რომელიმე სააზნაურო სახლის ერთ-ერთი შტო პაატას მემკვიდრეთა. ასეთი მაგალითები მრავალია. მოვიტანთ ორიოდეს: 1758 წ. ყანჩელი მათუნა ეყრება თავის ძმებს.[76] XVIII ს. მეორე ნახევრის ნუსხებში საამილახორო აზნაურებს შორის დასახელებულია უკვე აზნაური მათუნაშვილი.[77] ასე იხსენიება ყანჩელ მათუნას მემკვიდრე ყანჩელების სხვა საბუთშიც.[78] ამილახვრიანთ XVIII ს. მეორე ნახევრის ყმა-მამულის ნუსხებში იხსენიება აზნაური გიოგასშვილი. 1796 წ. უთრუთ გიოგაშვილს ბოქაულთუხუცესის თანამდებობა უჭირავს.[79] ამავე წლის საბუთით ირკვევა, რომ ბოქაულთუხუცესი უთრუთ, გვარად ყანჩელი ყოფილა.[80]

გარდა ზემოთ დასახელებული სააზნაურო სახლებისა. ამილახვრიანთ ყმა-აზნაურების სიას კიდევ არა ერთი გვარი უნდა დაუმატოთ:

1608 წელს ლუარსაბ მეფისაგან ამილახვრები წყალობად ღებულობენ აზნაურ მ ა ღ რ ა ნ ე ლ ს.[81] XVII ს. პირველ ნახევარში შედგენილ საამილახორო ყმათა ნუსხაში იხსენიებიან მაღრანელი რევაზასი და მაღრანელი დათუნას ყმა-გლეხები.[82] მაღრანელი

74 სცია, ფ. 1448. № 5714.
75 ხელ. ინ. ფ. Hd, № 1617.
76 სცია, ფ. 1448, № 517.
77 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1403.
78 იქვე. № 1480.
79 სცია, ფ. 1448, № 4473.
80 იქვე, №№ 4616, 4127.
81 იქვე, № 1208.
82 საისტ. მოამბე, 1925, წიგნ. I, გვ. 158.

XVIII ს. მეორე ნახევარშიაც იხსენიება საამილახოროს აზნაურებს შორის ერთ კომლად.[83]

ლ ა ზ ნ ე ლ თ ა გვარი XV—XVI ს-ნეებში დამოუკიდებელ საფეოდალოს ქმნიდა. ფეოდალურ შინაომებში ამილახვრებმა დ. ქსნის ერისთავებმა ამოწყვიტეს ეს საგვარეულო და მათი ყმა-მამული ურთიერთშორის გაიყვეს.[84] ლაზნელთა ცოცხლად გადარჩენილი წარმომადგენელი ამილახვრიანთ ყმა-აზნაური ხდება XVII ს-ში. საამილახორო ყმათა XVII ს. ნუსხაში იხსენიებიან ზურაბ ლაზნელის ყმა-გლეხები. XVIII ს. ამილახვრიანთ საბუთებში, ვიდრე ამ საუკუნის შუა წლებამდე, ხშირად ვხდებით ლაზნელის ხსენებას.[85] ამილახვრიანთ ყმა-მამულის 1791 წელს შედგენილ აღწერილობაში შეტანილია „ამოწყვეტილის ლაზნელის ბეითალმანი". [86]

შ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ივანე თავის მამულით 1608 წ. ლუარსაბ მეფემ ამილახვრებს უბოძა.[87] შანაშვილები იხსენიებიან XVII ს ამილახვრიანთ საბუთებში.[88] XVIII ს. 60-იან წლებში შედგენილ საამილახოროს აზნაურების სიაში დასახელებულია შანაშვილი ერთ კომლად.[89]

ჯ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი აბაზა[90] 1760-იან წლებში შედგენილ საამილახვრო აზნაურების ნუსხაში იხსენიება. 1791 წლის ნუსხაში ამილახვრიანთ ყმა-მამულისა შეტანილია აზნაური ჯანიაშვილი 3 კომლად და კიდევ „აზნაურის ჯანიაშვილის ავთანდილის ბეითალმანი მამული საკომლო ერთი".[91]

XVIII ს. ბოლოს ამილახვრიანთ კიდევ ერთი ახალი სააზნაურო სახლი უჩნდებათ. 1795 წ. ქაიხოსრო ამილახვრიშვილი სათავისთავო აზნაურს იესე დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს წყალობის წიგნს აძლევს.[92] ყმა-მამულის წყალობის წიგნებს უბოძებს 1799 და 1801 წ. ბარძიმ ამილახვრიშვილი გრიგოლ დავითაშვილს. როგორც ირკვევა, გრიგოლი ბარძიმის მამის დავითის უკანონო შვილია.[93] არსებული წესის

---

[83] ხელ. ინ. ფ Ad, № 1403.

[84] Н. Бердзенишвили Очерк. გვ. 37.

[85] სცია, ფ. 1448, № 687, ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 7034, 2139

[86] ხელ. ინ. ფ. Hd, № 1617.

[87] იქვე. ფ. Ad, № 1208.

[88] იქვე. № 1251; ფ. Qd, № 1387.

[89] იქვე. ფ. Ad. № 1403.

[90] იქვე.

[91] იქვე. ფ. Hd, № 1617.

[92] იქვე. № 2151.

[93] სცია, ფ. 1450, დავ. № 27, საბ. №№ 309, 301.

თანახმად, თავადის უკანონო შვილი აზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდა ხოლმე.

ამათ გარდა ამილახვრიანთ აზნაურების სიას უნდა დაემატოს კიდევ 6 სააზნაურო სახლი. ეს ის აზნაურებია, რომელნიც 1766 წ.. დემეტრე ამილახვრიშვილის სხვა ყმა-მამულთან ერთად, სამეფოდ იქნენ გამოცხადებული (და ალბათ ამიტომ ვერ მოხვდნენ ტრაქტატს დართულ ამილახვრიანთ აზნაურთა ნუსხაში):

*უგანაძე* ტრაქტატის სიით კახეთის აზნაურია. დოკუმენტებიდან კი ვლინდება, რომ უგანაძეები კახეთშიც მოსახლეობენ. მაგრამ ამ გვარის ერთ-ერთი შტო ქართლშიაც ცხოვრობს და ამილახვრიანთ ყმა-აზნაურია. ქართლში მოსახლე უგანაძე XVI-ს-ში ჯერ კიდევ სამეფო ყმა ჩანს: სვიმონ მეფე 1582 წ. უგანაძეების სადაო საქმეს არიგებს და სოფ. ძევერას ანებებს.[94] XVII ს-დან კი უგანაძე ამილახვრიანთ ყმად გვევლინება. თეიმურაზ I დროს იგი შანშე ერისთავსა და იოთამ ამილახვარს შორის საცილობელი გამხდარა. ამილახვარი ამტკიცებს — „უგანაძე მიზდღეჩი ჩემი და ჩემის სახლის სამკუიდრო ყოფილა"-ო. საბუთებით ირკვევა, რომ უგანაძე ამილახვარს დარჩენია ყმად.[95]

*პარკაძე* იხსენიება ამილახვრიანთ საბუთებში XVII ს. დამდეგიდან. მას ამილახვრიანთ კარზე ამ დროს მდივან-მწიგნობრის სახელო უჭირავს.[96] XVIII ს-ში პარკაძეები ამილახვრიანთ კარის ეკლესიის დეკანოზები არიან.[97]

*ჯავახაშვილების* ხსენებას ამილახვრიანთ საბუთებში XVIII ს. დამდეგიდან ვხვდებით. ამ დროს ისინი მდივან-მწიგნობრის სახელოს იკავებენ.[98] მოსახლეობენ ძევერას სამ კომლად.[99]

ტრაქტატს დართული სიის თანახმად *ნამორაძეები* ბარათაშვილისა და ფავლენიშვილის აზნაურები არიან. გარკვეულ დროს ნამორაძეებს თავიანთ ყმა-აზნაურებად ამილახვრებიც თვლიან. 1735 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ამილახვარს, სხვა აზნაურებთან და ყმა-გლეხებთან ერთად, წაურთმევია იორამ ფავლენიშვილი-

94 იქვე. დავთ. № 37, საბ. № 40

95 ქართ.–სპ. საბ. № 51; ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 2150, 3388.

96 სცია, ფ. 1448, № 281; ხელ. ინ. ფ. Hd, № 2111, ფ. Ad, № 643 ა.

97 დოკ. I, № 285; ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 2136; 5338; სცია, ფ. 1448, № 2553; ფ. 1449, №№ 854, 221.

98 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1202; ფ. Hd, № 3388; სცია, ფ. 112, № 201; სქ. სიძ. III, № 453.

99 სცია, ფ. 1448, № 253, ფ. 1449, № 854.

სათვის „ტბეთს აზნაურშვილი ნამორაძე ინდო და დათუნა თავის მამულითა და ყმითა". მართალია, ყიზილბაშმა მოხელემ ფავლენიშვილს დაუბრუნა ისინი[100], მაგრამ XVIII ს. შუა ხანებში ნამორაძეები კვლავ ამილახვართა ყმა-მამულის ნუსხებში იხსენიებიან. დემეტრე ამილახვრიშვილის წილი ყმა-მამულის დავთარში, რომელიც 1766 წელს არის შედგენილი, სხვა აზნაურებთან ერთად შეტანილია ნამორაძეთა ორი კომლი.[101]

ც ა ლ ქ ა ლ ა მ ა ნ ი ძ ე ე ბ ი ტრაქტატის სიით თარხნიშვილებისა და მეფის აზნაურები არიან. საბუთებით კი ვლინდება, რომ XVIII ს-ში ზოგიერთი მათგანი ამილახვრიანთ ყმა ყოფილა. ამილახვართა ყმობაში ცალქალამანიძეები XVII ს. დასასრულს უნდა მოხვედრილიყვნენ. ერთ უთარიღო საბუთში ნათქვამია: „გიორგი მეფეს ახალციხეს გასჭირებია, თავის დისთვის (გივი ამილახვრის მეუღლე იყო) საქონელი გამოერთმევინა და იმის სანუქფოდ იალღუზიშვილი, ბედინიშვილი და ცალქალამანიძე ებოძებინა".[102] ამიტომ, აცხადებენ ამილახვრები, ცალქალამანიძე ჩვენ გვეკუთვნისო. „საამილახოროს და ლიახვის გამოღმა კოდის პურის გამომღებთა ნუსხაში" (1700 წ.) საამილახორო ყმა-აზნაურებში გიორგი ცალქალამანიძე იხსენიება.[103] XVIII ს-შიც ცალქალამანიძენი ამილახვრიანთ ყმობაში არიან.[104]

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი საამილახოროში 1762 წლიდან გვხდება.[105] დემეტრე ამილახვრიშვილი 1740-60-იან წლებში ძლიერი ფეოდალი ჩანს. ამიტომაა, რომ მისკენ ისწრაფვიან აზნაურები. მაჭავარიანს გარდა, დემეტრეს დროს საამილახოროში მკვიდრდება ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე ც. 1776 წ. დაწერილ ერთ არზაში საყვარელიძეები წერენ, რომ იმერეთიდან გადმოსულნი დემეტრე ამილახვრიშვილს ეყმნენ, რომელმაც მათ „ამაგიც დიდი დასდო" — ვალები გადაუხადა და ყმა-მამული მისცა.

ნაწილი იმ აზნაურების, რომელიც ერეკლე II დემეტრე ამილახვრიშვილს ჩამოართვა, 80-იანი წლების ბოლოს უკან დაუბრუნა.

---

[100] იქვე, ფ. 1450; დავთ. № 45, საბ. № 152.
[101] იქვე, ფ. 1449, № 854. ფ. 1448, № 739; ხელ. ინ. ფ. Sd. № 4455.
[102] ხელ. ინ. ფ. Hd, № 2152.
[103] სცია, ფ. 1418, № 3602.
[104] იქვე, № 686; 1449, № 854; ხელ. ინ. ფ. Sd, № 4455.
[105] ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 5354, 5284.

ამრიგად. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები საშუალებას გვაძლევენ ტრაქტატის სიაში მოხსენებულ ამილახვრიანთ 14 სააზნაურო სახლს კიდევ ერთი ამდენი სააზნაურო სახლი დავუმატოთ.

საციციანოში ტრაქტატის სიით 34 სააზნაურო სახლია:[106]

1. მელვინეთხუციშვილი
2. კლიმიაშვილი
3. ორჯონიკიძე
4. უთრუთისშვილი
5. ალიბეგისშვილი
6. დანდლისშვილი
7. სტელისშვილი
8. დაფქვიასშვილი
9. ქართველისშვილი
10. აბრამისშვილი
11. ობლიძე
12. მაღრაძე
13. ალექსიძე
14. ბუნიათისშვილი
15. მუჩაიძე
16. გულბადისშვილი
17. ბუღუტაური
18. დეკანოზისშვილი
19. წინამძღვრისშვილი
20. ფურცელაძე
21. ჩინჩალაძე
22. ქურდევანიძე
23. ჩაკაშვილი
24. იონათამიშვილი
25. მწყერაძე
26. საყვარელიძე
27. ალიყულაშვილი
28. საფარაშვილი
29. გვარამაძე
30. სამისშვილი
31. ავლადასშვილი
32. ხუცისშვილი
33. ხაშარაძე
34. რევაზისშვილი

ციციშვილთა ზოგიერთი სააზნაურო სახლი რამდენიმე კომლადაა დაყოფილი: მაღრაძენი 1721 წ. ოთხ კომლად არიან[107]. ოთხ კომლად არიან წინამძღვარიშვილებიც.[108] ორ ან რამდენიმე კომლად იყოფიან XVIII ს-ში კლიმიაშვილები, ალექსიძენი, ბუნიათისშვილები, მუჩაიძეები, რევაზიშვილები და სხვ.[109]

ტრაქტატის სიაში შეტანილ აზნაურებს გარდა ციციშვილებს კიდევ ჰყავდათ აზნაურები. ასეთთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია აზნაურ გვერწითელის სახლი; საბუთები მოწმობენ, რომ ეს სახლი ციციშვილებს ეკუთვნოდა ყმად. საბუთებში ისიც არის ნათქვამი, თუ რატომ ვერ მოხვდა ეს გვარი ტრაქტატის

---

106 ამ სიას ზუსტად ემთხვევა ციციშვილების აზნაურთა ის სია, რომელსაც დ. გვრიტიშვილი იძლევა თავის ზემოხსენებულ ნაშრომში (გვ. 247).

107 ხელ. ინ. ფ. Hd, № 873.

108 სცია, ფ. 1448, № 5041.

109 ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 7886, 873.

სიაში. 1823 წ. დავით ციციანოვი აზნაურობის მოწმობის წიგნს აძლევს გვერწითლებს და წერს: „ტრაქტატსა შინა არ არიან მოხსენებული, ამის მიზეზი ის არის, რომ როდესაც ტრაქტატი შეუდგენია ირაკლი მეფეს. მამაჩვენი სპარსეთში ყოფილა ელჩად და გვერწითლები უფროსნი კაცნი თან ხლებიან. ჩემის აზნაურების აღწერა მინდობია თავადს მოურავს დავით ციციანოვსა და ჩემი სახლისკაცსა და... იმ დავით მოურავს... ჩემის სახლის კაცების მტრობით და შურით არ დაუწერია, თორემ ესენი ჩვენგან პატივცემულნი და ჩინებულნი აზნაურნი ყოფილან“.[110]

გვერწითლებს ციციშვილების კარზე ბოქაულთუხუცესის თანამდებობა ეჭირათ.[111] 1778 წ. ციციშვილმა გივი გვერწითელს ნაზირობა[112] და წინწყაროს ნაცვლობა უბოძა.[113] გვერწითლები ხშირად იხსენიებიან ციციშვილთა გაყრილობის წიგნებსა და ყმების ნუსხებში.[114]

ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს გვერწითელთა საბუთებში ვახტანგ VI მიერ 1710 წ. ზაქარია გვერწითლისადმი ბოძებული წყალობის წიგნი, სადაც მეფე წერს. რომ მას ზაქარიას ძმისწულ ჯანიბეგისათვის ყანდაარს მეფე ქაიხოსროსთან წასვლა უბრძანებია, ჯანიბეგი კი ეურჩა და სხვა ქვეყანაში გაიპრა. ზაქარიას ჯანიბეგის მაგიერ ყანდაარს წასვლა უკისრია და ამის საჯილდაოდ ვახტანგი მას ჯანიბეგის წილ ყმა-მამულს უბოძებს.

სათავადო აზნაურის სადმე გაგზავნა, თუ არა ამ აზნაურის ბატონის მეშვეობით, მეფეს არ შეეძლო. არც ყმა-მამულის წყალობა იყო წესად მეფისაგან სათავადო აზნაურისათვის. ამიტომაა ეს საბუთი გამონაკლისი გვერწითელთა საბუთებში და უსათუოდ გარკვეულ ამბებთან არის დაკავშირებული. ერთ გვიანდელ საბუთში დათუა გვერწითელი წერს: „მეფე ვახტანგ ...ბატონს ჩემს რომ გასწყრომია და მამულები ჩამოურთმევია, მაშინ გაღმა წყლისპირი ჰალაც ჩამოურთმევია და ოსიაურისათვის დაუდვია“.[115] როგორც ჩანს. ზემოთ ხსენებული ვახტანგ VI წყალობის წიგნი იმ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც გვერწითლები ჩამორთმეული ჰყოლიათ მეფისაგან ციციშვილებს.

---

110 იქვე, ფ. Ad № 911.

111 იქვე, ფ. Qd №№ 1026, 798; ფ. Hd, № 855.

112 იქვე, ფ, Ad, № 59.

113 იქვე, № 511.

114 ЦГИАЛ, ф. МВО, საქმე, № 258—280; სცია, ფ. 1450, დავთ. № 402, საბ. № 305; ფ. 1448, №№ 5010, 5557, ფ. 1449. №№ 868, 869.,

115 ხელნ. ინსტ. ფ. Hd, 8516.

XVIII ს-სათვის გვერწითელთა რამდენიმე განაყოფია.[116]

ტერტერაშვილთა I კომლი XVII—XVII სს. ციციშვილების ყმათა ნუსხებსა და სხვა საბუთებში აზნაურად იწოდება.[117] (ტერტერაშვილები საციციანოში გლეხებიც არიან).[118] XVIII ს. მეორე ნახევარში ტერტერაშვილის აზნაურობა სადაო შექმნილა — „მეზობლებს მოხარჯე კაცად შეუსმენივართო“, ჩივის იულონ ბატონიშვილთან ტერტერაშვილი. ციციშვილებისა და მათი აზნაურების მოწმობის ძალით დამტკიცდა ტერტერაშვილის აზნაურობა და იულონ ბატონიშვილმაც მას აზნაურობის დამტკიცების წიგნი მისცა.[119]

უზნაძეთა აზნაურობა და ციციანთ ყმობაც დოკუმენტურად მტკიცდება. უზნაძენი, სამცხის მკვიდრნი ძველად,[120] 1616 წლიდან ციციშვილების აზნაურებად იხსენიებიან.[121] XVIII ს. დამდეგისათვის მათი 2 კომლია საციციანოში.[122] სახელოდ მიცემული აქვთ კარალეთი.[123]

ციციშვილთა გაყრილობის წიგნებსა და სხვა საბუთებში მათ აზნაურებად იხსენიებიან: ფრანგიშვილი, ფიფიაშვილი, ფხაკაძე, ბედისმწერლიშვილი, მანველიშვილი.[124]

დავით ციციშვილს წყალობის ყმად მისვლია იასე აბაშიშვილი. გაწეული სამსახურისათვის 1782 წ. მას ციციშვილი უბოძებს მამულს და ჰპირდება: „კიდევ წყალობა გიყოთ, მამული მოგიმატოთ და სახელო მოგცეთ და ვითარცა ჩვენს აზნაურიშვილთ წესი და რიგია, ისე გამყოფოთ“.[125]

1791 წ. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დავით ციციშვილს აზნაურის ხარისხში აჰყავს თავისი ყმა დათუნა კეზელი.[126]

---

116 სცია, ფ. 1449, № 5048.

117 იქვე; ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 875, 873 და სხვ.

118 ხელ. ინ. ფ. Sd, №№ 928; 929; ფ. Ad, №№ 1358, 1429.

119 სცია, ფ. 1448, № 1266; ფ. 1450, დავთ. № 38. ს:ბ. № 248.

120 სამხ. საქ. ისტ. მას. გვ. 35.

121 ხელ. ინ. ფ. Ad, № 1410.

122 იქვე, ფ. Hd, № 873.

123 იქვე, № 1789.

124 იქვე, № 1636, 824; Ad. № 565; სცია, ფ. 1448, № 5041, ფ. 1449, № 868.

125 ხელ. ინ. ფ. Hd, № 3971.

126 იქვე, № 2230.

ქსნის ერისთავიანთ ტრაქტატის სიით შემდეგი აზნაურები ჰყავთ:

1. კორინთელი
2. ლოლაძე
3. თულაშვილი
4. ხმალაძე
5. უთნელიშვილი
6. სრესელი
7. ფავლენიშვილი
8. მრულისშვილი
9. მაჭავარიანი
10. ალექსიშვილი
11. ბასილაშვილი
12. ჩობინისშვილი
13. ტატისშვილი
14. ძანუჩარისშვილი
15. ძამელაშვილი
16. კობახიძე
17. განძიელი
18. ჯაფარიძე

1783 წ. შედგენილი ქსნის ერისთვიანთ აზნაურების ეს ნუსხა სრული არ არის. აქ არ შევიდნენ ქსნის ერისთვიანთ ზოგიერთი ძირძველი აზნაურები — ჟ უ რ უ ლ ი, ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, გ ა რ ა ყ ა ნ ი ძ ე, ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი, მ ა ხ ა ტ ე ლ ი — როგორც ჩანს, იმის გამო, რომ 1778 წლიდან, როდესაც მეფემ ქსნის ერისთავებს ღალატის გამო მათი ყმა-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოართვა, ეს აზნაურები სამეფოდ ცხადდებიან. რამდენადაც საუკუნეთა მანძილზე ეს სააზნაურო სასლები ქსნის ერისთვიანთ ეკუთვნოდნენ, ჩვენც მათ, ცხადია, ქსნის ერისთავთა აზნაურებად განვიხილავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1778 წლის შემდეგაც ქსნის ერისთავები განაგრძობენ ურჩობას და მეფემ მათ ჯერ 1786 წ. ყმა-მამულის კიდევ ერთი ნაწილი, ხოლო 1790 წ. მთელი ყმა-მამული ჩამოართვა და სამეფოდ დადო. ასე რომ, ზემოთ ჩამოთვლილი აზნაურები, ზოგი 1786 წლიდან, დანარჩენი კი 1790 წლიდან, მეფის და იულონ-გიორგი ბატონიშვილების სამსახურში არიან. 1801 წლიდან ერისთავებმა თავიანთი მამულების დაბრუნება დაიწყეს და ზემოთ ჩამოთვლილი აზნაურები თანდათან ისევ მათ ყმობაში მოექცნენ.

ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით ქსნის ერისთავთა ზოგიერთ სააზნაურო სახლზე.

კ ო რ ი ნ თ ე ლ ი ქართლის უძველეს აზნაურთა რიცხვს ეკუთვნის. დაჩი კორინთელი ქართლის აზნაურთა შორის ჯერ კიდევ

„მატიანე ქართლისაი“-ში იხსენიება.[127] XVI — XVII საუკუნეებში კორინთელი სამეფო აზნაურია. 1610 წ. ლუარსაბ მეფე თავის „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურ ყმას“ მამუკა კორინთელს მისი უშვილო განაყოფის კერძ მამულს უბოძებს.[128] წყალობის წიგნს უბოძებს მამუკა კორინთლის შვილს იოთამს 1639 წ. როსტომ მეფეც და იგივე ეპითეტებით ამკობს.[129] XVII ს. მეორე ნახევარსა თუ XVIII ს. პირველ ნახევარში კორინთელი ქსნის ერისთვის ყმა შექნილა — როდის და რა პირობებში არ ვიცით.

ფიცხელაურები ქსნის ერისთავთა ყველაზე დაწინაურებული და ოჯახმრავალი აზნაურები იყვნენ. მათ ქსნის ერისთვიანთ კარზე თვალსაჩინო თანამდებობანი ეპყრათ (ბოქაულთუხუცესის,[130] ახალგორის მოურავის).[131] XVIII ს. შუა ხანებისათვის ფიცხელაურები 4 კომლად არიან დაყოფილი.[132]

ქურული ქსნის ერისთვიანთ უძველესი ყმა-აზნაურია. საბუთებში ასეთად XV ს-დან ვხვდებით. 1470 წელს ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი ლარგვისის მონასტერს სწირავს სოფლებს და მონასტრის წინამძღვრად აჩენს ქურულისშვილს გიორგის შვილებით.[133] 1482 წლის საბუთში ქურული გიორგი მღვდელი ძმებით ქსნის ერისთვის შალვას და ლარგველის მკვიდრებად და მათთან აღზრდილებად იწოდებიან. აქვე ნათქვამია, რომ ქურულთა გვარის კაცი ცხრაზმის მონაპირე და მონასტრის ციხისთავისშვილი ყოფილა.[134] XVIII ს. 70-იან წლებში ქურულები 4 კომლად არიან დაყოფილი.[135]

---

127 ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ., 1955. გვ, 269. ამ გამოცემისათვის დართულ საკუთარ სახელთა საძიებელში დაჩი კორინთელი შეცდომით კახეთის აზნაურად არის გამოცხადებული. (გვ. 409). ტექსტში იხსენიებიან „აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კაცნი: გოდერძი, მგდეური, მამა ყანჩელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი სარა და გრიგოლ ძმანი ფხეენელნი და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა“. ამ კონტექსტიდან დასკვნის გამოტანა, რომ დაჩი კორინთელი „კახი აზნაურია“, არ შეიძლება იგი ისეთივე ქართლელია, როგორც სხვილოსელი, ფხვენელი თუ ყანჩაელი.

128 სცია, ფ. 1450, დავთ. № 26, საბ. № 274.

129 იქვე, საბ. № 275.

130 იქვე, დავთ. № 24, საბ. №№ 116, 117, 102, 110; ფ. 1448, №№ 902, 2452.

131 საქ. სიძ. II, 408; სცია, ფ. 1448, № 2452.

132 ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. უნ. შრ. ტ. 45. 1951.

133 საქ. სიძ. III, № 578.

134 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7118.

135 ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. უნ. შრ. ტ. 45. 1951. გვ. 18, 46—47.

უ თ ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი და ს რ ე ს ე ლ ე ბ ი ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, ქსნის ერისთვიანთ ყმებად XVII ს-დან ჩანან.[136] XVIII ს. მეორე ნახევარში გიორგი უთნელიშვილი ერისთვიანთ სახლთუხუცესია.[137] XIX ს. დამდეგისათვის ს. ქსუისს უთნელიშვილთა 2 კომლი სახლობს.[138]

მ რ უ ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი XIV—XVI სს. საბუთებში მცხეთის ეკლესიისათვის შეწირული ყმა-მამულის ნუსხაში ისსენიებიან ს. რუისს მოსახლედ.[139] ქსნის ერისთვიანთ ყმებად და ს. ფლავს მოსახლედ ისინი საბუთებში XVII ს-დან ჩანან.[140] ერთ ხანს მრულიშვილები მეფეთა ყმობას უბრუნდებიან: 1700 წ. ერეკლე I მრულიშვილებისადმი მიცემულ წყალობის წიგნში მათ თავის ერთგულ და ნამსახურ აზნაურებს უწოდებს და აცხადებს, რომ მან გამოიძია და მრულიშვილები ძველიდანვე სამეფო აზნაურები აღმოჩნდნენ. „ადედოფლონი. ახლა ისევ სახასოდ დავდევით და კარზე ვიმსახურეთ და მამულის წყალობასაც ვაძლევთო.[141] თავის ერთგულ და ნამსახურ აზნაურიშვილებად იხსენიებს მათ მეფე ბაქარიც; 1720 წ. და წყალობის წიგნსაც აძლევს.[142] ამის შემდეგ (ალბათ, ყიზილბაშობა-ოსმალობის დროს) ქსნის ერისთვიანნი კვლავ თავიანთ ყმობაში აქცევენ მრულიშვილებს. 1768 წ. ერისთვიანთ გაყრის დროს მრულიშვილები თავიანთი ყმა-მამულით გიორგი ყულარაღასს მიეკუთვნენ.[143]

აზნაურთა ერთი ნაწილი ქსნის ერისთვიანთ საბუთებში მხოლოდ XVIII ს. შუა წლებიდან გვხდებიან: ხ მ ა ლ ა ძ ე XVII ს. მასალებით მეფის ყმაა.[144] ხოლო XVIII ს. მეორე ნახევრიდან ქსნის ერისთავების.[145]

---

[136] ხელ. ინ. ფ. Qd, № 2052; ფ. Hd, №№ 14669, 3211 ; 3235.

[137] იქვე, ფ. Qd, № 690. სცია, ფ. 1449, № 795 და სხვ.

[138] სცია, ფ. 254, № 58.

[139] ქრ. II, გვ. 197; ხელ. ინ. ფ. Hd, № 8712; სცია, ფ. 1451, დავთ. № 1, გვ. 2. 7, 8; საიტ. კრ. III, გვ. 119.

[140] ხელ. ინ. ფ. Hd, № 6774.

[141] სცია, ფ. 1450, დავთ. № 37, საბ. № 55.

[142] იქვე, საბ. № 49.

[143] ხელ. ინ. ფ. Hd, № 9980; ფ. Qd, №№ 656, 7300.

[144] ქართ.-სპ. საბ. №№ 59, 80; ვახუშტი, გვ. 94.

[145] ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 9983, 10003, 2567, 2845, 10004; სცია, ფ. 1450, დავთ. № 49, საბ. №№ 137, 152.

ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ქართლის თავადები იყვნენ. ამავე დროს ფავლენიშვილებს XVIII ს. მეორე ნახევარში ქსნის ერისთავთა აზნაურებს შორისაც ვხვდებით. ცნობილია, რომ თავადის უკანონო შვილი აზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდა და უფლება ჰქონდა თავისი ნება-სურვილით აერჩია პატრონი. ვფიქრობთ, ასე უნდა მომხდარიყო ამ შემთხვევაშიც. დავით ერისთავის წილის წიგნში 1768 წ. აღნიშნულია, რომ „ფანჩელიშვილის ბუში შვილი ივანე". დავითს ერგო.[146] ეს არის ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომლითაც ფავლენიშვილის ქსნის ერისთვიანთ ყმობა დასტურდება.

ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი ქსნის ერისთვიანთ აზნაურებს შორის ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში XVIII ს. მეორე ნახევრამდე არა გვხდება. 1789 წლის ერთი საბუთით ირკვევა, რომ ამილახვარმა აზნაური გოგია ალექსიშვილი მზითევში გაატანა თავის ასულს, რომელიც ქსნის ერისთავმა შეირთო.[147] როდესაც მეფემ ქსნის ერისთავი დასაჯა ღალატისათვის და ყმა-მამული ჩამოართვა. მზითევში გაყოლებული 2 აზნაური. მათ შორის გოგია ალექსიშვილი, ოთარ ამილახვარს დაუბრუნა.

ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, როგორც ქსნის ერისთვიანთ ყმა. პირველად 1741 წ. საბუთში გვხდება. ამ წელს ქსნის ერისთავმა შანშემ ბეჟან ჩუბინიშვილს უბოძა „მეჯვრისხევს ლუარსაბ ლოლაძის წილი მამული, სასახლე და კოშკი და გარეშამოთ თავისის ყმითა. ალაგითა, წისქვილითა". 1784 წლის საბუთში ნათქვამია. რომ ჩუბინიშვილები ქსნის საერისთაოში შანშე ერისთავის „ბატონობასა და განმგეობაში" ჰოსულან.[148] ქსნის ხეობის 1774 წლის აღწერილობით ჩუბინიშვილები ლამისყანას სახლობენ ერთ კომლად.[149] ხოლო 90-იან წლებში გაყრილან.[150] ერისთვიშვილების 1807 წლის გაყრილობის წიგნში ჩუბინიშვილთა 2 კომლია შეტანილი. ერთი მათგანი მეჯვრისხევს, მეორე კი ლამისყანას მოსახლეობს.[151]

გ ა ნ ძ ი ე ლ ი XVIII ს. მეორე ნახევრამდე ქსნის ერისთვიანთ ყმად საბუთებში არ გვხდება. შანშე ერისთვიშვილის წილის ბა-

---

146 ხელ. ინ. ფ. Hd, № 9984.
147 ხელ. ინ. ფ. Qd, № 676.
148 სცია, ფ. 1448, № 2448.
149 იქვე, № 3000; უნ. შრ. ტ. 45. 1954. გვ. 55.
150 სცია, ფ. 1448, № 3000.
151 იქვე, ფ. 1450, დავთ. № 51, საბ. № 155.
152 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7300.

რათში 1768 წ. იხსენიება „ბოჭოლაშვილის მამული განძიელით".[152] ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ განძიელს სხვისი მამული უჭირავს და. ამდენად, ქსნის ერისთვიანთ მკვიდრი აზნაური ამ დროს თითქოს არ ჩანს. როგორც 1773 წლის ერთი საბუთით ირკვევა, განძიელს დროებით უჭირავს მრულიშვილის ობლის მამული. სანამ ბატონი მას სხვა მამულს მისცემდეს. ესეც განძიელის ახლად მოსულობაზე მიუთითებს.[153] XVIII ს. შუა ხანებიდან ქსნის ერისთავიანთ საბუთებში იხსენიებიან ტატიშვილი, ბასილიშვილი, მაჭავარიანი. კობახიძე. ჯაფარიძე.

ქსნის ერისთვიშვილთა 1768 წლის გაყრის დროს ტ ა ტ ი შ ვ ი ლ თ ა ორი კომლი სახლობს ქსნის საერისთავოში: გარსევან ტატიშვილი გიორგი ყულარალასს ერგო ყმად,[154] ხოლო ქაიხოსრო ტატიშვილი — დავით ერისთავს.[155] ქსნის ერისთვიანთ 1814 წლის ყმათა ნუსხაში ტატიშვილების 3 კომლია შეტანილი. მოსახლეობენ ს. მარანას.[156]

1768 წ. ქსნის საერისთავოში ბ ა ს ი ლ ი შ ვ ი ლ ი ს ერთი კომლია აღნიშნული.[157] 1814 წლის ნუსხაში კი შეტანილი. „სოფელსა ფლავს აზნაურის ბასილიშვილის ბეითალმანი".[158]

დავით ქსნის ერისთავი ვასილ კ ო ბ ა ხ ი ძ ე ს 1766 წ. მიცემულ წყალობის წიგნში თავის მკვიდრ აზნაურიშვილს უწოდებს.[159] 1774 წლის საბუთში ვასილ კობახიძე ქსნის ერისთვის მდივნად იხსენიება.[160] 1778 წ. ვასილი და მისი ძმისშვილი მღვდელი გაბრიელ იყრებიან.[161] გაბრიელი ამის შემდგომ ხანებში დატყვევებულა, ის მეფეს გამოუხსნია და თავის ყმად დაუდვია. [162] ვასილ კობახიძე კი 80-იანი წლების ბოლომდე ქსნის ერისთვისშვილის როსტომის ყმაა და მდივნობით ემსახურება მას.[163]

---

153 სცია, ფ. 1448, № 1141.
154 ხელ. ინ. ფ. Hd, № 10002.
155 იქვე. № 14051.
156 იქვე. № 8047.
157 იქვე, № 9984
158 იქვე, № 8047.
159 იქვე. ფ. № 11515.
160 სცია, ფ. 1448, № 4336.
161 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7064.
162 იქვე. ფ. Hd, № 8179.
163 სცია, ფ. 1448, № 4710; ფ. 1450, დავთ. № 28, საბ. № 222.

გიორგი ჯაფარიძე ერისთვისშვილების გაყრის დროს (1768 წ.) წილად გიორგი ყულარაღასს რგებია.[164] XIX ს. საბუთების მიხედვით, ჯაფარიძე მეჯვრისხეველი აზნაურია.[165]

XVIII ს. შუა ხანებში ქართლის თავადის დავითიშვილის აზნაური ზარდიაშვილი ქსნის ერისთვიანთ ყმა შეიქნა. დავითიშვილი ათეული წლების მანძილზე ცდილობს დაიბრუნოს მისგან წასული აზნაური, მაგრამ უშედეგოდ. ტრაქტატს დართულ სიაში ზარდიაშვილი სამეფო აზნაურთა რიცხვშია შეტანილი. ეს იმიტომ, რომ ამ დროს ქსნის ერისთვიანთ ყმა-მამული სამეფოდ არის დადებული. მაგრამ XIV ს. დამდეგიდან, როდესაც ქსნის ერისთვიანთ დაუბრუნდათ ყმა-მამული, ზარდიაშვილი ისევ მათი ყმა-აზნაური შეიქნა.[166]

დ. გვრიტიშვილს თავის ნაშრომში მოტანილი აქვს ქსნის ერისთავთა აზნაურების სია, რომელშიც 29 გვარია დასახელებული. 16 ამათგანი ტრაქტატს დართულ ქსნის ერისთავთა აზნაურების სიას ემთხვევა, 6 ტრაქტატისავე სიაში სამეფო აზნაურთა შორის არის დასახელებული (ყურული, გარაყანიძე, ფიცხელაური, ფურცელაძე, ჩერქეზიშვილი, მახატელი). ჩვენ ყველა ისინი ზემოთ განვიხილეთ. დანარჩენი 7 გვარი — აბულაძე, ელიაშვილი, კაკაშვილი, მამულაშვილი, იმერლიშვილი, ბევიაშვილი, ლონგულაშვილი — ხშირად გვხდება ქსნის ერისთვიანთ ყმათა ნუსხებსა და სხვა საბუთებში, მაგრამ არავითარი მითითება მათი აზნაურობის შესახებ ჩვენ არ გაგვაჩნია.

ზემოთ განხილულ ქსნის ერისთავთა 25 აზნაურულ გვარისათვის კიდევ ერთის დამატება შეიძლებოდა: ქსნის ერისთავთა გაცემულ წყალობათა თუ შეწირულების წიგნში აღნიშნულია ხოლმე, რომ ეს საბუთი დაწერილია მათი კარის მდივან მწიგნობრის თამაზა ქარელის მიერ.[167] ქსნის ერისთვიანთ ერთ-ერთ საბუთში საუბარია იმაზე, რომ აზნაურთა განწილვის დროს ქარელი ჩერქეზიშვილის ფარდად იყო აღებული.[168] შესაძლოა, რომ თამაზ ქარელის ეს დაწინაურება შედარებით გვიანდელი, XVIII ს. ამბავი იყო, მისი გაფორმება აზნაურულ წოდებაში არ მომხდარიყო და ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ტრაქტატის სიას სრულიად აკლია ეს

164 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7300.

165 იქვე, ფ. Sd, №№ 5151, 3103; სცია, ფ. 254, № 985.

166 სცია, ფ. 254 № 58; ფ. 1450, დავთ. № 51, საბ. № 155.

167 სცია, ფ. 1448, № 1215; საქ. სიძ. I, 226.

168 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7108.

გვარი. ტყვიაველი მღვდლის 1792 წლის ერთ არზაში იულონ ბატონიშვილისადმი ნათქვამია. რომ „ქარელი მდივანი კაი ყმა შეიქნა და იმ (ტყვიავის—გ. ა.) სოფლის მოხელე შეიქნა“-ო. ამ საბუთითაც ქარელის „კაი ყმად“ ქცევა. ე. ი. აღზევება თითქოს ახალი ამბავია.[169]

არაგვის საერისთავოში შემდეგი აზნაურები სახლობენ:

1. კობიაშვილი
2. შაბურიშვილი
3. ჰილაშვილი
4. ტერიშვილი
5. ზანდუკელი
6. ქუმსიშვილი
7. ყარანგოზიშვილი
8. ჩრდილელი
9. გილდაშვილი

ყველა ესენი (ჩრდილელის გარდა) არაგვის ხეობის ბარში მოსახლენი არიან. არაგვის ხეობის მთიან ნაწილში აზნაურების გაჩენა XVII — XVIII ს-ნეებში მხოლოდ დასაწყის სტადიაშია. რაც იმის მოწმობაა, რომ არაგვის მთაში ფეოდალური ურთიერთობა ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული.

კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ თ ა წინაპრები, იოანე ბატონიშვილის ცნობით. თავდაპირველად არაგვის ხეობის მთაში სახლობდნენ და როსტომ მეფის დროს ჩამოსულან ვაკეში.[170] XVII — XVIII ს-ნეებში კობიაშვილები დუშეთსა და მის მახლობლად. ს. კობიანთკარს არიან მოსახლენი. XVII ს-ში კობიაშვილთა 2 კომლია არაგვის საერისთავოში.[171] მათ მსხვილი სახელოები უკავიათ არაგვის ერისთავთა კარზე. 1770-იანი წლების აღწერილობით კობიაშვილები 11 კომლად არიან დაყოფილი[172]

შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი. არაგვის საერისთავოს პირველი ერისთავები იყვნენ შაბურისძეები.[173] არაგვის ერისთავთა ყმა-აზნაურები შაბურიშვილები შაბურისძეთა ერთ-ერთი შტოს ჩამომავალნი უნდა იყვნენ. (ამგვარი სოციალური დამცრობის მაგალითები, უპირატესად XIV — XV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი. სხვაც ბევრი გვაქვს — თექთურმანიძე. ზედგინიძე. ბაზლიძე. ლაზნელი და

169 დოკ. II, № 259.
170 ხელ. ინ. ფ. S, № 3729.
171 დოკ. I, №№ 128, 146; სცია, ფ. 1448, № 3234.
172 ხელ. ინ. ფ. Qd, №№ 7179, 7180.
173 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 95.

სხვ.). XVIII ს-ში შაბურიშვილები მრავალ განაყოფთაგან შედგებიან. არაგვის ხეობის ერთ-ერთ აღწერილობაში მათი 7 კომლია დასახელებული.[174]

ჰ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ს შესახებ იოანე ბატონიშვილს ასეთი ცნობა აქვს: „არიან ესენი ძველად არაგვის მოსახლე მსახურნი კაცთაგანი შთამომავლობით. ხოლო უკანასკნელ მიიღო მეფისა ირაკლისაგან აზნაურობა ბაბანად წოდებულმან მსახურებისათვის... ხოლო უმეტეს მეფისძემ ვახტანგ აღიყუანნა პატივსა შინა გლახა ბაბანაშვილი და უბოძა მამული და სოფელი და აწ მოსახლეობენ დუშეთსა შინა გლახაშვილებად წოდებულნი".[175] ამ ცნობით თითქოს ბაბანა ჰილაშვილმა არაგვის ხეობის მკვიდრმა. პირველმა მიიღო აზნაურობა ერეკლე II-საგან. ჩვენ კი გვაქვს საბუთი 1702 წლისა. სადაც დასახელებულია მოწმედ „არაგვის ერისთვის აზნაურშვილი ჰილაშვილი შიოშ".[176] მაშასადამე, ჰილაშვილთა აზნაურობა იმაზე უფრო ადრინდელია. ვიდრე ამას იოანე ბატონიშვილი თვლის. ის კი სწორია, რომ განსაკუთრებულ აღზევებას ჰილაშვილთა გვარი XVIII ს. მეორე ნახევარში ღებულობს. ბაბანა ჰილაშვილი არაგვის საერისთავოს იმ აზნაურთაგანი იყო, რომელთაც შეუწყვეს ხელი თეიმურაზ-ერეკლეს არაგვის ხეობაში გაბატონებას.[177] არაგვის მფლობელის. ვახტანგ ბატონიშვილის კარზე ბაბანას მილახვრის შემოსავლიანი თანამდებობა ეჭირა. მის ხელთ იყო არაგვის ხეობაზე მიმავალი გზის ბაჟი. რაც განსაკუთრებით შემოსავლიანი სწორედ ამ ხანაში. XVIII ს. მეორე ნახევარში ხდება ამ გზის მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად.

ტ ე რ ი შ ვ ი ლ ი გრემისხევს მოსახლე აზნაურია. არაგვის ხეობის XVIII ს. მეორე ნახევრის აღწერილობის მიხედვით ტერიშვილი ერთ კომლად სახლობს.[178]

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი იოანე ბატონიშვილის ცნობით კობიაშვილთა მონათესავე გვარია.[179] ჩვენს საბუთებში ზანდუკელი არაგვის ერისთვის აზნაურად XVII ს-დან გვხდება.[180] XVIII ს. მეორე ნახევარში ზანდუკელები 3 კომლად არიან გაყოფილი.[181] ცხოვრობენ ჟინვანს.

---

[174] მასალანი სტატ. აღწ. გვ. 417.

[175] ხელ. ინ. ფ. S, № 3729.

[176] იქვე, ფ. Qd, № 750.

[177] საქ. სიძ. I, № 193.

[178] ხელ .ინ. ფ. Qd, № 7178.

[179] იქვე. ფ. S. № 3729.

[180] სცია, ფ. 1450, დავთ. № 13, საბ. № 82.

[181] ხელ .ინ. ფ. Qd, № 7175.

ქუმსიშვილი სოფ. ახალციხეს მოსახლე აზნაურია. XVIII ს. მეორე ნახევრის აღწერილობით 3 კომლად სახლობს.[182]

ყარანგოზიშვილი ბაზალეთის ხევს მოსახლე აზნაური. XVIII ს. შუა ხანებისათვის ყარანგოზიშვილთა ორი განაყოფია: გრიგოლისა და გივის ოჯახები. XVIII ს. მეორე ნახევარში პირველი ამათგანის ოჯახის წევრები გრიგოლიშვილებად იწოდებიან. მეორის ოჯახს ყარანგოზიშვილი მეთაურობს.[183]

ჩრდილელი ს. კაიბოტენს მცხოვრები აზნაურია. 1770-იანი წლების აღწერით და 1804 წ. კამერალური აღწერილობით 1 კომლს შეადგენს.[184]

გილდაშვილი კახეთის აზნაურიცაა, მაგრამ საბუთები აჩენენ, რომ 1 კომლი გილდაშვილებისა არაგვის საერისთავოში მოსახლეობს ჯერ კიდევ XVII ს-ში.[185] არაგვის ხეობის XVIII ს. 70-იანი წლების აღწერაში გილდასშვილი ს. ახალციხეს იხსენიება.[186]

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არაგვის საერისთავოს აზნაურები ტრაქტატის სიაში სამეფო აზნაურთა რიცხვშია შეტანილი.

არაგვის საერისთავოს ზემოთ ჩამოთვლილ აზნაურულ საგვარეულოებს კიდევ რამდენიმე უნდა დაემატოს. ეს ის საგვარეულოებია, რომელნიც არც ტრაქტატს დართულ სიაში, არც სხვა საბუთებში აზნაურებად არ იხსენიებიან, მაგრამ განხილულ უნდა იყვნენ არაგვის საერისთავოს სხვა აზნაურებთან ერთად, რამდენადაც თავიანთი მდგომარეობით არაფრით არ განსხვავდებიან მათგან. ასეთთა შორის პირველ რიგში დასახელებული უნდა იყოს XIX ს-ში საკმაოდ დაწინაურებული გვარი ჩოფიკაშვილებისა.

ჩოფიკაშვილები XVIII ს-ში სახელოსა და ყმა-მამულის მფლობელები არიან. ბაქარ მეფის მიერ ყაზიბეგ ჩოფიკაშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია: „...დაგიმტკიცეთ, რომელი სახელო გჭიროდეს: სტეფანწმინდა და გერგეტი, ცდაო და გველეთი სამოურაოთა და საყმოთა ქობი და ფარიშვილი გორძომა და გუტა და ალხაზაშვილის მამული და ტურაშვილი". ეს წყალობის წიგნი ყაზიბეგ ჩოფიკაშვილმა რუსეთს გადასახლებულ ბაქარ

182 იქვე, № 7171.
183 იქვე, № 2200.
184 იქვე, № 7168; სცია, ფ. 254.
185 ხელ. ინ. ფ. Sd. № 761.
186 იქვე, ფ. Qd, № 7171; მასალანი სტატ. № აღწ. გვ. 417.

მეფისაგან მიიღო 1733 წ., როდესაც მას ეახლა მოსკოვს.[187] 1732 წლის საბუთში კი ყაზიბეგი თავს არაგვის ერისთავის ყმას უწოდებს.[188] XVIII ს. მეორე ნახევარში ყაზიბეგი ისევ არაგვის ხეობაშია და ფლობს საძოურაოს.[189] 80-იან წლებში ყაზიბეგის შვილი გაბრიელ ერეკლე II-სა და შემდეგ გიორგი XII -ის ბრძანებათა აქტიური აღმასრულებელია არაგვის ხეობის მოსაზღვრე სხვადასხვა მთიელ ხალხებთან ურთიერთობის საქმეში.[190]

ღუდუშაური ც (უფრო სწორად — ამ საგვარეულოს 1 კომლი) ისე როგორც ჩოფიკაშვილი, აზნაურია თავისი მდგომარეობით. თუმცა ასეთად არსად არ იხსენიება. არაგვის ერისთავმა ბარძიმმა პაპა ღუდუშაურსა და მის ძმებს წყალობის წიგნით უბოძა სნოსა და სხვა სოფლების მოურაობა და სოფლები აჩხოტი და გალმა თოთი ყმად.[191] წყალობის ასეთსავე წიგნს აძლევს მას არაგვის ერისთავი ბეჟანიც.[192] ამ წყალობათა მიუხედავად ღუდუშაურთა ეს სახლი ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც ეყრდნობოდა თეიმურაზ II, როდესაც 1743 წ. არაგვის საერისთავოს იპყრობს. ღუდუშაურებისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში მეფე წერს: „...ერთგულნი ყოფილიყვენით. ჩვენს გულისთვის ბევრი სარჯელი გარდაგეხადათ ერისთვიანთგან. ახლა არაგვის ერისთვის მამული მთა და ბარი ჩვენ გვებოძა... საერისთაოში, რომ შამოვედ, თქვენ დიაღ ერთგულად და კარგად გვემსახურენით, ჩვენს ერთგულობაზედ მოხვედით. ბევრს გა (ი) სა (რ) ჯენით"—და ამ ერთგულების სანაცვლოდ ყოველწლიური ჯამაგირი გიბოძეთო.[193]

1774 წლის აღწერილობით მარტია ღუდუშაურს სამოურაოდ უჭირავს ხევის სნო, ხოლო თომა ღუდუშაური — ხევის სიონის მოურავია.[194]

სახლოს მფლობელობა თავისთავად აზნაურული მდგომარეობის უეჭველი საბუთი ჯერ კიდევ ვერ არის. არაგვისა და ქსნის ხეობათა მთიან ზოლში ბარისაგან განსხვავებით იმ თავისებურებასაც

---

187 სცია, ფ. 1448, № 10.

188 დოკ. I, № 336.

189 მასალანი სტატ. აღწ. გვ. 409.

190 ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 4021, 10216, 1853, 13997, 4023, 4024, 4022.

191 იქვე, ფ. Qd, № 1708.

192 იქვე, № 1707.

193 სცია, ფ. 1448, № 512.

194 მასალანი სტატ. აღწ. გვ. 413, 442.

ვხდებით, რომ აქ ამა თუ იმ ხევისა თუ სოფლების მოურავები ხშირად არააზნაურული გვარის წარმომადგენლები არიან. ასეთია მაგალითად, ბურდული, ჭონქაძე და სხვ. არაგვის საერისთავოში;[195] ბუნტური, ბაშარული, რუსიტაშვილი—ქსნის საერისთავოში.[196] ესენი უეჭველია, სოციალური აღზევების გზაზე მდგომი გლეხებია. გლეხებსა და აზნაურებს შორის არსებითი ხასიათის განსხვავება არის ის, რომ აზნაური სხვისი შრომის მიმთვისებელია, თავისი ყმა-გლეხებისაგან მიღებული რენტით ცხოვრობს, გლეხი კი, პირიქით, თავისი შრომით ცხოვრობს და რენტას სხვას უხდის. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ საგვარეულოებს, ჩოფიკაშვილს და ღუდუშაურს, აზნაურული სამსახურის გარდა (საპატიო სახელო) აზნაურული ისიც ახასიათებთ, რომ ყმებიც ჰყავთ (მოურავ ბედია ღუდუშაურს თითოს 10 კომლი ყმა-გლეხი ჰყავს).[197] მოხდა თუ არა ამ გვარების აზნაურებად გაფორმება სათანადო დოკუმენტით, არ ვიცით, მასალები ხელთ არა გვაქვს (ჩოფიკაშვილის შესახებ მაინც ასეთი რამ უეჭველია), მაგრამ ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. იგი მხოლოდ ფორმალური მხარეა. ამის თვალსაჩინო მაგალითია არაგვის ხეობის მკვიდრის ფისაძის საგვარეულო.

ფ ი ს ა ძ ე ს ძველთაგანვე სახელო სჭერია—ქასისხევის მოურაობა. XVIII ს. მეორე ნახევრის თრუსოსა და ხევის დავთარშიც მოხსენიებულია გიორგი ფისაძის სამოურაო.[198] ხოლო 1793 წ. ფისაძეები ღებულობენ ერეკლე II-ისაგან აზნაურიშვილობის წყალობის წიგნს.[199] უეჭველია, ფისაძის გააზნაურება კარგა ხნის შემზადებულია და ახლა ამ პროცესის გაფორმება ხდება მხოლოდ.

ამრიგად, ზემოთ მოტანილ არაგვის ერისთავების აზნაურთა სიას უნდა დაემატოს კიდევ 3 საგვარეულო ჩოფიკაშვილის, ღუდუშაურის და ფისაძის.[200] დამახასიათებელია, რომ ეს სამივე გვა-

---

195 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7174; სცია, ფ. 1448, № 1219.

196 უნ. შრ. 45; 1954, გვ. 64.

197 სცია, ფ. 254, № 370 .

198 ხელ. ინ. ფ. Hd, № 10552.

199 იქვე, № 2229.

200 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს ნაშრომში გვ. 241-ზე მოცემული სია არაგვის საერისთავოს აზნაურებისა ჩვენ სიასთან მცირეოდენ განსხვავებას იძლევა: აქ არაა შეტანილი გილდაშვილის, ფისაძის და ღუდუშაურის გვარები. გარდა ამისა, მოხსენებულია აზნაურებად ჩქარეული და ნადიბაძე. ეს ორივე გვარი არაგვის ხეობის მკვიდრია. ჩქარეული მოურავადაც იხსენიება 1774 წ. (მასალანი სტატ. აღწ. გვ. 423), მაგრამ სხვა უფრო არსებით ნიშანს მათი აზნაურობისა საბუთებში ჩვენ ვერ მივაგენით.

რი არაგვის ხეობის მთიანი ნაწილის მკვიდრია. მათი აზნაურის წოდებაში გაფორმების შედარებით დაგვიანების მიზეზი, ვფიქრობთ, მთაში ფეოდალური ურთიერთობის სუსტი განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

საბარათიანო XV ს-ში ყალიბდება.[201] ეს იყო ვრცელი ტერიტორიის მფლობელი მსხვილი საფეოდალო, რომელიც მრავალ ათეულ კომლ აზნაურს აერთიანებდა. ბარათაშვილების 1523 წლის გაყრილობის წიგნით ირკვევა, რომ ამ სათავადოს მხოლოდ ერთ სახლს, რომელსაც გაყრის დროს მთელი ყმა-მამულის ორი მესამედი ერგო, 80-მდე კომლი აზნაური შეხვედრია, რაც უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ გაყრამდე საბარათიანოში 120-მდე კომლი ყმა-აზნაური შედიოდა.[202]

საბარათიანო XVI და XVII სს. მანძილზე რამდენიმე, შედარებით უფრო წვრილ ერთეულებად დაიშალა. მათ შორის თანდათან ყველაზე მეტად დაწინაურდა — საყაფლანიშვილო ანუ ორბელიანების სათავადო. ეს სათავადო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ყმები ჰყავდა 164 სოფელში. 1721 წლის აღწერით საყაფლანიშვილო 101 კომლ აზნაურს ფლობდა.

1783 წლის ტრაქტატით ორბელიანები (ყაფლანიშვილები) შემდეგ საზნაურო საგვარეულოებს ფლობენ:

1. ჩაჩიკაშვილი
2. ყაითმაზაშვილი
3. დოვრათაშვილი
4. ბაგრატისშვილი
5. შაბურისშვილი
6. მორთულაძე
7. კობახისშვილი
8. ტარიელისშვილი
9. ყოინიძე
10. ხანდამასშვილი
11. ბუჰყიასშვილი
12. ავთანდილისშვილი
13. მაჰავარიანი
14. ჯანიასშვილი
15. ნაცვლისშვილი
16. საყვარელიძე
17. ბანცისშვილი
18. ქავთარაძე
19. ღრეული
20. კარგარეთელი
21. ბექიტასშვილი
22. ღოლაძე
23. შერენასშვილი
24. ცაბილასშვილი
25. დივანასშვილი
26. ქოზისშვილი
27. კოჰბროლაშვილი
28. ელიოზისშვილი

———————

201 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 8—9.

202 საისტ. მოამბე, 1924, წიგნ. I, გვ. 179—192; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 14.

მრავალი ამ საგვარეულოთაგანი რამდენიმე კომლისაგან შედგებოდა. ასე მაგალითად, 1721 წლის აღწერით ჩაჩიკაშვილები 6 კომლს შეადგენენ, ხოლო ხანდამაშვილები 17 კომლს და ა. შ.

ყაფლანიშვილების სათავადოს გარდა სომხით-საბარათიანოს ტერიტორიაზე, როგორც უკვე ითქვა, კიდევ რამდენიმე საფეოდალო სახლი აღმოცენდა. ზოგიერთი მათგანი სათავადოდ არც ჩაითვლება. 1721 წლის აღწერით აზნაურები ჰყავთ: გოსტაშაბიშვილებს (8 კომლი), გერმანოზიშვილებს (2 კომლი), ზურაბიშვილებს (8 კომლი), აბაშიშვილებს (5 კომლი), იარალიშვილებს (7 კომლი), იოთამიშვილებს (5 კომლი). ყველა ისინი 1783 წ. ტრაქტატის სიაში ბარათაშვილების აზნაურებად არიან ერთად დასახელებული. ესენია:

1. არეშიშვილი
2. ბერძნისშვილი
3. სადუნაშვილი
4. ნამორაძე
5. ლამაზასშვილი
6. გოსტამისშვილი
7. გეთსანიშვილი
8. ყიფიანი.

ტრაქტატს დართული სია ორბელიანებისა და ბარათაშვილების აზნაურებისა, ისე როგორც სხვა სათავადოთა აზნაურების ასეთივე სია, სრული არ არის. ზოგიერთი საგვარეულო აქაც გამორჩენილია. ასე, მაგალითად, საყაფლანიშვილოში საუფლისწულო გარიგების წიგნი 1746 წლისა ყაფლანიანთ აზნაურებს შორის მკერვლისშვილებს იხსენიებს.[203] 1764 წ. ნასყიდობის წიგნში დიმიტრი ორბელიანი მოწმედ თავის აზნაურს მკერვლისშვილს ნაზირ გოდერძის ასახელებს.[204] ორბელიანების აზნაურია მკერვლიშვილი 1823 წ. კამერალური აღწერილობითაც.[205]

ქანანაშვილები ერთ ხანს ზურაბაშვილებს სჭერიათ ყმად და 1777 წ. მათ განთავისუფლების წიგნი მიუღიათ.[206]

ამ მცირე ნაკლოვანებათა მიუხედავად, მოტანილი სიები ვფიქრობთ, ძირითადად სწორ წარმოდგენას იძლევა საყაფლანიშვილოსა და სომხით-საბარათიანოს სხვა სათავადოებში შემავალი ყმა-აზნაურთა რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ.

---

203 მასალები საქ. და კავ. ისტ. ნაკვ.

204 სცია, ფ. 1450, დავთ. № 26, საბ. № 137.

205 იქვე, ფ. 254, № 608.

206 Хаханов. Грузинские дворянские акты и родословные росписи 1893. М., გვ. 36; ხელ. ინ. ფ. Hd, № 3221,

მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ს ტრაქტატის სიით შემდეგი აზნაურები ჰყავს:

1. რატიშვილი
2. ზედგინიძე
3. მუსხელაშვილი
4. ვაჩიანიძე
5. ქავთარაძე
6. ელიოზიშვილი
7. ბაქრაძე
8. მესხიშვილი
9. ნათიშვილი
10. ნასიძე
11. წიწინაძე
12. შალიღაშვილი
13. ნინიაშვილი.[207]

ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ამ სიის მხოლოდ პირველი სამი აზნაურის სახლის ისტორიას. რამდენადაც იგი განსაკუთრებით საინტერესოა აზნაურთა ფენის დაყმევების პროცესის ზოგიერთი კონკრეტული შემთხვევის წარმოდგენისათვის.

მუხრან-ბატონის სათავადოს ჩამოყალიბება ზუსტად არის ცნობილი — 1512 წ. ახლო ხანები. სამეფო მამული მუხრანი დავით მეფემ თავის ძმას ბაგრატ ბატონიშვილს გადასცა საუფლისწულოდ, რამაც ამ სათავადოს ჩამოყალიბებას მისცა დასაბამი.[208] ბაგრატ ბატონიშვილის. ამიერიდან მუხრან-ბატონის. ხელთ გადავიდა რამდენიმე სოფელი. რომელთა შორის იყო ქსოვრისი — რატიშვილების მამულების ცენტრი. რატიშვილები ქსნის ერისთავთა განაყოფები იყვნენ. იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში რატიშვილთა შესახებ ასე წერს: „ესენი არიან გვარით ერისთავთაგანნი.. რომელნიცა დამდაბლდნენ და რომელიმე აღჰსწყდენ ქსნის ერისთავთაგან და გამოვიდნენ ქსნიდგან და დაეშვნენ ქსოვრის სამუხრანბატონოსა ადგილსა შინა".[209] თუ როდის გამოეყვნენ ქსნის ერისთვეიანთ რატიშვილები, სამუხრანბატონოს ჩამოყალიბებამდე, თუ მას შემდეგ. არ ვიცით. ბროსესა და ჟორდანიას გამოცემულ 1460 წლის საბუთში მოხსენებული რატი, ბროსესა და ჟორდანიას აზრით. არის ის. რომლისაგანაც წარმოდგნენ რატიშვილები.[210] თუ ეს მართლაც ასეა. უნდა ვიფიქროთ. რატიშვილთა ცალკე გამოყო-

---

207 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს წიგნში მოცემული სია ემთხვევა ამ სიას. დასახ. ნაშრ. გვ. 242.

208 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 102—106.

209 ხელ. ინ. ფ. S, № 3729.

210 B r o s s e t. Rapports sur un voyage archéologique. St P. 1851. გვ. 84; ქრ. II, გვ. 280.

ჯა დაახლოებით XV ს. მეორე ნახევარში ხდება. მაშასადამე, რატიშვილები უფრო ადრე სახლდებიან ქსოვრისს, ვიდრე სამუხრანო ცალკე სათავადოდ ჩამოყალიბდებოდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს შემდეგი გარემოებაც: XIX ს. პირველ ნახევარში რატიშვილები ამტკიცებენ, რომ ყმა-მამული მუხრან-ბატონთაგან კი არა აქვთ მიღებული, არამედ მათი სამკვიდრო ქონებაა. რატიშვილები სასამართლოს გზით ცდილობენ თავი დააღწიონ მუხრან-ბატონთა ყმობას. სამხედრო გუბერნატორის სახელზე დაწერილ თხოვნაში ისინი წერენ:„Имеющиеся у нас крестьяне и имение есть наследственное, а не предками помянутого Мухранского пожалованное".[211] მთავარი არგუმენტი კი, რაც გვაფიქრებინებს, რომ რატიშვილთა სამუხრანოში დასახლება მუხრან-ბატონთა გათავადებაზე ადრინდელია, არის შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ რატიშვილები მუხრან-ბატონთა სათავადოს ფარგლებში არიან მოქცეული, კარგა ხნის მანძილზე ახერხებენ ამ თავადებისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობის შენარჩუნებას. მაშასადამე, სწორია მათი მტკიცება იმის შესახებ, რომ ყმა-მამული მუხრან-ბატონთაგან არა აქვთ მიღებული. XVII ს. მთელ მანძილზე ქართლის მეფეებს რატიშვილები უშუალო სამსახურში ჰყავთ: 1659 წ. ვახტანგ V მეჯინიბეთუხუცესს პაპუა რატიშვილს ყოველწლიურ ჯამაგირს უნიშნავს.[212] 1665 წ. მეფის ძენი გიორგი და სხვ. შულავრის და თეთრის უბნის მოურაობას აძლევენ და თავიანთ მამა-პაპაზე „ჩამომავლობით მრავალფერად ნამსახურს" უწოდებენ ქაიხოსრო რატიშვილს.[213] როდესაც შაჰმა გიორგი XI ძე ბაგრატი თავისთან დაიბარა, ბაგრატს ქაიხოსრო რატიშვილი თან წაუყვანია.[214] ყანდაარს გიორგი XI-თან, იმყოფება შემდეგში ქაიხოსროს შვილი ბეჟანიც.[215] ამრიგად, რატიშვილები მუხრან-ბატონის საგამგეოში შედიან, მაგრამ მისი ყმები არ არიან. მუხრან-ბატონი თავის უფლებებს ავრცელებს რატიშვილებზე, როგორც თავის სადროშოში შემავალ ფეოდალებზე. ის სახელმწიფო სამსახური, რომელიც სამუხრანოს სადროშოს გაეწერებოდა, ამ სადროშოს სხვა ფეოდალებთან ერთად, რატიშვილებისათვის სავალდებულო იყო: 1720 წ. მუხ-

211 სცია, ფ. 26, № 759.

212 ხელ. ინ. ფ. Hd, № $8415_7$.

213 იქვე, № $8415_2$.

214 იქვე, № $8415_1$.

215 სცია, ფ. 1450, დავთ. № 28, საბ. № 169.

რან-ბატონთა სასახლისკაცო მორიგების წიგნი იდება. ამ დოკუმენტში, სხვათა შორის ჩვენთვის საინტერესო პუნქტია. სახლისკაცები წერენ: „ახლა რომ ერეკლეს (მუხრან-ბატონს) რატიშვილისაგან გლეხები უყიდია, ის ერეკლეს ქონდეს, მაგრამ როგორც რატისშვილის ყმათ მუხრანის სამსახური ექნასთ. იმას ისრე იქმოდენ".[216] მაშასადამე, რატიშვილების ყმებს „მუხრანის სამსახური". ე. ი. სამუხრანოზე შეწერილი სახელმწიფო ვალდებულებები აკისრიათ. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებელი მუხრან-ბატონია. ასეთ ვითარებაში სათანადო არახელსაყრელი პირობების დროს რატიშვილების გადაქცევა მუხრან-ბატონის ყმებად სავსებით მოსალოდნელია. ასეთი პირობები XVIII ს. მეორე მეოთხედში იქმნება. ვახტანგ VI სამსახურში მყოფი მეჯინიბეთუხუცესი ზურაბ რატიშვილი თავის ოჯახით 1724 წ. მეფეს მიჰყვება ემიგრაციაში.[217] რატიშვილები ამ დროს რამდენიმე ოჯახად არიან გაყრილი. დაქუცმაცებული აქვთ ყმა-მამული. ოსმალობის დროს სიძნელეებს რატიშვილებიც განიცდიან და ყიდიან მიწებსა და ყმებს. „თათრობა იყო, დაგვეჭირა და მოგყიდეთ" ესა და ეს ყმა თავის მამულით, — წერს ზაზა რატიშვილი 1726 წლის საბუთში.[218] ყიდიან ისინი ყმებს 1727 წელსაც.[219] საინტერესოა, რომ პირველი ხსენება რატიშვილთა ყმური დამოკიდებულებისა მუხრან-ბატონებისაგან სწორედ 1727 წლის საბუთში გვაქვს: რატიშვილები ბერუკა, ზაზა და დავით ნასყიდობის წიგნში აღნიშნავენ, რომ ისინი ჰყიდიან ყმას თავიანთი ბატონის დავითისა და მამუკას ბრძანებით.[220] 1732-35 წლებში ვეზირი ისჰაყ-ფაშას მიერ მამუკა მუხრანბატონიშვილისადმი მიწერილ ოქმში წერია: „შ ე ნ ი ს ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი ს რატიშვილის სოფელი ხანდაკი ან სხვა სოფელი აყრილი იყოს. ვისცა მამულში იყოს ყველა მოაგროვე და ნურავის გაცარცვინებ"-ო.[221] ამიერიდან რატიშვილის მუხრან-ბატონის ყმად ხსენება საბუთებში ხშირია.[222] მაგრამ რატიშვილთა ერთმა ოჯახმა

---

216 მას. საქ. და კავ. ისტ. 1962, ნაკვ. 34, გვ. 116.
217 სცია, ფ. 1450; დავთ. № 28, საბ. № 183.
218 დოკ. I, № 317.
219 ხელ. ინ. ფ. Hd, №№ 5276, 7033
220 იქვე, № 5276.
221 ხელ. ინ. ფ. Hd, № 4847, ფ. Qd, № 1624.
222 საქ. სიძ. III, № 441.

მაინც შეძლო XVIII ს. მეორე ნახევარში არ გაეზიარებინა რატიშვილთა საერთო ხვედრი და თავი დაეღწია მუხრან-ბატონთა ყმობისაგან. ამის საბაბი შემდეგი გარემოება შეიქნა: როდესაც ვახტანგ VI თავისი ასული თეიმურაზ ბატონიშვილისათვის მიუთხოვებია, მზითვად ბაადურ რატიშვილი გაუტანებია. ბაადური თამარ დედოფალს კახეთში გაჰყოლია და იქ უცხოვრია,[223] ხოლო როდესაც ქართლ-კახეთში თეიმურაზ-ერეკლე გამეფდა, ბაადურის შვილი ბეჟანი თავის მამულს დაუბრუნდა და ამ მეფეთა ხელისშეწყობით ძველი მფლობელობა აღიდგინა.[224] ერეკლე II ბეჟან რატიშვილს თავისთან თანაშეზრდილს, ხოლო გაბრიელ ბეჟანის ძეს თავის ნათლულს უწოდებს[225] იოანე ბატონიშვილი წერს: „ამა რატიშვილთაგანი ბეჟანად წოდებული იქმნა მეფისა ვახტანგისა და მეფისა ირაკლისაგანვე აღყუანებულ თავადობისა ხარისხსა შინა".[226] ხოლო რატიშვილთა სხვა წარმომადგენლები მუხრან-ბატონის აზნაურებად რჩებიან კვლავ. მუხრან-ბატონები გაყრის დროს მათ ურთიერთშორის იყოფენ და ყიდვა-გაყიდვის საგნადაც კი აქცევენ.[227]

ზ ე დ გ ი ნ ი ძ ე. 1806 წ. იმპერატორის სახელზე დაწერილ თხოვნაში ზედგინიძეები წერენ: „ჩვენ ძველთაგან აზნაურნი ვართ. როდესაც მუხრანის ბატონისათვის სამუხრანო საბატონიშვილოთ მიუციათ. ჩვენ ჩვენის მამულით და ყმით იქ დავხვედრივართ სამუხრანოში", ჩვენი მამა-პაპანი მუხრან-ბატონებს ხლებიან და მათ ჩვენთვის დიდ-დიდი სახელოები უბოძებიათო.[228] ზედგენიძენი მუხრან-ბატონთა, სახლთუხუცესები იყვნენ: XVII ს-ში სახლთუხუცესია ჯერ შიოშ ზედგინიძე.[229] შემდეგ — გიორგი[230] XVIII ს. დამდეგს — ზევდგინ.[231] შემდეგ — დემეტრე.[232] XVIII ს. მეორე ნახევარში -- მერაბი.[233] ამ სახელოს გარდა ზედგინიძეები ფლობენ ციხისძირის. შიოს უბნისა და მისაქციელის მოურაობა-

---

223 სცაა, ფ. 1450, დავთ. № 28, №№ 150, 140, 147.

224 იქვე, №№ 51, 167, 168, 160, და სხვ. დოკ. II, № 148, 156..

225 სცია, ფ. 1450, დავთ. № 28, საბ. № 150.

226 ხელ. ინ. ფ. S, № 3729.

227 სცია, ფ. 1450, დავთ. № 56, საბ. № 24.

228 იქვე. ფ. 26, № 712.

229 იქვე, ფ. 1450, დავთ № 1, საბ. № 4; საქ. სიძ. II, № 198.

230 დოკ. I №№ 81, 100.

231 იქვე, № 173.

232 საქ. სიძ. III, № 425.

233 დოკ. II, № 66; ხელ. ინ. ფ. № 1627; ფ. № 1614.

საც.[234] მუხრან-ბატონების XVIII ს. მეორე ნახევრის გაყრილობის წიგნებსა და ყმათა ნუსხების მიხედვით, ზედგინიძენი ორ კომლად არიან გაყოფილი.[235]

მ უ ს ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი, ისე როგორც ზედგენიძეები და რატიშვილები, სამუხრანოში დახვედრიან მუხრან-ბატონებს, როდესაც მათ სათავადო შექმნეს. მუსხელაშვილები მუხრან-ბატონებთან XIX ს. პირველ ნახევარში ატეხილი დავის დროს დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ისინი სამეფო ყმები არიან და მუხრან-ბატონს ემორჩილებოდნენ მხოლოდ როგორც სარდალს.[236] ამგვარი მტკიცება დასჭირდათ მუსხელაშვილებს მხოლოდ ახლა, XIX ს. 20-იან-30-იან წლებში, როდესაც მუხრან ბატონებმა მათ მამულების წართმევა დაუწყეს. განვლილი საუკუნეების მანძილზე კი, როგორც ეს საბუთებიდან ჩანს, მათი ურთიერთობა არაფრით არ განსხვავდებოდა თავადისა და მისი ყმა-აზნაურის ჩვეულებრივი ურთიერთობისაგან: მუხრან-ბატონები იმსახურებდნენ მუსხელაშვილებს გაგზავნ-გამოგზავნით, სხვადასხვა დავალებათა შესასრულებლად.[237] მუსხელაშვილებს შორის ამტყდარი სამამულო დავის გარჩევა, ანდა მათთვის მამულების გაყოფა მუხრან-ბატონის მოვალეობას შეადგენდა.[238] მუხრან-ბატონის სახლის წევრთა შორის ყმა-მამულის გაყოფის დროს წილში აგდებენ მუსხელაშვილებსაც თავიანთი ყმა-მამულით.[239] ასე რომ, სწორია მუსხელაშვილების ზემოთ მოტანილი განცხადება, რომ თავდაპირველად ისინი ემორჩილებოდნენ მუხრან-ბატონებს მხოლოდ როგორც სამუხრანოს სარდლებს. მაგრამ დროთა ვითარებაში მოხდა მათი დაყმევება მუხრან-ბატონების მიერ.

მუხრან-ბატონთა აზნაურების ზემოთ წარმოდგენილ სიას უნდა დაემატოს კიდევ ერთი სააზნაურო სახლი—ბურდიაშვილებისა. ბ უ რ დ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი მჭადიჯვარის მოურავები იყვნენ.[240] XVIII საუკუნისათვის მათი სახლი უკვე გაყრილი ყოფილა და 1716 წ. სახლისკაცებს კვლავ შეყრა და ყმა-მამულის გაერთება განუზრახავთ. დაუდვიათ „პირობისა და სახლისკაცობის და ძმო-

---

[234] ხელ. ინ. ფ. Qd, № 1457.

[235] იქვე, ფ. Hd, № 1627; ფ. Qd, №№ 1633, 1637.

[236] სცია, ფ. 2, № 1739.

[237] ხელ. ინ. ფ. Hd, № 4847.

[238] სცია, ფ. 1448, №№ 4368, 871.

[239] ხელ. ინ. ფ. Qd, № 1625.

[240] სცია, ფ. 1450, დავთ. № 5, საბ. № 100.

ბის წიგნი და სიგელი". ეს საქმე, როგორც წესი იყო, მათ ბატონთან ერეკლე მხურან-ბატონთან გარიგდა. მოწმეებად სამუხრანო აზნაურები დაუდგნენ.[241] 1806 წ. როდესაც მუხრან ბატონები გაიყარნენ, კონსტანტინე მუხრან-ბატონს რგებია — „მჭადიჯვარს აზნაური ბურდიაშვილი ზაქარია შვილის საკომლოს მამულთა და ყმათა", ხოლო ედიშერს — ტეტია ბურდიაშვილი თავის ყმა-მამულით და ბაგრატს კი — გიორგი ბურდიაშვილი ყმა-მამულით.[242] ამრიგად, მუხრან-ბატონები 14 სააზნაურო სახლს ფლობდნენ.

თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ს ტრაქტატის სიით შემდეგი აზნაურები ჰყავთ:

1. ცალქალამანიძე
2. ჩივაძე
3. ჯაჯანაშვილი
4. ჯვარაშვილი
5. კარგარეთელი.

თარხნიშვილთა სათავადო, გვიან. XVII ს. პირველ ნახევარში წარმოიშვა, როდესაც როსტომ მეფემ ქართლს გადმოიყვანა ოსმალეთში გადახვეწილი გიორგი სააკაძის შვილი იორამი და მას ყმა-მამული უბოძა. ეს ის ყმა მამული იყო ძირითადად, გიორგი სააკაძეს რომ ეკუთვნოდა. დროთა ვითარებაში იორამის შთამომავლები, რომელთაც საგვარეულო სახელად თარხნიშვილობა დაიმკვიდრეს, იფართოებენ ყმა-მამულს.

ც ა ლ ქ ა ლ ა მ ა ნ ი ძ ე ჯერ კიდევ გიორგი სააკაძის ყმა-აზნაური იყო.[243] დიდი მოურავის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ კი ცალქალამანიძე კვლავ სამეფო აზნაური შეიქნა.[244] XVII ს. 70-იან წლების საბუთებში ცალქალამანიძე უკვე თარხნიშვილის აზნაურად გვევლინება.[245]

XVIII ს. პირველ ნახევარში ცალქალამანიძენი რამდენიმე კომლად არიან დაყოფილი.[246] რამაზ ცალქალამანიძე ყიზილბაშობის ხანაში სიძნელეებს განიცდის.[247] არც XVIII ს. მეორე ნახე-

---

241 იქვე, ფ. 1448, № 829.
242 იქვე, ფ. 1450, დავთ. № 40, საბ. № 16.
243 საქ. სიძ. II, № 41.
244 სცია, ფ. 1450, დავთ. № 37, საბ. 47.
245 ხელ.ი ინ. ფ. Hd, № 2380.
246 სცია. ფ. 1448, № 3924.
247 ხელ. ინ. ფ. Qd, № 7051.

ვარში ჩანან ცალქალამანიძენი ეკონომიურად მოღონიერებული. ხშირად მიმართავენ ყმა-მამულის გაყიდვას.[248]

XIX ს. დამდეგს სათარხნოში, სოფ. ნაბახტევს, ცალქალამანიძეების 1 კომლი სახლობს და იხსენიება ამოწყვეტილ ცალქალამანიძის ბეითალმანი მამული.[249]

ჩივაძე ისე, როგორც ცალქალამანიძე. ჯერ კიდევ გიორგი სააკაძესთან იყო დაკავშირებული ვასალური ურთიერთობით.[250] შემდეგში იგი თარხნიშვილთა აზნაურია. XVIII ს. პირველ ნახევარში[251] ჩივაძეების რამდენიმე კომლია.[252]

ჯაჯანაშვილი (შიხეიდრიშვილი). XVIII ს. მეორე ნახევრის საბუთებში იხსენიება შიხეიდრიშვილი ჯაჯანა.[353] მოსახლეობს კავთისხევს.[254] მისი შვილი სეხნია უკვე ჯაჯანაშვილად იწოდება.[255] ჯაჯანაშვილის გვარს ატარებენ შიხეიდრიშვილები XVIII ს. მეორე ნახევარშიც.[256] თუმცა ზოგჯერ შიხეიდრიშვილებადაც იწოდებიან.[257]

თარხნიშვილების ყმობაში ჯაჯანაშვილები შედარებით გვიან მოხვედრილან. XVII ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში ისინი მეფის ყმები ჩანან: სეხნია შიხეიდრიშვილი გიორგი XI გაჰყოლია ისპაჰანს. ქართლს დარჩენილი მისი ბიძაშვილი ერეკლე I-ისაგან დევნას განიცდის, ღარიბდება.[258] რევაზ შიხაიდრისშვილი ვახტანგ VI-ის სამსახურშია.[259] XVIII ს. მეორე ნახევარში შიხეიდრიშვილი-ჯაჯანაშვილი უკვე თარხნიშვილის ყმაა.[260] შესაძლოა, რომ ეს მოხდა ოსმალობა-ყიზილბაშობის ხანაში: შიხეიდრიშვილი ქიტესას მიერ ზაზა თარხნიშვილისადმი 1742 წ. მიცემულ წიგნში. სხვა-

---

248 სცაა, ფ. 1448, №№ 4189, 4178, 4423. 6511: ფ. 1450, დავთ. № 33. საბ. № 42; დავთ. № 40, საბ. № 179; დავთ. № 5, საბ. № 94.

249 იქვე, ფ. 254, № 58: ფ. 1450. დავთ. № 33. საბ. №277; ხელ. ინ. ფ. Hd. № 6262.

250 საქ. სიძ. II, № 41.

251 ხელ. ინ. ფ. Hd, № 1838; ფ. Sd, № 63.

252 ხელ. ინ. ფ. Hd, № 12333; სცსა, ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. №№ 141, 186.

253 იქვე, ფ. Ad. № 1276; სცია. ფ. 1450; დავთ. № 38, საბ. 131.

254 ხელ. ინ. ფ. Hd, № 14534.

255 იქვე, ფ. Sd, № 548.

256 სცია, ფ. 1450, დავთ. № 24, საბ. №№ 66, 72.

257 ხელ. ინ. ფ. Hd, № 2551.

258 იქვე, № 2598.

259 იქვე, ფ. Qd, № 117.

260 იქვე, ფ. Hd, № 4036; დოკ. II, № 375.

თა შორის. ნათქვამია: „ურუმებისაგან ყაიხიდამე გამოველი და შენთან მოველი"-ო.[261]

ჯ ვ ა რ ა შ ვ ი ლ ი (საბუთებში უფრო ხშირად იწერება ჯორაშვილი) XVII საუკუნიდანვე თარხნიშვილების აზნაურია. [262] XVIII ს. პირველ ნახევარში ჯორაშვილთა სხვადასხვა განაყოფები არიან.[263]

ტარიელ ჯორაშვილი, ტყვეობიდან დაბრუნებული. XVIII ს. მეორე ნახევარში სამეფო აზნაური ხდება,[264] მისი სახლისკაცები კი კვლავ თარხნიშვილების ყმობაში არიან.[265] XVIII ს. დამლევს თუ XIX ს. დასაწყისს თარხნიშვილებს ჯორაშვილთა სახლის კიდევ ერთი წევრი ეკარგებათ: თარხნიშვილთა რძალი სოფიო ბატონიშვილი გორის მაზრის სასამართლოსადმი მირთმეულ არზაში 1807 წ. წერს: „აზნაურები ჯორაშვილები არიან ორნი ძმათა შვილები ივანე თავის ძმებითა და პაატა, აზნაურნი ჩვენი... პაატა ჯორაშვილმა დაიწყო წინააღმდეგობა ჩვენი და დაუწყო მსახურება სხუათა და სხუათა გვართა კაცთა და ჩვეულებრისამებრ აზნაურისშვილისა დააგდო საცხოვრებელი თავისი. ჩვენც მივიღევით დანაშთი მამული და ყმა მისი ჩვენთვისა".[266]

კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი. სათარხნო საბუთებში კარგარეთელები XVII ს. 40-იან წლებიდან ჩანან.[267] ისინი ერთაწმინდას მოსახლეობენ და ერთაწმინდის ეკლესიის დეკანოზები არიან.[268]

ტრაქტატის სიაში დასახელებულ აზნაურთა გარდა თარხნიშვილებს კიდევ ჰყავდათ აზნაურები. საბუთები მოწმობენ, რომ თ უ ხ ა რ ე ლ თ ა ერთი ნაწილი თარხნიშვილებს ყმობდა. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ თუხარლები XVI ს. დამლევს თუ XVII ს. დამდეგს გადმოდიან ქართლში. ჯერ მეფის ყმებად სახლდებიან. ხოლო XVII ს. დამლევს მათი ერთი კომლი ერეკლე I სვეტი ცხოველს უბოძა. თუხარელთა მეორე კომლი 1693 წ. გიორგი XI თარხნიშვილს უბოძა.[269] ამ წყალობას ომან თარხნიშვილს ბაქარ

261 ხელ. ინ. ფ. Hd, № 10653.

262 იქვე, № 2418; საქ. სიძ. II, № 151.

263 ხელ. ინ. ფ. Hd, № 5206.

264 იქვე, № 4250.

265 იქვე, № 1928; სცია, ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. № 230.

266 ხელ. ინ. ფ. Hd, № 4125.

267 დოკ. I, № 35; ხელ. ინ ფ. Hd, № 1842; ფ. Sd, № 60,51.

268 ხელ. ინ. ფ. Hd, № 1884, 6308, 1718; ფ. Ad, № 1498$_9$; სცია, ფ. 1448, №№ 2901, 4128, 4962; დოკ. I, № 477.

269 ხელ. ინ. ფ. Hd, № 1924.

მეფეც უახლებს.[270] თუხარელთა თარხნიშვილების ყმობაში ყოფნა XVIII ს. სხვა საბუთებითაც მტკიცდება.[271]

თარხნიშვილებს ეკუთვნოდათ აგრეთვე ნაბახტევს მოსახლე აზნაური გ ო გ ი ბ ა შ ვ ი ლ ი ც. 1691 წ. საბუთში აღნიშნულია: „მაღალაძეებსა და თარხნის აზნაურშვილებს ცალქალამანიძეებსა და გოგიბაშვილს შორის... ჩხუბი მომხდარიყო“.[272] 1712 წ. საბუთში ბეჟან თარხნიშვილი ასახელებს მოწმეს: „ჩვენი აზნაურშვილი იასე გოგიბაშვილი“.[273] გოგიბაშვილები ოთარ და იასე მონაწილეობენ თარხნიანთ სხვა აზნაურებთან ერთად თარხნიშვილთა სასახლისკაცო დავაში.[274] გოგიბაშვილებს სახელო უპირავთ თარხნიშვილების კარზე — ზურაბ გოგიბაშვილი სათარხნოს ცენტრალური სოფლის — ახალქალაქის მოურავია.[275] გაყრის დროს თარხნიშვილები წილში აგდებენ გოგიბაშვილებსაც.[276] 1726 წ. მეჯინიბეთუხუცესი ომან თარხნიშვილი პეტერბურგს გადასახლებულ ვახტანგ VI-ეს ეწვია. მეფემ მას სამკვიდრო ყმა-მამული დაუმტკიცა. ამ ყმა-მამულში შევიდა „დავითის წილი აზნაურშვილი გოგიბაშვილი ბეჟან და ლუარსაბ თავისის ნაქონით ყმითა და მამულითა. ზვრით, ხოდაბუნითა და რისაც მქონებელი ყოფილიყვნენ“.[277] 1737 წ. კი ბეჟან და ლუარსაბის ყმა-მამული, როგორც ჩანს, ბეითალმანად შექმნილა: დავით თარხნიშვილმა ეს ყმა-მამული სეხნია ჯორაშვილს მიყიდა.[278] ამის შემდეგ გოგიბაშვილები აღარ იხსენიებიან თარხნიშვილების საბუთებში. 1805 წ. საბუთით ირკვევა. რომ გოგიბაშვილები ამ დროისათვის გადაშენებული არიან.[279]

ა ბ უ ლ ვ ა რ დ ი შ ვ ი ლ ი. ვახტანგ VI მიერ 1726 წ. ომან თარხნიშვილისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში თარხნიშვილების სხვა აზნაურებთან ერთად დასახელებულია „ჯავახიშვილისაგან ნასის-

---

270 იქვე, № 5234.

271 იქვე, № 14607; სცია, ფ. 1450, დავთ. № 26, საბ. № 117.

272 სცია, ფ. 1448, № 3268.

273 ხელ. ინ. ფ. Hd, № 10550.

274 იქვე. № 1033.

275 იქვე, № 1884.

276 იქვე, № 10180.

277 იქვე, № 8421.

278 იქვე, № 9312.

279 იქვე, № 6262.

ხლად მოცემული ზეს აზნაურშვილი აბულვარდიშვილი."[280] თარხნიშვილთა გაყრის დროს ბექან აბულვარდიშვილი ავთანდილ თარხნიშვილს ერგო.[281]

XVIII ს. დასასრულს თარხნიშვილებს კიდევ ერთი აზნაური მოემატათ: თარახნიშვილს, ქვათახევის არქიმანდრიტს ათანასეს დაუხსნია აზნაური პ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ბექან ორი ვაჟიშვილით და თავის ძმისშვილის ლუარსაბ თარხნიშვილის მეუღლეს მიართვა „პირის სანახავად". პონისშვილი ამოწყვეტილი ცალქალამანიძის ბეითალმან მამულზე დაუსვამთ და სახელოც უბოძებიათ — კავთისხევის მოურაობა.[282]

ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ე ბ ს ტრაქტატის სიით შემდეგი აზნაურები ჰყავთ: ა ბ უ ლ ვ ა რ დ ი შ ვ ი ლ ი, მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე, ზ ა ა ლ ა ს შ ვ ი ლ ი. ბ ე ქ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ი. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ნ ი ნ ი ა ს შ ვ ი ლ ი.

ამათგან პირველ ადგილზე დასახელებულია ხოლმე ა ბ უ ლ ვ ა რ დ ი შ ვ ი ლ ი. 1624 წ. საბუთით ის ყველაზე ყმამრავალი აზნაურია ჯავახიშვილების აზნაურებს შორის (10 კომლი ყმა ჰყავს),[283] მის ხელთაა ყველაზე მსხვილი სახელო ჯავახიშვილების კარზე სახლთუხუცესობა[284], მაგრამ იმის თქმა კი არ შეიძლება, რომ რაიმე ეკონომიური დაწინაურება შეიმჩნეოდეს ამ სახლში. აბულვარდიშვილები უფრო მეტად ყიდიან[285] ყმა-მამულს, ვიდრე ყიდულობენ.[286] მოსახლეობენ ს. ზესს ერთ კომლად.[287]

ბ ე ქ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი XVII ს. დასაწყისს 3 განაყოფს შეადგენენ.[288] მოსახლეობენ ს. ჭვიროსს და ხანდაკს.[289]

XVIII ს. დასაწყისიდან ჯავახიშვილების საბუთებში გვხვდებიან, მათი აზნაურები: მახვილაძე (ს. ზენადრის მოსახლე ერთ კომლად.),[290] გამყრელიძე. ნინიაშვილი, ზაალიაშვილი.

---

280 იქვე, № 8421.

281 იქვე, №№ 12107, 11314.

282 სცია, ფ. 1450, დავთ. № 33, საბ. №№ 277, 278.

